პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი სამი შაური

ტარტაროზი

№ 102 | კვირა, 29 მაისი 1927 წ. | № 102

ნარჯები
ნარჯები
ნარჯები

ფასეგის დაკლებამ დაღუპა

ქაიხოსრო ქარქაშაძეს ბევრი ნაცნობ-მეგობრები ჰყავდა. ასე წარმოიდგინეთ, სადმე, შორს, რომ ქუდი დაჰკარგოდა, არც კი იდარდებდა, რადგან კარგად იცოდა, რომ მის ქუდს რომელიმე მისი ნაცნობი იპოვიდა და ერთ შშვეხიერ დღეს ქალაქში დაუკრავდა ქაიხოსროს თავს:

— ჩემს ქაიხოსროს ვახლავარ. რავა ბრძანდებით, ბატონო ქაიხოსრო, რავა გაატარეთ აი ზაფხული?

— მადლობელი ვარ ჩემო ალმასხან, მადლობელი. ქე ვარ ღვთის წყალობით გვარიანათ—არც ისე როგორც ჩემს მტრებს უნდათ, არც ისე, ჩემს მეგობრებს რომ ესიამოვნებათ. შვახორცათ ვარ, შვახორცათ.

—იმეე, ბატონო ქაიხოსრო! თქვენისთანა პატიოსან კაცს, თქვენისთანა ვაჟკაცს, მტერი რავა ეყოლება!

— არა, კაცმა რომ მართალი სთქვას, ჩემი მტერი დროებაა, ბატონო, დროება; ჩვენ შავ დროს ვართ დაბადებული, ახლა კი წითელი დროა.

— იყოს ბატონო წითელი დრო, მერე რა? ჩვენი თვალი ხომ შავსა და წითელსაც ერთნაირად ხედავს?

— ხედვით კი ხედავს, მარა, გაწითლდიო მეუბნებიან, ახალ პლატფორმაზე დადექიო. მე არ ვშვები ამას და ისინიც არ მაძლევენ გასაქანს...

— ვინ ისინი, ქაიხოსრო?

— ვინ და ჩვენი ძმები—კომუნისტები... შენ ხომ იცი რა მიყვეს პირველად? ის უზარმაზარი სახლები რომ მქონდა, ვაგზლის ქუჩაზე, ჩამომართვეს; უნაგრების სახელოსნოც ჩამომართვეს; ბანკში რომ ფულები მქონდა შენახული შავი დღისათვის, იმასაც რეკვიზიცია უქნეს...

— ეს, ალბად, იმიტომ, ჩემო ქაიხოსრო, რომ შავი დღე აღარ გაგითენდეს... მაინც შენ არაფერი გეტყობა ბატონო ქაიხოსრო, ძველებურად სჭამ და სვამ, იცვამ და იხურავ, დროებას დარდიმანდულად ატარებ, ფერი არ გაკლია და ხორცი.

— აბა შე კაცო, შიმშილით ხომ არ მოვიკლავ თავს! რომელ პროგრამაში სწერია—რა კი ძველ დროს ქაიხოსრო დიდი პადრაჩიკი იყო, ახლა შიმშილით ამოიხადოს სულიო. ააშენოს ღმერთმა მათი ოჯახი. ბევრი ნაცნობები მყავს და მათი დახმარებით იოლად მივდიავარ. ვებრძვი უსამართლობას...

— აი, შენი ქუდი ვიპოვნე ქაიხოსრო, კაი საქონელია და იმედია არ გამიწყრები, რომ ჩამოგიტანე.

— რაიზა შეიწუხე ბოშო თავი! ქუდების მეტი რა შაქვს მთელი ხანდუკი საფსე მაქვს კრაველის ქუდებით.

— თუ გეწყინა ქაიხოსრო, უკანვე წავიღებ და შენ სახსოვრად დავიტოვებ!

— არა, მაგას რავა გაკადრებ! მომეცი აგერ შევინახავ!—კოწია მუხრანსკის ნაფეშქაშევია და არ მინდა მაგის დაკარგვა.

— ბატონო ქაიხოსრო! ვიცი რომ აუარებელი ნაცნობ-მეგობრები გყავს. იქნება სადმე ადგილი მიშოვნო მათი დახმარებით. რავაც შენ არ დაგკლავ, ისე არ მინდა მაგათთან სამსახური, მარა ნამეტარი გამიჭირდა სოფელში ცხოვრება: თუ რამე გასაყიდი იყო, გავყიდე, ახლა არაფერი გამაჩნია და დიდ კრიზისში ვარ ჩავარდნილი. დამეხმარე რამე!

— ცოტა ხანი დამაცადე. აგერ დიდ ადგილს მპირდებიან და თუ მიმიღეს, შენს პურმარილს არ დავივიწყებ და ჩემ თანაშემწეთ მიგიღებ. ვიმუშაოთ ერთად. და როგორმე გავაჩანჩალოთ ეს დროება. მერე ღმერთი მოწყალეა—ან ვირი გავხდებით, ან ვირის პატრონი.

— მაგას რაღა აჯობებს, ჩემო ქაიხოსრო, შენთან თუ მიმიღებ. მამა არ წამიწყდეს, სირცხვილს არ გაქმევ და მუდამ შენი ერთგული და გამგონე ვიქნები.

— აბა იმედი გქონდეს, ახლა წადი და ერთ თვეში ელოდე ჩემს წერილს! მშვიდობით.

— ნახვამდის.ჩემო ქაიხოსრო.

მართლაც ამის შემდეგ ქაიხოსრო, ასე თუ ისე, ერთ-ერთი კოოპერატივის გამგეთ მოეწყო და იმდენი იჩალიშა, რომ გამგეობა დაითანხმა და ათი კვირის შემდეგ თავისი სიყმის მეგობარი ალმასხანიც მიიღო სამსახურში თანაშემწედ.

— სანამ პირში სული მიდგას, არ დავივიწყებ შენს პატივისცემას.—ეუბნებოდა ქაიხოსროს სიხარულისაგან სახე გაბრწყინებული ალმასხანი და გულდასმით ათვალიერებდა კოოპერატიულ მაღაზიას.

— ალმასხან, მართალია ჯამაგირი ცოტა არის, არც კი ღირს სათქმელად, მარა, არა უშავს-რა, ერთი ჩვენებურად, ძველებურად დავტრიალდეთ და საქმე კარგათ წავა.

— მაგას რაღა ლაპარაკი უნდა! მაინც რამდენია ჯამაგირი?

— მე ჩვიდმეტი თუმანი და შენ კი თორმეტ თუმანს მოგცემენ.

— თორმეტ თუმანს? ავშენდი კაცი და აგია სწორედ. თორმეტი თუმანი კი არა აგერ სამი წელიწადია, ხუთი თუმნისთვის არ შემივლია ერთად ხელი! მართლა ამბობს ქაიხოსრო თუ მეხუმრები?

— ხე, ხე, ხე, სახუმარო რა მაქ ალმასხან. თორმეტი თუმანი ეს ნაღდია. შენთვის ეს შეიძლება დიდიც იყოს, მაგრამ ჩემთვის ჩვიდმეტი თუმანი რას წარმოადგენს? არაფერს! ამდენი ნაცნობ-მეგობრები რომ მყავს, რავა ფიქრობ, მაგათ პატივისცემა არ უნდათ? მერე იცი რამდენი ჯდება კაი ვახშამი?

— ხუთი-ექვსი მანეთი მაინც დაჯდება!

— ე, ე, მართლა ჩამორჩენილხარ ცხოვრებას, ჩემო ალმასხან სოფელში. ხუთი-ექვსი მანეთით შე კაცო, ვახშამს კი არა პრასასაც ვერ იყიდი... კაი ვახშამი კი რა. გიჭირს, სამასი-ოთხასი მანეთი დაჯდეს...

ალმასხანს აღარაფერი ესმოდა, თავაღერილი მოსდევდა უკან ქაიხოსროს და ღრმა ფიქრებიდან მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა უცაბედათ ფქვილით სავსე ტომარას დაეჯახა. ქაიხოსრომ სულ მცირე ხნის განმავლობაში ისე გამოაბრუნა გაკოტრების გზაზე დამდგარი კოოპერატივი, რომ გამგეობის წევრები განცვიფრებულნი იყვენ და ქაიხოსროს პირდაპირ სასწაულ მომქმედათ სთვლიდენ.

— ხომ გითხარი, მეტის-მეტად ყოჩაღი და გამოცდილი კაცი არის მეთქი,—თავმომწონედ ამბობდა თავმჯდომარე.—თუ დაგვიყენეს ეს კაცი აქ და კავშირიდან და ბირეიდან საქმე არ გაგვიჭირეს, ჩვენს ბედს ძალი არ დაჰყეფს! ჩვენი კოოპერატივი თითით საჩვენებელი გახდება.

— როგორმე უნდა მოვასერხოთ და ქაიხოსრო კავშირის წევრად მივაღებინოთ, მაშინ ნოქრები და მოსამსახურეები ანგარიშს გაუწევენ,—ამბობდა გამგეობის ერთი წევრი.

— არა, საიდან გაიგეს მაგ ოხრებმა, რომ ქაიხოსრო ნაპოდრაჩიკევია!—კვირობდა გამგეობის მეორე წევრი.

ქაიხოსრომ სულ მცირე ხნის განმავლობაში ისეთი ნდობა დაიმსახურა მთელი გამგეობის, რომ მთელი კოოპერატივის საქმის წარმოება სავსებით ჩაიგდო ხელში. თავმჯდომარე პირდაპირ თვალ დახუჭული აწერდა ხელს ქაიხოსროს მიერ გამზადებულ ვექსილებს. ქაიხოსრო კი თვითონ იღებდა ბანკებიდან ფულებს და თაფის ნებაზე—ვისთანაც და სადაც უნდოდა, იძენდა კოოპერატივისთვის საქონელს. აივსო მაღაზია ფართლით, საბაკალეიოო საკალონიო და სხვა საქონელით. ჯარასავით ტრიალებდა ქაიხოსრო შინ და გარეთ და ჯარასავით ატრიალებდა ალმასხანსაც, გამგეობასაც და მთელ კოოპერატივსაც.

ერთ ღამეს, როდესაც გამგეობის წევრები, მხიარულ გუნებაზე დაბრუნდენ ქაიხოსროს მიერ გამართულ ვახშმიდან, გამგეობის თავმჯდომარემ მეტად არა სასიამოვნო სიზმარი ნახა:

რაც მოგვივა დავითათ ყველა შენი თავითათ



შუბლმაგართა ქოფაკები გვიღრინავდენ მეტად, ჩვენი წრდა და ძლიერება თავს ეხმოდათ. მეტად და სავაჭრო შეთანხმებას სწევდენ გასაწყვეტად—

თუმცა ეხმოდათ მშრომელთა ხმა:—რას ვკამბაზობთ ნეტა?



ჩემბერლენი სწევდა ბაწარს. ხიკსი კბილით ღრღნიდა, ჭორებით და ბამბულობით ორივ იქადნიდა

გაწყდა „თოკი", შეასრულა რაც რომ დაიკვეხა, მაკრამ... თავი კან-მაგარი თვითვე გაიტეხა!

ვითომ კოოპერატივი ძროხათ გადაქცეულიყო, ქაიხოსრო ხბოთ, შეჯდომოდა ძროხას და ხარბად სწოვდა ორივე ძუძუს.

არაკისთვის არ კეთმხელია თავმჯდომარეს ეს საოცარი სიზმარი, მაგრამ მის გულში რაღაც სევდამ დაისადგურა.

ქაიხოსროს კოოპერატივს—(ასე ეძახდენ უკანასკნელ ხანებში) უცხო ხალხი, საქმის ხალხი—ნეპმანები შემოეჩვია. ზოგს მიჰქონდა საქონელი, ზოგს მოჰქონდა, ზოგი ფულს მიაბარებდა ხოლმე კოოპერატივის სალარო-ში და ერთი საათის შემდეგ ისევ მიჰქონდა, ზოგი ძვირფას ნივთებს აწყობდენ კოოპერატივის შკაფში.

საქმის ხალხს თან მოყვენ მანდილოსნები, მეტად ლამაზები და მოხდენილები; ესენი ისე დაუახლოვდენ ქაიხოსროს და ალმასხანს, როგორც ღვიძლ ქმრებს; მათ შორის არაფერი იყო საიდუმლო და დასამალი. ხშირად, როცა ვაჭრობა მორჩებოდა ხოლმე და კოოპერატივის დარაბებს შიგნიდან ჩაჰკეტდენ—კანტორაში ქაიხოსროსთან და ალმასხანთან ერთად რამოდენიმე ნეპმანი და მშვენიერი ასულნიც მოიყოლებდენ თავს და დამლაგებელი მა'მო ასეთ შინაურულ ლაპარაკს მოჰკრავდა ხოლმე ყურს:

— ქაიხოსრო როგორ გიყურებს ახლა თავმჯდომარე?

— როგორც კეთილ ანგელოზს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲐᲙᲠᲐᲢᲔᲚᲘ



— მაშ, ერთი ამ კეთილ ანგელოზის სადღეგრძელოც დავლიოთ, დაელიოთ.

— Давайте споем малохрамимы (ნეპმანების მრავალქამიერი)—დაიყინებდა ებრეული მოსე, რომელიც ისე შეეჩვია ქართველურ დარდიმანდულ ცხოვრებას, რომ სულ მწვადებში და კახურში ამოსდიოდა სული.

— ერთიც ყმაწვილებო!

ეს იყო, ასე ვსთქვათ, შინაურული ვახშამი, მეგობრულად დროს გატარება, რომლის დროსაც მთავარი ყურადღება კოოპერაციისს საკითხისადმი იყო ხოლმე მიბყრობილი!

რაც შეეხება დროს გატარებას უფრო ფართო მასშტაბით, არც ამას იყვენ მოკლებულნი ქაიხოსრო და მისი მეგობრები, ასეთებიც იმართებოდა თვეში ერთხელ მაინც. მაგრამ მათ ჩვენ ვერ შევეხებით დაწვრილებით და ყოველის მხრივ რადგან.....

— ქაიხოსრო ჩემო, უბრძანეთ მომიჭრან ერთი საკასტუმე კაეერკოტი,—მიმართა ერთხელ ნინა ივანოვნამ.

— პოკალუსტა. საპალტოე არ გნებავს? ალმასხანს, მოუჭერი სამი მეტრი კოვერკოტი, მაღალი ხარისხის!

— ქაიხოსრო, როგორლაც ცუდი ფერი გადევს, ავად ხომ არა ხარ.—შეეკითხა მარგო გავრილოვნა ქაიხოსროს.

— ისე, სხვათა შორის. წელის ტკივილი დამჩემდა ამ ბოლო დროს.

— ძველი ცოდვების ბრალი იქნება, მაგრამ ერუნდაა! ტი ზნაეშ, შტო ია კაგდა ტო მასაკისტკოი ბილა. ორჯელ დაგზილავ ლაზათიანად და გაგივლის. როდის იქნები სახლში?

— დღეს სახლში ვარ.

— აბა მაჩვენე ზურგი!—აქ გტკივა არა? ოო, ბედნი ქაიხოსრო! აბა დაწექით! რას, დვა. რას, დვა!

— ოო, ცხონდა მამაშენი, მარგო, მარგო!

— რას მიბრძანებთ?

— მარგო მეთქი, ესე იგი მომიხდა შენი ექიმობა.

— მე კი არ ვიცი!

— ქაიხოსრო, მოკონო უვას პალუჩიტ ატრეზ ნა ფასტუმ?

— პაკალუსტა. მე თითონ გამოგიგზავნი ჩემი კაცის ხელით.

ერთ დღეს თავმჯდომარე—ჩვეულებისამებრ შემოვიდა გამგეობაში და ქაიხოსროს წაუკითხა დირექტივა ფასების დაკლების შესახებ. ეხლავე უნდა ავწეროთ მაღაზია და მოვახდინოთ საქონლის გადაფასება.

— მაინც რამდენის დაკლებას აპირობთ.

— 10 პროცენტის! ასეთია დირექტივა.

— თქმა ადვილია, თქვენ შესრულება იკითხეთ! — გაცხარდა ქაიხოსრო.

— ვითომდა რატომაო?

— იმიტომ, რომ აქ კოოპერატივის თაროების მეტი არაფერია, მთელი საქონელი სხვისია და სხვის საქონელზე ფასების დაკლება როგორ შეიძლება?

— როგორ თუ სხვისია,—დაიღრიალა თავმჯდომარემ.

— ისე რომ სხვისია. მაშ როგორ გეგონათ, უფულოთ შეიძლებოდა ამოდენი საქონლის შეძენა?

— როგორ თუ უფულოდ? იმოდენა ფულებს რომ ვსესსულობდით ბანკებიდან, ის რა იყო?

— ნასესხებს ჩასესხება არ უნდოდა? ვალს ხომ გადახდა უნდა!

— ახლა კი მესმის ყველაფერი! მაშ ეს ნეპმანები იმიტომ შემოიჩვიე, რომ ჩვენი კოოპერატივი მათ სავაჭრო დაწესებულებათ, საკომისიო მაღაზიათ, გადაგვგეცია?

— უთქვენოთ მე არაფერი გამიკეთებია.

— სტყუი!

ალმასხანი გულგახეთქილი უგდებდა ყურს ამ „მეგობრულ" ბაასს და შიშისაგან აღარ იცოდა რომელ კუთხეში დამალულიყო.

— გათავდა ყველაფერი.—ამბობდა თავის გულში ალმასხანი:—ნეტავ სასუდოთ მაინც არ წავიდეს საქმე.

— მეორე დღეს, დილა ადრიანად ნეპმანებით გაიავსო კოოპერატიული სავაჭრო და ერთი საათის განმავლობაში ისე გასცალეს მაღაზია, რომ ნაოხარს დაამსგავსეს. ქაიხოსრო მათ გაჰყვა უკან და აღარ დაბრუნებულა. ალმასხანი კი უკანა კარებიდან აძვრა, ისე რომ კანტორაში ჩამოკიდებული ქუდი და ჩოხაც კი იქ დარჩა.

თავმჯდომარე და გამგეობის წევრები ერთმანეთს შეჰყურებდენ და სიტყვის ამოღებას ვერ ახერხებდენ.

საიდან იყო და არ იყო, გაჩნდა ადგილკომის თავმჯდომარეც. ჯიბიდან ამოიღო კავშირის ცენტრალური გამგეობის ცირკულიარი ფასების დაკლების შესახებ და ხმა-მაღლა დაუწყო კითხვა: „კავშირის ძირითად ორგანიზაციებს ევალებათ მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ფასების დაკლების კამპანიაში".....

— ვითომ რა გინდა რომ სთქვა?—გააწყვეტინა თავმჯდომარემ.

ისა, რომ ჩვენ მზათ ვართ მონაწილეობა მივიღოთ ფასების დაწევის საქმეში!

— მადლობას მოგახსენებთ! შე ოჯახ დაქცეულო, ბრმა ხარ თუ როგორ არის შენი საქმე? ვერ ხედავ, რომ კოოპერატივში არაფერი დარჩენილა? რას უნდა დაუკლო ფასები.

ადგილკომის თავმჯდომარემ ნაღვლიანად შემოავლო თვალი კოოპერატივის დაცლილ თაროებს და თავმჯდომარეს ჰკითხა:

— ქაიხოსრო, თქვენი ქაიხოსრო სადღაა? ალმასხანი სადღაა?

— თავმჯდომარემ თავი დახარა ძირს და ფასების დაკლების ცირკულიარს მძიმეთ დაეცა მისი ცრემლები.

ასე დაღუპა ფასების დაწევამ..... ვინ? ქაიხოსრო, ალმასხანი თუ კოოპერატივი.

ყოველ შემთხვევაში უფრთხილდით პოდრიაჩიკებს, ნეპმანებს, ვახშებს და შავ-თვალწარბა ქმნილებებს, ამხანაგო კოოპერატორებო!

ᲕᲝᲚᲝᲜᲐ.

„სნიუენია“

— მახლაზ! ეს რა ღვთის რისხვა გამაატყვრინეს მაგ ბემურაზებმა და! ქრისტიანო, ამისთანა ლევანდი და ჰაკარაკი რამე გინახიათ? კაცს მოგების შნო და მარიფათი გქონდეს, ასეთ ზაჰრუმალ დროშიაც კი შეშვიდით ყაფაზები ააცსო, გილდი პატენტი, ნალოგი რამე თავის დროზე გაისტუმრო, ჰამაც მუშტრებთან სარისტა ჰქნა, საქმე საქმეზე მაიყვანო და აქაც ახალი ხათა არ დაგილიონ?

ამ ფასების დაკლებაზე გებნებით რაღა, კომუნისტურათ სნიუენიას ეტყვინან მააშ!..

ახარ, ქრისტეს გეფიცები, ზიარების მადლმა და ჩემი ჰარიფი სიყმის მზემ, რომ ეს შტუკა ჩვენი ჰამქრის ნაზლოთ გამაიგონეს, ჰოინი მოგვინახეს რაღა, ახალი ხორველა გაგვიჩინეს!.. ჰუზურში ამით ჩვენი გაკოტრება უნდათ, რომა მერე კანკურენცია აღარ უყოთ და ბესკანეჩნათ მაიგონ და მაიგონ!.. ჰაი გიდი აბასთუმან!..

ჰამაც ისეთს თაბაუთს იჭერენ, რომა კაცი ვერ მიუდგეს: პრიმერი თვითონ გვაჩვენეს, პირველად სნიუენია თვითონ გააკეთეს, თანაც სტროგი პრიკაზები გამოსცეს.

— ასმა, რაც რომ შეშვიდია ყველაფერს პროცენტები დააკელითო, ნაკლადნოვი რასხოდები მოშალეთო, მუშტრებს სკიტკა გაუკეთეთო, საქონელი გააიაფეთ, რომ ხალხს ცხოვრება გაუადვილდესო!..

ჰიმანუმეს? ჩვენს დახლში ქესატობის თაგვები მაზურკასა თამაშობენ და ეგენი კი ხალხზე ფიქრობენ!.. რა მაზალო რამეა ჰაზირ?!... ახარ შე ბემურაზო,—ხელიც შენსკენ, პირიცა,—კამერცია საქმეში ხალხის სიმტერესისთვის ჩალიშობა რომელ კარაბადინში სწერია? რის ხალხი, რის ფსტანი, თოლ ვიეაჭროთ რაღა, ფული მოვიგოთ, ხეირი ვინახოთ—და ლაზათიანი დროება გავატაროთ! არა რომ ნეპია, ჰამაც ჩასტნი კაპიტალიც ხოდშია და კანკურენციაც დაპუსტიმია?

საქმეში ხარ?.. ეგენი მაინც თავის ჭიანურს უკრავენ—თუო.

— ჩვენ მშრომელი ხალხის ელასტი ვართო, ყველაფერში ჩვენი დიქტა-ტურაო, ფაფრიკებიც ჩვენია და შეშვიდიცაო, სლოვომ ხალხისაო რაღა; ჰამაც კამპერატია იმიტომა ვშრებითო, რომა ჩასტნების სინსილა ძოვასპოთო და ჰუზურში საციალიზმიც გავაკეთოთო.

მოდი შენ და მაგათ ქრისტე სთხოვე! გებნები რაღა, გებნები—ჩვენი ხეირი და პირის გემო წასულია, ძველ შნო და ლაზათს ვეღარა ენახავთ, ჯიგრისნ მარიფათებს ვეღარ გამოვიჩენთ, გინდ დაიჯერე, გინდა ნუ—მააშ!

ახარ, ჩოთქში რო ვაგდეფ, ჰუზურში ეგრე გამოდის. მაგათ ცხოვრებას აბრუნდი გაუკეთეს, მარტო ყველაფერს მოლას ფლავიეთ ამ მუშებსა და გლეხებს აყრიან და ჩვენისთანა ჰარიფები კი კოზაკებივით შუაში იჭყლიტებიან!

პუპუზ, ყველას ცხვირწინ ბურნუთის კოლოფივით კაპერატია წამააჭუნტეს, ასმა, ხალხი ჩარჩების ხელში აღ უნდა ჩავარდესო, ჰამა აქ ოინი ვერ გაუვიდათ: ზოგ-ზოგ ადგილას ისეთი ვინმეები შაძვრენ, რომლებიც რომ ჩვენი ბმა და პირის ზიარებაა: ეს სპეციო, ეს გლავბუხიო, ეს ბრენჩიკიო, ეს კასირჩიკიო, ეს ფლანიო, ეს ფსტანიო—ვინ ბოსთვლიმ?

არა, რომ იმათ თავისი ჭუნარები გააკეთეს: აქეთ კამანდიროვკა, იქით რასტრატა, წინიდან უტეჩკა, უკნიდან ბუსუშკა, ავანსი, ნაკლადნოვი რამე!... ჰამაც ცალკე კამბინაციები სხვა იყო: ზოგიერთის ძმაკაცობით და პურმარილით ჩვენ საქონელი ფაფრიკის სებესტოიმოსტით გამოგვქონდა და იმათვე კანკურენციას უწევდით!

მაგრამ მაგათ ოხტში ბოლომდის ვინმე მოვიდოდა? ჰიშკილები გაუგეს და ამისთანა ვინმეები სულ დორონკ სუმბათას ცოცხვით გახვეტეს. ეხლა მეტეხის ციხეში რო შაიხედო, არტოს ბაღი გეგონება, რაც რომ რასტრაჩიკები და ორგული სპეცები იყვნენ, სულ იქ შაუყრიათ, ასმა, ჭკუის აკადემია უნდა გაათავებინონო,—მააშ!

დაიწყეს და ყველას კბილი ზუბაჩისტკით გამოჩხრიკეს, ბოლოს იქამდის მივიდნენ, რომ ჩვენ ჯიბრზე ფასების სნიუენია გამაიგონეს. დორანიც აქ გაფუქდა ჰაა!..

იცი, როგორ სტროგათ იქცევიან? წინანდელი აქციზნი ლევანდია მაგათთანა! იმას ქრთამს მისცემდი, პურმარილით მაისყიდიდი, საქმეს საქმეზე მაიყვანდი! ამათ? აი, თელეთის მადლმა დაშამათოს მაგათი მასაბი! რასაც იტყვიან, მორჩა: იამან, ვეღარ ჩაათქმევინებ!..

არა, ჩვენ რას დაგვინდობენ, როცა თავის კაპიტალიებს ხათრს არ უშვრებიან? დღეში ხუთი პრიკაზი უშვებენ!

— ჰაა, ღმერთი არ გაგიწყრეთ, როგორც სტოს დაუდგენია, ფასები რიგიანათ დააკელით, თორემ რაბკრინი გაიგებს და მერე ატვეჩაი ჩვენ აღარ ვიქნებითო,—მააშ!

ბებნებიან, ეხლა ამ დაკლების სროკი გავიდაო, სპეციალნათ დადიან, პაკერკას უშვრებიანო, ვისაც რომ დაკლებული არ ექნება, მაშინვე სუდში მისცემენ. ერთი სიტყვით, ეხლა მოდნათ ეს ფასების დაკლება შამოსულა და სადაც გაიხედო, ყველა საქონელზე სწერია:

„რანშე სტოილ 1 მან., ტიპერ სტოიმ 60 კაპიკ!.“.—და ათასი ამისთანა ჯაჭრუ-დოზანა!

მეც ავდექი და იმათ პადრაჟენია გაუკეთე: ავიღე იმისთანა რამეები, რაც რომ წინა თვეებში ძვირათ ღირდა და ეხლა გაიაფდა: კიტრი, კლუბნიკა, ტარხუნა და ჰამაც სხვა შეშვიდი და რამეები ლაზათიანი პრესკურანტი შავადგინე რუსულად და დავკიდე.

ჩემს გვერდით მეკუბოვე გიკორა ვაჭრობს. იმანაც ჩემისგნით აიღო პირმერი და კარებზე დაწერა: კუბოზე სნიუენია მიქნიაო ,ჰამაც ვინც რომ ორ წყვილს ერთათ იყიდის, იმას სკიტკა უშვრებიო, ჰუზურში მთელმა ბაზახანამაც ასე ქნა: ხარაზი, ყაზაზი, ბაზაზი, ხაბაზი, ტერტერა თუ ტერაცუა, ყველა იძახის—„სნიუენია და სნიუენიაო“....

ახრიზამანში ისე გამოდის, რომ აქამდის თუ მოგებაში და ფასების აწევაში იყო კანკურენცია, ეხლა ფასების დაკლებაშია. ჰამა მუშტარი მაინც ჩვენთან არ მოდის, ყველა კაპერატიაში მირბის, ასმა, ეს ხალხის დუქანია, სებესტოიმოსტსა შერებიანო!...

აი რა ნავნები მოგვიტანეს ამ სნიუენიით მაგ ბემურაზმა ბალშევიკებმა, თითონ მოგება არ უნდათ და ჩვენც არ გვაძლევენ, თითონ ღარიბი ხალხის გამდიდრებას ცდილობენ და ჩვენ კი სიკვას გვაცლიან, თითონ ფაფრიკებიც აქვთ და საქონელიც, დუქნებიც და ტაქციაც.

ჰაი გიდი აბასთუმან! ერთი ჩვენცა გვკითხონ, რა ჰაეარი გაგვიჩინეს და!?..

— ვაჰხ, „სნიუენის“ მამგონო, თელეთმა და სუფსარქისმა გკითხოს ჩვენი ცოდო, ფასების ასე ჰაგარაკით დაკლებისთვისა!..

ფარხადან.

„მუშკოოპის მილღეკები“



ფასების დაკლებამდე
ხავხე იყო მუშკოოპი,
თავიდან ბოლომდისინ,
შეეედილ-შენაწყობი.

როცა რომ გამოცხადდა
ამ ფასების დაკლება,
ხაქონელიც მაშინვე
ხადღაცა იქანქლება.





შაიხის ნახევარში
სულ გამოცარიელდა,
გამგეც სადღაც გაგვიძვრა
რადგანაც დრო იხელთა.

პირველ ივნისისათვის
ყარები დაირაზა,
ალბათ შიგნით თაგვები
გადადიან ყირაზე.

„საჭე მარჯვნივ“

მ. ლასკარი (საზ. „მწყემსის“ სავაჭრო განყოფილების გამგე). ვინც რა უნდა ის თქვას, მე კი იქით და ისე გავატარებ ჩემს სავაჭრო პოლიტიკას, როგორც მომიხდება.

ერთი აზნაურის გასაჭირი

რაღა დაგიფაროთ და იმ ნეტარხსენებულ ჟორდანიას დროს დიდი კაცი ვიყავი. იცოცხლეთ თქვენც და მეც, შვეოსავალი მქონდა და მოხმარებაც შემეძლო. აი, სწორედ მაშინ იყო დაფასებაც და გვარიშვილობის ყადრიც. ჰო და შემოვიდენ თუ არა ეს დასაქცევი, ჩემი საქმეც უკუღმა წავიდა. სამსახურში ვინღა დამაყენებდა, მაგრამ დიდი ადგილიც რომ მოეცათ, გაჭირდებოდი თუ?

ოქვენც არ მოშიკვდეთ.

კომწომოლისტმა რომ ბრძანება დამიწყოს, ხომ გავთხლიშე შვაზე.

ავიკიდე ჩემი გუდა-ნაბადი და მივადექი ისევე სოფელს. რასაკვირველია, ჩვენ სოფელს ძალიან გაეხარდა ჩემი მისვლა, და ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან იქ ბოლშენიკი წამლად არ მოიძებნებოდა.

მთელი სოფელი ჩემი პარტიის იყო და ისევე ჟორდანიას მოსვლას მოელოდა. რაღა გაეწყობოდა. შევუდექი ძამაპაპურ ზნეჩვეულებას ღა ისევე გავაჩაღე ოჯახი. ჩემი პელაგია თბილისის კლუბებში გაჩვევის შემდეგ ველარ ეწყობოდა შვა ცეცხლის კვამლს და ჭადის ცხობას, მაგრამ რაღას იზამდა. სწორედ ამ დროს შემოიღეს რეჟიმ-ეკონომია არის, თუ რაღაცა, და ჩემი ტანჯვაც მაშინ დაიწყო. ჩამაცივდა პელაგია—ვირეკიმეკონომიით და, როცა ფულებს დავაგროვებთ, იქნება რამე შევიძინოთო. ისეთ მდგომარეობაში ჩამაყენა ამ რეჟიმ-ეკონომიამ, რომ ექვს ფუთს ვიწონიდი და „კანკრაზ ორ ფუთზე ჩამოვედი. ეს ამხელა კაცი ისე გავხდი, რომ ჯოჯოხეთის მაშხალას დავემსგავსე. მთელი ხუთი თვის განმავლობაში გამხმარი ჭადის და ცივი წყლის მეტი არაფერი ჩასულა ჩემ პირში. ამ ხნის განმავლობაში ერთხელ დამპატიჟა მეზობელმა, მაგრამ ვაი ის დაპატიჟებას. ეს ჭადზე ნამყოფი კაცი დაეტაკე ხორცეულობას და ისე გავძეხი, რომ ორი კვირა ლოგინიდან არ ამდგარვარ. ასეთი ტანჯვით აგროვა და აგროვა პელაგიამ ფულები.

ერთ საღამოს დაღლილ-დაჭანცულს ძილისათვის უნდა მიმეცა თავი, რომ შემოვარდა მეზობელიდან ჩემი პელაგია გაზეთით ხელში და შეჭნა ყვირილი:

— არიჭა მრშველე, ანდუყაფარ, ეხლა გვაქვს დრო, თუ გვაქვსო.

სიხარულის ჟრუანტელმა დამიარა მთელ ტანში და ვიფიქრე: ეხლა კი მშვეიერია, ალბათ ბოლშენიკები გაქცეულან მეთქი, და ვეცი გაზეთს. ელვის სისწრაფით გადავთვალიერე მთელი გაზეთი, მაგრამ ამის მსგავსი ვერაფერი ვნახე.

— აგერ კაცო, აგერ, სად ეძებ, აგერ სწერია.—შემჩერა პელაგიამ, როცა უკმაყოფილებით ხელი უნდა ჩამექნა. დაეჩერდი, მაგრამ ვერაფერი გავიგე... თვალები

სიცარიელე



სურათი უწარწეროთაც მეტყველია.

ამოვისრისე, იქნება ძილის პირზე რომ ვიყავი, ვერ გავარჩიე მეთქი, მაგრამ ისევე ისე ეწერა.

— ვერ წაიკითხე?

— ვერაფერი გამიგია.

— მომეცი აქ, შენ ალბათ ნამძინარევი ხარ და თვალები აღარ გიჭრის, აი დაუგდე ყური მეთქი.

— „ფასების დაკლება".

„მთავრობის დადგენილებით პირველ იანვისამდე საქონელს ფასები უნდა დაეკლდეს 10 პროცენტით",—გაიგე.

— მერე.

— მერე ის, რომ ჩვენი ეკონომია გამოგვადგება და შენ ამალამვე უნდა წახვიდე ქალაქში, რომ იყიდო საქონელი და ჩამოიტანო. ხომ ხედავ, როგორ ვართ ჩამოცრეცილები,—ეხლავე თუ არ მოასწარი, მერე ისევ ასწევენ.

ღმერთმა დაგიფაროს ქალის შარისაგან. თუ რამე გადასწყვიტა, ბიჭი ხარ და ნუ შეუსრულებ. მეტი ღონე არ იყო, ავიკიდე ჩემი გუდა-ნაბადი, პლატოკის ყურში გამოვკარი ვაი-ვაგლახით შეგროვილი სამი ჩერვონეცი და გავუდექი გზას. სადგურის მოლარეს გადავეცი სამი მანეთი ბილეთისათვის.

— ამხანაგო, თოთხმეტი შაური კიდევ უნდაო,—მითხრა მოლარემ.

— რას ამბობ კაცო, აგერ არ აწერია ფასების დაკლებაზე? წინად სამი მანეთი იყო და ეხლა დაკლების მაგიერ, მოიმატა?

— მოქალაქევ, არ მცალიან, ჩვენ ფასების დაკლება არ გვეხება, ან თოთხმეტი შაური დაუმატეთ, ან-და მოშორდით სალაროს. მეტი რა ღონე იყო, მივეცი თოთხმეტი შაური და ერთი მაგრათ შევეკურთხე პელაგიას. განა არ ვიცოდი, რომ გაზეთში დაწერილი ამბები ბოლშევიკი-

არ ვიცოდი, რომ გაზეთში დაწერილი ამბები ბოლშევიკი-

როგორც იქნა, ჩავედი თბილისში. ჩემი წარმოდგენა და სოფლის მეწშევიკების მტკიცება, რომ თბილისში აღარაფერი არაა, სულ მოსკოვში წაიღესო,—არ გამართლდა. თბილისი მართლა გამშვენიერებული და გამოცვლილი დამხვდა. გულზე ვსკდებოდი, რომ ვხედავდი ახალ სახლებს, გაფართოებულ ქუჩებს და „პამიატნიკებს".

„ჩვენი ეკონომიიდან" თბილისში ოცდა ხუთი მანეთი ჩამოშყვა.

— რა ღირს, ამხანაგო, ჩითი?—შევეკითხე კოოპერატივში.

— რა ღირს და რაც წინად ღირდაო,—მიპასუხეს.

— როგორ, ეს ტყვილა სწერია გაზეთში?

— არა, მართლა სწერია,—ჩვენმა კოოპერატივმა არამც თუ ათი პროცენტი, ოცდა ხუთი პროცენტი დააკლო, მაგრამ ჩითზე კი არა, აი, სამოვარზე, უთოზე, კერასინკაზე და სხვა ასეთებზე. მიბრძანდით იმ „პასუდნი" განყოფილებაში და ყველაფერს დაკლებულ ფასებში იყიდით.

— რას მელაპარაკები, რის სამოვარი, სამოვარი რა ეშმაკად მინდა, კაცი ამ სიმორიდან წამოვსულვარ, იქნება ოჯახი შევიმოსო და შენს სამოვარს რა თავში ვიხლი?

— აბა არა მცალია, ამხანაგო, ხომ ხედავ, ხალხია, თუ არ მოგწონს ეს ფასები, წადი და განაცხადე.

— როგორ თუ განვაცხადო , ვისთან განვაცხადო

რად იწევს დაგლა

— როგორ დაბლა-დაბლა იწევს ეგ ბუშტი?

— მამაცხონებულო მა, ფასები ხომ არ არის რომ მაღლა აიწიოს...

ვისთან, როცა ყველა მცარცველები ხართ და ატყუებთ ხალხს. აი დაიჭცეს ბოლშენიკების სახსენებელი, რომ თქვენ ქვეყანას ატყუებთ და საქართველო გაანადგურეთ. უკანასკნელი სიტყვის დამთავრება კარგა ვერც კი მოვასწარი, რომ ვიღაცამ ხელი მტაცა და ნახევარ საათში ვირის აბანოში ამოვყავი თავი. თურმე, ნუ იტყვით, იჩეკა არის თუ რაღაცა, მთელი ექვსი წელიწადი მეძებდა. ათასნაირად გადაიღეს ჩემი სურათი, მაგრამ არ იქნა და ვერ ნახეს მგვანება ჩემ ძველსა და ახალ სურათს შორის. ან რაღათი ვემგვანებოდი, როცა მაშინ ექვსი ფუთი ვიყავი და ეხლა კი ორ ფუთზე დავედი. დიდი ვაი-ვაგლახით ორი კვირის შემდეგ გამომიშვეს: ჩაჯექი ეხლავე მატარებელში და შენი და შენი სახსენებელი აღარ იყოსო.

ჩვენი ეკონომიიდან ორათ-ორი მანეთი ჩამომყვა სახლში. ის-დღე და ეს დღეა, მე და პელაგია ვწყევლით ამ გასაწყეტ ბოლშენიკებს, მაგრამ, საქმე არა გაქვს,—მაინც არაფერი არ გვეშველა.

შ. გოგრისელი.

გიგოლას ტრაგედია

— ქალო, ქალო ნატო, როგორი ასალი ამბავი გითხრა!

— რა იყო ქა!

— რაი და ნინიკაანთ მიხომ ქალაქიდან გაზეთი ჩამოიტანა, სადაც სწერია: ფასები დაუკლიათ ჩითზე, ნარმაზე და სხვა. სულ ნახევარის ფასად არის თურმე ყველაფერი.

— აბა როგორ დავიჯერო შენ კი გენაცვალოს შენი ბაბალეი. სწორედ რომ კაი საქმე არის თუ მართალი გამოდგა ეგ შენი სიტყვები.

— მართალი რომელია ქა! მთელი სოფელი მიდის ქალაქში სავაჭროდ. ჩვენც უნდა რამე მოვახერხოთ და წავიდეთ, თორემ სხვები მიგვასწრებენ და ხომ იცი ფასებმა შეიძლება ისევ-ისევ აიწიოსო, ასე ამბობენ მამა!

— უნდა როგორმე მოვახერხოთ; ჩაერია ლაპარაკში ნატოს ქმარი გიგოლაი.

— როგორ ლაპარაკობ გიგოლი; შენა გგონია, რომ ეს ტიალი ფული მამიჩემის ნინიკაის მოჭრილი იყვეს. საიდან რას იშოვნი.

— საიდანა და ჩვენა რომ დეკეული გვყავს ორი წლისა, ის გავყიდოთ და იქნებ ჯალაბი შევმოსოთ როგორმე იმ ფულებითა. გუშინ ზაქროანთ მიტრო მევაჭრა სამი თუმანი მაძლია. მოვრიგდეთ კიდეცა და ამ საღამოთი ამოიტანს ფულსა და გავსწოოთ ქალაქისაკენ.

— აი მეხი კი დაგაყარე მაგ გამხმარ თავზეა, თუ კიდეც გაურიგდი მიტრუასა მე მიმალავდით განა!

— არა დედაკაცო. მთელი სოფელ-ქვეყანა რო ფასების დაკლებაზე ლაპარაკობდა, მეც ავდექი და მოურიგდი მიტრუას დეკეულში და თუ შენი თანხმობაც იქნებოდა მაშინ კი გავსწევდით ქალაქშია სავაჭროთ.

— გიგოლი, გიგოლი, ერთი გადასძახე მიტრუასა, თუ ფულს ამ საღამოთსვინ არ ამოიტან თქო დეკეულს ფირანაანთ გიგუა წაიყვანს სამ თუმან ნახევარს იძლევა, მარა შენ ხათრს გიქერთ თქო.

გიგოლიმ შეასრულა ცოლის რჩევა და ჩაირბინა მიტრუასთან; გამოართვა დეკეულის ფასი სამი თუმანი და გახარებული მოიქრა ნატოსთან.

— აბა დაუჩქარე დედაკაცო, აი სამი თუმანი უკვე გამოვართვი მიტრუასა. ისე დაწეული ყოფილა ფასები, რომა მგონია ნახევარი ქალაქი წამოვიღოთ ამ ფულითა. აბა, დაუჩქარე მეთქი, თან ცოტაოდენი რამე წავიღოთ გასასყიდი იქნებ ოთხ თუმნათ შევასრულოთ ეს ფული, თორემ ხო იცი იქამდი კაი გზაა და პოეზის ქირაში მაინც გამოგვიყვანს. არ დაგავიწყდეს კიდევ ნატო, იქ ნათლიასთანაც უნდა მივიდეთ. და თუ არაფერი არ წაუღეთ არ ივარგებს; ხომ იცი ჩემი ნათლიიშვილები ტუდენტები არიან და დაგვეხმარებიან. თორე ისე აბა ჩვენ ხომ ვერაფერს გავარიგებთ.

— აჰანდე, მეხი კი დაგაყარე მაგ თავზედა. ტუდენტობა რაღა გასაკვირია, ეხლა ხომ ყველა ტუდენტეაია. მაშ რაღა თავი მოგაქვს შენი ნათლიიშვილებითა. პატარა ხანში ჩემი ბიჭიც კი გატუდენტება აი.

— მორჩი. მორჩი. დედაკაცო რო მოყვები ლაქლაქსა და ვეღარ გაათავებ ხოლმე.

საღამოსთვის უკვე ყველაფერამდი მზად იყვენ ჩვენი გიგოლი და ნატო. შეაბა ხარები, დაადვა ზედ სამიოდე ხურჯინი, ტიკჭორით არაყი, დაჯინა ცოლი ურემზე და თავისი პაწია ბიჭი და გამოსწია ქარელის სადგურისაკენ.

რამოდენიმე საათის შემდეგ გიგოლი და ნატო მატარებლით მიჰქროდენ ქალაქისაკენ. გორს არც კი იყვნენ მოახლოებულნი, რომ გიგოლის თავზე დაადგა ერთი ახმახი „პრავადნიკი“ და ეუბნება: „ტი ეი, რაზვე ნე ზნაე“ ჩტო ნაპოლ ნელზია ბრასატ აკურკ“. ცოლ-ქმარი დაიბნა ვერა გაიგეს რა. რამოდენიმე წუთი და გიგოლის თავზე წამოადგა რევიზორი და რამოდენიმე თოფიანი „ახრანიკი“ ეხლა კი მიხვდა რაშიც იყო საქმე. მინავათ პაკალუსტა, სიჩას, სიჩას სულ ჩემი ხელით მოვაგროვებ, რაც პაპიროსის ნამწვავია და ვაშლის კანები და გიგოლი შეუდგა იატაკის გასუფთავებას.

— ტი მნოგო ნე რასუჟდაი, ზაპლატი შტრაფ ტრი რუბლია.

— რაო შტრაფი ვინ მომცა, გიჟი ხომ არ ხარ. ეს არი ფასები დაწეულიაო და თქვენ კი მაშინაზე ჯდომის ფასიც კი აგიწევიათ.

— ჩქარა, ჩქარა კაცო. ამოიღე სამი მანეთი დაუმატა ციოვად რევიზორმა. გიგოლიმ შეატყო, რომ ხვეწნით აღარაფერი გამოვიდოდა და გადაიხადა სამი მანეთი ჯარიმა. ტფილისში ჩამოხტენ თუ არა სადგურზე იქვე შეაჩერეს:

— ამხანაგო, მოიცა, მოიცა შენი ხაბაკი მგონი ნორმაზე მეტი უნდა იყოს და უნდა ავწონოთო. გიგოლის დაცეცხლა თავში, მაგრამ მეტი რა გაეწყობოდა დამორჩილდა ბედს. მუდარით ეუბნებოდა, რომ ეს ჩემი ნათლიმამისთვის მაქვს წამოღებული ფეშქეშათ. გამიშვი თუ ღმერთი გწამს. დამაგვიანდებაო.

— ეგ სულ ერთია, ნათლიმამისთვის გაქვს წამოღებული თუ ნათლიდედისთვის, ჩვენ კი იმას გეუბნევით, რომ მაგოდენი ხაბაკის წამოღება მატარებლით არ შეიძლება. აი ეხლავე ავწონით მაგ ხაბაკს და თუ მეტი გამოვიდა შტრაფს გადაგახდევინებენო.

აწონეს გიგოლის ბარგი-ბარხანა და ვინაიდან მეტი აღმოჩნდა ნორმაზე გადაახდევინეს ექვსი მანეთი და 31 კაპეიკი. დაღონდა ცოლ-ქმარი, მაგრამ რას გაარიგებდენ.

მთელი დღე მოუნდენ ქალაქში სიარულს. ვერა გაარიგეს რა. მიაგნეს ბოლოს მუშკოოპს, იკითხეს ერთგან ჩითი. არ არის იყო პასუხი. ნარმა არა გვაქვსს, უპასუხეს მოკლეთ. საპონი;—გამოგვეულია, მიახალეს ციოვად. ბოლოს შევიდენ კოოპერატივში. დაუფასეს ჩითი ცხრა შაური, ცოლ-ქმარს ეუცხოვათ.

— ეგ არის თითქო ფასები დაკლებულიაო. ამოდენა ხარჯი გაშიწევია და სოფლიდან ჩამოვსულვარ ცოლშვილით, დეკეულიც გამიყიდნია, რომ ჯალაბობა შემემოსა და თქვენ კიდეე დაწევის მაგიერ სულ ზევით აიწევიათ ფასები. ე როგორ იქნება, ორ აბაზათ ქარელის ტანციაში იმითანა ჩითს ვიყიდი, რომა. უკეთესი მთელ დუნიაზე აღარ იყოს.

— არა გვცალიან ამხანაგო. ხედავ რამდენი მუშტარი გვესევა. თუ რისამე ყიდვა გინდათ იყიდეთ, თორემ ჩვენ შენი მუსაიფის თავი არა გვაქს. დრო მიდის—აი შეგიძლიანთ ფას დაკლებით შეიძინოთ, კედლის საათი, სარკე, დანა-ჩანგალი. ლამფები პუდრი, დუხი და რაც გინდათ, შედით პირდაპირ განყოფილებაში.

— კედლის საათს რა თავში ვიხლი, ან ლამფა რა ჯანაბათ მინდა, მე იმითვინ ჩამოვედი, რომ ჯალაბი შემემოსა ჩითი და ნარმა მეყიდნა. თქვენი სარკე თავში ისაღლეთ. რომელი ბურჯუი ჩვენა ვართ, რომ მაგითანეებში დავაბადოთ შამასისხლად ნაშოვარი ფული. და ბუზღუნ-ბუზღუნით გამოვიდა გარეთ ჩვენი გიგოლი და ნატო.

ბევრს კიდეე იტრიალებდენ მაგრამ იღბლად ერთი ნაცნობის წყალობით დეზერტირკაზე იყიდეს ამერიკული ტანსაცმელები და დაღონებულები დაბრუნდნენ სახლში. ასე დასრულდა გიგოლის და ნატოს მოგზაურობა. სოფელში კი სულ გაიძახოდა გიგოლი:

— აი დაწყევლოს ქიტემ ი რაღაც აწევა თუ დაწევა. მე კი გავბრიყვდი და ძევირცხვინე თავი სოფელ ქვეყანაში აწი გინდა აუწიონ და გინდა დაუწიონ, ქალაქის ლანდს კი ეაღარ დამანახვებენ და...

თაირ.

— სად მიეჩქარებით ამ პაპანაქება სიცხეში?

— ასეთი ამბები გაგონილა! მუშკოოპში ფასები დაკლებულიაო გაიძახიან, მეც ავყევი ფეხის ხმას, წავედი სასყიდლებზე, მაგრამ ხედავ, შინ ხელცარიელი ვბრუნდები.

გაიაფების უკმდეგ

— ჯამაგირი მიიღე?—ჰკითხა ცოლმა სამსახურიდან დაბრუნებულ სოლომონს.

— არ მიმიღია,—ფული არ იყო.

— გასაკვირალია შენი ყოფაქცევა სწორედ,—უკმაყოფილოდ სთქვა ქალმა,—ჩვენმა მეზობლებმა ყველამ ჩიიღო და შენ...

— გასაკვირალი ჩემი კი არა, ჩვენი მოლარის ქცევაა,—იძართლა თავი სოლომონმა.—რამდენჯერ შევეხვეწე თავის დროზე მაღირსე მეთქი, მაგრამ... ,

— არ გეღირსა შენ და იმ შენ მოლარეს ზიარება!—შეუკურთხა ცოლმა.

— ზიარებისთვის არც ერთი არ შეგიწუხდებით, მაგრამ უფულობა მეც მაწუხებს. ხომ ხედავ, სამი დღეა, პაპიროსს „შტუკობით“ ვეიდულობ.

— პაპიროსი კი არა, ბალიშის პირი აღარაა.

— ბალიში რად გინდა, შე ქალო; ძილს სასთუმალი არ უნდაო,—ხომ გაგიგონია?

— თუ კაცი ხარ, ნუ ხუმრობ. ფასები დაკლებულია და ახლა თუ მოვასწრებთ რაიმეს ყიდვას, თორემ ეს ფასების დაკლების კამპანია ჩატარდება და მერე ისევ გაძვირდება ყველაფერი.

— როგორ, ვითომ დაკლებულია?

— როგორ თუ ვითომ? „ფასები დიდმნიშვნელოვნად დაკლებულია“,—ასე აწერია ყოველ მაღაზიას. თითქოს არ იცოდე.

ივლიანემ მეორე დღეს მიიღო ჯამაგირი.

— აბა წავიდეთ, კამპანია არ გათავდეს,—აჩქარებდა ცოლი.

— რის კამპანია, ქალო, დაპატიჟებული ვართ სადმე საქეიფოთ?

— ქეიფის კი არა, ფასების დაწევის კამპანიას გეუბნები, წამოდი ჩქარა, თუ ღმერთი გწამს.

წავიდენ სავაჭროდ. შევიდენ მუშკოოპის მაღაზიაში.

— ფასები დაკლებულია, ამხანაგო?

— დიდმნიშვნელოვნად!—უპასუხა ნოქარმა.—ამაშა ახლავე დარწმუნდებით. აი, ეს დუხი, რომელიც ღირდა სამი მანეთი და სამი კაპიკი, ახლა მრგვალი სამი მანეთი ღირს. ხომ იცით, კაპიკი რომ კაპიკია, ისიც ფულია, და სამი კაპიკი ხომ მართლაც ღირებულებას წარმოადგენს. აი, მაგალითად, სამ კაპიკად ოთხი ცალი ასეთი ტიანუშკა შეგიძლიათ შეიძინოთ. ნამდვილი ნატკოვიჩია, გრანიცის ტიანუშკაა.

— როგორ, ადგილობრივი არ ვარგა, თუ?

— არა, ადგილობრივიც კარგია, მაგრამ გრანიცის ამბავი ხომ იცით, სულ სხვა რამეა. აი, ირის ეინემ დარდანელ ტიანუშკა, პირდაპირ დარდანელიდან მოდის.

— მე უფრო საბჭოთა წარმოების მირჩევნია, ხომ იცით, შინაური მღვდელი გარეულს გირჩევნოდესო...—მოიყვანა ანდაზა სოლომონმა.

— ეს მართალია, მაგრამ მაინც ხომ იცით...—დაიბნა ნოქარი.

— ამიწონეთ, ამიწონეთ, მეგობარო, ვნახო, როგორის!—სთქვა სოლომონმა.

— რამდენი კილო?

— ჯერ ოთხი იყოს... არა, ოთხი ცალი... რამდენი უნდა? სამი კაპიკი? დამიწერეთ ჩეკი,—სთქვა სოლომონმა და „ტიანუშკი“ პირში ჩაიგდო.

— რა დროს ტიანუშკია!—გაჯავრდა სოლომონის შეუღლე.—ფართალი გაქვთ?

— როგორ არა, მაგრამ ჯერ ეს კოფეინიკები ნახეთ,—დაფაცურდა ნოქარი.—ნამდვილი ალიუმინია, ჩვენებური ყავა რომ ჩაყაროთ, ნამდვილი ოსმალური გეგონებათ, ისეთ გემოს აძლევს ეს კოფეინიკი...

— რა ღირს?—იკითხა მარინემ (სოლომონის ცოლმა).

— ო-ო! ამაზე ფასები მნიშვნელოვნად დაკლებულია: ღირდა ათი მანეთი, ახლა ღირს ცხრა და ათი შაური.

— შეახვიეთ, წავიღებთ.—სთქვა მარინემ.

— აბა ეს სამოვარიც ნახეთ!—თავაზიანად მიმართა ნოქარმა.—ნამდვილი ემალისაა.

— ფასი?

— დიდმნიშვნელოვნად დაწეულია.—ხმადაბლა უპასუხა ნოქარმა.—ღირდა ხუთი თუმანი, ახლა ღირს ორმოცდა ცხრა მანეთი. თუ წაიღებთ ახლა, თორემ მერე გვიან იქნება.

— შეახვიეთ, წავიღებთ!—წარმოსთქვა მარინემ.—სოლომონი შეშფოთდა ამ სანახაობით იგი იმდენად შეკრთა, რომ პირში საწყნწნად ჩადებული „ტიანუშკა“ ყელში გადაცდა.

— ჰოი, დასწყევლოს...

— რა დაგემართა, კაცო?

— ტიანუშკა გადამცდა... მაგას გაუძლებ, მარა, ქალო გაგიჟდი? რად გინდა ამ საყავეს და სამოვარს რომ ყიდულობ, სად არის ამდენი ფული?

— გეკნება. მერე ფასი აიწევს! თითქმის უბრძანა მარინემ და ნოქარს მიუბრუნდა ჩაის სერვიზისათვის.

— აი, ნამდვილი ჩაის სერვიზი ქალბატონო! წმინდა ბარიატია...

ვითომ ბარიტი კარგია?

— ო-ო! შესანიშნავი! ნუ თუ არ იცით?

— ალბათ ძვირი იქნება, რა ღირს?

— ჰმ! გააქნია თავი ნოქარმა. მერწმუნეთ, რომ ამ სერვიზის ფასები მრავალმნიშვნელოვნად დაწეულია; წინად ღირდა სამი თუმანი, ახლა—ოცდა ცხრა მანეთია.

— არ მინდა ძმაო, არა... განაცხადა პროტესტი სოლომონმა.

— შენ არ გინდა, მე მინდა, წყრომით უპასუხა ცოლმა და ხმას დაუდაბლა.—კაცო, ხომ ხედავ, ჩაის სმაზე რა ოჩერედია ჩვენსას. ჭიქების უქონლობით?

სოლომონი გაჩუმდა. იცოდა მარინეს ჯიუტობის ამბავი. გულის გადასაყოლებლად მან კიდევ ჩაიგდო პირში „ტიანუშკა“.

— აი ეს ვაზებიც,—არ ცხრებოდა ნოქარი. ისეთი ვაზებია, რომ მურაბა და ზხვა ტკბილეულობა თავისი ნებით ჩადის შიგ.

— გადმოდგით. რა ეღირება?

— თითქმის არაფერი. ვაზებზე ფასი დიდათ საგულისხმოდ დაკლებულია.

ამრიგად, მარინემ ჭურჭლეულობას მოანდომა ჯამაგირის უმთავრესი ნაწილი, ფასების დაწევის გამო.

— გადავიდეთ საფართლო ნაწილში,—თითქმის ვედრებით უთხრა ცოლს ცრემლმორეულმა სოლომონმა, რომელსაც უბედურება უბედურებაზე დამატებოდა: მეორე „ტიანუშკიც“ გადაცდომოდა ყელში სრულიად მოულოდნელად.

გადავიდენ საფართლოში.

— ფასები დაწეულია? ჰკითხა მარინემ.

— მეტად მნიშვნელოვნად,—უპასუხა საფართლოს ნაწილის ნოქარმა.

— მაშ მოგვიჰერით საზეწრე მატერია ათი მეტრი.

— აქედან პირდაპირ არ ვიძლევით, ორდერი უნდა აიღოთ მუშკოოპის გამგეობაში.

— როგორ მიტკალს არ მოგვცემთ?

— გამგეობის ორდერით მხოლოდ.

სოლომონს მუშკოოპის საწევრო წიგნაკი ჯიბეში ქონდა. ორივე ცოლ-ქმარი მუშკოოპის გამგეობაში გაეშურენ.

მხოლოდ ექვსი მანეთი გაქვს გადასახადი საწევრო. უთხრეს გამგეობაში სოლომონს. ახლავე უნდა შემოიტანოთ ექვსი მანეთი, თორემ გამოირიცხებით წევრობიდან.

სოლომონმა შეიტანა საწევრო—ნ მანეთი. ეს სწორედ ის ფული იყო, რომელიც ჭურჭლეულს გადაურჩა, და მიტკალისთვის იყო გადადებული. ასე რომ ფართლის ფული აღარ დარჩა.

სოლომონს გამოუწერეს ორდერი ათი მეტრი მიტკალის მისაღებათ.

— ესეც შენი ფასების დაწევის კამპანია, ბუზღუნობდა სახლში მისული სოლომონი. მაგის გულისთვის უფულოდ დავრჩი! რა ჯანაბათ მინდოდა სამოვარი და საყავე? ახლა უცადე მეორე ჯამაგირს... მანამდე ეს ფართლის ორდერი იქნებ გაუქმდეს კიდეც... ამ სიტყვებზე სოლომონმა პირში ჩაიგდო უკანასკნელი ტიანუშკა და უკმაყოფილოდ შეაშტერდა „ბარიტის“ სერვიზს.

აღლარ-აღლარსან.

ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

თეატრიდან დაბრუნდა ელენე. მეიერხოლდის მიერ დადგმულ პიესებს ერთხელაც არ გამოკლებია. ესაუბრებოდა თანამგზავრს პიესა: „ტყე“, „მხარტისა“ და „მანდატის“ შესახებ.

რუსთაველის პროსპექტს გაცდენ. ნიკომ საუბრის ყილო შესცვალა. ჩამოაგდეს სიტყვა ზაჰესზე, თბილისის განათების შესახებ და სხვ. ნიკომ ყურში რაღაც ჩასჩურჩულა ელენეს. ელენე დაიბნა, გაწითლდა, თან ცალი თვალით ნიკოს გადახედა და გულიანად ამოიოხრა. ნიკომ საკანდიტეროში მიიპატიჟა ქალი. ქალმა დაგვიანების მიზეზით უარი განაცხადა. სთხოვა, რომ სახლამდის მიეცილებია.

გაუხვიეს მარცხნივ. ნიკოს ბრაზი მოერია, რომ ზაჰესის სიხალისაგან აქაც დღესავით იყო გაჩრაღდებული.

— დასწყევლოს ღმერთმა,—ამბობდა ის თავისთვის.— რა კარგი იქნებოდა, რომ ჩვეულებრივ ბნელოდეს?

ელენეს სილამაზეს ორკეცებდა მის ვარდისფერ ლოყებზე დაფრქვეული ელექტრონის სხივები.

ორივეს შემოაკლდათ სალაპარაკო. ბოლოს ისევ ელენემ დაარღვია სიჩუმე.

— იცი, რა გითხრა, ნიკო? წელს მგონი ისე გაგრძელდეს ეს წვიმები, რომ სააგარაკოთ წასვლა არც კი დაგვჭირდეს. ჩემს ქმარს სულ იმას ჩავჩიჩინებდი, რომ დროით დაექირავებია აგარაკი.

— რა თქმა უნდა, რომ საჭიროა დროზე იზრუნოს ვაცმა აგარაკისათვის. მართალია, ჯერ-ჯერობით გრილი ხმინდებია, მაგრამ ისიც მოსალოდნელია, რომ ეს წვიმიანი ამინდები უეცარმა სიცხეებმა შეცვალოს!—და ნიკომ მკლავი-მკლავში გაუყარა ელენეს.

— მართლა, იცი ელენე! ყველაფერს აჯობებდა, რომ სააგარაკოთ შორს არსად წასულიყავით. უმჯობესი იქნებოდა აქვე ეოჯორში დაბინავებულიყავით, მით უმეტეს, რომ ყოველ უქმე დღეებში შემეძლებოდა თქვენი სიახლოვით დატკბობა.

ელენემ ჩაახველა ნაზათ, თმა გაისწორა და ნაზათვე უპასუხა ნიკოს:

— ჩტო ვი? განა შესაძლებელია მაგგვარი მჯელობა? მე ხომ ქმარშვილიანი ქალი ვარ და მოვალეობაც სულ სხვას მოითხოვს ჩემგან?

— არა უშავს, ჩემო ანგელოზო; ერთი კი არა, ცხრა ქმარი რომ გყავდეს, შენს თავს მაინც ვეღარავინ წამართმევს.

— ვოტ ეშჩო! ნუ თუ მასეთი მომხიბლავი და მიმზიდველი რამა ვარ? მე კი ჩემი თავი ისე მეჯავრება, რომ... ახ, არ ვიცი, არა ღმერთმანი...—და ელენემ კოპწიად შეარხია ტანი და სიამაყით გადახედა თავის მოსაუბრეს.

— ვფიცავ ყოველივეს, რომ შენი გულისათვის სიცოცხლესაც კი გავწირავდი.

— როგორ?

— როგორ და დაგანაცვლებდი მთელს სიცოცხლეს, ცხოვრებას და თვით ჩემს სიყვარულით აღსავსე გულსაც.

— ახ ტფ, ჩორტ! რათ იცით ხოლმე ეაუებმა ეგეთი ლაპარაკი? არ იცი, რომ ჩემი გულის მონადირება ადვილი საქმე არ არის?

— შენი გული მილიარდიც რომ დაჯდეს, მაინც ჩემი უნდა გახდეს. დარწმუნებული იყავი, რომ შენს ქმარს ჩემზე უფრო არ ეყვარები!—და ნიკომ საკოცნელად გადაიწია.

— ნე ბალუისა, ნიკო! შეგვხედავენ, ქმარს ამბავს მიუტანენ და მთელი აურზაური ატყდება. სხვა დროს იყოს, ეხლა კი მშვიდობით.

ელენე ხელიდან გაუსხლტა ნიკოს და ვირბინა გრძელ ყიბეზე, ზარი დარეკა. ერთხელ კიდევ მოიხედა ნიკოსაკენ და ნაზი ღიმილი გააყოლა გულდაწყვეტილ ნიკოს.

გაიღო კარი და ქმარმა საყვედურით მიმართა ელენეს:

— სად დაიკარგები ხოლმე, არ იცი, რომ ათასი საქ-

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲤᲐᲡᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲗᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲣᲤᲐᲡᲝ ᲤᲐᲡᲘᲗ, ᲒᲐᲓᲐᲤᲐᲡᲔᲑᲐ, ᲛᲝᲮᲓᲐ ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲐᲓ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲬᲘᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲗᲐᲡᲘᲗ.

მეები მაქვს და ამ ბაღანას ქემაინც ნუ შემომატოვებ ხოლმე, ერთი დღე მაინც ᲘᲥᲮᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲨᲘᲡᲗᲐᲜᲐ, რომ შინ თავის დროზე დაბრუნდე.

ელენე ციცად შეხვდა ქმარს. საყვედურითვე უპასუხა:

— როგორ, ᲔᲛᲔᲠᲗᲝᲗ კი მომკალი! შენ ის გინდა, რომ სულ სახლში ვიჯდე და გარეთ ცხვირი არ გამოვყო. დიახ, როგორ არა! ვერ მოგართვეს, ვერა! წავიდა, გაფრინდა ის დროება, როცა ქალები მამაკაცების მონები ვიყავით. არ მოგწონვარ, არა ხარ კმაყოფილი ჩემი მოქმედებით, მაშ ᲨᲔᲕᲘᲓᲝᲑᲘᲗ ᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲑᲝᲓᲔ, აი, ამ წუთში მივდივარ!— ელენემ წასვლა დააპირა, მაგრამ ამ დროს დაიწყო წვიანი ბავშვმა და ელენეს ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲞᲧᲠᲝ. შეჩერდა, დაუყვავა ბავშვს.

— შე ოჯახდაქცეულიშვილო, რა ᲔᲨᲛᲐᲙᲘ ᲨᲔᲒᲯᲓᲝᲛᲘᲐ, ᲮᲝᲛ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲮᲠᲔ ᲔᲠᲗᲑᲐᲨᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲕᲐᲚᲔ?—ᲐᲦᲔᲚᲕᲔᲑᲘᲗ ᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲝᲓᲐ ᲥᲛᲐᲠᲘ.

— გამოვიცვალე რომელია! მთელი სეზონი ისე გავიდა, რომ ოპერაში ერთხელაც არ წავსულვარ. ძალიან აქებენ,—ერთი „სამსონ და დალილა“-ს მაინც დავსწრებოდი. კიდევ—„ამერიკელი ქალ“ მესამოცედ დაიდგა რუსთაველის თეატრში და მე კი ერთჯერაც არ დავსწრებივარ. შენს ხელში ყველაფერს მოკლებული ვარ. ეხლა კიდევ ᲛᲔᲘᲔᲠᲰᲝᲚᲓᲘᲡ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲖᲔ მთელი ხალხი ესწრება და მე კი ტუსაღივით უნდა ᲩᲐᲕᲙᲔᲢᲝ სახლში. ვერ მოგართვეს, ვერა! აქამდისაც რომ გითმენდი, მაშინაც სულელი ᲕᲘᲧᲐᲕᲘ, თორემ აწი მაინც ვეღარ გამაბრიყვებ!—ელენემ თვალებზე ხელი მიიფარა და მოჰყვა წუწუნს. სტიროდა ნაძალადევათ. სცადა ქმარმა ელენეს დამშვიდება, მაგრამ არაფრით მოხერხდა. ელენე უფრო განერეიულდა. დაუყვავა კიდევ ქმარმა, მაგრამ ქალი მაინც ვერ დაამშვიდა. სასოწარკვეთილებას მიეცა ქმარი. ელენე კვლავ წუწუნებდა, საყვედურობდა თავის ქმარზე, ხოლო თვალწინ კი ცოცხლად უდგა ნიკოს სახე, ალერსიანი სიტყვები და ათასგვარი დაპირებები.

(დასასრული)

ᲡᲘᲪᲝᲪᲘᲐᲡ ᲒᲐᲡᲐᲭᲘᲠᲘ

არა მყავს კაცი პატრონი თვარა კედარი კატა უნდა ჩამარტყას თავში. მე მამაძაღლს რა მაჩქარებდა, სადოური დიდი გენიოსი მე ვარ რომ ერთი წაკითხვით გევიგე ყველაფერი. მე შენ გეტყვი აზოვსკი ბანკის დილექტორის ხელმოწერილი ვექსილი მედუა ჯიბეში.

ჩემი ცოდვა ქონდეს, ვინცხამ გაზეთში დაწერა ფასების დაკლება, იმან ჩემი ოჯახი დააქცია.

— რაღა ბევრი გავაგრძელო, ერთ დღეს გაზეთ „მუშა"-ს ეკითხულობდი, იგია ჩვენი ამბავის მომტანი თვარა ნუ გეშინია ჩვენმა გლეხკომმა უცებ არ გაგიშუქოს ქვეყნის ამბავი. ხოდა წავიკითხე ერთი სათაური: „ფასების დაკლება" ჩავყევი ბოლომდი და ისე თქვენ გეიხარეთ რავარც მე სიხარულით ცაზე ხელი მიმიწვდა. მოდი და ნუ გაგიხარდება. დალოცვილი კომუნისტებს უცებ ომი გამოუცხადებია იმ შეჩვენებულ სიძვირიზა და სულ კბილები ჩაუნტვრეევიათ.

უნდა ჩავატაროთო ფასების დაკლებაო. ყველაფერი იაფად უნდა გაიყიდოსო, სასტიკი ზომები უნდა მივიღოთ კომპერატივის ვირთაგვებზეო, იმ დროს ჯიბეში გახვრეტილი კაპეიკი არ ჭყაოდა.

ვიფიქრე, ვიხეთქე თავი მარა, ვერაფერი მევიგონე, უცებ მომაგონდა ჩემს კესარიას ოცი ქათამი, ათი ბატი, და ხუთი ინდოური ჰყავს, გავყიდი და ფულებს ავიღებ-მეთქი. ვეცი კესარიას, ჩამევიკიდე კისერზე. ერთი მაგრათ ჩავპოშტხე და ვახარე ფასების დაკლების ამბავი, ნუ გეშინია შენ საწყალო კესარია, რადგანაც ყველაფერი გაიაფდა. სულ კოჭებამდი ჩაგაშვევიოტებ მეთქი. მარა ერთი რაღე უნდა გითხრა, თუ ჩემი ხათრი გაქ არ გამაწპილო მეთქი

ბეჩა სიკოია რას მეტყვი იმფერს რომ ვარი გითხრაო, მომცა პირობა და ქეც შემისრულა.

ამ ლაპარაკში რომ ვიყავით კარებზე მოგვადგა ერთი კაცი ჯორით. მივიღე გულული კაცის წესზე და თან ვფიქრობ, ვინაა აგი მტერი კაძახი რომ მომადგა ცარიელი ჯორით მეთქი, ვეღარ მოვიითმინე და ვკითხე, საიდან მობრძანდებით ამ ჯორით?

სტუმარმა მიპასუხა, მე ქალაქიდან მოვდივარო, ტელეგრამა ჩამოვიტანე სოფელშიო, ყველაფერი გაიაფდაო. ყველგან კომპერატივში საქონელი ნახევრის ფასათ უნდა გაიყიდოსო.—კაცო მართალია სოფელი ჩამორჩენილი არის ქალაქზე მარა ტელეგრამას ტფილისიდან ჯორებით გზავნიან მეთქი.

არა, ძმაო, ჩქარი მატარებლით ჩამოვედი ეს ჯორი სადგურში დავიქირავეო;—მერე რა უნდა წეიღო ჩემგან მაგ ჯორით მეთქი. დამკრა ფხარზე ხელი და მითხრა:—მე ვიცი შენ ფული არა გაქო, შენ კიდევ ოჯახში გეყოლება შინაური ფრინველი, დავჯდეთ ძმურად ვიანგარიშოთ საქონელი მე და ფული შენო.

მოუყარა თავი კესარიამ ქათმებს, ბატებს, კვატებსა და ინდოურებს. დავჯექითო და ვივაჭრეთ, ვაჭარმა ამოიღო ჯიბიდან ჩოთქი და დაიწყო ანგარიში.

აი ძმაო, ნარმა ღირდა სამი აბაზი, დღეს ღირს ექვსი შაური, შენი დედალი ღირდა ათი შაური, ახლა ღირს ხუთი შაური, ოცი დედალი, ოცი ხუთი შაური ეს შენი ხუთი მანეთიო, ფანელი ღირდა მეტრა მანეთნახევარი, დღეს ღირს თუთხმეტი შაური, ინდოური ღირდა ორი მანეთი, ახლა ღირს მანეთი, ხუთი ინდოური ესეც შენი ხუთი მანეთიო, ათი ბატი ღირდა ათი მანეთი გავყოთ შვაზე ესეც შენი ხუთი მანეთიო.

ოცი დედალი, ათი ბატი, ხუთი ინდოური სულ შეადგენს თუთხმეტ მანეთსო.

ამოიღო ჯიბიდან დამიტია თუთხმეტი მანეთი და წაიღო ჯორი, ტვირთული.

მეორე დღეს გათენებამდი მივადექი ჩვენ კომპერატიას, წევიყვანე ცოლი და შვილები, ვიფიქრე ამ სიეფეში თუთხმეტი მანეთის ფართალს ერთი კაცი რავა წამეიღებს მეთქი, გაალენ კომპერატივი და შეეედი, მიულოცე ფასების დაკლება პრიკაშიკს. ჩამოუთვალე რაც მეყოფოდა ოჯახში, მოდგა პრიკაშიკი და გადმომიზომა, პრიკაშიკი გაშტერებული მიყურებდა, გაკრა გამოკრა და მიანგარიშა ორმოცი მანეთი. რომ დამარტყა რაცხამ თავში ფეხის ფრჩხილებამდე დეიარა, შემომეყარა გულზე.

—კაცო აკი საქონელმა ფასები დეიკლო, ნახევრის ფასათ გეიყიდებაო.

— ეე, ჯერ სადა ხარ, ტფილისში ხომ არ გგონია შენი თავიო. სანამ ფასების დაკლება სოფელში ჩამოვა, ჩინეთი და ჩემბერლენი შერიგდებაო, ან და რომც ჩამეიდეს მანეთზე მეიკლებს რვა კაპეიკს ან ორ შაურს.

— აბა ვაჭარმა რომ ტელეგრამა ჩამეიტანა სოფელში კომპერატიებში ნახევარის ფასად გეიყიდებაო საქონელიო, ტყუილია.

— ოო, იმას კი მოუტყუებიხარო, მიპასუხა ნოქარმა.

ვირტყი თავში ხელი, დავაქციე ოჯახი, იმ ღიპიანმა ვაჭარმა მომატყუა, წეიღო ჯორის ტვირთული და დამიტოვა თუთხმეტი მანეთი. გამოვეჭერი ყელი საწყალ კესარიას, შეეიოტი კი არა საცელებიც ველარ უყიდე, თუ დევნახე იგი დედაგაღლეტილი ღიპიანი ვაჭარი ჩვენ სოფელში საქალაბნე ტყავს ავაძრობ ზრუგზე, ნეტავი როდის ჩამოვა სოფელში ფასების დაკლება?

ხვიშტილაკი.

ნამალი თუ სანამლავი

მცხეთის ნავთსადენის
მუშა-მოსამსახურეთ,
ნახავთ მოთმინებით და
თანაც ბედის შემყურეთ.
ექიმი რომ არა ჰყავთ
მუდამ გორში გარბიან,
წამალს ვერ შოულობენ,
თავსაც არას არგიან.
თუ დეპეშა გაგზავნეს
გორში ექიმისათვის,
იქნებ ელირსოთ მხოლოდ
მას მესამე დღისათვის.
ავადმყოფი ამგვარად
რჩება ღვთის ანაბარა,
უწამლოთ-უექიმოთ
მაგრამ ესეც არ კმარა.
თუ ექიმი მობრძანდა
მეორე ან მესამე დღეს,
წამალს ალბათ მოიტანს
დღესა მასა მეოთხეს.
გორს უნდა მიაშუროთ
გძლათ ნაწერი რეცეპტი
და მალე დაბრუნებას
ამაოდ შეეცდებით.
ასეა და ამგვარად
თუ რომ ვინმე გაცივდა,
გრიპათ გადაგეჭცევათ
ან თუ თავი აგტკივდათ.
ვძებ ექიმს, არ არის
და თან წამალს დაეძებ,
წამი-წამს სცვლის დღე დღეებს
თვალებს შიშით აბეცებ.
უბნის ექიმმა ერთხელ
წაგვიკითხა ლექცია,
დახმარება აღგვითქვა
თავი რვათ დაგვექცია.
ის იყო და წავიდა.
ყინულზე დაიწერა
ასეთია ყოველთვის
ჩვენი სვე, ჩვენი წერა.
ეკითხულობთ თუ რომ რისთვის
არ მიიღო ზომები
ან რისთვის ვართ ყველასგან
ყველგან მინატოვები.
აქვე ერთი ამბავიც
გითხრათ საყურადღებო,
29 მარტს, რომ მოხდა
გაცნობებთ საგანგებოდ:
ავადმყოფი მუშისთვის
მოვიტანეთ წამალი,
სისუფთავეს, სიწმინდის
არ ჰქონდა ნატამალი.
ბოთლებს ჭუჭყი ფარავდა
შიგ ნაგავი სცურავდა,
ისეთი მღვრიე იყო,
ცხრილიც ვერ გასწურავდა.

ბოტი.

გაუმაძღარი მეანგარე

(ზორაბნის საყუდის ანგარა)

დათიკო: აპა ბიჭებო, აწი საუზმის საყვირს მისცემენ, შეუდგეთ საუზმის სამზადისს. ერთმა პური მოიტანეთ, მეორემ ცხელი წყალი, მესამემ შაჭარი და ჩაშკები.

კალენიკე: მე წყალს ჩამოვიტან, შენ ალიოშა პური და შაჭარი მოიტანე..

გრიშა: ააშენა ღმერთმა, შენი მომგონი, ჩამითაფლა გული, ეს მეხუთე ჭიქა ჩაისა ვსვამ და ოთხი გირვანქა პურიც ზედ დავატანე. კაციც ასეთი უნდა მაშ.

ქათამი ხომ არ ვარ ერთმა ლუკმა პურმა დამაკმაყოფილოს დათიკო და ალიოშასავით.

დათიკო: გრიშა, მაგ პური თუ არ გეყოს, აგერ აუარებელი ნატეხებია გუშინდელი მონარჩენი, თუმცა თავვები შეგზიარებიან, მაგრამ არა უშავს რა, შენი ამბავი, რომ იცი არ დაიწუნებ; დააყოლე მაგ ჩაის!

გრიშა: ბიჭებო, რა სატოლუმბამე კაცი ვიხარშავ გულს ცხელი წყალით; სად არის ერთი კარგი შავი ღვინო, რომ ლაზათიანათ გამოვბრუშდე და შეზარხოშებულმა ჩაუქროლო ჩემს დუშკას?

დათიკო: აბა, გათავდა საუზმის დრო, ეხლა შეუდექით მუშაობას. შენ კი, გრიშა თუ არ მოგწონს ჩვენი საუზმე მაშინ ნება გეძლევათ გაამდიდროთ **ანტონა**, სადაც შავი ღვინოც ბევრია და თეთრიც, რაზედაც უნდა მიაკითხო ხამსას. შემდეგ კი შეზარხოშებულსა და ხოშზე მოსულს შეგიძლია ქიჭიკი დაიწყო შენს დუშკას.



ხერ. სიხ-ძეს (სოფ. ილები): თქვენი წერილი, ეტყობა ზაკაზად დაწერილია, რადგან „ტარტაროზი" კარგად იცნობს თქვენს სკოლას და მასწავლებლებსაც.

სტუმარს (საქილაო): თქვენი ლექსი კითხვის დროს უეცრად გაფრინდა და იადონივით მორთო „ჩარირამას" გალობა.

საჩხერელ ჭინკას: ლექსის თემა შეეხება საშუალო საუკუნეებს და მიტომ „ტარტაროზის" ბრძანებით იგი გადაეცა დაუსრულებელ დავიწყებას.

არ. დამიტიროს (მახსაანი): იწერებით ლექსაო: წერა დავიწყე ნელა-ნელაო. და თქვენმა ლექსმა დაიძინა ისევ და ისევ აღმასკომში ქე შეველ ნელა-ნელაო.

კაია—ფაში—ბუს. თქვენგან მონაწერი უსტრით „ტარტაროზი" იმდენად კმაყოფილი გახდა, რომ თქვენს წერილს აღმოუჩინა შესაფერისი ადგილი ძილსა-განსვენებისასა.

პონჩიკს. გეტყობათ დიდი დაკვირვება განსაკუთრებით სოფლური ზნე-ჩვეულებების „შელოცვების" შესწავლა-შეთვისებით. „ტარტაროზმა" კი ისე შეულოცა თქვენს წერილს ყირამალა გადატრიალდა შვიდჯერ.

სერელს. მეტად აღუშფოთებია თქვენი მაღალკეთილშობილება კოხნარის ცხრაწლედის გამგეზე დაბეჭდილ ლექსს:

„ღვინოს ვსვამ
დუდუკს ვამღერებთ,
ქალებო გენაცვალები".

ტარტაროზს ბოლომდის არც კი წაუკითხავს თქვენი უზრდელობის სანიმუშო წერილი. ის გადავარდა გოდორში.

წი (ნ) დას. თქვენი წერილი საინტერესო აღმოჩნდა მით, რომ შინაარს გარდა არაფერი არა აკლია რა.

ახ. გამოჩ. წიწილას (ლან.-ქვიტირი)
კვირა რომ გათენდებაო
კაი ამიდი დგებაო,
და თქვენი ლექსი, „შაბათი"
გოდრისკენ იგზავნებაო.

უმუშევარს. თქვენი ლექსი ყონვერტის გახსნის დროს ისე გამხიარულდა, რომ უეცრივ დაიწყო გულამოსკვნილი ღილინი „შენ გეტრფი მარად", და გაშალა ფრთები თქვენსკენვე გადმოსაფრენად.

კვინტს. როგორც გეტყობათ, ლექსის წერა მეტად გეხერხებადა, რადგანაც ძლიერ მოგვეწონა:

ჩელში ავიღე ქამანჩა
ავაპოტინე სტვირია,
რომ მითი მიუშაირო,
ვინც ჩვენში მავხე პირია.
ჩვენს აზრს კიდევ ადასტურებს სტროფონები:
კომკავშირელები გასდეს ეს
უჯრედის შემრცხვენელია,
ისევ „ტარტაროზ" გაკიცხოთ
ასეთი
ძმავ კვინტო რომ არ იკვინტო,
არ დაგწყდეს ჩვენზე გულია,
თქვენი წერილი სულსლაფავს
საბრალოდ ხდება სულია.

ხაშმაგს: ვცანით საქმენი მუშათა კლუბისანი, სადაც ვინმე საბა მესხს მოუწყვია თქვენს კლუბში **საბილიარდო** და **ვინმე ნიკუშასა** და სხვებსაც თავისი ჯიბის გასასქელებლად ნებას აძლევს ღამის ორ საათამდის ბილიარდის თამაშობისას. რაც თქვენის აზრით, ყოვლად დაუშვებელია, **მაგრამ ისიც ხომ დაუშვებელია, რომ თქვენი კლუბის გამგეობას ვერ აულაგმავს საბა მესხი, რომელიც არღვევს ხაკლუბო დადგენილებებს.**

წიფლანერ ეშმაკს. თქვენი ლექსი აღდგომის პასკაზე მეტად „დიდი ღირსების" აღმოჩნდა, **რომელიც ეხება ლუბასა და საშურას, რომლებსაც თურმე ღამე უთენიათ ფურნეში.**

ლუბამა და საშურამა,
ჯაჯია ბერაძის ფურნეში,
ათია ბევრი ღამეები. (ალბათ პასკისთვის),
ვითომ არ იყვნენ
კომკავშირლები.
ისე დარბოდენ პასკისთვის,
როგორც უპატრონო ქალები.

ლექსთა წყობა შესანიშნავია, **აზრი მოსაწონი**, და მეტომაც ვათავსებთ ნაწყვეტს სანიმუშოდ.

ზედ ნადები—ხარჯები

„ბამბის უნარიანობა“

ავტოთი დაბრძანდებ,
ამაყი და ყუშტია,
თავზე ბუზს არ იკარებს,
ცხვირიც გაუბუშტია...



ყამანდიროვკაშია
ბერლინში თუ პარიზში,
მუდამ ერთნაირია,
აპრილში თუ მაისში.

ავანსი ისე სცვივა,
როგორც თივა და ქერი,
ასეთ ჩერვონციანებს
სიამით რომ უცქერის.

უყვარს ასე გართობა
მუდამ ღამე ნათევარს,
ქალის ალერსში გასცვლის
ის ხიცოცხლის ნახევარს....

ქეიფი, დროსტარება
მისი სული-გულია,
ფართეთ ხელს რაღადგანაც,
სახელმწიფო ფულია.

ჩასტრატამ ასე იცის
გამსახლეში მიბრძანება,
რა იცოდა თუ ასე
მოჯელოდა წყლება.

ბლიოსკოსის სტამბა, კაბელის ქუჩა № 68.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი სამი შაური

ბიბიჩიგი

№ 103 | პარასკევი, 5 ივნისი 1927 წ. | № 103



ჩემბერლენი (თავის მდივანს): არაფერი არ მესმის,—რა ხმაურობა არის თუ იცი?
მდივანი: ხალხი მოითხოვს თქვენს გადადგომას!
ჩემბერლენი: არ მესმის!
მდივანი: არ გესმით?! ნუ სწუხდებით, მალე გაიგებთ!

„ტარტაროზი"-ს ნოტა ჩემგვარლუნს

ხერ! მისი უდიდებულესობის—ტარტაროზის სახელით ნება მომეცით გიძღვნათ გულწრფელი, ენერგიული ნოტა და პროტესტი იმ საბჭოთა საქციელისთვის, რომელსაც ადგილი ქონდა თქვენი უმდაბლესობის მთავრობის სანქციით და დასტურით ამა წლის მაისში არაოს ლიმიტედში და საბჭოთა საელჩო შენობაში ქ. ლონდონსა შინა, რომელსაც ამ ჟამად ფლობენ თქვენი—შუბლმაგარნი კონსერვატორნი.

რაღა დაგიმალოთ, რომ მისი უბრწყინვალესობა ტარტაროზი და ჩვენ, ხელქვეითნი მისნი გულგრილად ვერ შევეგებებით თქვენ მიერ ასეთ, უკაცრაოდ პასუხია, ისტორიულ გამოსვლას... ის კი არა, ჩვენ კინაღამ გამოუშვით სპეციალური ნომერი თქვენს შესახებ, მაგრამ გამოგიტყდებით და პირში გეტყვით, რომ თქვენ არ ხართ ღირსი სპეციალური ნომერი შემოგწიროთ.

იმ ჩხირკედლაობის უშედეგობა, რომელსაც თქვენ მრავალი წლის განმავლობაში აწარმოებთ „ტარტაროზის" რედაქციის მიმართ, აშკარა დამამტკიცებელია იმისი, რომ ვერც ხიკსი, ვერც ბოლდუინი, ვერც ბირკენხედი და ვერც თვით მაკდონალდი ვერ შესძლებენ ჩამოგრეცხონ და თითონაც ჩამორეცხონ ის ლაფი, რომელიც თქვენ თითონ დაისხით შუბლმაგარ თავზე.

მისი უგანათლებულესობის „ტარტაროზის" რედაქციას ალარ შეუძლია მეტის მოთმენა და მოგიწოდებთ შეაჩეროთ ეს ტრიუკებიანი კომედია, რადგანაც ტრიუკი ხშირად სამწუხარო შედეგებს იძლევა, როგორც რეჟისორისთვის, ისევე სცენათში მონაწილეთათვის.

მე დავალებული მაქვს გადმოგცეთ, რომ თქვენი მიზანი—ომის ატეხა არ შეიძლება იქნას განხორციელებული შემდეგი მიზეზებისა გამო:

ა) ინგლისის მუშათა კლასს, რომელიც ჯერ კიდევ იძულებულია მოითმინოს თქვენი არსებობა, არავითარ შემთხვევაში არ სურს ომი საერთოდ და კერძოთ ჩვენთან.

ბ) ევროპის და ამერიკის მუშათა კლასი, რომელიც თქვენ გინდათ ჩაითრიოთ ხელახალ ომში, არავითარ შემთხვევაში არ მოინდომებს იარაღის ხელში აღებას.

გ) ყველა დაჩაგრული ერები, რომელთაც კიდევ ჩაგრავთ თქვენ და თქვენი ძმები, ალსდგებიან თქვენს წინააღმდეგ.

დ) საბჭოთა კავშირის მშრომელ ხალხს არავითარ შემთხვევაში არ სურს ომი, რადგანაც სისხლის ღვრას მას ურჩევნია ოფლის ღვრა ქვეყნის აშენებლობითვისთვის.

ე) თვით „ტარტაროზი"-ს რედაქციას არ სურს ომი, რადგან ჟურნალის გამოცემა შეფერხდება და ტარტაროზი იძულებული იქნება ხარბაზანი აიღოს ხელში..

მიუხედავათ ამისა, თუ მაინც არ დაწყნარდით და ისევ შეგიჯდათ ბზიკი ომის დასაწყებათ, იცოდეთ შემდეგი:

ა) ჩვენი კავშირის შშრომელი ხალხი მზად არის საჭიროების დროს მახვილი აიღოს და თქვენისთანა ღიპიანებს „ჩუმპაუში" ჩასცეს;

ბ) ინგლისის და მთელი ქვეყნის მუშათა კლასი ჩვენთან იქნება თქვენს წინაღმდეგ;

გ) ჩაგრული ერები კიდევ აღიმაღლებენ ხმას და უფრო ადვილად შესძლებენ თქვენი ბრძყალებიდან განთავისუფლებას.

დ) მისი უდიდებულესობა „ტარტაროზი" გარწმუნებთ, რომ თუ მაინცა და მაინც არ დაიშალეთ და ომი დაიწყეთ, ამას მოყვება თქვენ რომ გიყვართ იმ წყობილების დამხობა მთელ ქვეყანაზე.

მე დავალებული მაქვს შეგატყობინოთ, რომ თქვენი თავხედური ქცევა აავსებს იმ მოთმინების ყანწს, რომლიდანაც გადმოინთხევა თქვენი გამანადგურებელი ნივთიერება.

ამასთანავე, მაქვს პატივი შეგატყობინოთ, რომ ამ წერილის დაწერით გამოწვეული ზარალი, რომელიც რედაქციას მიადგა ჰონორარის სახით, გეკისრებათ თქვენ, და თქვენვე უნდა გადმოსცეთ ქალალდის, აწყობის, კორექტურის და ექსპედიციის ხარჯებიც.

ამას შემდეგ თუ არ მრჩკვიანდებით, მე ვიცი თქვენი...

ჰმ! ერთი ამას დამიხედეთ, რაებს მიჭარაიენ! შეიტყობდავათ ამისა, მიხლეთ ჩემგან ბატონო მინისტრ და სხ.

ალბარ-ხალალარხან

„პასუხი" შეკითხვებზე

თეთრი ნიგნი

ვ ზ ა ლ ე ბ ა

— რას ყიდულობ, კაცო?
— საზამთრო პალტო მინდა ვიყიდო!
—ვახ! რადრეს საზამთრო პალტოს ყიდვაა ამ ზაფხულში!?
— მინამ რიგი მომიწევდეს, უკვე ზამთარიც დადგება...

ს ა ბ ნ ი

„დასცხეევაის“ სტილით მორთულ ოთახში ისეთი სიწყნარეა, როგორც საფლავში, და ოთახში მყოფნიც თითქოს საფლავში გრძნობენ თავს.

სამივენი სდუმან.

რაზედ ფიქრობენ ისინი ამ გაზაფხულის მშვენიერ ღამეს კარებ და ფანჯრებ ჩაკეტილ ოთახში, რომელ მზარეს დაჭრის მათი იცხება?

ყველაზე უარესად გრძნობს თავს სერ ოსტინ ჩემბერლენი.

ყველაზედ უკეთესად პოლიციის უფროსი.

ხიკსმა კი არ იცის რა ქნას, იტიროს თუ იცინოს. როცა პოლიციის უფროსს გადახედავს, მისი სახე სავსეა მტკიცე გადაწყვეტილებებით და მისი თვალები სასოებით ჩერდებიან პოლიციის უფროსის წინ დადებულ გაჩხრეკის ორდერების წიგნაკზე.

— აი, სად არის ხსნა ყოველ უბედურებისაგან,— ფიქრობს მაშინ ხიკსი და კმაყოფილებით გადახედავს ოსტინს, მაგრამ ოსტინის სახე მწუხარეა.

— მიუხედავათ იმისა, რომ კავშირის გაწყვეტა აუცილებელია, მე მაინც ბამოვთქვამ მწუხარებას.—ამბობს ოსტინი.

კარებ და ფანჯრებ ჩაკეტილ ოთახში ჰაერი კიდევ უფრო იხუთება.

პოლიციის უფროსის ცივ სისხლისათვის სახარას უდაბნოს სიცხეც სასიამოვნოა, მაგრამ უკანასკნელ ამბებით ნერვებაშლილ და ტემპერამენტიან ჩემბერლენისთვის ისე ცხელია, როგორც ჯოჯოხეთში.

მას სურს მოიხადოს ცილინდრი, გადაისროლოს მოდნოკლი, გაიხადოს ფრაკი, გაიხსნას საყელო, მაგრამ მაშინ ის ხომ მეფისა და საბშობლოს მოღალატე გამოვა.

სერ ოსტინ ჩემბერლენს ცხელა, როგორც კიბოს ტაფაზე. იგი იჩრაკება საკუთარ ოფლში.

— სერ ოსტინ! ამბობს ხიკსი,—თქვენ თითქოს უხერხულათ გრძნობთ თავს... რაშია საქმე... იმისათვის ხომ არა ნობელის პრემია რომ გერგოთ მშვიდობიანობის პოლიტიკისათვის?.. პრემია დიდი ხანია რაც აიღეთ, ეხლა კი რაღა განაღლებსთ?.. რეპუტაცია?.. ერთ ცნობილ წერილის შემდეგ ასეთ ფასს-დაკლებულ საჭონლისათვის განა ღირს ფიქრი?.. სიმშვიდის ანგელოზი...

— ჩამოხრჩობილის სახლში თოკზე არ ლაპარაკობენ!.. აწყვეტინებს მკაცრად პოლიციის უფროსი.

ხიკსი ყლაპავს ენაზე მომდგარ სიტყვებს და დაბნეულ-შეეესაკით უცქერის პოლიციის უფროსს.

ოთახში კვლავ მდუმარეაა,

ჩემბერლენი დღეს მელანქოლიურ განწყობილებაშია.

— საწყალი სიმშვიდის ანგელოზი!—ამბობს ის,— ლოკარნოს შემდეგ მე მთლად დამავიწყდა იგი. გასვენებასაც კი არ დავსწრებივარ ისე დაასაფლავეს... საწყალი სიმშვიდის ანგელოზი... საკვირველია, ნუთუ ჩინეთში გაგზავნილმა კორესპონდენტებმა და ქალაქებზე ყუმბარების დაშენამ ისეთი საშინელი გავლენა იქონიეს მის ორგანიზმზე, რომ წუთისოფელს გამოასალმეს კიდეც?..

— დამშვიდდით, სერ ოსტინ!—ანუგეშებს ხიკსი,— სჩანს იგი არ იყო ამ ქვეყნის მცხოვრები... უფალმა მიიღოს



— თქვენ ხომ პარტერის ბილეთი არა გაქვთ! მიბრძანდით ქანდარაზე.
— ფასები ხომ დაწეულია, და მეც ზევიდან ქვევით დავიწიე.

მისი პატარა წმინდა სული და ჩვენი მოვალეობაა მაგრად შევხვდეთ მომხდარ უბედურებას... შეურიგდეთ ბედს, მით უმეტესს, როცა უდროოდ დაღუპულ სიმშვიდის ანგელოზის ნაცვლად, გვყავს ისეთი სიმშვიდის მცველი, როგორც ეს ჩვენი პოლიციის უფროსი... ჩვენთვის ესეც კმარა...

პოლიციის უფროსი კმაყოფილად ილიმება.

ხელის ერთი მაგიური გაქნევა, და კედელზე, როგორც კინოეკრანზე, მიდიან პოლიციელთა მტკიცე რიგები, შტრეიკბრეხერების და ფაშისტების შეიარაღებული რაზმები.

ხელის კიდევ ერთი გაქნევა და ქრება ყველაფერი.

ხიკსი აღტაცებულია.

ჩემბერლენს კი მაინც ცხელა. შეიძლება უფრო მეტად. ოფლის წვეთები წურწურით ჩამოდიან შუბლიდან ცხვირზე... ცხელა როგორც არასოდეს.

— სერ ხიკს, სთხოვეთ პოლიციის უფროსს, უბრძანოს, გააღონ ფანჯრები... გარეთ გაზაფხულია, და მილიონიან შეკვეთების ყვავილები ასე წარმტაცად ყვავიან... თუმცა, დღეის შემდეგ არა ჩვენთვის, მაგრამ მათი სუნი ჩვენამდისაც მოაღწევს ალბად... გააღეთ ფანჯრები!.. მეშცხელა... ჩემს თვალებში თითქოს წითელი რგოლები ტრიალებენ!..

ხიკსი ფერმკრთალია.

— პოლიციის უფროსო, უბრძანეთ გააღონ ფანჯრები... სერ ოსტინ ჩემბერლენს ცხელა... მას სურს შეკვეთების ყვავილების მოყნოსვა..

პოლიციის უფროსი რეკავს ზარს.

ერთგული დარაჯები სასოებით უსმენენ ბრძანებას.

— დახურეთ დარაბები ფანჯრებზე და გადარაზეთ რაზმები. გააძლიერეთ მზვერავთა რაზმები. სერ-ისტინ ჩემბერლენი შეწუხებულია. ის ხედავს წითელ რგოლებს. მიიღეთ ზომები მათ აღმოსაჩენათ!.. გაჩხრიკეთ ყველანი!.. სერ ხიკს მზადაა მოაწეროს ხელი ყოველგვარ ორდერს... იპოვეთ შესაფერი საბუთები... მიიღეთ ყოველგვარი ზომები... წითელი რგოლები უნდა აღმოჩენილ იქნან და განდევნილი დიდ ბრიტანეთის საზღვრებიდან დაუყოვნებლივ!..

ხიკსი აჩქარებით აწერს ხელს ორდერებს. პოლიციის უფროსმა უკეთ იცის საქმის ვითარება, ვიდრე მან ანდა ჩემბერლენმა.

ოთახში კვლავ მდუმარეობაა.

სერ ოსტინ ჩემბერლენი ურიგდება ბედს და ეხლა თითქოს აღარ ცხელა.

ისე, როგორც აღარ ცხელა უკვე შეხრაკულ კიბოს.

პოლიციის უფროსი რაღაც ქაღალდებს აძვრენს პორტფელიდან და ათვალიერებს. უკვე მზადაა ყველაფერი.

მზადაა ჩემბერლენიც.

და გაზაფხულის მშვენიერ ღამეს, როცა ასე სასიამოვნოდ ყვავიან კარებთან შეკვეთების წარმტაცი ყვავილები, ხიკსისა და პოლიციის უფროსის კარნახის ქვეშ, სერ ოსტინ ჩემბელენი გაძალებით სწერს ნოტას და მის ცოფით შეპყრობილ გონებას ეხლა უკვე აღარ ახსოვს არც ნობელის პრემია, არც ლოკარნო და არც მისი ანგელოზები...

სინემატ.

— აკი ამბობდი შენ, რომ მოვკდები და ღვინოს არ დავლევო?!
— მერე რა? ჯერ ხომ არ მომკვდარვარ! როცა მოვკდები, მართლაც არ დავლევ!

ᲐᲙᲝᲤᲐᲡ ᲦᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲩᲔᲛᲑᲔᲠᲚᲔᲜᲡ

ბარილუს პარუნ იუსტინ ჩემბერლენ!

უფალმა ღმერთმა მთხოვოს შენი სქელშუბლიანი თავი, თუ იმავე ნიმუტუში ნალოკნი პლატეკით არ გაუგზავნო, მერე ძალით წამართოს!..

ბიჭო, შე პირ-ძაღლო, ეგ რა ჩირთი-ფირთები და იშკილბაზობა დაიწყე? ახარ შე ლაპუსტაცო, სამგლე გოშიკით რო ატყდი, არ გეშინიან რო შუბა გაგიპენტონ?

ჰუზურში შენი ჰოპოპების ამბავი ისედაც ვიცოდით, ერც თუ დიდი მათა რამე გვეგონე, ჰამა თავში თუ, ამისთანა ქარის წისქვილები გქონდა, ეს კი რა გაგვიგონია! ჩემ სიყმეს გეფიცები იუსტინჯან, მართალს გებნები, გინდ დაიჯერე, გინდა ნუ!

ახარ ეგ არის შენი ნამუსი და მარიფათი, შენი ჯენტლემენცკი ჰუნარები, რომ ამ სიბერის დროს თავნი ჯიბგირობა და შანტაჟიკობა დაიწყე? შე ბემურაზო, შენი ამოსაგდები თავისა მაინც არა გცხვენიან? ამტოლი ტყუილი და ფილშივობა შენს ჰამქარში მაინც არ გირიდება?

ეე, ახმახ, ეგ თქვენი „მუდრეგ-სტრიტი“ პარლამენტხანა, ბრშების სკოლათ ეამხდარა?!!

ვა, ჩემა მზემ პირდაპირ პარაკონი ვხდები რაღა!— ჩვენი ქოსა იაგორა ხომ ტრაბახია, კოლორთაღში ტყუილების კურსონიკს უძახიან, ჰამაც ჯიბგირობა, უკნიდან ბებუთის ჩაცემა და ფალშივომანეთჩიკობაც იმის მოგონილია, ჰამა მასაბი შამირცხვეს თუ ის შენთან მამა აბრამის ნუგბარი ბატკანი არ იყოს და ნამუსითაც სამი თაბახით შენზე მეტი რა აიწონოს, მაშ!

არ კი გეწყინოს იუსტინჯან, ჰამა მე პირში თქმა ვიცი —დიდი ჟულიკი ვინმეები შეგროვილხართ მაგ თქვენ მთავრობაში და მაგ ჟულიკების გლავნი შენა ჰყოფილხარ!!

არა, თუ ნამუსის ერთი ბუსუსი მაინც შაგრჩენია მაგ ბადიასავით მოკალულ თავზე, ერთი ატკრავენათ შამატყობინე, ნიუეელი მართლა გგონია, რომ შენი ჰიშკილებით ვისმე შეაშინეფ? ეხლა ხომ ჩვენი პურმარილი გათავებულია, ხომ ჩვენმა ძმამ და პირის ზიარებამ ლიტვინოვმა აკანჩატელნათ გითხრა: „ამით ვთავებთ თქვენთან დავიდარაბას და ყალ-მაყალს, ჰამაც მიყდივართ უკანასკნელათ მიიღე სერ, ჩემი და სხვაო“, ეხლა რაღას იტყვი? კარჩ ხურდა: მიიღე არა?

არა რომ ეხლა ჯიგრიანი ჰელეთ-შეელთი მოგდის, და ჰაა,საცაა თაგვის სურო სტერლინგი გაგიხდება,—მერე ადეჭი და შენი ჯანდაგი ვირი ტალახიდან ამოიყვანე ჩვენ აღარ დაგვაბრალო აი!

არა შე ლუპუსტაცო, განა ნაიზუსტნათ არ იცოდი, რომ ჩვენ ტარგოვი პრესტავიტელსტვაში მარტო ანბარიშები, ჩერვონცები და ვექსილები იყო? არ იცი რომ ჩვენი ბიჭები შენი ჰამქარივით ნამუს გარეცხილი არ არიან და რაც ერთხელ უთქვიათ, იმას ძმა-კაცურად შაასრულებენ?

არა, ოთოთაანთ ქორიეთ რო ჩაფრინდით, ჩვენი პრესტავიტელსტვ-ს შკაფებსა და ბახლსა—ნამუსი აღარ იყო? თქვე ბემურაზებო გეთქოთ რაღა თუ:

— მეზობლებოჯან, აი ფლანი და ფსტანი შპირნი იძახის თუ თქვენ ზაგავორი გვიშერებით, ერთი პაკალუსტა გვითხარით მართალია?

არა რომ ჩვენი ბიჭები ყველაფერს გაგებინებდნენ, ხომ იცი, იმათ ტაინი სეკრეტი არ უყვართ, გეტყოდნენ:

— ვაჭრობა განდა, ოოო ვიეაკროთ, ფულ მოვიგოთ, ჩვენ მაგისთანა რამეებისოვის არა გვცალიან, ქქეყანას

ვაშენებთ, ხალხის საქმეს ვაკეთებთ; ომები და ყალ-მაყალი რათ გვინდა, ჩვენ ისედაც კირკიტები ვართ, ჩვენ უსისხლო ომი ვიცით,ეს კი ჩვენი ძმა კომინტერნის ხელობაა: ის სიტყვითა ომობს—და მთელი ქვეყნის ძმა-ბიჭები—მუშები რაღა, ყურს უგდებენ და ჰამაც თავის თამაუთს იქერენ.

რის დოკუმენტი, რის ფლანი,რის ფსტანი, დაკა ხელი, საქონელი წაიღე, ფული მაიტა, მაშინები დაგვიმზადე, ხაკაზი პირნათლათ შაგვისრულე—აი ჩვენი დაკუმენტიო!

ჰამა შენც და შენს ძმა-ბიჭებსაც სულ სხვა მუცლის ვვრეშა გაქვთ, დაკუმენტი კი არ გინდათ, შარს ეძებთ, მუშების სისხლი გწყურიათ, ტრუდავეი ხალხის თავისუფლება ვერ მოგინელებიათ და პადლოგებით გინდათ მშრალზე გახვიდეთ!

ეე, ბლენა—შუთნა ტო, ახმახ მინისტრს?!! არ იცი, რო ეგ ძველი ფალშივი ნუმერი არ გაგივა? შენ სხვა თქვი, სხვა ჰესნა დაუკარ, ჰამაც ცოტა ფრთხილათ დაიჭი ეგ სამგლე სიფათი, მაგ ცალ-თვალზე შუშაბანდი არ ჩაგიმტვრიონ. ფრაკი არ გაგიწეწიონ, ცილინდრი არ დაგიჭყლიტონ მააამ!!..

ახარ იქნება სთქო, ეს ჰარიფი აკოფა ძველი კამერაციის კაცია და ჩემს მხარეზე იქნებაო ვა, ჰერნანიწაწ, არ იცი რომ დიდი ხანია თვალი ამეხილა, თეორი და წითელი დავინახე და ჰამაც პლატფორმაზე დაკდექი?

ჰამა ამას პლატფორმა რათ უნდა, რომელი სლეპოი უნდა იყოს, რომ შენი ოინბაზობა არ დაინახოს? შე ქითაბ-დასახეევ, ნახერაღ ა ქვეყანა კუკლასავით მორთეს, თოფები რამდენი წელიწადია უკე ჩიხაოში დაუწყეს და ჩექუჩები და რამეები აიღეს, რომა რაც რომ გასაკეთებელია—გაკეთონ, გასასწორებელი გასასწორონ, ხალხში განათლება შაიტანონ, სიღარიბე მოსპონ, ცხოვრებას პაჩინკა უყონ, ლიხტრიფიკაცია ქნან—ვინ მოსთვლის?

ასეთ დროს ომი და ყალ-მაყალი? ამისთანა რამებისათვის ჩალიშობა? ეე, ჭკვაზე მოდი რაღა შე ბემურაჩო. მაგას ვინ მოგიწონებს?!..

ახში, თუ უჯათობის ვირზე შამჯდარხარ .და მაინც არ დაგიშლია, იცოდე კაი ლაზათიან აჯაფსანდალსაც გაჭმევენ ჰაა, მერე აღარაკის დაემდერო შენებურათა!

მე ამ ზაპისკას სწორეთ იმიტომ გიგზავნი, რომ გაგაგებინო საქმის ნამდვილი პალაჟენია და გითხრა—უსტა ჩემბერლენ! სამგლე გოჭივით ნუ ახირებულხარ, შუბა არავის გააპენტინო, აფსუსია და შენი თაბაუთი დაიჭი მეოქი!

ჰამაც ჩვენი ბიჭები პოსკრიპტუმათ გითვლიან: განზე, განზე, შენი ტოლი იცოდე, ეგ გვერდები იბრალე და იცოდი.

...ᲙᲡᲐᲓᲐᲜ.

ფასეგის დაკლეგის კამპანია

ფასის დაკლების კამპანიის გაჩაღებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა. საზოგადო, თუ კერძო დაწესებულებათა და პირთაგან. ტარტაროზი უამრავათ განცხადება მოსდის. მოგვყავს ზოგიერთი.

სახელგამი: საერთო ფასის დაკლების გამო სახელგამმაც საგრძნობლად დაუკლო ფასი.. მაგალითად: 1925 წლის კალენდრებს დაუკლო 80 %, 1926 წლისას 70 და 1927 წლისას კი—60. გოგებაშვილის მიერ შედგენილ სახელმძღვანელო წიგნებს (წერა-კითხვის გამაგრ.. საზოგ. მიერ გამოცემულს „დედაენასა", „ბუნების კარს" და „რუსკოე სლოვოს" 100 %.

სახკინმრეწვი: მთელი 90 % დავაკელით სურათის ღირსებას. იმედი გვაქვს შემდეგი ჩვენი სურათები კიდევ უფრო ფასდაკლებულნი იქნებიან. შ

ტრამვაი: დაუკელით მგზავრებისადმი ზრდილობიან მოპყრობას.

წითელი სასადილოები: დაკლების კომპანიის გატარების მიზნით ჩვენც დავუკელით: კარაქს, ერბოს, ხორცისა და პურის ულუფას, საერთო დაკლება 37 ½ % უდრის.

გორჟომის ხალის სამმართველო: შესამჩნევად დავუკელით ჭიქას სიდიდე, რაც გვაძლევს დიდ დაზოგვას.

სახგანათლება: დავუკელით მასწავლებლებს ჯამაგირი და პენსია.

მასწავლებლები: დავუკელით ბეჯითობასა და გულმოდგინეობას.

მასწავლებელნი: მთელი 98 % დავუკელით სწავლას.

დედები: დავუკელით შვილიერებას, აუწიეთ ლორიგანს.

ექიმები: დავუკელით აბორტის საოპერაციო გასამრჯელოს.

ბანკის დირექტორები: დავუკელით პროცენტებს და სულ მოვსპეთ კრედიტი.

ყლეღლები: მუქთათ გავხადეთ წინ გაძღოლა და ანდერძინ აგება, გაეაიაფეთ კათალიკოსობა.

პოეტები, მგოსნები, კრიტიკოსები, პუბლიცისტები: შეავამკლეთ პწკარები და რითმები..

„საქართველოს ღვინო": წინანდელი (არ გეგონოთ წინანდელი) „კახეთია"-ს ფირმის ღვინის ღირსებას საგრძნობლათ დავუკელით, „კახეთია"-დან მემკვიდრეობით გადმოცემული ქონებასაც დავუკელით.. კრედიტორებსაც ვალი დავუკელით, მაგრამ პასუხისმგებლები პასუხისგებას მაინც გაურბიან.

რძის მეიდეველები: საგრძნობლათ დავუკელით რძეს უფასოთ მოეუმატეთ წყალი. **ᲑᲝᲒᲘᲡᲐᲡ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ.**



დ ა კ ი თ ხ ვ ა

გამომძიებელი: მოქალაქე კუდგრძელაძე, თქვენ ბრალი გედებათ: 2.904 მან. 09 კაპ. გაფლანგვაში, თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში, სახალხო ქონების დაუხოგაობაში და, ერთი სიტყვით, ასეთ ბევრს რაშეში.. რას იტყვით ყველა ამის შესახებ?

კუდგრძელაძე: ახირებულია, მე და ჩემმა ღმერთმა, ასეთი ბრალდებების წამოყენება ჩემს მიმართ. და ახირებულია აი რატომ:

დავიწყოთ თავიდან და შევეხოთ სათითაოდ ყველა ბრალდებას.

ჯერ ფულის გაფლანგვას შევეხოთ, თუ ამას გაფლანგვა ჰქვია, მე მგონია არა.

მე ისიც რომ აღმასკომს (და, საერთოდ, სახელმწიფოს) დიდი შემოსავალი აქვს ფუფუნების სავაჭროებიდან, რესტორან-ბაღებიდან და, ერთი სიტყვით, ყველა იმისაგან, რასაც ფუფუნება ჰქვია.

დიახ! ეს ასეა. მუშათა კოოპერატივებს დიდ გადასახადებს ვერ დაადებს სახელმწიფო. მაშასადამე: უნდა დაადოს ზემოხსენებულ სავაჭროებს. აქედან ლოგიკური დასკვნა ის არის, რომ ასეთმა სავაჭროებმა უნდა იარსებონ. საკითხი იბადება: როგორ შეუძლიათ ამათ არსებობა? ცხადია: შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ ვაჭრობა ექნებათ. თუ ვაჭრობა არ ექნებათ, ისიც ცხადია, რომ ისინი დაიკეტებიან, რითაც სახელმწიფოს მოაკლდება შემოსავალი, რომელიც შემოაქვთ იმათ. აქედან კიდევ ლოგიკური დასკვნა: საჭიროა მათი არსებობისათვის მუშტრები.

ვინ უნდა იყონ ეს მუშტრები? ცხადია: მათმუშტრებათ ვერ გამოდგებიან დაბალი მუშა-მოსამსახურები, რომლებსაც ამისათვის საკმაო ჯამაგირი არა აქვთ და ამასთან ერთად უნარი და შნო. მაშასადამე: დიდ თანამდებობის მოსამსახურემ უნდა შეუწყოს ხელი მათ არსებობას. და მე, როგორც შეგნებული საბჭოთა მოქალაქე, პასუხისმგებელი მუშაკი—ტრესტის დირექტორი, ვალდებული ვიყავი თავისი მდგომარეობით ხელი შემეწყო მათი არსებობისათვის. ასეც მოვიქეცი. ის 2.904 მან. 09 კაპ.. ჩემ მიერ გაფლანგულ... უკაცრავად, დახარჯული და განაწილებულია სხვადასხვა ფუფუნების მაღაზიებში და რესტორან-ბაღებში. მე მადლობას ვუძღვნი ჩემს ნაცნობ მანდილოსნებს, რომლებთანაც მე ეს ფული დამახარჯეს. თუ არა ისინი, მარტოხელა კაცი, ხომ გაგიგონიათ!—პურის ჭამაშიაც ბრალია (ე. ი. ცოდვაა) რასაკვირველია, ვერ შევსძლებდი ასე მოკლე დროის განმავლობაში ამ თანხის დახარჯვას.

შერმე რა! თქვენ გგონიათ, საერთო იტოგში, ჯამში სახელმწიფოს ეშით დააკლდა რამე?! სრულებითაც არაფერი. ერთი სალაროდან ამოვიდა და მეორეში ჩავიდა; ორივე სალარო კი სახელმწიფოსია. ამგვარად: სახელმწიფოს ამ ოპერაციით არაფერი წაუგია, ხოლო მე და ჩემმა ნაცნობებმა დრო გავატარეთ და ცხოვრება გავიგეთ.

შემდეგი ბრალდება, რაც გამოიხატება იმაში, რომ სახალხო ქონებას არ ვზოგავდი, ესეც უსაფუძვლოა და აი რატომ:

თუ მე ხშირად მივდიოდი მივლინებებში, ამით საშვებლობა ჰქონდა რკინის გზას. რბილი ვაგონით მგზავრობიდან რკინის გზას დიდი შემოსავალი აქვს. რამდენადაც მეტი მიმოსვლა (მივლინებები) იქნება, იმდენად მეტი შემოსავალი აქვს რკინის გზას. და რკინის გზა ხომ სახელმწიფოსია?! მაშასადამე: ჩემ მიერ მივლინებებში დახარჯული ფული ისევ სახელმწიფო სალაროში შევიდის.

რაც შეეხება იმას, რომ ავტოთი დაკდიოდი წარამარა, ესეც უსაფუძვლო ბრალდებაა. მერე რა ვუყოთ, რომ ბევრი ბენზინი, შინები და სხვა ნივთები ცვდებოდენ და ახალს ვიძენდი! ამით აზნეფტს და რეზინოტრესტს უფრო მეტი შემოსავალი ექნებოდა. ხოლო რამდენად ბევრია მოთხოვნილება, იმდენად მატულობს წარმოება. ეს ვარგი საქმეა. ჩვენში ბევრი უმუშევრებია, რომლებსაც სამსახურის შოვნის იმედი ეძლევათ როცა წარმოება მეტ პროდუქციას ასაღებს ბაზარზე. და ბაზარზე მაშინ არის მოთხოვნილება, როცა გაჩაღებულია მიმოსვლა; (ამ შემთხვევაში იგულისხმება ავტოთი მიმოსვლა).

ბრალს იმაშიაც მდებენ, რომ მიწერ-მოწერა ცენტრთან წერილობითი უნდა ყოფილიყო და არა დეპეშით, რაც გამოიწვევდა ხარჯების შემცირებასო. ეს მართალია... ხარჯები ნაკლები იქნებოდა. მაგრამ, ერთი იგი · მითხარით, განა ეს ფული მე წყალში გადავყარე? არა. სრულებითაც არა. მე ეს ფული მივეცი „ნარკომსვიაზის“ დეპეშათა საგენტოს. რა შემოსავალი ექნება „ნარკომსვიაზს“, ანუ სახელმწიფოს, თუ კი მიმოწერა წერილობით ვაწარმოეთ? რვა კაპიკიანი და თუ გინდ დაზღვეული წერილი რა დიდ ბარაქას შეპმატებს? ფოსტას? არაფერს. ამას რომ თავი დავანებოთ, ყველა რომ ასე მოიქცეს, მაშინ აღარც დეპეშები იქნება მაინცადამაინც დიდათ საჭირო. მერმე და დროის დაზოგვა? წერილის და დეპეშის სისწრაფე ისე შეუდარებელია, როგორც ურემის და მატარებლის. დრო კი,—როგორც მოგეხსენებათ და როგორც ამბობენ, (პლაკატებსაც აკრავენ დაწესებულებებში),—ოქროზე უფრო მეტს ფასობს.

დიახ! ყველა ეს ასეა და ყველა ეს სწორი, ანბანური ჭეშმარიტებაა. ასეთია სინამდვილე, ვინც ღრმად ჩაუკვირდება სახელმწიფოებრივ ვითარებაში. ჩემი ღრმა რწმენით მე არ უნდა ვიყო დამნაშავე და მე ეს ასეც მგონია...

დასამატებელი ჯერ-ჯერობით არაფერი მაქვს.

ილელი.

თავადი.—ჰაი დედასა! წინათ მარტო ჩემი გვარიშვილობაც კი მილიონათ მიღირდა, ფულიც ბევრი მქონდა და პატივიც. ეხლა კი ისე გამიხდა საქმე, რომ ხიცოცხლე ვროშათ არ მიღირს!..

ვაპარი.—რას იზამ კნიაზჯან! მაზანდა დაეცა, ხომ იცი, ეხლა პირველი სორტის საქონელზედაც ფასები დაუკლეს და ჩვენისთანა ხარა-ხურას რაღა ფასი ექნება?..

ინგლისური ქინძისთავი



უნდოდა ჩხვლეტა



მიუხვდა მიზანს



აწ კი რას იზამს!

გასტროლიორები

მხატი

მეიერხოლდი

დედას ლევანა

ძმაო ვანო!

ისე ჯიგრიანად მაფიცებ ჩემი ცხონებული დედ-მამის სულსა, რომ ბათრს ვერ გიტეხ და გიგზავნი საჭასუხო წერილს.

გინდა გაიგო აქაური ავან-ჩავანი? თან გული გწყდება რომ აქ არა ხარ?

(იცი რა გითხრა, ჩემო ძმაო? აქ ყოფნასა და ჩემნაირ ჯიბის დაწყვეტასა, ისევ მანდ ყოფნა და შენნაირი გულის-დაწყვეტა სჯობია).

მაგრამ მომისმინე—რადგან არ დაგიშლია:

მინდა მოგწერო ამბავი ტფილისის ქალაქისაო, თანაც გიამბო—თუ როგორ გამომეფიტა ქისაო.

შემოსევა

მთელი წლის განმავლობაში ზედიზედა ხდება აქ ერთი-ერთმანეთზე უარესი მხატვრული შემოსევანი.

ასეთი ლაშქრიონის სამზადისი წინათვე იწყობა: მზვერავების (რეცენზენტების და სპეცების) აურ-ზაურით, დიპლომატიური (ანტრეპრენიორების) მისვლა-მოსვლით.

დაინტერესებულ პირთა (უარყოფილ გენიათა) მითქმა-მოთქმით და ჩვეულებრივ (ყველას ნესკავზე წამოსაგებ) მოქალაქეთა ალიაქოთით, ბოლოს მოდიან, ვისაც ველით.

მშვიდათ, უბრძოლველად აიღებენ იმ დიდებულ ციხე-დარბაზს—სახელმწიფო ოპერას რომ ვუწოდებთ და იქიდან ჩასაფრებულებს დაუნდობარი იერიში მოაქვთ.

ჩვენს ჯიბეზე

უნდა მოგახსენო—ჩვენი ჯიბე ისე ძნელი მისადგომი რამ არის ნათესავებისა, მეგობრებისა და გაჟირვებულთათვის—თურმე ძალიან ადვილი ასაღები ყოფილა ეგრე უცნობ და უცხოდ მოსული მონადირეთათვის.

უნდა ისიც მოგახსენო, რომ დიდი ჯადოქარი ხალხი უნდა იყვენ ეს თავისებური მონადირენი: იქიდანვე, შორიდანავე შეულოცავენ ხოლმე მთელ ხალხს. და როგორც ყველა შელოცვილი, ხალხიც გადიქცევა ხოლმე მათ მონა-მორჩილად (ანუ თავისუფალ აგენტებად).

ჯერ დაიწყებენ გაზეთები:

მოდიან!
მოდიან!
მოდიან!
ის და ეს!
ესა და ეს!
ესა და ეს!
აბაირია!
იმნაირია!
ასეთია!
ისეთია!

ყველგან:

გამარჯვება!
გამარჯვება!
გამარჯვება!

ამას ზედ მოსდევს უფრო შემაძრწუნებელი განცხადებანი:

„ბილეთებზე ჩაწერა იწყება ორი თვის წინედ". „გაიყიდება ერთი თვის წინედ მხოლოდ ამდენი და ამდენი".

ასეთი ამბების შემდეგ მორჩა ხალხი უკვე მოჯადოებულია, შელოცვილია!

და ყოველ დღე ყველანი ყოველ შეხვედრაზე გამარჯობას თქმას ვერც კი მოასწრებენ და მაშინათვე ერთმანეთა ეკითხებიან:

მიდიხარ?
მიდიხარ?
რაზე და რაზე?
როდისა და როდის?

და ასე ერთმანეთი შექებული, შელოცვილი და შერცხვენილი ხალხი ყველა მიეშურება ახალ-ახალი გასტროლიორების სანახავად.

მეც, ჩემო ვანო, კარგად იცი საწყალი ხასიათის კაცი ვარ. ბევრჯერ რომ გავკაჟდე ხელმოკლეობის გამო, ყოველთვის მაინც შეუძლებელია... და მეც ავყევი ფეხის ხმას.

ი ვიღაც სტეპანოვა და მიგაი იყვენ—იმათ კი ვერაფერი იხეირეს ჩემგან.

მაგრამ მარხვას შევერიე, აი მხატიო თუ რაღაც, იქრდანა.

ყურები ისე გამომიჭედეს იმათი ქება-დიდებითა, რომ გადავსწყვიტე—დაე, დავიქცე, მაგრამ ეს მაინც უნდა ვნახო-მეთქი.

— Როგორ ტკბილათ მიდიან ჩვენი სიყვარულის დღეები!
— თუ ასეა, დაგეპატიჟებიე შოკოლადზე!

ყველა წარმოდგენაზე ავიღე ბილეთი და ნახევარი თვის ჯამაგირიც ალლად მივატოვე იქა.

სწორედ გითხრა—წყალში გადამეყარა—ეგებ უფრო უკეთესი ყოფილიყო: დრო მაინც ნაკლები დამეხარჯებოდა.

აქ ვერ ვბედავ ხმამაღლა თქმას, მაგრამ შენ კი მოგწერ შინაურულად. ეიცი, არ დამძრახავ თუ უვიცობას ჩავდივარ.

ჰო-და უნდა გითხრა რომ:

ეს „მხატი“ ყველაფერი იყო და არაფერიც.

მე აქ ვერ დავინახე ვერც ოპერეტის ღერძი, ვერც კომედიის, ვერც დრამის, ვერც ტარეის.

მაგრამ ერთი კაი თქმა კი მაინც დამრჩა იმათაგან: **Дуран довоенного времени.**

დიაღ, სწორედ ჩვენ ვართ ეს „დურაკ დოვოენნაეო ვრემენი“. ესე იგი 100 პროცენტიანი დურაკები, რომ ასე თავის მტვრევით ვეგებით ყოველ გასტროლიორისაგან გადმოსროლილ წესკავზე.

მახლას! ეს მოვინელე როგორც იქნა და აგერ კარზე მოგვადგა მეიერხოლდი.

«ევოლიუციას!
თეატრი!
მეიერხოლდი!
ახალი თეატრი!
მემარცხენე თეატრი!
თეატრი ყირამალა!
და ძეიერხოლდი!
მოდი, კაი ბიჭო და ამასაც ნუ ნახავ!
მაინც მხატმა რომ გაწყენინოს,
მეიერხოლდისა რა ბრალია!
აქ დაიწყო ისევ:
მიდიხარ?
არ მიდიხარ?
რომელზე?
როდის?
დიაღ, მივდივარ ყველაზე ყოველთვის!
ნახევარი თვის ჯამაგირიც აქ შევატოვე.
წავედი. ვნახე.
აქაც წყალში გადაყრილი ფულები!
კინოა, ცირკი, დრამა თუ ტარეი—ვერც აქ გავიგე ვერაფერი.
ვხედავ მხოლოდ: წელებზე ფეხი დაუდგამს ამ კაცს რომ გაგვაკვიროს, მაგრამ არ მიკვირს.
უნდა გაგვაცინოს, მაგრამ არ მეცინება.
ეჰ! ქება სჯობდა ნახვასაო.
ყველა ამ გასტროლიორებზე გამიტყდა გული. ჩალის ფასად აღარ ვაგდებ.
ლამის არის სააფიშო ბოძები დავანგრიო, ესე მაცდურად რომ აცხადებენ ყველაფერს.
მაგრამ...

დედას ლევანა!

გარე კახეთიდან!
ნამდვილი გლეხი!
ურმული!
მრავალჟამიერი!
მაყრული!
მგზავრული!
ჭოროველა!
ოო, ვენაცვალე. ეს კი ნაღდი რამეა. ამაზე კი წავალ აუცილებლად!
მხატისა და მეიერხოლდის იმედგაცრუების შემდეგ ეს კი სწორედ მალამოთ დამედება გულზე.
სადაც იქნა, ვიშოვე მანეთნახევარი, სხვებიც მრავალი შევაქეზე და მივედით.—
დედას ლევანას მოსასმენად.
ხალხს ტევა არა აქვს თეატრში.
მთელი ტფილისის კახელობა იქ მოაწყდა.
ველით მოუთმენლად.
ჯერ გამოვიდა ჩვენი გარდანქეშანი იოსები. ერთი რიგიანათ შეუკურთხა ბურჟუაზიას, მიაფურთხა ეშმაკს, საკმეველი უკმია „გლეხობის გულიდან ამოღებულ“ მომღერლებს და ბოლოს გამოვიდა დედას ლევანა.
გამოვიდა, მაგრამ...
ეჰ, ამას ნუღარა მკითხავ, ნუ!
მიკვირს მხოლოდ, ოატომ ხელები არ დაეწვათ იმ საღამოს შემოსული ფულების დათვლაზე!
ოო, დედას ლევანა!
მხატსა და მეიერხოლდის შემდეგ რაღა შენგან მინდოდა ცეცხლზე ნაეთის დასხმა!

ნადირი.

ᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲘᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲓᲐ

ჩემი გამბრძოლველი, ჩემი ამომგდები უჩიტელი დაკვლა წყევლო ან რაფერ გევიმეტო და ან რაფერ დავსწყევლო. თუ გინდა კიდეც გევიმეტო დასაწყევლათ, ჩემი ჩემს გამოჰყაპულ ბაღანას რომ არ ეყურება,—და როშული ხატი და ჯვარია ჩემსას, რომ გეიგონებს და გულს მომიხუბებს?!

ხო და შენ ჩემი ბატონი... დიახ ბატონი, თვარა ჩემი აფხანაკი რომ იყო, პაწეა ვალის გასტუმრებაზე წამომკრავდი ხელს, ან თოხით ყანაში მომეხმარებოდი, მარტუა რომ უზაპუნებ; ყანაში წყალისა და ხეფსის მომტანი არ მყავს... ჩვენი სოფლის უჩიტელი. არ მომცა საშვილი-სახიდებელი, მითუა და მიწვიმა, საცხა კი შეხვთებოდა, მოვალე უოიასავით ჩამაფრინდებოდა, შირივრდა:—ჩემო მასიკო ბუდნიერი კაცი ხარ; ნიჭიერი შვილი გყავს. არ წეიწყმინდო სული, არ დეიდგა უზიდავი ცოდვა და სტავლა გააგრძელებიეო,—გამიგრძელა ენა შეამვალსავით, ჩამომეკიდა ჩაუშის ნაჯახსავით. ქე შემაცდინა, ქე დამლუკა და ამომაკვინცვილა კაცი, დამიფსო და დამინგრია ნაკეტავ-ნაწყდავი ოჯახი, გამაყიდია ოთხ თვალი ოდა, დაყურსული წაბლის ხელა და კრამიტით დახურული ნაღლი, ულლათ ხარები—ლომაი და ჭოქაა, ჩვილბოიანი ძროხა გიშერია, დავაგირავე სულის ჩასაპურებელი ორი ქცევა საშიეს მერე, ფიფიქრე: შვილს გამოუზრდი და მერე გამომადგება-მეთქი, ძმებსა და დანუბს უპატრონებს და სიბერის დროს ნენასა და ბაბასაც ნუგეშით ეყოლება, მტერს თვალს აუფსებს და მოყვარეს გუუპყერს-მეთქი..

ვაი ნენავ, რა ვიცოდი, თუ ეიფსებოდი, ჩემი ხელით ეისერში ჯაღნა ჯაყვას ვიღიტინებდი. ისე მის უჩიტელს მოვსწრო საკუთარი შვილი, რავაც მე მომესწრო შედაურო მომესწრო, მარა რა მომესწრო,—სტუდენტი შვილი მომესწრო.

უწინდელი სტუდენტი ჭკუა საკითხავათ იყო, ასე ფაძიგონია—ხემწიფეს აგდებდა ტახტიდანო. ახლა ხემწიფე ქვა ჩამოუარდნილი და აგინი მოქვას აგდებენ ბუდიდან—კვერცხები ლობიას სჯობსო, კეკერა ფაბლის უკეთესი შემწვარი ეარძე არისო, კეცის ჭადს ხაჭაპური მირჩევნიაო; ბაბა, შენ იმუშავე და მე ვქანქავო... ბაბას რომ მაკადრებს ვიდევ ვინ ჩიეა, აფხანაკოო შიძახის.

ვაი ოჯახო დაღუპულო! რავა ამიხა ბავაგზავნე მეორე ლუბერნიაში?! ამის პროფესორი ავერ მყავდა ყურის ძირში ჩემი ნაბატონარი აზნაური; ტუულათაი ყოფნას დღეი ძილს და ღამე ღვიმილის და სხვისი ნამუშიერის ჭამას ოგიც კი ასტავლიდა.

შვილის რჩენას ავათ იყო თუ კარგად კიდევ გუძლებდი, მარა ახლა დედა მისიხა მუუწყერია—ცოლი შეეირთვა და ორივე ადრე მოვალთო. ან კი რეიხა არ შეირთავდა! ანცეთს რა ეხარჯებოდა! ახლანდელ ქალს ნუ გუშინია შვამავალი რა სჭირია, მზითვი და ჯვარის წერა. ჩამოვა ახლამის ი ზაქსური ცოლით და უცხვე ხაჭაპურები, შენი თოხით არჩინე კიდევ ნასტავლი, სტუდენტი შვილი და მისი ცოლი; მერე კიდევ თუ ცოლმა არ იეშმაკა, ბაღნები ეყოლება და ბარჩენიებს. კადრებ რამეს და შენ რეაქციონერი და კონტრ-რევოლიუციონერი ხარ—მეშჩანი და კულაკი. ის კი—რევოლიუციონერი და ყორიფელი კაი პიოხერი. „გოგეი მოიხენელიო, ოცდაათი მცოხნელიო“.—სტორუთ ასეა ჩემი საქმე.

ᲞᲘᲢᲜᲐ.



მომგვბიანი სვსხის
იყიდე მან ბალეთი.
მოგეგა რომ ხვდენოდა
ბეწამ ისევ ღმერთი.



არ სწამდა ღმერთი... ჰქონდა
მას ცარიელი ჯიბე.
ღმერთს მიბეგვავდა მაგრად
რომ ასწვდენოდა ჯიბე.

მოგეგა რომ სხვას ერგო
წაუხდა სახის ფერი...
ამბობს:—შემეძლოს ნეტა
ღმერთს ჩამოვგლიჯო წვერი.

იუბილე და „მეგობრული ვახშამი“

ჯატიკოვიანცევა

აქ კი ნამდვილი ცეკვა

წერილი მეგობარს

სალამი, ძმაო ტერენტი, იცოცხლე და იმხიარულე შენებურად.

მივიღე შენი გამოგზავნილი წერილი, რომელმაც ნამეტახი გაძახარა. შენ მწერ: „კაცო, ნუ თუ ისე გამდიდრდი და გადიდკაცდი, რომ აქეთ ყველანი დაგვივიწყეო. გავიგე, მდიდარი ცოლი შეგირთავს და სამსახურიც კარგი გქონია. ალბათ ცოლის წყალობით და აი სწორედ შენზე არის ნათქვამი: „მაძღარ მღვდელს მშიერი დიაკონიც მაძღარი ეგონაო“. ასე გემართება შენც და თუ ეს ასე არ არის, მაშინ ამოვალ მაქანე და სამსახური მიშონე“... მოწყლეთ: თბილისში მოწყობას მთხოვ...

ამიტომ ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს ყოველ შენს კითხვებზე შეძლებისდაგვარად გაგცე პასუხი.

პირველი კითხვა—**ჩემი გამდიდრება.** ქუთაისიდან რომ წამოვედი ამ სამი წლის წინათ თბილისში, იმ განზრახვით, რომ აქ კარგი ადგილი მეშონა. მაგრამ, ვინაიდან არ აღმოჩნდა კარგი ადგილების ვაკანსია, ამიტომ გადავწყვიტე მილიციონერად შესვლა. ააშენა ღმერთმა ხმალაძის ოჯახი—შევიდა ჩემს მდგომარეობაში და მიმიღო ხლადში მილიციონერად. ჩვიიბარე პოსტი პლეშნოვის პროსპექტზე, კიროჩნის შესართავთან. სიმართლე უნდა გითხრა, ოფისთანა ადგილზე ვდგევარ, რომ ცხრა თვალი უნდა გქონდეს, თორემ, თუ ერთი აგცთა, დეიღუპები კაკალი კაცი: ან ტრამვაის დაგატაკებს ვატმანი და ან ავტონომილს—შოფერი. მაგრამ მე იმისთანა ფარაღი მაქვს, რომ ადვილათ ვერც ერთი ვერ დამეტაკება. ეს არის ჩემი წითელი ჯოხი. ეუჩვენებ თუ არა, ადგილზე გაიხმობ და, სანამ ნებას არ მივცემ, შაგს ვერ იზამენ.

ეხლა მე გიპასუხებ მდიდარი ცოლის შერთვაზე (თუ კი ამას ქვია სიმდიდრე): დავდექი სამსახურში თუ არა, შევუდექი ოთახის შოვნას. მაგრამ რაი მერე,—სადაც კი გამოჩნდა ცარიელი ოთახი, 300 მანეთი მომთხოვა სახლის პატრონმა წინდაწინ. მე კი ამდენი ფული აგერ 35 წლის კაცი ვარ და არ მახსოვს, რომ როდისმე მქონებოდეს და არც მაქვს ამდენი ოდესმე მექნეს. ბოლოს ჩემმა ერთმა ავლაბრელმა ამხანაგმა მითხრა:

— იცი, კოწოჯან, შენ ოთახს ვერ იშოვნი, თუ ცოლს არ შეირთავ ისეთს, რომელსაც ოთახი ექნებაო... იმე, მაგას რაღა აჯობებს მეთქი, მარა სადაა მაგნაირი საქმე მეთქი, რაღა სიტყვა გავაგრძელო, თვითონ ამან ამომიჩინა ამნაირი საცოლო. მართალია: ორი შვილი მზითვად დამახვედრა, თან შეხედულებით მოწყვეტილ ვარსკვლავს ჰგავს, მის ფერხორცთან, ჭიათურის შავიქვა, ბამბად მოგეჩვენება; თუმცა არც ერთი კბილი არა აქვს, მაგრამ რაღაი ოთახი ჭქონდა, არაფერს ყურადღება არ მივაქციე და დევიწერე ჯვარი ზაგგსში. მართალია: გაბედნიერების მერე მინდოდა ქუთაისში ჩამოსვლა ჩემი მზეთუნახავით, მარა მომაგონდა ქუთაისელი ხალხის ბმბავი,—თვალწინ წარმომიდგა ის, თუ ქუჩაში რანაირად მიკივლებდენ. მეც კაცი ვარ, იქნება ქე ამომეღო ჩემი ნაგანი და გამეთავებია რომელიმე. ათი წელიწადიც სასტიკი იზოლაციით ხელში მექნებოდა,—მაშინ ხომ დევიღუპებოდი კაკალი კაცი? ასეთი ისტორია აქვს ჩემი მდიდარი და ლამაზი ცოლის შერთვას.

შემდეგი კითხვა: ამოვიალ მანდ და სამსახური მიშონეო,—მაგის იმედს ვერ მოგცემ, მე კი არა, დიდ კომუნისტებსაც არ აქვთ ეხლა უფლება ვინმეს უპროტექციონ. ისთე თუ გინდა, ამოდი და მიეცი განცხადება ხმალაძეს; თუ ექნა თავისუფალი ადგილი, ქე მიგიღებს. რაც შეეხება ოთახს, ჩემისთანა მზეთუნახავს თუ სადმე მოძებნი, მაშინ ოთახიც ქე გექნება და „გატოვი“ შვილებიც.

ეხლა, ტერენტი, ამ წერილის პასუხი მომწერე: ძალიან მაინტერესებს ქუთეისის ამბები, განსაკუთრებით წყალი, ანუ წყალსადენი და ტრამვაი როდის გექნებათ ქუთეისლებს. კაი იქნება, თუ იმასაც მომწერ—სამიკიტნოები უფრო მეტია, თუ კულტურული გასართობები. დავშთები შენი წერილის მოლოდინე კოწიე ლომოყლაპიეშვილი.

ყირილე საფირჩხიელი.

ჰაი გიდი თეატრო

(სოფ. დილომის თეატრის ისტორია).

— ქიტო, ე ჩვენი დილმის ტრიატი რაღაცას აპირობს, ინდე ერთი შახე!..

— ეი! ესა ტრიატი კი არ არის, ეხლა საარშიყო და საანგლო ბუდეა.

— მე და ჩემმა გამჩენმა, სწორეთ კი ამბობ.

— ეი! არა, შენმა მზემ, ეხლა ბრუნდეთ ვიძახი... კაცო, აქა ჩემი აი შვიდი წლის გოგო თალიკო ვერ გამიშვია, ისეთი მამაძაღლობა ხდება.

— ქიტო, ერთხელა მე მახსომს, ამ ტრიატში რაღაც პრაკეღტორია, თუ რაღაც ჩემი ფეხები, იმას ათამაშებდენ. იმ დროს ი ჩვენი ხელაანთ გასათხოვარ ქალსა ისე უჩქმიტეს რბილ ადგილზე, რომა სიმწარისაგანა კინაღამ გულიც წაუვიდა.

— ე... ჩემო ბასავ, ბევრჯერ შაეხვედრილვარ, რომა ტრიატს თამაშობენ და იმ დროს ხალხში გახურებული არ შიყობა გინდა, დედის და დის გინებაო, თავში გარტყმაო, ძალიო და, ვინ მოსთვლის, ათასი მამაძაღლობა მაშინ აუტყდებათ ამ ოხერ ტრიატრში.

— ქიტო, მერე იცი, ვინ არიან აქ საარშიყოთ მოსულნი?

— ეი, ჩემო ბასავ, ვიცი და მესმის. აბა, ვინ უნდა იყოს. თუ არა აი ყავაჩიანთი და მათთან მოსიარულე მათი მოაზრე „განათლებული“ ქალები და ჯანდაბა.

— ქიტო, აი ეს ტრიატრში რომ ორტოპიანი გდია, კაცო, რომ ნახო, ვინ არ გინდა, იმას უტყაპუნებს: ეს სკოლის ბავშვებია—და ამაზე ფეხებითაც კი დადიან, მასწავლებლებიო, მოჯამაგირეებიო და მეტადრე ეს. ჩემანალა ბიტაი...

— ბასა, ვინ მიტას იძახი?

— აი ჩვენი მეზედლიანთ მიტასა. კაცო, იმ პირძაღლს ორტოპიანო დაუმტვრევიათ კიდეცა.

— კაცო და რატომ არ უყურებს ან აღმასკომი, ან ეს სკოლების გამგეა, რაღაც ჩემი ფეხები?

— ეჰ, ჩემო ქიტო, აღმასკომი ჩვენ ტრიატზე არაფერ ყურადღებას აქცევს, რომა მთლად წვიმა ჩამოდის და სადაც არის, სულ დაინგრევა, აი კიდევ, ერთი წელიწადია, რაც ამ საოხრო ტრიატმა მიიძინა და ნელ-ნელა ჩვენი ახალი მასწავლებელი ჭიჭინაძე წვალობს მის გაღვიძებასა.

— ბასავ, წავიდეთ, ამის საცხონებელი მაინც დავლიოთ ჟამუტაანთ პავლეს დუქანში.

— აი გიდი ტრიატო?.. ნათქვამია: „უპატრონო ეკლესიას, ეშმაკები ჰპატრონობენო“.

დილმელი მელა.

ჯოჯოხეთის კუთხე



ქალი—მელა

(იგავ-არაკი)

ამ იგავ-არაკის სიუჟეტი აღებულია ბრიკის წერილიდან, რომელიც გამოგზავნილია სოფ. ჯვარცხმიდან. იგავ - არაკი ძველია, ხოლო თავისი მომქმედ პირით შეფარდებულია სინამდვილესთან. ვის არ ახსოვს „დედა-ენიდან“ „მელა და საქათმე“:

გლეხის საქათმეს მიაგნო
გამოუთხარა ძირია.
სიმშილისაგან დაელო
წუწკ მელას ხახა-პირია.
იხვსა, ბატსა და ქათამსა
ყველას დაარჯო კბილია.
ამბობდა: ხორცი ამათი
ო, რა კარგი და ტკბილია.

აი სწორედ ასევე ითქმის ამ შემთხვევაშიაც, ხოლო სულ მცირეოდენი შემდეგი შესწორებით:

ვარდო ამბობდა:—რა მიშავს
ღამე შავი და ბნელია.
მეზობლის საქათმესთანა
მისვლა არც ისე ძნელია
სავსეა მათი საქათმე,
ჩემი კი ცარიელია.
იხვ-ბატის - ქათმის ხორცი
ტბილი დაგემრიელია.
ნაქურდალ საათს დახედა:
შუაღამე არის ბნელია...
იხვსა, ბატსა და ქათამსა
ყველას წაავლო ხელია.

მოკრალი: თემკომმა მასაც (ვარდოსაც)
უნდა წაავლოს ხელია
და ქურდობისთვის აჩვენოს
ვირის აბანო ცხელია.

არხეინად....

რა თქმა უნდა მიზანის მიღწევის — გამარჯვების შემდეგ, კაცი ზეიმის და დროს ტარების ხასიათზეა. ამიტომ გასაკვირიც არარის, ამბ. „ხეინდრელო ბზიკო“, თუ თქვენში (გორას თემი, ქუთაისის მაზრა) სერგო, როგორც თქვენ იწერებით:

თავმჯდომარედ წამოსკუპდა,
გაიტანა თვისი ლელო.
მთვრალს მარაგად მას მუდამ აქვს
მრავალგვარი სადღეგრძელო;
წარმოკავშირს რაღა უჭირს—
თავმჯდომარედ ჰყავს მას სერგო...
ასე ფიქრობს დაღიღინებს:
—აწ რა მიჭირს რაკი მერგო!?

ახლოა, ყოველ შემთხვევაში მოახლოვდება ჟამი, როცა ტარტაროზი ასე მოუმღერებს სერგოს:

გამსახლიდან იცქირება
თავმჯდომარე ჩვენი სერგო.
წარმოკავშირისა შეჰმა
ყელს დაადგა, არ შეერგო
და სანაცვლოთ ...წელიწადით
მას გამსახლში ყოფნა ერგო.

„ალლაჰმა უწყის“

სად. მეტეხიდან გვწერენ:

„გთხოვთ გამოაცხადოთ შემდეგი: — დაიკარგა წყლის ქვაბი, რომელიც მეტეხიდან გაგზავნილ იყო ტფილისში. შუა ტანის, ფერად რუხი. საკმაოდ ხნიერი, მპოვნელს ვთხოვთ შეგვატყობინოს და საჩუქრად მიიღებს (თუ მეტეხელი იქნება) ნახევარ ვედრო წყალს... ამჟამად სად იმყოფება ალლაჰმა უწყის... ჩვენ კი უწყლობით ვიხრჩობით“

აი უბედურებაც და დახრჩობაც ამას ჰქვია. მეტეხში წყალი არ არის... წყალი ადამიანს ახრჩობს (მაგალითად მტკვარი. ნახეთ ჩვენი გაზეთების ქრონიკები). მაგრამ უწყლობაც ახრჩობს თურმე.

ტარტაროზი ამ გარემოებამ (მეტეხში უწყლობამ) მეტად დააფიქრა და შეუდგა დაკარგულ ქვაბის კვალის მიგნებას... ბოლოს აღმოჩენის საშუალება თვითონ წერილში ნახა. წერილში სწერია: „ამჟამად სად იმყოფება ალლაჰმა უწყის“-ო. ნახულია დაკარგული. რკინის გზის სადგურებში ძებნას, ჩვენის აზრით სჯობია ალლაჰთან

გაიგზავნოს კაცი და ჰკითხოს თუ სად იმყოფება ამჟამად ეს ქვაბი. ეს არის უმარტივესი საშუალება დაკარგულ ქვაბის ნახვისათვის. როცა ქვაბი ინახება, მერმე ადვილია დამნაშავისთვის მეტეხიდან გადაყვანა.

შენიშვნა: შესაძლებელია, რომ თვითონ ქვაბი მიიმალა და არ უნდა ისევ მეტეხში დაბრუნება, რადგან იქ ისევ უწყლობა მოელის.. ეხლა სადაც არის, ალბად, თავს კარგად გრძნობს და ყოველ დღე გალეშილია წყლით. მეძებრებმა ეს გარემოებაც უნდა მიიღონ მხედველობაში.

შორაპანი

შორაპანია ნაქები
ქალაქი ძველთა-ძველადა,
სადაც ყვირილა ჩამოდის
იშლება თავ-ქვე ველადა.
აქ მრავალ საგულისხმოსა
გაიგებთ დამიჯერეთა,
თუ მეფარიანს ეეწვიოთ
ამთავითი პირველ ჯერათა.
მეფარიანი ექიმი
ქორწილში, ლხინში ქებული
დროს ტარებას და ქეიფში
არ არის გამოკლებული.
ქუთაისი აქვს ბინათა,
აქ სამსახური საკბილოთ,
ყვდებოდე ეერსად შეხვდები
თუნდ სიკვდილს შეეხმატკბი
წავა, არ იცის დრო-ჟამი
მუშა კი უცდის ამაოდ,
ან ქორწილშია ან კიდევ
ქეიფში დილა-საღამოს.
ეინ მოსთელის მისსა გასაჭირ
რასაც რკინისგზელნი იწევენ,
მეფარიანის არ ყოფნით
ექიმს სიდან არ იწვევენ.
ხან ზესტაფონში უხდებათ
ჩასვლა---ექიმის ხვეწილი,
ხან კი საჩხერეს შეხვდებით
არიან გადახვეწილი.
ეძებენ ექიმს სანთლით და
მოჰყავთ აქ დიდის ხარჯებით
მეფარიანსა კი მაინც
ვერ ნახავთ დადარაჯებით.
საჭირო არის მოვექცეთ
ამ ამბავს ყურადღებითა.
და მეფარიონს ამოვსცხოთ
პანღური ხელადებითა:

ჩქმეტი.

ღანირ-ქუტირი

ჩვენს ჯიხაიში
ამ პატარაში,
აღარ იკითხავთ
საქმეა რაში?!
მეეახშეები
გვაძრობენ სულსა,—
არ იეიწყებენ
დროს გადასულსა.
ერთი თუმანზე
ორ მანეთს თვეში
ახდევინებენ
იახ! ჩვენს თემში.
აბზიანიძე
ცნობილი არის
მელიკო ჩვენი
ბაგე მღიმარი.
ასესხებს ფულებს.
ავსებს ქისასა,—
ითვისებს იგი
ასე სხვისასა.
...ჰო ასე იყოს
ეს არაფერი,
მას ეხერხება
სუყველაფერი...
სპეკია იგი
ქურდობაშიაც...
მინდა გიამბოთ
ქმე რაშია!?
ჩვენი გლეხობის
შემოსავალი
საადრიოა
კომბოსტო ფხალი.
ყველას აქვს იგი
დათესილია,
გამარგლილი და
გათოხნილია.
აგერ, სულ ახლა,
მელიკო ჩვენი,
(ვეცი არ არის
მისთვის საწყენი).
ბავის რძალითურთ
აგრაფინათი,
(ჩვენი თემისა
ლამპარი, მნათი).
ნუცუბიძის ბაღს
ეწვია ორი,—
და თან წაიღეს
ათი გოდორი.
ბაღი გლეხს, საწყალს
გადაუთხარეს;
თვითონ ნაქურდლით
კი გაიხარეს.

შიხლინსკი
სგობ

გუგუნაყათი

არ იქნა—ვერ შევითმინე,
მეცა დამჭირდა სტვირია.
ტარტაროზ შენი ჩანგლითა
უნდა გვესტუმრო, მჭირია.
ჩვენს სოფელ გუგუნაყათში
საქმე გვაქვს გასაჭირია,
რადგანაც კლუბის გამგესა
რკინისა ცოცხი სჭირია.
კლუბის მინები დაიმტვრა,
არეინ ათხოვა ყურია;
კიბეც სულ დანგრეულია,
ძირს ყრია ქვა აგურია.
თუ კი გვეღირსა საღამო,—
ცუდი ამბები ხდებაო.
ჩხუბი და აყალ-მაყალი,
თავებიც ბევრი ტყდებაო:
ყოველთვის ბნელა სცენაზე,
არ არის ჭრაქი, მკვარია,—
ერთი ძლივს ბუუტავს კუთხეში—
და ისიც ნათხოვარია.
კლუბისა ეზო საძოვრად
ყოველ წელს ქირავდებაო.
ვთხოვ გამგეს, რომ გეიპასუხოს—
ფულები რას ხმარდებაო?
ტარტაროზ, კლუბის გამგესა
ერთი ჩანგალი ჩხელიტეო;
და შემდეგ ჩამოერთმეეა
მას ჩვენგნა კლუბის კლიტეო.

გუგუნაყათელი.

ქუჩაში



— რა შვები შე მხეცო შენა.
— მამა გიცხონდა ამ სიცხეში. ერც კი ვიამა!

სინამდვილე მოლოდინ

ბურიეთელს: თქვენი წერილი საგაზეთოა. ჩვენ არ გამოგვადგა. ფსევდონიმის გარდა საჭიროა წერილზე ავტორის სახელი, გვარი და მისამართი ეწეროს.

სხვაველიშვილს: სხვების რა მოგახსენოთ,—და თქვენ შაინც დასტკბით თქვენი შემოქმედებით, რომელიც ეხება ვაჭრის ღიას:

**რა უყო, რა ექნა ჩემთ

ვად**
მიშლის სიარულს ღიპია.
მართლაც რომ შოხახპობია
სულ ჩემისანა ტიბია.
მართლაც არ არის საჭირო,
რას ვარგა ჩემი ნძორია.
მე ადამიანს არ ვგევარ
და მუცელი მაქვს ლორია

ტარჩენისპირელს: (სოხუმი): თუ სიკეთე შეგიძლია, სხვა მასალები მოგვასწოდე ადგილობრივ ცხოვრებიდან. ტერტერები აქაც ბევრია... მაგრამ მიცვალებულებზე ან ყარგს იტყვიან, ან არაფერს. ყარგი რა ითქმის ავზე... და ამიტომაც ტარტაროზს არ აინტერესებს აქედან მანდ ჩამოსულ ტერტერის ამბავი

კუზიანს: ნომ გაგიგონია: „კუზიანს საფლავი გაახწორებს"-ო? ჩვენი გოდორიც საფლავია კუზიან წერილებისათვის... და თქვენი წერილიც ალბად იქ გასწორდება. სევერას სურათიც იქ დასატენა და ქვეშ წააწერენ:

სიძეა თვალის სინათლე,
წელს უმშვენებს ლევერია.
სატრფოს უთხრა:—გეხაცვალე,
მოველ შენი სევერია.

საქორწინოთ მომზადებულ კაცს ოვზი ნაცარში ჩავარდნია—საცოლოს უარი უთქვამს მისთვის,—თქვენ კი გამოდიხართ დადასტურებით. სამგიეროთ, ჩვენ ვიზიარებთ სევერას მწუხარებას და მიულოცავთ ცოლის შორთვისაგან გადარჩენას.

ჭრიჭინას (სამტრედია, ილორი): **გარსევან და სევერიანე, რომლებმაც:**

შუადამ დღე გული წაიღეს,
ბათმა ყვირილმა, ბუქარამ.
არავინ მოდის კრებაზე
ისე დააფრთხეს

უფსკერო გოდორში ჩავამწყვდიეთ... ასე, რომ ამიერიდან კრებას ხელს არ შეუშლიან თავისი ყვირილით. ეყვიროს რამდენიც უნდათ უფსკერო გოდორში, სადაც სხვებიც ყვირიან.

რადიუმს: თქვენი წერილი **არ** დაიბეჭდება იმიტომ, რომ იგი ხელმოწერილია—**არ** არის **თქვენი** ზვარი და სახელი.

„**არ** დამიტიროთ"-ს (ქვ. **ბარხიანი**): **არ** არის **დასტიტრებული** როგორც თქვენი **წერილი**, ასე **შისი** **გმირი** **ტერტერა-ძლვდელი**, **რომელსაც** **სცემეს**. **სცემეს** **იმიტომ** **რომ**:

ქალი შეხვდა მას გზაში
და ლაბენა დავთარი..
ჯორი ხეზე მიბა,
ქალს ეცა ვით აფთარი
დაიძახა ყიყლიყო,
შეაშინა ქალია...
ამ დროს ქმარმა მოუსწრო,
ვაი მისი ბრალია...
რაც მას სცემეს ზურგ-მკერდზე
ვინ დათვლის რამდენია?
პიონერთა ბარაბანს
მეტი არ მოხდენია

ოდალაქოს (სად. **მარელისი**): **არა** **უშავს** **ამ** **ზაფხულში** **წვერ-ულვაშ** **და** **თმის** **გაკრეჭა-გაპარსვას.** **ვალიკომ** **ამისათვის** **ზიხას** **მადლობაც** **უნდა** **უთხრას.** **რას** **ერჩის** **ლიჭას**—**თავიც** **დააბანინა** **ურთი** **ვედრო** **წყალის** **გადასხმით.** (**თუ** **კი** **წყალი** **იყო** **და** **არა** **სხვა**).

ჯილი-ჯილის: **თავადებს** **თავისი** **თავი** **და** **ცხოვრება** **მოგაზრდათ,**—**და** **თქვენ** **რატომ** **არ** **მოგბეზრდათ** **მათზე** **წერა?** **ტარტაროზი** **თავადებს** **სანაგვე** **გოდორში** **აგზავნის** **და** **ნუ** **გეწყინებათ** **თუ** **კი** **თქვენი** **წერილი** **გაქცეა** **თავის** **გზირებს.**

ბოჩორაჯაბს (**ბიდისთავი**): **წერილი** **გარკვეული** **ხელით** **და** **ცალ** **გვერდზე** **უნდა** **იწერებოდეს.** **ვინც** **ეს** **არ** **იცის,** **მას** **წერაც** **გაუჭირდება.**

ხილოს. „**ოსეფის** **გასაჭირი**" **მრავალჯერ** **ხმარებული** **თემაა.** **არ** **დაიბეჭდება.** **ხოლო** „**კოწიე** **კინტრაძის** **მგზაურობიდან**" **მოგვაკვს** **შემდეგი** **ადგილი:**

არ **ბაბა,** **ძმაო,** **და** **გადამეკიდა** **მთელი** **სოფელი,** **კრებაზე** **ამირჩიეს** **და** **თბილისში** **დელეგატად** **გამგზავნეს.** **ბევრი** **ვუყვირე:**—**არ** **მინდა** **დელეგატობა;** **კოოპერატივის** **გამგეთ** **ამირჩიეთ,** **ეს** **უფრო** **ხელსაყრელია** **ჩემთვის** **მეთქი,** **მაგრამ** **მაინც** **არ** **ჰქნეს.**

წერილის **სხვა** **ნაწილი** **არ** **ამოგვადგა.**

ზაქ. ბოხელს: **მოკლე** **ბაკუას** **ბოკლე** **ყაბა** **სჯობია.** **ასე,** **რომ** **ის** **ქალი** **თქვენზე** **უკეთესს** **პირობებშია.**

ბაროს (**ბათომი**): **ტარტაროზმა** **უარი** **სთქვა** **თქვენს** „**ბათომის** **თაიგული**"-**ს** **მიღებაზე,** **რადგან** **შას** **ცუდი** **სუნი** **უდის.**

ჩალულიძეს (**ოზურგეთი**): **თქვენ** **[illegible]** **ორებთ** **მუძათა** **კლუბის** **გამგეობას,** **რომ**

შესაფერი **პიესა**
[illegible]
და **არ** **გადმოგვაბიდენ**
რალაც **ქუჩურ** **ენაზე.**

ალბათ, **თბილისის** **აკრამას** **ეპაძაკა.**

შალ-განს. **არა** **შარტო** **თქვენი,**—**[illegible]** **ცოლი** **ასეთია:**

ბან **ყერსე** **მოითხოვა,**
ბანაც **კრებდაშინაბ.**
როცა **უარი** **უთხარი,**
გამიწია **ენინა.**

და **თქვენი** **წერილი** **საქმეს** **ვერ** **[illegible]** **ეგებ** **ზიანიც** **მოიტანოს** **მით,** **რომ** **თქვენი** **ცოლი** **ამ** **წერილზე** **გაგიჯავრდებათ** **და** **უფრო** **სასტიკ** **ნოტას** **წარმოადგენს.**

თავი **იმით** **ინუგეშეთ,** **რომ** **ყველა** **თქვენს** **დღეშია.**

„**ცნობის-ფაფარეს**" (**თელავი**): **წერილის** **დაწყებისთანავე** **გამოირკვა** **თქვენი** **წერილის** **ღირსება.** **თქვენი** **წერილი** **ასე** **იწყება:**

„**რუსთაველის** **ნათქვამია** **ანდაზა:** „**თუ** **კაცსა** **სწავლა** **არა** **აქვს,** **გასტანჯავს** **წუთი** **სოფელი**".

ჭართლაც **რომ** **ასეა.** **ალბათ,** **თქვენც** **ამიტომაც** **ხართ** „**დატანჯული**", **რომ** **არ** **გცოდნიათ,** **თუ** **ვის** **ეკუთვნის** **ზემოხსენებული** „**ანდაზა**".

უნა **დამწერს:** **თქვენი** „**სული** **და** **გული**" **მოთავსებულია** **შესაფერ** **ალაგას.**

ეფიალტეს. **მიბაძვაა.**

სამი ვეშაპი, რომელზედაც სდგას ინგლისი

ბაკლონალდი, ხიკსი და ჩან-ძოლ-ლინი: ჯერ-ჯერობით ჩვენ ვუშაგრებთ ძირს ბრიტანეთის ბატონ-პატრონთ, მაგრამ ჩვენც მოვეწყდება წელი,—რალა ეშველებათ მაშინ?!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი ნახევარ შაურად

ტარტაროზი

№ 105 | ქუთაისი, 19 ივნისი 1927 წ. | № 105

„ი უ ბ ი ლ ი ა ნ ი"

ეროვნული ტრაგედია. ეროვნულ ტრაგედიაზე ადგენ ეროვნულ ბალადებს მაღლობა ბოლშევიკურ ინტერნაციონალს.

ბოლშევიკური ინტერნაციონალი ეროვნულ ტრაგედიაზე ეროვნულ ბალადებს ადგენს. ეროვნული ტრაგედია ბოლ-შევიკურ ინტერნაციონალს ეროვნულ ბალადებს ადგენს.

სოფლის მასწავლებლის ლოცვა

Ave Maria

მეგობრული შარჟი

ღმერთი არა მწამს, არც ეკლესია;
ყურს არ ვიყრუებ ზარების რეკით...
მაგრამ თაყვანს გცემ, როგორც წესია.
ხელაპყრობილი და მუხლმოდრეკით.

◆

ო, განსახკომის დედა მარიამ!
მოწყალებისა მომაპყარ თვალი.
მუცელში კუჭი გამომხმარია,
და ნაცნობების ყველას მაქვს ვალი.

◆

დღე ჯამაგირის მე მიხარია,
როგორც პატარებს ქრისტეს აღდგომა...
მაგრამ, წეტავი, რად მიხარია,—
არ ეღირსება ჩემს კუჭს გაძღომა,

◆

ჩამოვურიგებ იმას და ამას,
ხელში არ მრჩება არც ერთი გროში;
თანდათანობით მე ვუკლებ ჭამას,
და მენატრება ტარანი, დოში.

◆

წონაში დღე-დღე კილოს ვკლებულობ,
მისწეპებიან ფერდებს ფერდები.
ჯამაგირს დროზე რომ ვერ ვღებულობ
მე დარდისაგან მალე ვბერდები.

◆

დედაო ჩვენო, დაო მარიამ!
ისმინე ჩვენი ლოცვა-ვედრება.
მუცელში კუჭი მთლად გამხმარია,
(ოი, მაძღარ კუჭს რა შეედრება!?)

◆

ზამთარში ცივი უბერავს ქარი,
თითქოს ყინვას აქვს ჩემი ეინია.
სასომიხდილი და ჩამომხმარი
რომ არ წავიქცე, მე მეშინია.

◆

სიცივემ, მგონი, მომაძრო ცხვირი...
მივდი-მოვდივარ აღმა დაღმა,
ჩემს პალტოს ათჯერ ვუბრუნე პირი
ხან უკუღმა და ხან ისევ წაღმა.

◆

ზაფხულში თუ კი დამირჩა ტანზე
შარვალ-ხალათი, ფეხზე— წაღები,—
აღარ დავდივარ მაშინ მე განზე,
ხშირი სტუმარი ვარ მე ბაღების.

◆

დედაო ჩვენო, დაო მარიამ!
მარტო სიტყვები ჩვენ არ გვარგია.
მუცელში კუჭი მთლად დამჭკნარია
(გამძღარი კუჭი, ო, რა კარგია!)

◆

ჩვენზე ამბობდენ (და მართალია):
„მასწავლებელი შრომის გმირია“,
ამას სჯობია, რაც მართალია,
რომ მოგვიმატოთ ჯამაგირია.

სურ. ო. შლინგის



„მასწავლებლობას დაბა-სოფლისო
ბევრად სჯობია ყანის ბენა-ფოცხვა“,
ჩვენ გვპირდებოდენ:—„კვერი ობლისო
დიდხანს ცხვა, მაგრამ“...—აღარ გამოცხვა.

◆

დედაო ჩვენო, დაო მარიამ!
ისმინე ჩვენი ლოცვა-ვედრება.
მუცელში კუჭი ჩამომხმარია,
(ოი, მაძღარ კუჭს რა შეედრება!?)

ილელი.

ძია შიო

ბავშვთა მგოსანს უწოდებენ,—
განირჩევა ყველაშიო;
სხვებს სახლებსა უჩირაღდნებს.
თითონ კი ზის ბნელაშიო;
ლამაზი და მომღიმარი,
თაფლი მოდის ენაშიო,
მერცხალიც ვერ შეედრება
ციკჭიკსა და ფრენაშიო...
ერთ სამოსში დაინახავ
ზამთარში თუ ზაფხულშიო,
სულ ერთია, საცა იყოს:
ქუჩაში გინდ მარანშიო...
არასოდეს არ გაიხდის,
გაკრულია „პალტოშიო",
როცა ცხელა, მხოლოდ მაშინ
ჩაგოგდება სარდაფშიო...
გადაჭკრავს და გაგრილდება,
ჩაიცინებს ტუჩებშიო,
მოაჯდება თავის „ცხენს" და
გაიჭრება ქუჩებშიო...
აქ „ყვავილებს" ჩამოუელის,
ჩაერევა „ცელქებშიო",
ისინიც მას არ არჩენენ
თავიანთი მამებშიო...
იგი ამ მხრივ ცნობილია
პაწიების დედებშიო...
ხელებს გაშლის, ჩამოუვლის,
გაჩაღდება თამაშიო;
ბავშვი ბავშვსა ეჯიბრება
მის ხვევნა და კოცნაშიო...
ყველას უყვარს, ყველა უყვარს
ნახავთ ყველა ოჯახშიო;
უმისობა არ იქნება
ტირილში, თუ ქორწილშიო...
ფულებს ახლო არ იკარებს,
„წრუწუნა" ჰყავს ჯიბეშიო,
ლამის არის „ბედაური"
ჩამოართვან ვალებშიო...
თუ მოშივა,—მიაშურებს
„გაიოზას" თონეშიო,
იგი არის ოჯახისა
იმედი და ნუგეშიო...
უწყინარი, უჩივარი,
დაცუნცულებს ქალაქში
„ნუნუა" რომ მოუნდება,
შეემჩნევა ხველაშიო.
თავის „მერანს" აუჩქარებს,

სურ. დონის:

თავს ამოჰყოფს „ქოსებშიო",—
თუ არა და... ინაბება,
ვით კურდღელი ბუჩქებშიო...
ქოხებშიო, ოდებშიო,
ვარდებშიო, ბარდებშიო,
ბახჩაშიო, მინდორშიო,
ლხენა-მწუხარებაშიო,—
ნათელშიო, წყვდიადშიო,
ბავშვებშიო, დიდებშიო,
აღმართშიო, დაღმართშიო,
ყველგანაა: აქაც, იქაც,
საყვარელი **ძია შიო**.

ლავროს ძიძიგური.

გამოცდა წერაში

უნივერსიტეტში მისალმებათ

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის არსებობს უშველებელი, ვეებერთელა განსხვავება. როდესაც ვაკვირდები მათ განსხვავებას, პირდაპირ, გადარევას ვაპირებ, მაგრამ თავს ვიკავებ.

აღმოსავლეთი საქართველო მართლაც რომ ამოსავლეთია, ე. ი. აზია არის. ხოლო, დასავლეთი საქართველო მართლაც რომ დასავლეთია, ე. ი. ევროპა არის. ამ გარემოებისათვის დღემდი ჩვენს პროფესორ-მკვლევარებს არ მიუქცევიათ ყურადღება და პირველობა ამ გამოკვლევაში აუცილებლად მე მეკუთვნის.

ჩვენი დებულების დასამტკიცებლად მოვიყვანთ მაგალითს:

დასავლეთ საქართველოში (ანუ ჩემს მიერ წოდებულ ევროპიულ საქართველოში) არის **ბელაგოკარი** (ა) ამის სამაგიეროთ ევროპაში არის ქალაქი **ჩერნიგორია**. ჩვენში არის ქალაქი **ზესტაფონი**; ევროპაში კი **ლისაბონი**. ჩვენ გვაქვს **რიონი**; ევროპას კი—**ლიონი**; ჩვენში არის **სამტრედია**,--იქ არის **ვენეცია** (ამ ორ სიტყვაში დიდი თანამგზავსობაა თავისი სტრუქტურით)... და კიდევ რამდენი აესეთი წმინდა ევროპული ადგილები დასავლეთ საქართველოში?!

ძგუნტი.

„სტუდენტი“

წლის ბოლოში „პედაგოგიური მოსაზრებით“ (როგორც თვითონ მასწავლებლებმა გამომიცხადეს), მომცეს ატესტატი.

სიხარულით ფეხზედ აღარ ვიდექი. მოვაგროვე უკანასკნელი გროშები. და ვიყიდე დროთა ვითარებისაგან გახუნებულ სტუდენტის თუ ნიკოლოზის დროინდელ ჩინოვნიკის ქუდი... და ასე გასტუდენტებული ჩავედი სახლში. დედ-მამა სიხარულით ცას წვდებოდა..; მეც მიხაროდა, მაგრამ ჩემს სიხარულს მეორე დღესვე დაუსვა ჯვარი მამაჩემმა.

— შვილო შალიკო! — მითხრა მან, — წინეთ რომ მოათავებდენ სტავლას, იმ წუთსვე სამსახურში სტუცავდენ ხოლმე თავს: ან უჩიტლობდენ, ან ხუცესობდენ, ან კანდუქტორობდენ, ან მწერლობდენ, ან პრისტავობდენ; ერთის სიტყვით: სტავლას ცხოვრბაში იყენებდენ და მამას აღარ აწუხებდენ. შენ ახლე უკვე მოწიფული კაცი მყავხარ — სტუდენტი — იგლიგენტი;... შენისთანა იგლიგენტისთვის სახლში ჯდომა, თავად იცი, სასირცხვილოა. ხვალვე შეიკარი ბარგი და ჩეირბინე ბათომში, აი კომუნისტები სულ იმას ყვირიან, — ნასტავლი ხალხი გვჭირიაო და, შენ დაგინახავენ თუ არა, მაშინვე კაი ადგილს მოგცემენ.

ალბად კიდევ დიდხანს გასტანდა მამაჩემის დარიგება, რომ არ მობეზრებოდა და გარედ არ გავეარდნილიყავი.

— რა დროს ეგენია! ჯერ გავიარო ამ ქუდით, დაცენახო ქვეყანას თუ რა ბიჭი ვარ! მარგო რომ მეპრანჭებოდა აქამდე, ახლა მე მნახოს, — ხმასაც არ გავცემ...

მაგრამ... მეორე დღეს ჯერ რიგიანად არც კი გათენებულიყო, რომ შემომიტანეს ფუთაში გამოხვეული ორი კეცულა ქადი, ქულინტი ყველი და ჩემი ატესტატი.

— შვილო შალიკო — გადამეხვია მამაჩემი — ამ ერიდან შენი თავი შენ გაბარია. შენ იცი რავარც მოუფრთხილდები შენ თავს. ქალებს არ აყვე, ფულს წარა-მარა ნურსა გაფლანგავ... მეიქეცი ჭკუით. სამსახურში უცფათ არ შეხტე, — კარგად მეიფიქრე, — საცა მეტი გამოსარჩენი იყოს, იქანა შედი; ჯამაგირს ისთე ნუ დახარბდები, რავარც გამოსარჩენს. — აქ ცრემლები ვეღარ შეიკავა და სიტყვა გაუწყდა...

— შვილო — გადამეხვია ახლა დედა-ჩემი;

— ისე არ მეიქცე, რომ მერე აღარ გვიკადრო „დიდი ცაცი“ როცა შეიქნები, მშობლები არ დეივიწყო, ამაგი დაგვიფასე და ერთი სანიფხვე ჩითი მაინც გამოგვიგზავნე ხოლმე. მართალია: დიდი არაფერია, მარა შენი გამოგზავნილი შხამიც შაქრად შეგვერგება!...

ძლივს დავაღწიე თავი რჩევა - დარიგებებს და შეუუდექი დამოუკიდებელ ცხოვრებას...

როგორც მართლა მოწიფული ვაჟიკაცი, ფულისთვის აღარ შევაწუხე მამაჩემი და უბილეთოდ მოვიკალათე ბათუმის მატარებელში. მაგრამ ჩქარა დავიწყე აქეთ-იქით სირბილი... რევიზია მელოდა... ამ უჩვეულო ფაფუტურში, ჩემდა მოულოდნელად საჯეკეთხოში გადმომაბრძანეს. ;

— ქადი დამრჩა, ბატონო, ქადი — დაველრიჯე რეკიზორს, მაგრამ მან ყურიც არ გაიბერტყა, ჩამბარა სადგურის უფროსს.

მესამე დღეს ჩავედი ბათომში.

ამაყად გავშალე ატესტატი, ქუდი გვერდზედ მოვიგდე და პატარა რეპეტიცია გავაკეთე — თითქოს შრომის ბირჟაში ვარ:

— თქვენ ამხანაგო რა გნებავთ?

— მიბოძეთ რომელიმე ადგილი.

— გაქვთ რაიმე საბუთი?

— **ინებეთ!** — ვაძლევ ჩემს ატესტატს.

— მაშ დაამთავრეთ უკვე? თავისუფალი გახლავთ ნარკომვნუდელის ადგილი; გნებავთ?...

ისარგებლა

სურ. სურსკაიასი

— ჰა ეხლა კი მივხდი, თუ რა კარგი ყოფილა დაწყვა... ეს მურაბა როცა ზემო თაროდან ქვემოთ დასწიეს— ადვილათ მივწვდი და კიდეც ვიგემე.

— თუმცა არა ხელსაყრელია, მაგრამ რას ვიზამ, თანახმა ვარ. — ვაცხადებ ყოყმანის შემდეგ თანხმობას.

ამ ფიქრებით კიდეც მივსულიყავი შრომის ბირჟაში. მისვლისთანავე თავი მაღლა ავწიე და მივადექი პირდაპირ კანტორას...

— თქვენ, ეი ამხანაგო, რიგში ჩადექით;—ჩამავლო ვიღამაც კისერში ხელი და კინწის კვრით გამისროლა გარედ. დიდხანს ვეძებე რიგის ბოლო და ვიპოვე მეორე ქუჩის მოსახვევში.

— უკანასკნელი კაცი თქვენ ხართ, ამხანაგო?— შევეკითხე თავაზიანად რიგის ბოლოში მდგომს.

— უკანასკნელი კაციც თვითონ ხარ და უკანასკნელზე უარესიც. — გადმომიტრიალა თვალები უცნობმა ისე, რომ ფრჩხილის ოდენა პატივიც არ სცა ჩემს სტუდენტის ქუდს.

— თქვენ, ამხანაგო, იცით მე ვინა ვარ?—გავისწორე ქუდი და შევუბღვირე. უცნობმა ხელები დაიკაპიწა და ცუდად იქნებოდა ჩემი საქმე, რომ სხვებს არ დაემშვიდებიათ იგი.

მიუხედავად ასეთი მარცხებისა, მე გული მაინც არ გავიტეხე და ისევ ნარკომობაზე მოვყევი ოცნებას...

წარმომიდგა: თბილი კაბინეტი, მარგო რიღაცისთვის მოსულა, მაგრამ შეეიცარი არ უშვებს... სახლში თეთრი მიტკალი სანიფხვეთ გაგზავნილი... მხიარულება... ჩემი ქება::::

ოცნება აღმრიცხავის უხეშმა ხმამ დამირღვია:

— პროფ-კავშირის წიგნაკი გაქვთ?

გაეტრიალდი პროფკავშირში, აქაც უზარ-მაზარი რიგი, ატესტატმა არც აქ გასჭრა, რიგში ცდამ საღამომდე

დროს შერჩევა

სურ. ო. შლინგის.



— მამილო, მეც მიყიდე დოლი!
— მუშაობას დამიშლი!
— არა, არა, მე მაშინ დაუკრავ, როცა შენ დაგეძინება.

გასტანა... სამი დღე არაფერი მიჭამია, მაგრამ რა არის ეს სიმშილი იმ ბედნიერებასთან, რომელიც აქ მომელის? აქ ავიღებ პროფკავშირის წიგნაკსა, წიგნაკს მივუტან შრომის ბირჟასა, გამოვდებ ატესტატსა, ჩავუგდებ, ამოვიყვან თბილ სამსახურსა... ვლიღინებ ჩემთვის ბედნიერების მოლოდინში...

— ამხანაგო, გიმუშავიათ სადმე?

— არა! წელს დავამთავრე სასწავლებელი. — ამაყად მივუგე...

— სამუშაო წიგნაკი თუ გაქვთ?

— არაკითარი...

— მაშ ჯერ წადით, იმუშავეთ და მერე ჩაგრიცხავთ...

გამწარებული წავედი შრომის ბირჟაში; ბირჟამ პროფკავშირში გამომგზავნა, პროფკავშირმა ბირჟაში... ოფლი თქრიალით გადამდის, სიმშილი ცალკე მაწუხებს, მაგრამ ჩემს ადგილს მაინც არ ვანებებ თავსა, დედამიწასავით ვტრიალებ, ფეხის ტყავი ამძვრა, ქვაფენილიც კი გავცვითე, მაგრამ მუდამ ერთი და იგივე პასუხი:

— შრომის ბირჟაში... პროფკავშირი...

თავგალაყებული გავუდექი სადგურის გზას,,,

— შალიკო, ბიჭო შალიკო! — მომესმა ნაცნობი ხმა

— ოჰ, სერგო შენა? რავაა საქმე? რას მეტყვი ახალს! დღეს ჩამოხველ თუ?

— ჰა, ეს წერილი მამაშენმა გამოგიგზავნა; მეც აქ პაწიე საქმე მაქვს და ახლავ მივალ.

გამოვართვი წერილი და დავიწყე კითხვა:

„შვილო შალიკო! ჭკუით იყავ, თავს მოუფრთხილდი, ფულს წარა-მარა ნუ გაფლანგავ, ქალებს ნუ აყობი, სამსახურში კარგა დაფიქრდი; ისე იეფ-ფასიანში არ ჩადგე. თავი არ შეიკრა, შენი დიპლომი სხვისას თუ არ ჯობნის. ნაკლები არაა...

მეტის მოთმენა კი აღარ შემეძლო, სიმშილმა თავისი გაიტანა და მაშინალურად გამიყენა ნურიას გზისკენ... „გავაპრადალე“ სტუდენტური ქუდი და საღამოს მამაჩემს ვესტუმრე სახლში...

დიდხანს იყო ჩემზედ გულ-მოსული. მაგრამ რას იზამდა? მაინც შევრიგდით. ახლა? ახლა მიკავია უზარმაზარი თოხი ხელში და ვუბაგუნებ მიწას... ხოლო ჩემი ატესტატი კი დედაჩემმა ღვთის მშობლის ხატის გვერდით მოათავსა.

— დრო მოვა და დაფასდება უწინდებურადო! — დარწმუნებით ჩამილაპარაკებს ხოლმე მამაჩემი...

„ნეტარნი არიან მორწმუნენი“.

იგი.

ნასწავლი ოჯახი

— ეეს, �ამანაკ, ამანაკ!.. ახარ პარუნ ფარსადან, არც ასეთი უჩონი შვილები ვარგა და!?. ჩემ გოგო-ბიჭებს რო უყურეფ, ტვინის ღიტინი მამდის, გულში ზარავანდი გროვდება, ჯიგარი ჩიჟი-პიჟივიო მეხარშება: ეს ლუპუსტცები ისეთი ჰიბრეული რაღაცეებს შერებიან, რომა ჩემი სახლი საგიჟეთი მგონია, ისინი კი ეკეკეკეივით ჩამძახიან: ასმა განათლებაა, სწავლაა, ნაუკაა, პროგრესიაო მააშ!..

ოთხი შვილი მყეს, ამათგნით სტარში თექვსმეტი წლისაა, უნცროსი კი სამი წლისა და შვიდი კვირისა შა სრულდა—ყველანი შკოლნიკები არიან. ვა, ყაზაზ ვართანას შვილი-შვილები და შკოლნიკები?..

ჩემი უფროსი ბიჭი, მუტრუკ-არშაკა, ეხლა უჟე ღემნაზიას ათავებს და ჩამციებია—გინდა თუ არა, სუდენტების შკოლაშიც ენდა შევიდეო, იქ წერა-კითხვა ყარქათ უნდა ვისწავლოო და ჰუზურში შეიძლება ნაუჩნის პრაფისორიც გამოვიდეო.

ვებნები:—ახმახ-ლუპუსტაც, სუდენტობა რაღათ გინდა, შენ რომ ჰუნარი გქონდა, ცხრა წელიწადი შკოლაში ხარ, აქამდისინ წერა-კითხვასა და რუსულს ვერ ისწავლიდი? ჰამაც ანგარიში და ნუმრის ცნობა არ გეცოდინებოდა? ზნაჩიტ რომ მაგ საფქვილე თავში არაფერი შადის, თოღ შენთვის იყავი, ვაკრობა ისწავლე, ცხოვრებისთვის იფიქრე—მე როდემდის უნდა გინახო მეთქი?

ბან ჩუნის? ძაან გაჯავრდა:—ასმა შენ სულ ვაკრული არშინითა ზომავ ყველაფერსაო, რას წუწურაქოფ? რაც რომ იმენია გაქეს, სულ შვილებზე უსდა დახარჯოო! ჰამაც თუ ჩვენი სწავლა გშურს,შენც შადი ლიკსკოლაში, ან რაფაკში და შაიძლება ნიჭი გამოგანდეესო. ყიყვიანი ხაჩატურა შენზე ხნიერია, ჰამა იმან უჟე ლიკსკოლა გაათავა და ეხლა ანაბაჯის ლექსებსა ცა ყარამანიანს სულ გრამაფონივითა კითხულობსო. ბოლოს კი მებნება—იცოდე აი პაპაჯან, მე ამ საკითხს უჩკომში დავაყენეფო და როგორ რეშენიასაც გოვიტანთ, შენც ისე ძაიქეციო!

ვებნები:—ბიჭო, შე არ გასაზრდელო, ჯერ ერთი ეხლა არშინებზე ნუ მელაპარაკები, რადგან არშინი მოდნაში აღარ არი—მეტრია, ეგ რომ „გოსვესმა" გაგიგონოს, შტრაფს დამარტყამს მეთქი... ჰამაც სუდენტების შკოლა რა შენი მაზაა, კანც იქ არ წახვიდე. ლიკსკოლაში შახვიდე ჰაზირ?.. გაცხარდა, აიფხორა და დამემუქრა:

— ეხლა კი ნეპრემენი სამქეა, უჩკომში კიდეიარ საჩიველლათაო!..

რაო, ახპერ, ფარსადან, რას მებნები? უჩკომი არ იცი რა არი? ვა, მაშ როგორ გაიგეფ ჩემს უბედურებას თუ ეგ არ გაგაგებინე? ყური დამიგდე, ჯიგარი დამაყარე, ჩემს პალაკენიაში შადი და ცოტა ხანს შიგ დარჩი,—მაშინ გაიგეფ გულში როგორი პაჟარი მაქვს, რომელსაც ბერიძის პაჟარ-კამანდაც ვერ აქრობს:

უჩკომი არის კომუნისტური სიტყვა: „უჩენიჩესკი კამიტეტ"... ძალიან სტროგი უჩრეჟდენიაა. თავისი პრეცედატლით, სეკლეტრით რამით მაშ!..

ეს უჩკომი ჩემმა გოგო-ბიჭებმა შაადგინეს სახლში. პრეცედატლათ მუტრუკ-არშაკაა, სეკლეტრათ, პუჭურ ბაღდუა სულ პატარა ბიჭი რაღა, რომელიც რომ სამი წლისა და შვიდი კვირისაა, ჰამაც იმათი ატვესტვენი ზამი ჩემი შუა გოგო ჰაიკანუშაა, იმათი პასტაიანნი ჩლენ-კალეგია კი კოკლი მარუსა (ისიც ჩემი გოგო).

იმათი შიშით სახლში სიტყვა ვერ გვითქვია, რასაც მოინდომებენ, საბრანიას გააკეთებენ, რეჩებს იტყვიან, რეშენიას დაადგენენ და გამამიცხადებენ:

— პაპაჯან, უჩკომის პლენუმმა დაადგინა ახალი გაშმაკები გვეყიდო, უჩკომის დადგენილებით პრაჟიხტორის და ტრიატის ფული უნდა მოგვცე. უჩკომი ფლანსა გიხოვს, უჩკომი ფსტანს გავალებს!.. და მეც... რაღა ჯახპრუ-დოზანას ვიზამ, მეტი რა ილაჯი მაქვს? ბესპრეკა სლოენათ ვემორჩილები!..ერთხელ გავბრაზედი და გაუჯიბრდი: სკოლის უჩკომში მიჩივლეს, იქიდან კლასკომში გადაიტანეს, მერე სკოლკომში—და ამტოლი „კომები" მატარეს, სანამ კომისარიატის პადვალი არ მაჩვენეს. იმას მერე ვეღარაფერი გამიბედნია.

ეს რომ ნახეს, უფრო სტროგათ მამიჭირეს. პუჭურ ბაღდუაც კი თავის ნებაზე მატარებს: ვთქოთ, მებნება

— პაპაჯან, მულაბა მინდა!..

— გაჩუმდი შე არ გასაზრდელო!

— მაშ უჩკომში ზაიავლენიასა ვქნავ!

— ჰაა, მოდი ჩაცეცხლე, ჰამაც ხილს გიყიდი, ფაიტონით გაკატავეე, ოღონდ უჩკომთან ხმა არ ამოიღო მეთქი!...

აი ფარსადანჯან, უჩკომი ეს არის, ღმერთმა გადაგარჩინოს იმისთანა უჩკომებისგნით.

მერე სწავლას აღარ იკითხავ? აქაც ახალი მოდნაა: ასმა —კომპლექსიჩესკი მეტოდიო!.. იცი რა ყოფილა კომპლექსი? ეს ის ყოფილა, რომა ბავშსა უჩიტელი კი არ ასწავლის, ყველაფერი თვითონ უნდა ისწავლოს. თითონ რაც უნდა ის უნდა გააკეთოს: თუ უნდა ტან-გახდილი ივლის სკოლაში, თუ ხოში ექნება, სახეს გაიმეურავს და კლასში ყირაზე დადგება, ხელებით ივლის, ფეხებით საჭმელსა სჭამს, სტეკლოებსა და ჭურჭელს დაამტვრევს, თაგვებსა და ხვლიკებს დაიჭერს და ლოგინში, ან ტანისამოსში შეშოგიძვრენს და აგაფორიაქებს. სლოვომ რაც უნდა, იმას გიზამს—ყველაფრის პოლნი პრავა აქვს მოცემული. ეს არის სწავლა,—თურმე ამით უფრო ნამდვილი რაზვიტია მოსდის ბავშვის ტვინსა: რის წიგნი, რის აზბუკა, რის აბრაზვანია? ყველაფერი ნულია, ბითურია დიფვოჩინჩ ჩიეღელ ელი, კამპლექსის მეტოდი ნამდვილი ნაუჩნი განათლებაოო.

ახარ, მე რომ რაზუმენია ვშვრები, ჰუზურში მამლების ჩხუბი და ყოჩების ჭიდაობაც კომპლექსიჩესკი განათლება ყოფილა. იარმუკის ბიჭების ანგლობაც ნაუჩნი ვასპიტანია გამოდის რაღა—გინდა დაიჯერე, გინდა ნუ!... ერთ პრიმერს გეტყვი:

ამასწინათ ჩემი ცოლი შუშანას მენენიკი იყო, სტუმრები გვყავდა. საღამოს ჩაის შემდეგ, ზალაში ვმასლაათობდით, გოგო-ბიჭები კი სტალაოში თამაშობდენ. გუფეთის შკაფში თაგვი იცოდა და ხაფანგსა ვდგამდით. ნეჩაინათ ჩხაკუნი გავიგონე. პუჭურ ბაღდუა იძახის:

— ტაკარიშჩი, ნაში მიშელოვკა, ბალშოი წრუწუნ პა იმალო!.. მე იქიდან ვეძახი:

— კატას მიუგდეთ, ბიჭო, კატას, ეგ ბუმერაზი პრავიზიას რო გვიფუჭებდა მეთქი... მერე ერთი ხუთი მინუთით ნუჟნიკისკენ გავიარე.

იქიდან რო შემოველ, სახლში ერთი ყალმაყალი, ჟრიამული, წიკვილ-კივილი მხვდება; ვხედავ პოსლიკ ღაღუას ცოლი გულწასული გდია, ლოხმანცკის კაპლების პუზირკას ასუნეკინებენ,—არის ერთი ბაბანი—ქალები დარბიან, გიჟებივით კაბებს იწევენ და იძახიან:

— მიშველეთ მე შამიძვრა, არა მე შამიძვრა, აი ახლა მიძვრებაო!.. კარებში კი პუჭურ ბაღდუა და ჩოლახ მარუსა დგანან და სოციალისგნით იფხრიწებიან... ვებნები:

— დედაკაცო, ხალხო, სტუმრებოჯან, რა დაგერიათ, რა გიძვრებათ. რაშია საქმე?

— ბაღდუა თაგვებს ათამაშებდაო, გამოიყვანა, დაგვიჭირა და კაბების ქვეშ შაგიიძვრანაო, ღაღუას ცოლ ოსანას ისპუგისგნით გული წაუვიდაო... მეთქი

— როგორ თუ წაუვიდა?

— ისე რაღა, შიშისგნით ნეჩაინათ გული წაუვიდა და ლოხმანცკის კაპლიც ვეღარ შველისო... დოხტურს დაუძახს... მეც გავჯავრდი და ამ ბაღდუას ყურები აუწიე:

მეთქი—შე ძაღლის ლეკვო, ეგ რა შალოსტი გიქნია, ეგ არის შენი უჩენიკობა? იმან დაიწყო ტირილი და მეძახის:

— ატ იმენი უჩკომა ია პრატესტუიუ, ვი ვსე სტარი ზაკალი, სტარი რეჟიმ, კონტრ-რევოლიუცია, ია ვამ პაკაჟუ გდე ზიმუიტ ჩერეპახაო, მე კომპლექსი მქონდა მოცემული თაგვის ხარახტერი და ფსიხალოგია უნდა მესწავლა და თქვენ კი მიშლითო? უჩკომში მიჩივლა, იმათ უჩიტლაბთან გაიქცენ და მეორე დღის ნახევარი დუჟინი უჩიტ-

„გაუგებრობა“

უცხოეთში

ჩვენში

სურ. ო. შლინგი



— კაპა, რატომ წითელი ჯვარი!? წითელი ხომ კომუნისტური ფერია?!

— მამილო, რატომ წითელი ჯვარი?! ჯვარი ხომ მატყუარა ღვდლებს ჰკიდიათ გულზე?!

ლები თავზე დამაყენეს. იმათ დიდი ზამეჩენიები მამცეს. ამიკრძალეს ამისთანა ფინთი სტროგობა აღარ გამოიჩინოო. ბავში თავისუფლად უნდა გაიზარდოსო. ეხლა ძველი რეჟიმი აღარ არისო.

იმის მერე როგორღა მივქარავ რამეს და იმათ საქმეში ჩავერევი? ვითმენ რაღა, კამაც-კამაც ცეცხლში ვიწვი და უცდი თუ როდის გაათავებენ ამ ღემნაზიებსა და ტოუდმკოლებს. გადაწყვეტილი მაქვს—დიდი ბიჭი სუდენტების სკოლაში აღარ გაუშო.

ეხლა ეგზამენიებსა შვრება და მეც ძალიან ეჩალიშოფ, ვშველი,—თითონ ბედასლი და რეგვენია, თითქმის წერა-კითხვაც რიგიანათ არ იცის, რუსული და ლათინური ხომ ინჩი არ ესმის. მებნება ერთი უჩიტელი ვინმე უნდა ვიშოვო და იმან შპარგალკები დამიწეროსო. თურმე შპარგალკა ნაიზუსტნათ დაწერილი ქაღალდი ყოფილა.

ვებნები—ბიჭო, შენ თელეთეი ხომ არ გაწვალებს, თუ გინდა, მე დაგიწერ კოპიოს და იქ ჩააბარე შეთქი. ბარჯიმნობა დაუწყე და გადაუწერე ერთი აფთიაქის ენაზე დაწერილი რამე: „ჰომო. ჰომინის ლუპუს ესტ“.

ჰომო,—ზნაჩიტ თომა მეთქი, ჰუზურში აქ თომას გინებაა და გამოდის:—„ეს თომა, იმ თომაზე ლუპუსტაცია!“ დაუწერე და მივეცი. კამაც ერთი პერესკაზი დაუწერე: „პაპრიგუნია სტრეკაზა“-ს ეტყვიან:

— მეთქი ერთმა სტრეკაზამ მთელი ზაფხული იფულავა, ჭიანქველამ კი ზამთრის პრავიზიის ზაპასი შეაგროვა; როცა სტრეკაზას მოშივდა მივიდა და ებნება:—თუ ძმა ხარ, შენთან შამამიშვი, შიმშილისგნით ჯიგარი მეწვის, ერთი ჯიგრიანი ზაკუსკა მაჭამეო. ჭიანქველა კი გაუჯავრდა და ებნება:

— შე ჰარამზადიშვილო, ზაფხულში რო აგიღია თავი და უნამუსოთ დარბიხარ, გემუშავნა რაღა, პრავიანტიც გექნებოდა და ბინაც, არ იცი, რომ კვარტირნი უპლატესხიების წესი მოისპო, აქ სად მეჩრები?—წადი ეხლა და ბაღდანდური იტანცავეო...

არა რომ ჯიგრიანი პასუხია ფარსადანჯან? ის ბემურაზი ჭიანქველა, პირდაპირ ადვაკატი ყოფილა რაღა... ჰო, იმას გებნებოდი, ეს შპარგალკა მიმიცია, დღეს ეგზამენიაზე გამიგზავნია, რაზუმეიცა რომ ნა „ფრიადზე“ ჩააბარებს. მერე დახლში ჩავაყენეფ, ჩოთქსა და მეტროს ხელში მიეცემ, სუდენტათ აღარ გზვგზავნი. ისედაც ჩერესჩურ ნასწავლი ოჯახი მყავს.

ფარსადან.

სანიმუშო გაკვეთილი

სცენა სოფლის სკოლაში

მასწავლებელმა სკოლის გამგეს სთხოვა დასწრებოდა მის გაკვეთილს. გამგე სიამოვნებით დაეთანხმა. ზარის დარეკის შემდეგ დაიწყო გაკვეთილი.

მასწავლებელმა ამოიკითხა მოწაფეები, და გაუხარდა, როცა მხოლოდ სამი მოწაფე აკლდა, რაც პირველი მაგალითი იყო მის ცხოვრებაში.

— ალბად დღეს ყველაფერში გავიმარჯვებ! გაიფიქრა მან და ერთ მოწაფეს შეეკითხა:

— ციანგლიანიძე, აბა, წამიკითხე თუ სად გაჩერდით გუშინ?

— სად გავჩერდით, მასწავლებელო, და აი აქა:

ჭკუა უხმარ არს ბრიყვთათვის,
ჭკუა ცოდნით მოიხმარების!

მასწავლებელი: კარგი; დაჯექი. აბა, ყური დამიგდეთ: ვინ არის ჭკვიანი და ვინ არის ბრიყვი?

მოწაფეები: (თითს სწევენ): მე ვიტყვი, ბატონო, მე.

მასწავ.: აბა, შენ სთქვი!

მოწაფე: ჭკვიანი არის სტეფანე სიკინჭილაძე: მას აქვს ბევრი ფულები; ოჯახი კარგი აქვს და ბაღაზია სავსე აქვს საქონლით.

მასწავ.: რას ამბობ?! მარტო ის არის ჭკვიანი, ვისაც ფული აქვს და მდიდარია?!

მოწაფეები: (ერთხმათ): დიახ! მასწავლებელო, დიახ! ვისაც ფული აქვს და მდიდარია, იგია ჭკვიანიც.

მასწავ.: თქვენ ცდებით. ყური დამიგდეთ... მე ვიცი ერთი მასწავლებელი; ორმოც წელზე მეტია, რომ სოფლის სკოლაში მასწავლებლობდა; ჯამაგირი მცირე ჰქონდა, — პურით ძლივს აკმაყოფილებდა ოჯახს; სკოლის გარეშეაც შრომობდა, — და სამ შვილს უმაღლესი ცოდნა მიაღებინა; მისი შვილები ეხლა სამივე კარგ სამსახურში არიან. მართალია: თვითონ მოხუცდა, მაგრამ მასწავლებლობას მაინც არ ანებებს თავს; ნივთიერად ეხლაც ვერ არის მაინც და მაინც უზრუნველყოფილი... აი ეს კაცი, როგორი კაცი ყოფილა: ბრიყვი თუ ჭკვიანი?!

მოწაფეები: ბრიყვი ყოფილა, ბატონო. ბრიყვი.

მასწავლებელი: ცდებით!

მოწაფეები: სულელი ყოფილა!

მასწავლებელი: არც სულელი.

მოწაფეები: აბა, აბდალი ყოფილა.

მასწავ.: გაჩუმდით! არაფერი არ იცით! მეორე მაგალითს მოვიყვან კიდევ და ყური დამიგდეთ:

არსენ წითლიძემ ორმოცდაათი წელიწადი მასწავლებლობაში გაატარა. თავისუფალ დროს მოზრდილებსაც უფასოთ ასწავლიდა წერა - კითხვას; უარსებდა სოფელს სამკითხველოს; ერთი სიტყვით, სოფლისათვის თავდადებულად მუშაობდა და კარგი საქმეც გააკეთა. თავისათვის მას ქონება არ შეუძენია, და ეხლა, როცა ის ღრმა მოხუცია, ისევე ღარიბულად ცხოვრობს, როგორც უწინ ცხოვრობდა. აბა, მითხარით: როგორი კაცი ყოფილა არსენ წითლიძე?

მოწაფეები: ბრიყვი ყოფილა, მასწავლებელო.

მასწავლებელი: არა.

მოწაფეები: სულელი... აბდალი...

გამგე (ჩუმათ მასწავლებელს): თქვენ იმგვარად ეკეთება, მოწაფეებს საკითხს. რომ, მგონი. ჩვენში რაც საზოგადო მოღვაწეებია. ყველას სულელათ მონათლავენ. სხვა მაგალითი ეთხარით.

მასწავლებელი: (მოწაფეებს): აბა, სმენა იყოს... ივანე ნიკოლოზის დროს კარგად ცხოვრობდა, რადგან მაშინდელ მთავრობის მონა - მორჩილი იყო. ჩამოაგდეს ნიკოლოზი და მენშევიკები მოვიდენ. ივანე მენშევიკების პარტიაში შევიდა და, რა თქმა უნდა, მაშინაც კარგად ცხოვრობდა, რადგან დიდი თანამდებობა მისცეს მას. ეხლა, როცა მენშევიკები ხალხმა გარეკა და ბოლშევიკების მთავრობაა, — ივანე ეხლაც კარგად არის; მან მოახერხა და პარტიაში კანდიდატათ შეძვრა. აბა, მითხარით, როგორი კაცი ყოფილა ივანე?

მოწაფეები: დიდი ჭკვიანი... დიდი ჭკვიანი!

მასწავლებელი: (თავისთვის): რა ცეცხლში ჩავარდი! რაც ქვეყანაზე გაიძვერა და უსინდისო ხალხია, იმას ჭკვიანს ეძახიან, — ხოლო პატიოსან ხალხს კი— ბრიყვს და სულელს. (მოწაფეებს): ცდებით! თქვენ არაფერი არ იცით! ცდებით!

მოწაფეები: არა, მასწავლებელო, ჩვენ არ ვცდებით.

მასწავლებელი: (გამგეს): თქვენ სცადეთ; ეგებ მიხვდენ.

გამგე. (მოწაფეებს): წელან თქვენ სთქვით არსენ წითლიძის შესახებ, რომ იგი სულელი და ბრიყვიაო...

მოწაფეები: დიახ! მასწავლებელო, სულელი და ბრიყვია...

გამგე: სრულებითაც არა.

მოწაფეები: აბდალია, აბდალი.

გამგე: ცდებით, სასტიკათ ცდებით, ყმაწვილებო!

მოწაფეები: აბა, გადარეული ყოფილა. გადარეული.

გამგე: დაჩუმდით!

მასწავლებელი: (თავისთვის): ამან გადარეულიც დაამატებია! ჩემთან აგი მაინც არ უთქვამთ!?

ამ დროს ზარი დარეკეს და უხერხულ მდგომარეობიდან ე. ი. სკოლის დარბაზიდან ეზოში გამოვიდენ.

ქვიშნარელი.

გასცა

სურ. **რევაზის.**

მამილო, ძია ვანოც ცემი მამა კოფილა ჭომ?

— არა, შვილო! იგი შენი ძია არის და ჩვენი მეზობელი.

— აბა, ლოცა სენ სინ ალ ხალ, ლატომ კოცნის დედიკონას სენსავით!?

ᲒᲐᲒᲠᲘᲣᲕᲔᲒᲐ

ჩემი შვილი
მიწის მუშათ მინდოდა.
თოხ-ნამგალით
წავიდ-წამოვიდოდ
მაგრამ ცოლი
ამეხირდა ეულ
მუშტის ქნევით
მეუბნება წყეული:
„ვერ მოგართვი,—ჩემი შვილ
გახდეს ყანის მცველადა!
სოფლის ვინ ე ვიგინდარა
ეგდოს მინდორ ელადა.
უნდა გახდეს ინჟინერი,
გაახაროს ყველა ერი
და ჩვენც გავხდეთ ბედნიერი
რას მიქვიან მიწის მუშა!“
ერთიც მაგრათ შემიკურთხა
და განზრახვა ჩამიფუშა.
მეც გავბრიყვდი:
მივაბარე სკოლაშ
(ვინ მჯობია
გლახა ცოლის ყოლაში).
პირველ ხანათ
საქმე წინ მიდიოდა:
ყველა ჯგუფში...
მედგრათ გადადიოდა.
მაგრამ დიდ ხანს
ეს სოფელი გაახარებს
ვისმეს განა?
გაუქირდა მას ალგებრა,
„ზადაჩა“ და გამოცანა...
დარჩა სამჯერ...
აღარ არის ეს კეთილი,
გაპოროტდა, დაავიწყდა
„უჩიტელი“, გაკვეთილი..
დედა ღელავს, დაეკარგა
მოსვენება და ღრმა ძილი,
(ძველი არი,—სიყვარულში
გაწრთვნილი და გამოცდილი)..
—მაგ ბიჭს ვიღაც შეუყვარდა,
„გულში დარდათ ჩაუვრდა“,
დროა ხელი ჩვენც შეუწყოთ,
არავინ გვყავს მაგის გარდა...
ასეთია ჩემი ცოლის
ბრძნული ფოლოსოფია;
დღეს მას ყველა იზიარებს:
დარო, მარო და სოფია...
მაგრამ ჩემს შვილს
არ დასცალდა ქორწინება:
ერთხელ მაგრათ მასწავლებლის
ხან მობეგვა რომ ინება,—
ვადიკარგა სადღაც ტყეში...
ბოლმით აღარ მეძინება...
ყველასა გთხოვთ:
მომიძებნოთ ჩემი ბიჭი
აღარ მინდა მისი სწავლა,
გონება დ ჭკუა, ნიჭი.

გრი.

ᲣᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲜᲘ

სურ. მარიაშ...



— ვასკა, წავიდეთ აქედან! ხომ ხედავ გოგოებს შარვალზე ჯიბე არა აქვთ!

„ᲐᲕᲢᲝᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ“

„უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწიაო სწორედ ჩემისათანაზე არის ნათქვამი.

არ იქნა და ვერ მოეწყო ჩემი საქმე.

ქვეყნისთვის გათენდა, ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა და მე მაინც არაფერი მეშველა.

ნიკოლოზის დრო იყო და ნახევარჯელ ციხეში ვიყავი, ვინ იცის რამდენი საქალამნე ტყავი მაქვს გადამძვრალი ჟანდარმების სქელ კუდა მათრახისაგან.

დაჰკრა განთავისუფლების ჟამმა და ვიფიქრე: ახლა კი გათენდა ჩემისათანა ტახჯულისათვის მეთქი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ!

პირველ ხანებში, იცოცხლეთ მეც დიდ დორანში ვიყავი, მაგრამ წითელმა ტალღამ გაიარა თუ არა, მენშევიკების დროს რამიშვილმა მითხრა:

— რაც ხეირიანი რამ ადგილები იყო, უკვე ჩემიანებს გავუნაწილე; შენთვის სხვა ადგილაფერი დარჩა, გარდა მასწავლებლობისა; ესეც ეხლა მაქვს, თორემ მერე აღარ მექნებაო.

სხვა გზა რა მქონდა,—მასწავლებლობას მოვკიდე ხელი.

მართალია ჩემი მატერიალური მდგომარეობა ჯოჯოხეთური*) იყო, მაგრამ ადგილობრივი სოფლის ღვდელი ისეთი გულკეთილი გამოდგა, რომ სრულიად უსასყიდლოთ დამითმო როგორც ბინა, ისე სასმელ-საჭმელი.

მაშინ დემოკრატიული სახელმწიფო სამღვდელოებას დიდ ანგარიშს უწევდა.

ამ გარემოებას უნდა მიეწეროს, რომ საკურთხის საკითხი ზედმიწევნით იყო მოწესრიგებული და ჩემი ღვდელი ყოველ შაბათობით დატვირთული ბრუნდებოდა სახლში.

*) იმედი მაქვს ტარტაროზი არ გამიწყრება, ვინაიდან მე მაშინდელი ჯოჯოხეთი მაქვს მხედველობაში და არა „ტარტაროზი„-ს დღევანდელი სამფლობელო...

ასეთმა ცხოვრებამ სრულიად გადამავიწყა ჩემი მდგომარეობა და ერთ ნაცრის ფერ დღეში ღვდელს სიძეთ მოვეკიდე.

ღვდლის თორმეტ ქალიშვილში, რომელიც კარგი იყო ამოვარჩიე და... ჩემი ცხოვრება ბედნიერი გახდა.

ბოლშევიკებმა გარეკეს მენშვიკები.

დაიხურა ეკლესია; ვიღას უნდა შენი მღვდელი; სოფელი სასაცილოთ იგდებს... მღვდელი თავისი თერმეტი სულით ჩემი სარჩენი გახდა...

ანდა კარგი რამ დამემართებოდა მღვდლის გადამკიდეს.

ყოველთვის გვპირდებიან, მაგრამ იმედი მაინც არა მაქვს.

ცხონებული დედაჩემი თურმე მართალს ამბობდა ჩემზე:—შვილო, ძალიან გლახა თვარეზე ხარ დაბადებული და შენ ვერასოდეს ვერ გაიხარებ.

ᲖᲐ. ᲒᲝᲠᲘᲡᲔᲚᲘ.

ყურ-მოკრული

— კაცო, რა ყოფილა ეს ტარტაროზი?! რაებს არ ჩადის?! ვის არ დასცინის?!

ეხლა უკვე მთლად დაჰკარგა ნამუსი და სინდისი. ამ მასწავლებლებს რას ემართლება? რა უნდა აიღოს სასაციროთ? ავიღოთ, მაგალითად, ჩვენი სოფლის მასწავლებელი მიხა ნარეშაძე. იმისანა უჩიტელი, ტყუილი რომ არ ვსთქვა, თუ საქართველოში არა, ჩვენს მაზრაში ვერ ეპოვნი დღისით. სანთლითაც რომ ეძიო მაინც. მაღალი, ლამაზი, მსმელი, კაი დამრტყმელი, ქალიშვილების მუსუსი, პატიოსანი და ნიჭიერი.

რა სთქვი? პატიოსანი და ნიჭიერი არ არისო? დანარჩენ! ხომ ეთანხმები? აბა, მაგასაც დაგიმტკიცებ!

წარშან, სადაც ეხლა ის დასაქცევი კოოპერატია არის, იმ შენობაში მე დუქანი მქონდა. ვეაქროწდი ცოტ-ცოტას: მარილი, ღვინო, არაყი. ჩემი შვილი კოწია მეორე ჯგუფში იყო. და მესამეში გადადიოდა. ერთ მშვენიერ ღღეს გევიხედე და შამეკიდა ჩემს დუქანში მიხა. დალია ჩვეულებრივ ერთი ლუკმა არაყი და მითხრა, რომაო,— შენს კოწიას მოუარეო, თორემ ზარმაცობს და ჩარჩებაო. ბ-ვანი ბიჭია და არ დაიღუპოსო.

მე დიდი მადლობა უთხარი გაფრთხილებისათვის. მესამე თუ მეოთხე დღეს რაღაც უქმეები იყო და გაუგზავნე ჩვენ მიხას ჩემი ეფროსინეს გაკეთებული: ათი ცალი ხაჭაპური, ერთი შემწვარი გოჭი, რამოდენიმე მგერალთ მოხარშული დედალი, ორი ჩაფი ღვინო და სხვა რაღაცეები.

წარმოიდგინე, კ-ცო, რომ ჩემ კოწაიმ იმის შემდეგ ზარშაცობას თავი დაანება და გადავიდა მესამე ჯგუფში უეგზამენოთ. დროზე რომ არ ეთქვა, ხომ ჩარჩებოდა ჩემი კოწია იმავე ჯგუფში! მაგრამ პატიოსანი კაცია ჩვენი მიხა, და შენ კი არ გჯერა.. ხომ დარწმუნდი ეხლა, რომ პატიოსანი ყოფილა?!

ეს ერთი ხომ დაგიმტკიცე, ეხლა რომ . ნიჭიერი და მოსაზრებიანია ჩვენი მიხა, ამასაც დაგიმტკიცებ.

ელიზბარს ხომ იცნობ. მისი ქალიშვილი მიხას მოწაფე იყო. რაც მართალია—კაი გოგონაა. ჩვენს მიხასაც მოეწონა, უთხრა ნინოს—მომწონხარო. იმ შტერ გოგომ არ იცოდა ნასწავლი ახალგაზრდების ამბავი, რომ გათამაშება უყვართ ხოლმე და შერთვა კი.... იზვინაიტე. კი არ მოტყუულდა!

ერთ საღამოს მიხა ჩემს დუქანში ზის და ჩვეულებრივ ქეიფობს. ამ დროს შამოვარდა ელიზბარი ნაჯახით ხელში. რომ დაინახა მისამ ელიზბარი, რომელიც ყვიროდა:—აჰა!!! შე ავაზაკო, შენა! ჩემი ოჯახის დამღუპველო!—ადგა, გაიცინა და ღიმილით უთხრა:—გული ნუ მოგდის, ჩემო ძვირფასო სიმამრო, ნინო მე მიყვარს და აუცილებლად უნდა ვითხოვო. დაგდე ნაჯახი და მოდი ჩემთან—შენს სიძესთან და დალიე ერთი ჭიქა ღვინო. ელიზბარი გაქვავდა, ხომ იცი, უსწავლელი კაცის ამბავი. გაქვავდა. არ იცოდა, რა უნდა ექნა. ერთი სიტყვით, იმ ღამეს ელიზბარი ძალიან დათვრა ჩემს დუქანში მიხასთან, რომელმაც მიაცილა იგი მის სახლამდე. მე მეგონა, თუ სისხლი დაიღვრებოდა ჩემს დუქანში და იმის ნაცვლად ზრავალჟამიერის ძახილი იყო. ამასაც ნიჭი უნდა! სხვა როდი მოახერხებდა მაგას.

იმის შემდეგ ელიზბარი და მიხა ხშირად ხვდებიან ერთმანეთს და ესალმებიან. როცა ელიზბარი ჰკითხავს მიხას: როდის ვქნათ ქორწილიო, ის პასუხობს—როცა უნივერსიტელს გავათავებო... კაი ხანი გავიდა მის შემდეგ და ქორწილზე არც ელიზბარი ლაპარაკობს და მიხა ხომ თავიდანაც არ ფიქრობდა. შერჩა სახვევით. შეარგოს ღმერთმა! ნიჭი აქვს და მოხერხება. ინტერესით თუ ვინმე იტყვის მიხაზე ძვირს, თორემ ყოველნაირად კარგია.... რას გაჩუმებულხარ? ხომ მეთანხმები? მაშ!

წადი ეხლა და გაცინე უჩიტლებს. ნეტავი ვიცოდე, რას დაწერს „ტარტაროზი", როცა არასფერი არ არის დასაწერი... და რას გეტყვი იცი: თუ იგი მართლა აპირებს ეს ნომერი გამოუშვას მხოლოდ უჩიტლებზე,—მერწმუნე, რომ ის [illegible] არ გამოვა, ვინაიდან ამ საკითხზე ტარტაროზი მ[illegible] იშოვნის, ვერა... დღისითაც სანთლით.

ელვა.

იმედი

ორ. დონის!



— კაცო, არ იცი რა მოარბენიებს ამოდენა ხალხს?

— როგორ არა! ა მხალხს, კაცო, მართლაც, თუ უშველის რამ ისევე სოციალიზმი უშველის. ამიტომაც მორბიან, რომ მალე მიაღწიონ მას! თუ ბიჭი ხარ და ნუ ირბენ!

„სწავლობენ“

„გაკვეთილების შემდეგ სკოლიდან სახლში მიმავალი მოწაფეები ცუდათ იქცევიან გზაზე“. (თვალნახულიდან).

სურ. ო. შლინგის.

— გამარჯობა შენი ვირების დედავ!
— აი გაგიმარჯოს, ჩემო შვილებო.

თამრიკოს ოინები

თორმეტი წლის თამრიკომ დილით თმა დაიხუხუჭა, შემდეგ მანიკიური გაიკეთა, შემდეგ სახე შეიფქვილიანა ლორიგანის პუდრით, შემდეგ ტუჩები შეიღება წითლად, გაიმურა თვალის ძირები, წამწამები, წარბები რაღაც ნელსაცხებელით და წამოავლო ცალი ხელი წიგნების აბგას, ხოლო მეორე ახალ მოდის წითელ რედიკულს, რომელშიც მოწყობილი იყო სარკე და მთელი ტუალეტი ქალისა.

— რათ გინდა გოგონა წიგნები?— ჰკითხა გაკვირვებით სოფლიდან ჩამოსულმა სტუმარმა.

— როგორ თუ რათ მინდა! სკოლაში მივდივარ და რათ მინდა წიგნები?!

— მე კი ისე მეგონა, თუ სადმე ქორწილში მიბრძანდებოდი დედოფლის „პადრუგად“.

თამრიკომ ჩაიცინა, ტუჩებით დაიფრუტუნა და საჩქაროდ გასწია.

სანამ კლასში მივიდოდა, თამრიკომ სამჯერ-ოთხჯერ გაშალა რედიკული, მიასწორ-მოასწორა თავის სახეზე პუდრითა და ნელსაცხებელით ხაზები და ბჯლოს კავალერმა, რომელიც შუა გზაში შეხვდა, მიაცილა იგი სკოლის კარებამდე.

— თამრიკო—ჰკითხა მასწავლებელმა კლასში: როდის იყო ხალხთა დიდი გაღასახლება.

— მე მახსოვს, მასწავლებელო, მაშინ ექვსი წლისა ვიქნებოდი.

— რას ამბობ ქალო? განა ეხლა რამდენი წლისა ხარ?

— ეხლა მეცამეტეში გახლავარ.

— ?!?

— რათ გიკვირთ მასწავლებელო... ამ გადასახლების დროს მამაჩემი თითქმის სტიროდა კიდეც: შუა ქალაქიდან ქალაქის განაპირა უბანში გადაგვასახლეს ბოლშევიკებმა,—მდიდრები ხართო.

— მე თქვენს გადასახლებას კი არა, ხალხთა დიდ გადასახლებასა გკითხავთ ევროპაში.

— ევროპაში? ეგ არ ვიცი.

— არც ის იცი, როდის მოჰხდა თებერვლის რევოლიუცია?

— როგორ არ ვიცი—ოქტომბერში მოჰხდა!

— დაჯექი; არაფერი არ იცი.

— თვითონ თქვენ არა იცით რა! განა ოქტომბერში არ მოჰხდა? ლექსიც კი გვასწავლეთ „ოქტომბერი“.

— დაჯექი მეთქი.

თამრიკომ რედიკული გაიმიღო, პუდრი წაისვა და,—ზარიც დაირეკა. დანარჩენ გაკვეთილებს აღარ მოუცადა... გამარჯვებული იმით, რომ მასწავლებელი „შეცდომაში“ დაიჭირა; თანაც პირველი გაკვეთილის შემდეგ ვახტანგმა მოაკითხა... წავიდენ ვერის ბაღებში.

ფეშვანგი ფაშვიბერტუაძე.

წკიპურტეგი

ზედა-ხუნწი (სენაკის მაზრა)

სკოლის გამგე ალიოშა, (კოკაია მისი გვარია).
ნეტავი გაშაგებინა ეს კაცი რამ გადარია?!
ქვეყანა შემოიარა—ემერითისა მხარეო...
ეხლა კი ჩვენში ნავარდობს,—დღე დაგვაყენა მწარეო.
სკოლაზე თავს არ აიტკენს,—უყვარს ქალებში ნავარდი;
ბევრ ქალებს ხიბლავს სიტყვებით:—ხარ ჩემი ია და ვარდი.
ფარი.

სორმონი

ცხარობს სოფელი სორმონი, ყველა რბის თავის ნებაზე;
ალიაქოთი ამტყდარა აქ სკოლის შეკეთებაზე.
ყველას სურს სკოლა რომ ედგას ახლოს და სახლის ეზოსა;
ამას ხედავენ საბამსა, საჩხუბარ-სამიზეზოსა.
მოხდა ბჭობა და კამათი, სიტყვებს ისვრიდენ ცხელადა.
ხალხი იყოფა ორ ჯგუფად საომრად, საბრძოლველადა.
„შოთას ძმობილი".

ფარცხანაუანევი (ქუთაისის მაზრა)

პირველ მაისს აკაკიმ წარმოდგენა ჩაშალა
და დამჯდარი დარბაზი უთავბოლოთ აშალა.
მეძმარიაშვილ აკაკის—ჩვენს სოფლის მასწავლებელსა
და შალვა სანაკიძესა—აკაკის თანამხლებელსა
ნახავთ ტარასის დუქანში,—უყვართ დომინოს თამაში
და დღეებს სამაცადინოს ისინი ჰკლავენ ამაში.

ს. ოფეთი (ქუთისის მაზრა)

ოფეთში არის ოთხწლედი, შესახედავათ დიდია;
მიუწდომელი რამ არის,—წყალზე არ არის ხიდია;
ბერ-იატაკი დაულპა, ჩამოდის წვიმის ღვარია;
სწავლაა შესაძლებელი როცა მზიანი დარია,
ანუ ზაფხულში... მაგრამ ეჰ, ზაფხულში - ჰავა ცხელია;
სხვა გზა არ არის,—სწავლაზე უნდა ავიღოთ ხელია.
ბულმანი.

„ძირს ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურება"

სურ. სურსკაიასი

— შენ ხომ ბიუროკრატი არა ხარ, რომ ამდენი ხანია ზიხარ და არა დგები!? ადექი ბარემ,—ხომ ხედავ: ამდენ ლოდინში საცვლები წავახდინე!

ცნობების მოდება

ლალის: თქვენს წერილს: „საშინელი მარცხი" (მოწაფის ცხოვრებიდან) საშინელი მარცხი შეემთხვა. სინუს ოსინუნზე ფეხი წაიკრა და კისერი მოიტეხა უფსკერო გოდორში. საიდანაც მისი ამოკვნესა მოგვესმა:

აგერ პროსპექტი... მოჰკრის რონოდა...
ჰო, აქ როგორი ყოფილა მოდა?!?
აქეთ ორები, იქით ორები,
ჰყვირიან, თითქოს, როგორც, ლორები.

„ბოგბირელს" (ქუთაისი): მეხუთე ცხრაწლედის მასწავლებელ „მადამ" ამირაგოვაზე იწერებით, რომ:

ამირაგოვა „მადამ"
მეხუთე ცხრაწლედს ჰშველის;
ეს ქალბატონი არის
პატრონი მწარე ენის.
ალბად თავისი-თავი
დიდი რამ მას ჰგონია.
ნიჩაფი მზად გვაქვს მისთვის,
და წავცხეთ მას ქონია.

ფაქტის-მეტად ბევრი მოგსვლიათ ქონი! ქალბატონთან ერთად თქვენს წერილსაც ფეხი „დაუცდა" და... (რაც შეემთხვევოდა, კი მიხვდებით).

მოწაფე (ეკითხება მასწავლებელს): მასწავლებელო, მატარებელი ვინ გამოიგონა?

მასწავლებელი: არა გრცხვენიათ, რას მეკითხებით! განა ეს არ იცით?! ვინ გამოიგონა და,—ამერიკელმა ბეტხოვენმა!

ვის ერგოს 50 მანეთი

№ 4 კონკურსის შედეგები

№ 4 კონკურსის სურათი

კონკურსში მონაწილეობა მიიღო სულ 5.103 კაცმა. ამათში პროვინციიდან—3.057; ქ. ტფილისიდან—1.617; ამიერ-კავკასიის ქალაქებიდან—202 და რუსეთიდან—11.

ჟიურიმ საჭიროთ სცნო დაეჯილდოებია სამი წარწერა და პრემია გაეხაწილებია შემდეგნაირად:

პირველი ჯილდო 20 მანეთი ერგო წარწერას:

ერთი ხელოგბის ხალხი

— გესმის! ინგლისის მთავრობაში ბანდიტები ყოფილან... ჩვენ კი საბჭოთა ქვეყანაში ბანდიტობისათვის ციხეში გვამწყვდევენ.

50 მანეთი

წარწერის ავტორი:

ბაალიშვილი ანნა გიორგის ასული. აბასთუმანი, სანატორიუმში „არაზინდო“, დიასახლისი.

მეორე ჯილდო 15 მანეთი ერგო წარწერას:

რადიო-გრამაფონი

— კიდევ იტყვიან—ღმერთი არ არისო? ესლა ხომ ნათლად გვესმის მისი ხმა ზეციდან!

— კი, მაგრამ,—როდის გახდა ის სოციალისტი, რომ სულ სოციალიზმზე ლაპარაკობს!?

წარწერის ავტორი:

წერეთელი დავით ბესარიონის-ძე. კნიაკეროვის შესახვევი № 698. რკინის გზის მტვირთავი მუშა.

მესამე ჯილდო 15 მანეთი ერგო წარწერას:

არ სჯიან

ხულიგნები: ჩვენ ყვირილისა და წესრიგის დარღვევისათვის გვხჯიან; თვითონ კი რადიოთი მთელ ქალაქს აყრუებენ.

წარწერის ავტორი:

ხიხარულიძე ვახტანგ ნიკოლოზის-ძე. ქ. ხაშური, თავისუფლების ქუჩა № 26.

ამათ გარდა ჟიურიმ მოიწონა ოთხი წარწერა შემდეგი ავტორებისა: გრიშკაშვილი დავით იოსების-ძე (თელავი); ძნელაძე სიმონ ივანეს-ძე (ტფილისი); იოსელიანი სილოვან მიხეილის-ძე (ტფილისი) და ჭრელაშვილი მიხეილ დიანოსეს-ძე (ს. მაღარო, სიღნაღის მაზრა).

წ. შ. ადგილობრივათ ჯილდოს ნიღება შეიძლება გახ. „მუშა“-ს კანტორაში (ჯორჯიაშვილის ქ. № 6); პროვინციაში ჯილდო გადაიგზავნება ფოსტის საშუალებით.

მოწაფეს: კარგი მასწავლებელი გყოლიათ ფიზიკაში. მერე რა გგონია, რომ მან შარშან დაასრულა იგივე ცხრაწლედი, სადაც ეხლა მასწავლებლად მიიწვიეს („მიიწვიეს!?... ჰმ). თქვენ გგონია,— აგვიხსნა, რომ:

„როცა ედისონი მეზობლის ბაღში ვაშლს იპარავდა და ვაშლის ხეზე ვაშლების მოხაკრეფათ ასკუპულიყო,—ვაშლი მოწყდა და მიწაზე ჩამოვარდა. მაშასადამე: მიწას ბიმზიდველობა ჰქონებია,—თორემ, წინაალმდეგ შემთხვევაში ვაშლი მიწაზე კი არ ჩამოვარდებოდა, არამედ ჰაერში გაფრინდებოდა და დაიკარგებოდა.

— მართალია, მასწავლებელო; მეც შევრჯერ მომიპარავს ვაშლი და ყოველთვის მიწაზე ვარდებოდა...

— მე ჯერ არ მომიპარავს, მარა აწი მოვიპარავ და მერე დავიჯერებ!—ამბობდენ მოწაფეები.

— აი, ასე აღმოაჩინა ედისონმა მიწის მიმზიდველობის კანონი.

საკმარისია... ტარტაროზი ერთხელ კიდევ ზედმეტათ დარწმუნდა იმაში, თუ რა არის მიზეზი, რომ ცხრაწლედ დასრულებულ ელემენტარული ცოდნა არა აქვთ.

ცელქს: ჩვენ ექვი შეგვდის თქვენი წერილის სინამდვილეში,—მაგრამ შესაძლებელია, რომ მართალიც იყო; ასე რომ ჩვენს ექვში ექვი შეგვდის და ამიტომ ვათავსებთ ამონაწერს თქვენს წერილიდან:

აღელვებულს: მართლაც უხერხულ მდგომარეობაში ყოფილხართ:

აქეთ გოგო, იქით გოგო,—
თავს მეხხმება ტარაბუა..
რომ აფერი არ ვიფიქრო,
ხომ არავარ მე ბაბუა.
ველრიჭები, მელრიჭება,—
დატლინკული უჩანს წვივი.
შევხედავ და ჯერ დამცხელ-
მერე მაყრის ოფლი ცივი.
ჰო-და ყური როგორ ვუგრ
მასწავლებლის გაკვეთილ-
ამიტომაც ყველაფერში
მე ვლებულობ ორებს—წყალ-

ისტორიის გაკვეთილზე

სურ. დონის



მასწავლებელი: აბა, თქვი ვინ ... ჩემ ... ?
მოწაფე: ინგლისური ... *)

*) ... ...

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი სამი შაური

ტარტაროზი

№ 106 | კვირა. 26 ივნისი 1927 წ. | № 106

ა რ ე ს ი ა ბ ო ვ ნ ა თ

სურ. ლეონის

ჩვენი ...

ზ ა ჭ ე ს ი
ანკეტისებური

პ ო ე ტ ი

ივნისია ოცდაექვსი,
იმისია ა ეს ლექსი.

სეზონისებური

შენ აგაშენა აღმასკომმა ზემო-ავჭალას,—
და, ცხადი არის—ამიტომაც გქვია ზაჭესი.
არ იმურებდა შენთვის იგი ფულებს და ძალას,
გაქვს შენ სინათლე ძველზე უფრო უბრწყინვალესი.
ჩან-ჯაი-შიეით ლექსის წერა უწინ მგუდავდა;
მე ამოვსწურე ყველა თემა ლექსისთვის ვარგი.
ვით ნავთის ლამპა, ჩემი მუზა ისე ბეუტავდა;
ასე ვფიქრობდი:—აწი კი ვარ ზედმეტი ბარგი.
მაგრამ აგაგეს, და მომეცა იმედი დიდი:
მაშასადამე— კიდეე არის სალექსო რამე...
თავს შეეუძახე: —კვლავ ლექსები სწერე და მიდი:
ნუ გეშინია: არ იქნება აწ ბნელი ღამე
დასწერე რაღა, და მიიღე შიგ გონორარი;
იმ გონორარით ელექტრონი შენც გაიყვანე
აწი ვარდია,— უწინ იყო სიცოცხლე ნარი...
ანახვე შუშა, რომ გესტუმროს მამა ივანე.

ს ტ უ დ ე ნ ტ ი

დღეს მეც ზეიმს ვუერთდები, წიგნებს ვისერი ჟერში
მაღლა,
ჟერში, სადაც ელექტრონის არ ჰკიდია ლამპა ახლა,—
მაგრამ, როცა დავასრულებ და გავხდები მე სწავლული,—
სამსახურში მიმიღებენ და.... მექნება ალბად ფული, —
და როგორც კი შევიკერავ ფეხსაცმელს და ტანსაცმელსა,
და როგორც კი გამოვაძღებ დიდიხნით მშიერს ამ
მუცელსა,—
და როგორც კი ცოლს შევირთავ, (საცოლოდ მყავს უკვე
და როგორც კი ცოლს შევირთავ, ((ს(აცოლოდ მყავს უკვე
თინა),
და როგორც კი სახლში მშობლებს გავუგზავნი შიუდმივ
სარჩოს,—
და როგორც კი ვალს გადვიხდი, რომ მევალემ არ ადმახრ-
ჩოს,—
და როგორ კი... ერთი სიტყვით სამშვიდობოს გავალ
ფონსა,—
იმ წუთშივე გამოვიყვან ჩვენს ზაჭესის ელექტრონსა...
მანამდი კი,—არა უშავს,—ყველა ქუჩა ნათელია,
და რომ სახლშიც არ დავხარჯო ქართოფილის სანთელია,
შიგ ქუჩაში ბოძების ქვეშ, სადც ანთია ელექტრონი,—
იქ ვიკითხავ წიგნს—ლექციებს.... არ დამშლის არვინ
მგონი.

მ ო ქ ა ლ ა ძ ე

ყველა მღერის და იცინის, უხარიათ დღესო:
რა გვეღირსა ბნელში მყოფებს, რა გვეღირსა ესო.
მაგრამ ჩვენ კი—გარე-უბნელთ უფრო გვახარებსო —
ელექტრონი გვიჩირაღდნებს ქუჩებს და კარებსო.
იმტერეოდა უთავბოლოთ, ო, რამდენი ცხვირი.
ზოგმა ფეხიც მოიტეხა, კვნესდა ანატირი.
როცა ღამით სარდაფიდან წავიდოდით შინა,—
ვერ ვამჩნევედით ბნელ ქუჩებში,—ბოძი იდგა წინა;
მივამტერეედით შუბლს და თავსა, ვანთხევედით იქ
სისხლსა;
გამელელი რომ გაიარდა, გვთავაზობდა წიხლსა.
ოღრო-ჩოღრო ადგილებში. სადაც ნაგავს ვისერით,—
ღამით სახლში მიმავალნი ვეარდებოდით კისრით....
მაგრამ დღეს კი ელექტრონით ისე ბრწყინავს არე,
რომ სრცხვილით მაღლა ცაში ვეღარ ჩნდება მთვარე.
სახლში ღამით გვიან მისვლის არ გვაწუხებს დარდი;
სარდაფში თავს დაგვტრიალებს მიკიტანი მარდი...
კარგად ვიცით: ელექტრონით ისე ბრწყინავს არე,
რომ სირცხვილით მაღლა ცაში ვეღარ ჩნდება მთვარე.

მ ე ნ ა ვ თ ე

თქვენ იცინით, მაგრამ ჩვენ?!? ჩვენ კი გული გვიკვდება,
დღეში ასჯერ ჩამოელა უშედეგოთ გვიხდება.
ეზოში თუ ქუჩაში მთელ თვეობით და კვირით
„ნავთი... ნავთი... კერასინ"—მივდივარ და თან ვყვირით,
დაგვიგრძელდა ხელები ბიტონების ტარებით,
ფეხს ქვეშ ტყავი გამოგვძრა,—მთელი დღე ვიარებით.
ო, ნეტა, ვის შეშურდა ჩვენი ულკმა პურია?
ჩვენი უბედურება, ო, ნეტა ვის სწყურია?
რად ააგეს ზაჭესი? რად მოგვისპეს სარჩოა?
აწი რითი შევეპამო ერთი კერძი ხარჩოა?
რაც ზაჭესი ააგეს, მერმე უფრო წავხდია!
ვის-ღა უნდა ან ჩემი კერასინი, ნავთია?!
ზაპესს სახლში გაიყვანს—ნავთი აღარ სჭირია!
კერასინმა და ნავთმა აწ მოგეპამეს ჭირია,—
ამიტომაც ზაჭესი არ მიხარის, ესტირია,—
და დღეს მე თქვენს ზეიმზე ჩამოეუშვი ცხვირია.

ხულიგანი

ემ ჩემანალებს დახედეთ ერთი!
ოი, მაგათი... არ იყოს რაღა!
საუზმეთ ვჭამე მაგათი ღმერთი...
ეცხოვრობდი, როგორც ძველ დროის აღა.

დღით ან მეძინა სადმე ჩრდილოში
(სულერთი იყო: ბაღს და ქუჩაში),
ან ვქეიფობდი სასადილოში,—
ისმოდა: ზურნა, სიმღერა, ტაში.

როგორც კი ღამე ჩამოწვებოდა,—
მე „სანადიროთ“ ვემზადებოდი,
და რომ ძილისთვის ხალხი წვებოდა,—
მე წასასვლელად მაშინ ვდგებოდი.

წინდაწინ მქონდა მე დაზვერული
გასაქურდავი ამ ღამით ბინა,
და გავქურდავდი შემოჭარული,
როცა ოთახში ყველას ეძინა.

სიცოცხლე იყო ისეთი ზორმა—
თვით მურაბაზე უფრო უტკბესი.
არ გამიშვია უკოცნოთ ქორფა
მინამ არ იყო იგი ზაჰესი.

ეხლა? უხ! მაგრამ რაც უნდა ვუხტე
წელს ზევით მაინც ვერ ავუხტები...
აწი ქუჩაში როგორ დავუხდე!?
და სინათლეში ვერც დავუხდები!

სურათი დონის.

შეყვარებულნი

.სულელს და ბრიყვს მიხაროდა ამ ქუჩების განათება,
და ვამბობდი:—ო,ზაჰესი ნეტა როდის გაკეთდება.
ელექტრონის შუქს დააფრქვევს, გაანათებს ბნელ-ყრუ ქუჩებს.
სინათლე კი ფრთებს შეუკეეცს ხულიგნებს და ყველა-ურჩებს.
უდარდელათ და თამამად წავალ-მოვალ პაემანზე.
დაზვერვა არ დამჭირდება იქით-აქეთ და გან-განზე.
თუ მტერს უნდა მოგკლას ღამით, გადააგდოს შენი ლეშში,—
ის ამ ბოროტ-მოქმედებას ვერ გაბედავს სინათლეში.
გზას გაიკვლევ, თუ გინდ იყო კაცი სადმე დაბნეული...
ერთი სიტყვით: ზაჰესით ვარ „დასტრახული“-დაზღვეული.
დიახ, ასე ჩვენ გვეგონა... მაგრამ თურმე რა ყოფილა.
ამ ზაჰესიის განათება გვიხაროდა თურმე ტყუილად,
ეს ქალაქი ბნელი ღამით ნათელია, როგორც დღისით.
სინათლეზე, აბა თქვენ სთქვით, ქალს აკოცებ რა სინდისით!?
ჩვენ მიედივართ ქუჩა-ქუჩა ხელგაყრილი და ალერსით.
გავიარეთ ბევრი ქუჩა, სახლს დავშორდით სამი ვერსით,—
მაგრამ ვერსად მივაგენით, რომ ვეძებდით ჩვენ ბნელ კუთხეს,
და ვერც ვნახეთ ვერასოდეს თუნც ვეძებოთ იგი ხუთ დღეს.
ქმარი ცოლს და ცოლი კი ქმარს სახლში სტოვებს, იპარება.
საყვარელთან პაემანზე ყველა მათგანს ეჩქარება..
და როს ნახავს თვის საყვარელს... და რომ მიდის მარტო ორი,—
ეშინიათ არვინ ნახოს... გული უძგერთ, ვით მატორი.

ბელი.

მზადდება და ახლო ხანში გამოვა

„ტარტაროზი“-ს სპეციალური = = საკურორტო ნომერი

ᲐᲜᲙᲔᲢᲐ ᲖᲐᲔᲕᲡᲖᲔ

ნურავის შეეშინდება სიტყვა ანკეტის. ჩვენი ანკეტა ისეთი არ არის, რომ გამოიწვიოს ან საქმის გაჭიანურება, ან ბიუროკრატიზმი, ან ხელი შეუშალოს ფასების დაწევის კამპანიას, ან სხვა კამპანიებს.

ჩვენი ჟურნალის თანამშრომელი და თქვენი უმორჩილესი... ამხანაგი პირველად ესტუმრა ერთ-ერთ თბილისის ტრესტის ერთ-ერთ განყოფილების გამგეს.

პირველად, როგორც ეს წესია, მე არ შემიშვეს გამგესთან, რადგანაც ყოფილმა გამგემ იცის თავის ფასი და ის გამგე რაღა გამგეა, თუ მისი ნახვის მსურველს კარებთან ერთი ორი საათი არ აცდევინა.

ბოლოს, როგორც იქნა მე შევედი გამგის კაბინეტში. მან სათვალეები გაიკეთა და სათვალეებ ზევიდან გადმომხედა.

— რა გნებავთ?—მკითხა.

მე განუმარტე მისვლის მიზანი და შევეკითხე თუ რა აზრის არის ზაჰესზე.

— ო, ო,!—ხაზგასმით მითხრა მან და სათვალეები გაისწორა.—ჩემი კონკრეტული აზრი ზაჰესის შესახებ ასეთია: ელექტროფ.-ცია* მექანიზაცია—ინდუსტრიალიზაცია. ხოლო ინდუსტრ.-ზაცია* სტაბილიზაცია—სწორი კალკულიაცია. რაც შეეხება სწორ კალკულიაციას, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მოანგარიშეებისათვის, რადგანაც ბუღალტერს საშუალება აქვს გათვალისწინოს ზედნადები ხარჯები. თვით ზედნადები ხარჯების შესახებ ბევრს არ ვილაპარაკებთ, რადგანაც იგი ხელს უშლის ფასების დაკლებას. მართალია, ჩვენი ტრესტი ჯერ არ აკლებს ფასებს, მაგრამ ხუთ წლიან პერსპექტიულ გეგმით ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს ფასები დაუკლოთ 12 პროცენტით. აქედან ცხადია, რომ ელექტროფიკაცია (ზაჰესი)* ამორტიზაცია...—ივანე. მოიტა ჩვენი პერსპექტიული გეგმა,—დაუძახა მან მდივნს და მდივნის კაბინეტში შეაღო კარი.

მე უკვე კიბეზე ჩამოვრბოდი. გადავირბინე ეზო და შოვკურცხლე.

მივრბოდი და მივრბოდი. მეშინოდა გამგე არ მომწოდა პერსპექტიული გეგმა. არ გადეშალა ჩემთვის, გამოვერბინე ქუჩა და შრომის ბირჟის გვერდით შევჩერდი შევჩერდი კი არა, შემაჩერეს. ეს ჩემი შემჩერებელი გამოდგა ძველი ნაცნობი **მონტიორი.**

— რა აზრის ხარ ევგენი ზაჰესის შესახებ?

ევგენიმ გაკვირვებით შემომხედა.

— ავტომობილი ჯობია თუ ეტლი?—შემეკითხა იგი.

— რა შედარებაა, რასაკვირველია, ავტომობილი.

— ასეა ჩვენი ელსადგურები და ზაჰესიც. ამიტომ ზაჰესზე კარგი აზრის ვარ, მაგრამ ის კი არ უნდა იყოს ჩვენზე კარგი აზრის, რომ უმუშევრად დაგვტოვა რადგან ჩვენი ელსადგური თბილისში დაკეტეს...—მითხრა ევგენიმ და ბირჟაში შებრუნდა.

წამოვედი, რუსთველის პროსპექტით ამოვლე და ბორჯომინწყალის კაფეში შევედი, სადაც ბორჯომის წყალს ყიდიან.

მხოლოდ ერთი მუშტარი იყო კაფეში. ისიც კუთხეში მიკუნჭულიყო და ყლუპ-ყლუპად სვამდა წყალს. მეცნობა: ჩვენი სილევანი იყო. ერთ დროს მონარქისტი, მერე მენშევიკი, მერე ფედერალისტი, ნაციონალ-დემოკრატი და ახლა „უპარტიო“.

„უპარტიო“.

— სილევანს სიცოცხლე!

— ნუ მომიშალოს შენი თავი კონტრრევოლუციის არქიეპისკოპოსმა, გწყალობდეს რომის პაპაც...—მითხრა მან, არავიცი ხუმრობით თუ სერიოზულათ.

— სხვა როგორ არის საქმე? ეს ზაჰესი კი ააშენეს და...—დავიწყე მე.

— ააშენეს! ჩვენოულობა ფული მაგაში დახარჯეს, —საყვედურით და ნიშნის მოგებით მირხრა მან.—შე კაცო, სამოც მილიონად ბაბილონის გოდოლს ავაშენებ.

— გოდოლი კი არა, ზაჰესი აღორძინების თავდებია, —შევბედე სიტყვა.

— კაი თუ გიყვარდე! რა ყრია მაგ ზაჰესში. მაგის გამო ჩვეხი მრეწველობა უკან დაიხევს.

— პირველად მესმის!

— აგერ მოგახსენებ: ტყიბულის ქვა-ნახშირის მრეწველობა მაგით დაეცემა, რადგანაც, თუ დამოუკიდებლობის დროს ორთქლმავალები ქვა-ნახშირით დაგვყავდა, ახლა ელექტრონით იქნება. ასეა მაზუტიც, არც მაზუტი აღარ სჭირია ელექტრონს და ამდენი მაზუტი ტყვილაუბრალოდ უნდა გადავასხათ ზღვაში. ნავთი ხომ სულ აღარაა საჭირო: განათება ელექტრონით იქნება, ასე რომ გურრიის და შირაქის ნავთიც გადასაღვრელია, თუ რამე დარჩა ამ რაიონებში. რა ვიცი, კიდევ რამდენ უბედურობას მოგვიტანს მაგ ზაჰესი!—ამოიოხრა სილევანმა, და დაუმატა:—თუ კაცი ხარ. ამ ბორჯომის წყლის ფასი შენ გადიხადე, შვიდ მანეთიანი მაქვს და არ დამიხურდავებენ.

გადავიხადე და წამოვედი. ნაცნობ **ვაჭართან** შევედი.

—მომეცი ერთი კილო შინდი,—მოვითხოვე მე, რადგანაც ვიცოდი, რომ ამ დროს შინდი მთელ ტფილისში არ იშოვება.

— რა დროს შინდია, ჯერ არ შემოსულა,—მიპასუხა ვაჭარმა.

— ელექტრონი გამოგიყვანია, ალბათ ზაჰესი იქნება.

— ზაჰესია კი!

— გვეშველა, როგორც იქნა ზაჰესი, მადლობა ღმერთს...

— გვეშველა, მარა ჩვენ—ვაჭრებს ტყავი გაგვძრა მაგის აშენებაზე.

— როგორ?

— როგორ და აძოდენა ნალოგებს რომ გვაწერდენ, ეს ფული მაგ ვერანა ზაჰესის აგებაზე ძიდიოდა. აწი მაკლია მოგვიკლებენ.

— როგორ გეკადრება, ზაჰესის ფული ნახევარზე მეტი ვალია.

— დავიღუპე და ის არის. მაშ ნალოგებს **მოგვიმატებენ!?**

— დაიკვნესა მედუქნემ.

წამოვედი. გზაზე **ზახარ ზახარიჩი** შემეფეთა. ზახარ ზახარიჩს სამიკიტნო აქვს ზაჰესის ქვევით, მცხეთის ახლოს. მას იცნობს დიდი და პატარა, უბრალო და სპეციალური და ბერი. იგი რალაკეების საყიდლათ ჩამოსულიყო ტფილისში.

— გაუძარჯოს ზახარ ზახარიჩს,—ერთი შენი აზრი მითხარი ზაჰესის შესახებ. მოგწონს თუ არა?

— ვაჰ! მამწონს რომელია! ჩვენი მთავრობის სიყმეს ვენაცვალე რომ ასეთი კუკლა სტანცია გაგვიკეთა. ერთი ყარაჩოღული ლიხტრიკის ლამფა ჩემს დუქანშიც უნდა ჩამოვკიდო, რომ მუშტარმა აშიკაში არ ჩავარდეს და სტაქანი არ გადამიყლაპოს. თორემ ამდენხნს ღამე მოსული მუშტარი ლუკმას ყურში იდებდა ისეთი ტიომნი სიბნელე იყო ჩემ სამიკიტნოში. ნახევამდის გენცვა, ხვალ ზაჰესის ატ კრიტიკაა, პრავიზია მჭირდება,—მომიბოდიშა ზახარიჩმა და გასწია.

წამოვედი. მიყრუებულ ქუჩის კუთხეში ორ **ხულიგანს** წავაწყდი.

— რა აზრის ხართ თქვენ ზაჰესის შესახებ?

— აი, ამ აზრის,—მითხრა ერთმა და მუშტი მომიღირა.—მაგის გამო ისეა განათებული ყოველი ქუჩა, რომ

პატიოსან ხულიგანს აღარ გაეელება. თითის გაქნევას არ დაგანებებენ, ყველაფერი ნათლად სჩანს... ძველად, მახსოვს, ჩააფარებდი კაცს თავში და იქვე ბნელ კუთხეში ბაიმალებოდი...

— მოვშორდი მათ, შევხდი მილიციელს.

—თქვენი აზრი ზაჰესზე?

— ზაჰესს რაღა სჯობია, მით უმეტეს ჩვენთვის!, მაგრამ მაგის ჯავრით ხულიგნები ჩვენ აღარ გვასვენებენ. მაგათ გონიათ, რომ ზაჰესი ჩვენ, მილიციელებმა ავაშენეთ ხულიგნების გულის მოსაკლავად.

წამოვედი და **რეპორტიორს** გადავეყარე.

— შენი აზრი ზაჰესის შესახებ?—შეეკითხე მე.

— ინტერვიუს მე სხვას ვართმევ, შენ ჩემგან მიგაქვს? —შემეკითხა იგი.—ისე, უნდა გითხრა, ზაჰესი კარგი გამოგონებაა. მარტო ის რათ ღირს, რომ რედაქციაში სინათლეა და კაცს წერა შეგიძლია.

— რამდენი გააკეთე ზაჰესზე?

— ოო! ეს სხვა საკითხია: ზაჰესის შესახებ დაწერილი მაქვს 1225 ქრონიკა, 270 ინტერვიუ, 240 კრების ანგარიში, 157 შთაბეჭდილება და 475 შეცდომის გასწორება. მთელ ამ მოქმედებაში მივიღე 300—400 მანეთი, რაც საყმაო თანხას წარმოადგენს ამ ფასების დაკლების დროს.

— მაშ ძალიან არც გაგიხარდება ზაჰესის დამთავრება, რადგანაც გონორარი მოგაკლდება!

რეპორტიორმა ჩაიცინა.—ჩვენ კარგად ვიყოთ და საწერის მეტი რა გქვავს: ეს რიონგესიო, ეს ქაღალდის ქარხანა, ეს მაუდის, ეს ცემენტის, ეს ნავთის წყაროები და რა ვიცი რამდენი. ყოველ დღე ახალი წარმოება იწყება... ასე, რომ საწერი ბევრია, თუ ადგილი დარჩა გაზეთში... აბა, ნახვამდის, მეჩქარება,—მითხრა მან და ვიღაცას ამოუდგა „საინტერვიუდ".

აღლარ-აღლარსან.

1950 წელში

სურ. დონის

შვილიშვილი (უჩვენებს ნავთის ლამპაზე): **ბაბუა, ეს რ, არის?**

ბაბუა: ეს არის ლამპა, რომლითაც უწინ ინათებდენ, რიგორც ეხლა ზაჰესით...

ზაჰესი და საქმე

— იცი გეოჯან რას გებნები? ერთი ჩეთვერ საათით ყური დამიგდე, ზაგესის რამეები უნდა გითხრა, ჩემი ნაბლუდენიები და ფეჩატლენიები გიამბო, ჰამაც ერთი პაზდრავლენიის ქაღალდი ერთათ დაეწეროთ, დღეს ზაგესის პრაზნიკია...

ჰუზურში მე ერთი დიდი აშიპკა მაქვს: რაც უნდა გავიგონო, არა მჯერა სანამ ჩემი თვალებით არა ვნახო. ამისგნით ბევრი ნედარაზუმენიაც მამსვლია, ზარალიც და უსიამოვნობაც მინახია მააშ!

ასე იყო ზაგესიც: როცა რომ პირველათ ზაკლატკა ჩაუგდეს, ბალშევიკურათ აკურთხეს და გაზეთებში დასწერეს თუო: დიდ სტრაიტელსტვას ვაშენებთო, ლიხტრიფიკაციას ვაკეთებთო, სიბნელესა და ჩამორჩენილობასა ვსპობთო, სლოვომ წინ და უკან ლიხტრიჩესკი ლამფუტკები უნდა გავიკეთეთო რაღა ძაან უნდა გავანათოთო.

მე არა მჯეროდა, ვიძახდი:—იშკილია, ტუუილი ტრეკოგაა, მტკვარში რომელი სუხრახანის მაზუთია, რომ იმისგნით შუქი გამოჰხადონ? ალბათ ნალოგების გადიდება უნდათ და იმისთვის თითილბაზობენ მეთქი.

ბემურაზი ფარსადანი მებნება თუო—საქოჯან. აქ სხვა თაბაუთიაო, ლიხტრიცკი მაზუთისგნით კი არა კეთდება ბორბლების ტრიალისგნით ერთნაირი პარი ჩნდებაო და ჰუზურში ის ანათებსო. ჰამაც ეს ნაუჩნი საქმეაო: მტკვარში ერთნაირი სასტავაა, თეთრ ნახშირს ეტყვიანო—ეს თეთრი ნახშირი უსარგებლოთ იკარგებაო. ზაგესი რომ გაკეთდება, მაშინ მტკვარს დააგუბებენო, იქიდან ერთ ტრუბაში გაუშვებენ და ლიხტრიცკიც ეს იქნებაო.

ვებნები— ე ,ჰაკარაკ მიხოსი ფარსანდანჯან, ვის ატყუეფ? მაგისთანა უმნი რამეები მაჩხაანის აკადემიაში გისწავლია? შე ბემურაზო, მტკვარში ნახშირს რა უნდა? ჰამაც დაპუსტიმ შიგ ჩაყარეს კიდეც, მაგრამ ნახშირი და თეთრი? ე, ახმახ, ეგეც კინტოს ანეგდოტი ხომ არ არის, ასმა მწვანე სელიოტკა კედელზე ჰკიდიაო? მაგისთანა ბედსოლი რამეები ისევ სხვაგან გაყიდეთ. მე არ დაგიჯერეფ მეთქი... ათადან ბაბადან მტკვარი აქო მიდის, მთელი ქვეყანა ხედავს, ლემენცის ად ანგლიჩნის ინჯილრები აქ დადიან და თუ შიგ ნახშირი და ლიხტრიცკი იყო, ნიკოლოზის დროს არ გააკეთებდნენ?

— თუო ნიკოლოზის დროს ხალხისთვის არავინ ფიქრობდაო, შენშევიკების მთავრობასაც მაგისთანა რამეების ინჩი არ ესმოდაო. ბალშევიკები კი—არა რომ ხალხინ მთავრობაა, მუშებისთვის ჩალაშობს და რაც რომ კარგი რამეა ხალხისთვის სულ იმას აკეთებსო.

ჰამა აქ სიტყვები რა საჭიროაო? მაგათ საქმით უყვართ ლაპარაკი, ტრაბახი და მოგონილი არა სჭირდებათ? რასაც იტყვიან, ახრიზამანში იმას კიდეც გააკეთებენო. ეს ზაგესიც ასეა; ზაკლატკა ჩააგდეს. წერაქვი დაარტყეს, ზნაჩიტ რომ მაგის გაკეთება ნეპრემენიაო. ორი-სამი თელეთობაც არ გავა. რომ პუპუს: ზაგესი ბურნუთის კოლოფივით ცხვირ წინ აგეტუზებაო. იქიდან პრაკიხტორებს გამოუშვებს და ჰუზურში თეთრი და შავიც მაშინ გამოჩნდებაო!

ეს წინათ იყო, როცა ზაგესი ახლათ დაიწყეს. იმას აქეთ ხუთი წელიწადი გასულა, ქალაქშიც ბევრ მტკვარს ჩამოუვლია, ბევრი რამე შაიცვალა, გაკეთდა, გაიზარდა, გალამაზდა: აქ ქარხანა, იქ ფაფრიკა, აქ ხალი შენობები, იქ კაპერაცია. თოლუხჩების მაგივრათ ვადაპრავოდი. საბაჩი პერეულკების მაგივრათ—პრასპეხტები, ახალი გზები, კონკის ლინიები, ბაღები, სარწყავი არხები, ახალ-მოდის ტრო-ტროები სოფლისთვის მაშინები. ე-ე-ე, ვინ მოსთვლის?..

— ვაჰ! მართალი ყოფილა რაღა, რასაც მებნებოდნენ: ბალშევიკებმა პერევაროტი უნდა უყონ ყველაფერსაო! აჰა, ესეც შენი პერევაროტი: **ისეთი რამეები**

ქნეს, რომ წუმი შაგენახა—სიზმარშიც ვერა ნახავდ! გინდ დაიჯერე, გინდა ნუ—მააშ!..

ჰო, სიტყვა დამავიწყდა—ზაგესზე გებნებოდი: იმ-ტოლი სწერეს. ილაპარაკეს. თხარეს, ამენეს. ამ მტკვრის ძირში მილიონები ჩაყარეს და ახრიზამანში მართლაც არ იპოვეს ის თეთრი ნახშრი?!..

ჩემ ბრუტიანი თვალებით ვნახე, ჩემი ცაცია ხელით ვიკრუჩატელი გადავაბრუნე:—წკატ და... სახლში უკე ლიხტრიცკია... კუშატკის ქვეშ რწყილი შაძვრეს, იმასაც ეი მამენტალნათ დაინახავ მააშ!..

შენ ქუჩები თქვი პრასპექტები, პერეულკები, განაპირა უბნები: კრწანისიდან და ავანაათ ხევიდან დაწყებული კოლორთაღამდე. ჩუღურეთიდან—ფეთხაინამდე, სირაჯხანიდან—შავსოფლამდე, ნათლუღიდან— ნახალოვკამდე, მცხეთამდე, გორამდე—ვინ მოსთვლის?—სახლის კრიშაზე რო ახვიდე —ქალაქს გახედო, გეგონება ცა—თავისი მთვარითა და მასკლავებით დაბლა ჩამოვარდნილაო: ქურდებსა და შეყვარებულ ღემნაზისტკებს ერთი ბნელი კუნჭული აღარ დარჩათ, რომ თავისი საქმეები გააკეთონ. უბიანო სუდენტებს დიირანი მოუვიდათ—სხედან ლამით სტოლბის ძირში და უროკებს ამზადებენ: ჰაი გიდი აბას-თუმან, აღარც ნაფთი, აღარც ფითილი, არც ფარანი! ლამფები უკე მუზეინში წაიღეს, რა არი მერე ხალხს აჩვენონ თუ:—ფლან და ფსტან დროში ასეთი კაპტილკები ენთოო, ჰამა კამუნისტებმა ზაგესი ქნეს და ამათი ვაკანციაც დაიხურაო!

შენ ჩემი სახლი თქვი: უკე ზაგესი გამომიყვანია, ყველა ოთახში ლამფუჩკები და ლუსტრები დამიკიდნია, სლოვომ მე და ჩემი ოსანა წინიდან და უკნიდან განათებული ვართ რაღა! ვინიცობაა, ღამე კრაოტში რამე ნედასტატკა, ან იაღლიში მოგვიხდა, ხელათვი ვეტყვი:

— ოსან,

— ჰამე,

— ერთი იქით გადაბრუნდი და ვიკლუჩატელი მოუშვი, თოღ განათდეს, ეს ბემურაზი, პუგიცა დამეკარგა მეთქი. ისიც გადაბრუნდება, წკატ! და ყველაფერი მამენტალნათ მზათ არი მააშ!.. ცოტა ხნის მერე მეკითხება:

— საქოჯან, კიდევ გინდა თუ ჩავაქრო და დავიძინო?

— არა, აღარ მინდა, ეხლა დაიძინე მეთქი...

აი რა სიკეთე და სიაღლუნება მაიტანა ზაგესმა!— მაგრამ მარტო ეს? ენა ვერ მოსთვლის, გონება ვერ გაზომავს —რაც რომ მაგან ქალაქს, ხალხს, სახელმწიფოს სარგებლობა უყო: ყველაფერი გაიაფა, გააადვილა, გაალამაზა, გაჩრა მააშ!..

ჩემმა მზემ, თელეთის მადლმა—რაც მართალია, მართალია, ამ ბალშევიკების ხელში ბევრი ფინთი რამეები გამამიცდია, მაგათზე ბევრი ავი მითქვია და მიფიქრია, მეცა და ჩემ ჰამქარსაც, ჰამა ჰუზურში, ყველაფერს ჩოთქში რომ ვაგდეფ—თურმე ყველაფერში მიმიქარნია, ბატრობითა და სიბრაზისგნით. მამსელია. მაგათ ლინია სწორია. მაგათი მუშაობა ხალხის სიკეთისთვის ყოფილა. აჰარ, თუ ამ მუშაობაში ჩემისთანა ათიოდე და ასიოდე ჰარიფი დაიჩაგრა, რა უყოთ, ამისთანა დიდი, სასიკეთო საქმე ხომ მაინც კეთდება და ბოლოს ამ სიკეთის ერთი ლუკმა მეც მერგება?

აი, ასეთ ფეჩატლენიაზე დამაყენა ზაგესის გაკეთებამ, იმისგნით გამოშვებულმა ლიხტრიცკის შუქმა, იმის მარიფათებმა.

დღეს ამ ზაგესის ტარეესტვენი გახსნაა, იმისი ჰუნარები ბალშევიკურათ უნდა აკურთხონ და მერე მთელ ქალაქში გაუშონ.

მაშ მოდი, და ლოთიანათ ერთი ჯიგრიანი პაზდრავლენიის ქაღალდი გაუგზავნოთ ამ ბალშევკებს და მიულოცოთ: უთხრათ— დიდი მარიფათიანი ბიჭები ყოფილხართ და უფალმა უფრო მეტი ნონ მოგცეთ, პირქაღლი ვიყოთ თუ არ გვიხაროდეს თქვენი მაგისთანა ჩირთი ფირთები.

ფარსადან.

ვეტოქე

სურ. დონინ.



მთვარე (გაკვირვებული): ოი, რა ამბავია იმ—მიწაზე? რა მეშველება! მგონი მალე საჭირო აღარ დავრჩე!

ᲒᲐᲠᲘᲣᲚᲜᲘ

დიდი ნოე: (მარტოთ. ათვალიერებს საქართველოდან ახლად მიღებულ ლიტერატურას).—ეს გვარები ჩემთვის ყველა უცნობია. ამათში ერთიც არ არის ძველი მუშა. (შემოდის პატარა ნოე. მის დანახვაზე დიდი ნოე უსიამოვნოთ მოხრის წარბებს და თავისთვის ამბობს): მოვიდა ეშმაკის სული.

პატარა ნოე: ჰაა, ფოსტა მოსულა.

დიდი ნოე: ამ გვარების ვერაფერი ვერ გავიგე. ვინ არიან ესენი?

პატ. ნოე: ესენი ჩვენი პარტიის წევრები არიან ალბად. ახალგზრდებია 17—18 წლ., როცა ჩვენ გამოგვრეკეს, ესენი მაშინ 11—12 წლის იქნებოდენ.

დიდი ნოე: კი მაგრამ, ეს ორმოცი წლის კაცებიც ახალგაზრდებია? (აჩვენებს მეორე სიას).

პატ. ნოე: ესენი არიან ვაჭრები, რომლებიც ჩვენი პარტიის წევრებია; ჩვენი და ჩვენი პარტიის ბედი დღეს ამათზეა ლამოკიდებული.

დიდი ნოე: „რაც მოგიყვა თავითთაო, ყველა შენი თავითთაო“—ალბად ჩვენზე უთქვამს წინასწარ ქართველ ხალხს ეს ბრძნული თქმულება. (გულმოსული გადის).

პატარა ნოე: ტერპი ყაზაკ, ატამანომ ბუდეშ—მარა ეს რუსულია... ლუჩშე პოზდნო, ჩემ ნიკოგდა... ოხ, ესეც რუსულია. „ჯერ მწარე სჭამე კვლავ ტკბილი თუ ეძებ ეგმოვნებასა“.

„ის იცინის, ვინც ბოლოს იცინის“. (შემოდიან: გიორგი ერაძე, კოწა კანდელაკი, ნიკო ჭუმბურიძე და სხვები).

გიორგი: აი, საქართველოს ავი სულიც აქ ყოფილა.

პატარა ნოე: (ყველას მიესალმება): გიორგი, ნუ იცი შენ ჩემი გაღიზიანება, ოორემ მომავალ სამინისტროს წევრად აღარ შეგიყენ.

გიორგი: ძგონია ისედაც აღარ მომიწიოს მინისტროობა. ბოლშევიკები საქართველოში სურსათს აღარ დაგიტოვებენ და რაღა სურსათის მინისტრი უნდა ვიქნე. სხვას რას იტყვი ახალს? შენ ალბად ცხელ-ცხელი ჭორები გეცოდინება!

პატარა ნოე: მე ეს ვიცი, ჩემო, რომ კომუნისტების აღსასრული დამდგარა.

ნიკო: (გააწყვეტინებს): მაგ სიზმრებმა თავი მოგვაწყინეს; შენ რეალური თქვი, რამე რეალური!

პატარა ნოე: თუ არ გჯერა, აკაკი ჩხენკელი მოვა და ის გეტყვის (შემოდის სპ. კედია, სამსონ ფირცხალავა, და ი. ბობეჩია).

გიორგი: აი, სამება მოვიდა. (ერთმანეთს ხელს ართმევენ).

გობეჩია: აბა, ახალი თუ იცით რამე. ახალი?

გიორგი: ახალი აკაკის სცოდნია და კიდევაც მოდის (შემოდის მარტო აკაკი).

ყველა: აბა, აკაკი. შენ შემოგცქერით საქართველოს ერის ნაღები.

აკაკი: ვინაიდან ნოე ჟორდანია ულონოდ არის და არ შეუძლია ჩვენს სხდომას დაესწროს, ამიტომ ვთხოვთ ყრების თავმჯდომარე დაასახელოთ.

ხმები: პატარა ნოე... სპირიდონი... სამსონი.... აკაკი.... ლეო კერესელიძე.....

პატარა ნოე: ვინაიდან საკითხი ფრიად სერიოზულია, ამიტომ მე ვასახელებ ჩემს თავს თავმჯდომარეთ და ერთი ხმით ვარჩევ კიდევაც. სიტყვა ეკუთვნის ამხანაგ აკაკის (ყველა უკმაყოფილოა, მაგრამ ხმას ვერ იღებენ).

აკაკი: ამხანაგებო, ვინაიდან დღევანდელ კრებას ოპოზიციონერი გ. ერაძე და ნიკო ჭუმბურიძე ესწრებიან, ამიტომ ყველაფრის თქმა არ შეიძლება. მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ საქმე ძალიან კარგათაა, რაც იქიდან სჩანს, რომ პოლონეთი მოითხოვს მომავალი ჩვენი მთავრობის შემადგენლობის სიას.

ფირცხალავა: კარგი ამბავია. (თავისთვის: იქნებ ეხლა მაინც მოვხვდე მთავრობაში

კედია: ბატონებო, მე არ შემიძლია აღფრთოვანება არ გამოვსთქვა ამ ამბავის გამო და საქართველოს მთელი მსხვილი და წვრილი ვაჭრების სახელით, არ განვაცხადო, რომ მართალია: ჩვენ მენშევიკებთან გაერთიანდით, მაგრამ დღემდე მათ მუშაობას მაინც ეშვის თვალით ვუცქერდით; დღეის შემდეგ კი საქართველოს ვაჭრები და თავად-აზნაურობა სამღვდელოებით ყოველთვის თქვენთან იქნებიან.

გიორგი: (თავისთვის): სპირიდონსაც მინისტრობის საღერღელი აშლია!

გობეჩია: ღეიდან საქართველოში ველარ გაიჭაჭანებს სიტყვა ესერი და ჩემი მეთაურობით ყველა თქვენთან იქნება.

ნიკო (თავისთვის): აი, ესეც ემზადება სამინისტროთ!

პატარა ნოე: ამგვარად, ამხანაგებო, ჩვენ ეხლა უნდა დავასახელოთ მინისტრები და, რაც მთავარია, მთავრობის თავმჯდომარე. ამ უკანასკნელობას (ისე კი—პირველობას), ესე იგი მთავრობის თავმჯდომარეობას მე ვიკისრებ; სხვა გზა არ არის, და თანახმაც ვარ; მე მგონია რომ ჩემს წინააღმდეგ არავის საწინააღმდეგო არ ექნება.

ლეო კერესელიძე: თორ ვიორგის და მუსოლინს გეფიცები, რომ წინააღმდეგი ვიქნებოდი, მაგრამ შენ სინამდვილეში ფაშისტი ხარ და ამიტომაც მხარს გიჭერ.

პატარა ნოე: ერთი სიტყვით, ერთხმად არჩეული ვარ მთავრობის თავმჯდომარეთ. ეხლა ავირჩიოთ მინისტრები, და ავირჩიოთ მინისტრებათ შემდეგი ამხანაგები: ჩხენკელი, კედია, პავლე ბერი, რაფიელ ინგილო, ლეო კერესელიძე, ფაჩულია და სხვა არავინ; ესენიც კმარა.

ხმები: კარგია, კარგია. (ამას ჰყვირიან ახლად არჩეული მინისტრები).

ხმები: დაიკარგეთ აქედან. თვითონ ჩამოირიგეს მინისტრობა და ჩვენ კი არაფერი გვხვდა! განა თქვენზე ნაკლები სამინისტრო ბიჭები ვართ?!

ჭუმბურიძე (ერაძეს): ა, ბიჭო, საგიჟეთში გასაგზავნი ხალხი!

ერაძე: ვინ არის პატრონი, თორემ კი.

შ. გორისელი.

ᲛᲪᲝᲓᲜᲔ

ᲛᲣᲠ. ᲛᲐᲠᲘᲐᲨᲘᲡ

დედა: მე შენ გაჩვენებ—მურაბის ჭამას როგორ უნდა!

ბავშვი: არა, დედილო,—მე უკვე ვიცი სადაც გაქვს დამალული მურაბა.

დათვალიერება

წერილი ბათომიდან

ჩემი ახირებული ჩვეულება არა მატრო ჩემს ცოლს ეჯავრება, არამედ მეც საშინლად მძულს, მაგრამ რას ვიზამ; „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო"—ამბობენ და რახან ასეა, რაღა მეთქმის, რამოდენიმე ხანი ისე გავა, რომ ჩემი ჭაჭანი არსად ისმის; წერილს არ ვწერ ამხანაგს. 1 ნაბიჯს არსად არ გადავსდგამ. თეატრი რომ თეატრია, იმაშიც არ დავდივარ.... მაგრამ ხანდისხან, რომ ავჯინჯილდები ღვდლის ჯორივით,— მანამდე ვერ მოვისვენებ, სანამ ყველა ნაცნობებს წერილებს არ დაუგზავნი; სანამ ყველა სარედაქციო კალათებს არ ამოვავსებ შენიშვნებით; სანამ ყველა დაწესებულებებს არ ჩამოვიარ და ყველაფერს არ გავეცნობი.

მთელი ზამთრის განმავლობაში, კუსავით ვიყავი მოკუნჩხული ერთ ადგილას,—არც ვწერდი, არც ვკითხულობდი, არც სადმე დავდიოდი და, წარმოიდგინეთ; არც ვლაპარაკობდი თითქმის.

ცა და ქვეყანა დამემდურა: — რაა ბიჭო რომ არ დადიხარ ჩვენსაო. რედაქციებიც საყვედურს მწერდნ: „რად არ გვაწვდი წერილებსო". ერთი სიტყვით: ყველა ნაღვლობდა ჩემს სიჩუმეს, გარდა სარედაქციო კალათის გამტანისა, რომელსაც კალათი უფრო მსუბუქათ გაჰქონდა უწინდელთან შედარებით.

დადგა ზაფხული. პირველ ყოვლისა ჩემი ამხანაგების ნახვა მოვინდომე.

შრომის კომისარიატში ბევრი ნაცნობები მყავს და ამიტომ იქ უწინ წავედი. ძლივს შევძვერი შრომის კომისრის კაბინეტში (თუ კი ამას კაბინეტი ჰქვია.) ათამდე უმუშევრები თავზე ადგა შრომის კომისარს: ვინ რას ეუბნებოდა, ვინ რას. არც კარებზე წარწერა: **„შეუკითხავათ ნუ შემოხვალთ"**, არც **„ხელის ჩამორთმევა საჭირო არაა"**, არც **„თამბაქოს ნუ მოსწევთ"** და არც სხვა ამ გვარი წარწერები იქ არ იყო. ან რა საჭიროა. შესვლის ნება კინ უნდა ითხოვოს, როცა ყველა ერთად შედის. ხელის ჩამოსართმევად ვის მოუშვებენ ისე ჰყავთ შემოსეული გარშემო, პაპიროსის მოწევაც, თავის თავად ცხადია არ შეიძლება აუკრძალო ვისმეს ასეთ დროს და, სწორედ მეც ზედმეტად ვცანი წარწერების არსებობაც. იქიდგან ისე წამოვედი, რომ ერთი ნაცნობი არ მინახავს სალაპარაკოთ.

ქალაქის აღმასკომში საქმე არაფერი მქონდა, მაგრამ ვიფიქრე: იქნებ ვინმე ბიუროკრატს წავაწყდე, მასალა ვიშოვო მეთქი და შევიარე; აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტში გვერდის კარებიდან შევძვერი. დავაკვირდი სერგოს, იქნებ რამე ბიუროკრატობის შევამჩნიო ეთქი, მაგრამ თითქოს განგებას ისე უშნო გაუჩენია, რომ მასში ერთი წკეთი ბიუროკრატიზმის ვერ აღმოვაჩინე.

— ღმერთს მაგი მუშათ გაუჩენია და რაფერ გინდა მასში ცივილიზაციური ბიუროკრატიზმი ჩანერგო, გავიფიქრე და ნაწყენი წამოვედი.

შემდეგი დათვალიერება პროფესიონალურ კავშირზე მოვახდინე.

ისე შედიოდენ მუშები შიგ, თითქო თავის ოჯახში შედიანო, აქაც ვერაფერს გავხდი და უფრო გულმოკლული წამოვედი.

— არაფერი გამოვა მაგათგან — ვიფიქრე და ერთ „სპეციის", ჩემი ძველი ამხანაგის სანახავად შევუხვიე. ხუთი ექვსი კარები გავიარე; ყველას კარებზე რუსულ-ქართული წარწერა იყო აკრული: **„უსაქმოდ ნუ შემოხვალთ"-ო.** — აი საქმის ხალხი.—გავიფიქრე მე და ეოსი კაბინეტის კარი შევაღე. რბილი სავარძლები იდგა მარტო, მაგიდა ტრაპეზივით იყო მოწყობილი, ხოლო იქ არავინ იყო. მეორე კაბინეტში „სპეციი" გაზეთის მეთხე გვერდს კითხულობდა. მესამე კაბინეტში მეშანქანეს პუდრი და სარკე ეჭირა ხელში და პუდრს ცხვირზე ისვებდა: ხელი არავის შეუშალე და მეოთხე კაბინეტში წავედი. იქ სწორედ ჩემი მეგობარი „სპეციი" იჯდა და ადნით ფრჩილებს იწმენდდა, გაეხარდა, თუ იწყინა ჩემი მისვლა, ეს არ ვიცი—მხოლოდ ხელი გამომიწოდა და მანიშნა დაჯდომა.

საუბარი ჯამაგირებიდან დავიწყეთ, ჩემი მეგობრის თქმით მას 160 მანეთი ეძლევა, მაგრამ გაცილებით ცუდათ სცხოვრობს, ვინემ 40 მანეთიან ჯამაგირების დროს. მე მივეცი რჩევა—ისევ 40 მანეთიან ჯამაგირზე დამდგარიყო. შემდეგ საუბარი ბიუროკრატიზმზე გადავიტანეთ. მისი თქმით იქ ბიუროკრატიზმს ადგილი არა აქვს. ჰასუხისმგელნი დღეში ხან ერთ საათს რჩებიან დაწესებულებაში და ხან სულადაც არ შემოდიან; ამიტომაც არც შეიძლება ჰქონდეს ადგილი ბიუროკრატიზმსო.

— ეს წარწერები რაღას ნიშნავს კარებზე რომ აგიკრავთ: „უსაქმოდ ნუ შემოხვალთ"-ო — შევეკითხე.

— ეს იმიტომ რომ ხშირად იციან ხოლმე უსაქმოდ შემოსვლა და აბა დაწესებულებაში უსაქმოდ შემოსვლა რა საჭიროა! — მითხრა მან.

ორი საათი ვილაპარაკეთ, ძველი და ახალი ყველაფერი მოვიგონეთ და წამოვედი. კარებზე ისევ წავიკითხე: **„უსაქმოდ ნუ შემოხვალთ"**, და მაშინ ჩაუკვირდი მის მნიშვნელობას. ბევრი ფიქრის შემდეგ. ასე მივხვდი ამ წარწერის შინაარსს: ალბად ამ ხალხს მოსწყინდა უსაქმოდ ჯდომა, უსაქმოდ შემსვლელები—და თხოულობენ ვინმემ საქმე მოუტანოს: ე. ი. მოკლედ რომ ვსთქვათ, წარწერა ამბობს: **„უსაქმონი ჩვენც ვკმარვართ, თქვენ საჭირო არა ხართ"**.

აი ნამდვილი დაწესებულება, სადაც კიდევ ყოფილა შეგნებული და განვითარიბული ხალხი.—ვთქვი და სახლში წავედი.

ბლიკვი.

სიყვარულის დამტკიცება

სურ. ო. შლინგი



— **მამილო, თუ ჩვენი სიყვარული გაქვს, „ტარტაროზი" გამოგვიწერე**

„ძირს ბიუროკრატიზმი“

ცოცხალი სურათი

(სცენა წარმოადგენს საერთო კანცელარიას და საქმეთა მმართველის კაბინეტს,, სადაც გაკრულია ბიუროკრატიზმის საწინააღმდეგო მრავალი წარწერები).

საქ. მმართ. (საქმის მწარმოებელს): საკვირველია: შუადღის თორმეტი საათია და გამგე კი ჯერ კიდევ არა სჩანს! ავტომობილი ხომ გაუგზავნეთ?

საქ. მწარმ.: დილიდანვე უცდის—მაგრამ არა მგონია, რომ მალე მოვიდეს. წუხელის „არტო“-ში იყო და ბათენებამდი კარტს თამაშობდა.

მარო (ტასიკოს): ტასია, გენაცვალე, ცოტა პუდრი მასესხე... შენ ლორიგანი კოტე გაქვს.

ტასიკო: ოჰო, იამა ქალბატონს კოტე... ხომ იცი ეს პუდრი როგორი საშოვნელია კონდრაბანადათ?! (შემოდის მოქალაქე).

სილიბისტრო: დილა მშვიდობისა, ბატონებო... (სიჩუმე): დილა მშვიდობისა ბატონო. (ისევ სიჩუმე. შემდეგ თავისთვის): ოი, დაყრუვდით ბარემ.... (მიმართავს საქმეთა მმართველს): უკაცრავათ...

საქმეთა მმაზთ. რა გნებავთ?

სილიბისტრო: შენი დღეგრძელება... გახლავარ სოფლიდან ჩამოსული... ჩვენს სოფელს ღვანკითს ეძახიან... მშვენირი მიდამო და ჰავა არის. ისეთი რომ...

საქმეთა მმართ. რა გნებავთ? განცხადება გაქვთ?

სილიბისტრო: არა, „პრაშენია“ მაქვს და, თუ შეიძლება...

საქ. მმართ. თქვენ დაარღვიეთ კანცელარიის წესი. თქვენი ქაღალდი ჯერ სხვამ უნდა მიიღოს და შემდეგ მე. (გადის თავის კაბინეტში).

სილიბისტრო: რა გაჯავრებს, შე კაი კაცო, რომ მიმატიე და გაიქეცი. (საქმის მწარმოებელს): რალაც ისე გატყობ, რომ გულკეთილი კაც, უნდა იყო... ეს განცხადება....

საქ. მწარმ.: მე არ შემეხება. მიმართეთ სხვას.

სილიბისტრო: (ამოიოხრებს და მიმართავს თანამშრომელ ქალს): შენ გეიზარდე და ღმერთმა კარგი ბედიღბალი მოგცეს,— ეს განცხადება....

თანამშრ. ქალი: მე შესრულებულ ქაღალდების რეგისტრატორშა ვარ. მიმართეთ სხვას.

სილიბისტრო: (თავისთვის): არ შეგისრულა ღმერთმა არფერ სურვილი შენს სიცოცხლეში. (მიმართავს მაროს).

თვალებში გეტყობათ რომ თქვენ დარბაისელი ადამიანი ხართ, და ამიტომ, ეს განცხადება...

მარო: მე ეს არ მეხება აი, იქით მიმართეთ.

სილიბისტრო (თავისთვის): რა ყოფილა აი ა? დალახვროს ღმერთმა თქვენი თავი. (მიდის მემანქანესთან): შენისთანა ქაილის მნახველი არ ვარ ჯერ.ასე ლამაზი, რომელმა დედ-მამამ გშობა?... და ეს პრაშენია...

მემანქანე ქალი (კაპასით): რატომ მიშლით ხელს? ხომ ხედავთ ვმუშაობ.

სილიბისტრო: ეს ქაღალდი...

მემანქნე ქალი: სადაც გნებავთ იქ წაიღეთ.

სილიბისტრო: თქვენთან მოვიტანე ეს ბატონო.

მემანქანე ქალი: ეოტ ჩელოვეკ!... მარო, ერთი პაპიროსი მომეცი, თორემ ნერვები ამეშალა. (სილიბისტროს) ხომ ხედავთ—ვბეკდავთ?!.

სილიბისტრო (თავისთვის): საგიჟეთშიაც დაგილევია მთელი შენი სიცოცხლე... სამუდამოდ დაგიბეკდონ ყბუოს სახურავი... რა ყოფილა აი?

შიკრიკი: როგორ გადარეულსავით ბუტბუტებ?

სილიბისტრო: რა გასაკვირალია, რომ აქ მოსული გადაირიოს!.. მარა, მანამ გადავირეოდე, ისე მაგრად მოგთელავ ლეიბის მატყლსავით, რომ ხორცი და ძვალი რბილათ გადაქიცინო.

მარდახა (შემოდის და მიმართავს საქ. მწ.): როგორ არის ჩემი „პრაშენიის“ საქმე?

საქ. მწარ. ჯერ არ არის განხილული.

მარდახა: როცა მოვიტანე, მაშინ ჩემი ცოლი ორსულად იყო ეხლა კი მას შვიდი თვის შვილი ჰყავს და თქვენ კი ამ ხნისგანმავლობაში „პრაშენია“ ვერ განიხილეთ?!

გამგე: (რომლის შემოსვლაზე, ყველას მოუსვენრობა ეტყობა, მოსვლისთანავე ეუბნება საქმეთა მმართველს): ქუჩაში ყური მოვკარი,—მთავრობის ხალხი იყო,—ბიუროკრატიზმს უნდა ეებრძოლოთო... გაზეთებშიაც ყოფილა თურმე ამის შესახებ კამპანიები. ეს მე ფეხსალაგში წავიკითხე, თორემ ისე დრო არა მაქვს გაზეთისათვის... ამიტომ შეუკვეთეთ დიდი პლაკატი, რომელზედაც უნდა ეწეროს: **„ძირს ბიუროკრატიზმი“.**

საქ. მმართ.: ეს კარგი, ხვალვე მზად იქნება... აი, ეს ქაღალდებია განსახილველი; უკვე დიდი ხანია და...

გამგე: სადაც ამდენი ხანი განუხილველია, ერთიორი თვე რომ კიდევ დარჩეს, არაფერი დაშავდება. ჩვენ ეხლა მაგისათვის არ გვცალია. ჩვენი საქმეა ეხლა ბიუროკრატიზმთან ბრძოლა.

ქართლ-იმერელი.

სურათი დონისა

ვაჟი (ქალს): **ბკვიანი ქალი ხარ, ჩემო სულიკო: ეს ქოლგა რომ არ წამოგელო,—ამ ზაპესის გამო ერთ კოცნასაც ვერსად მოვახერხებდით!**

ჩემმა ენამ დამღუპა

— კაცო, სამი წელია ერთად ვცხოვრობთ, მტერი და მოყვარე გვყავს და რავა არ გრცხვენია ერთი ჩვენებისა არ წამიყვანე—თავი არ ისახელე..

— ქალო, ნუ გადარეულხარ, თამაშობა ხომ არ გგონია ეხლა შგზავრობა!

— შენ ყოველთვის ასე იცი, ერთხე ლარ მინახავს, რომ შენ ჩემი დაგეჯერებიოს.—გაჯავრებით მითხრა მან და ტირილი დაიწყო. ბევრი ველაპარაკე, ბევრი ვეხვეწე გადა ეთქვა წასვლა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, რომ შეჯდა ვირზე, ფეხიც არ მოიცვალა.

მეტი გზა აღარ იყო. ბოლოს აიღე 15 დღის შვებულება, 25 მანეთი მომავალი წლის ჯამაგირის ანგარიშში (ამ წლის შეჭმული მქონდა) და მოვემზადეთ წასასვლელად. სადგურზე კიდევ მოვაგონე ცოლს, რომ ეხლანდელი მგზავრობა სასიფათოა, მაგრამ ყურიც არ მათხოვა..

— რაღა ეხლა დევიმტვრევით! თუ დასამტვრევი ვართ და ასე გვაწერია შუბლზე, ოთახშიც ედვიმტვრევით.

ჩემი ცოლის სოფელში რომ მივედით, თითქმის ყველას სიხარული შევნიშნეთ.

— აფერუმ დათია, კი გაათხუა გოგო, მარა კიდეც მიუცია კაი კაცისთვის!—ეჩურჩულებოდენ დედაკაცები ერთმანეთს.

— ბეჩა, არ იტყვი რა თანამდებობა უჭირავს თურმე! მაგ სიმაღლე კაცი იმ ქვეყანას მეორე არაა.

— საწყალ კეკელას რა გოუხარდება ეხლა სიძის მისვლა!—ასე ლაპარაკობდენ ქალები დ აჩემს ნათხოვარ პალტოსა და ქუდს ათვალიერებდენ.

სიმამრი, ცოლის ძმები, ცოლის დები, სიდედრი, ნათლია, ნათლული, მისი ძმა, მისი მომყოლები და სხვები შორიდგან შემოგვეგებენ..

სუფრა მისვლისთანავე გაშალთა, შემწვარი, მოხარშულით, მოხრაკულით, გამომცხვარით და გამომხმარით აივსო ყველაფერი. მთელმა სოფელმა შეიყარა თავი. მე და ჩემი ცოლი ერთად დაგვსვეს და კიდევ ერთხელ მაგვაგონეს ჩვენი ქორწინება. სიმღერა და ათმაში ხომ აუწერელი იყო. ქალები უანწებმა შეცვალეს, უანწები ჯამებმა და ბოლოს ქეიფზე მიადგებოდენ მგონია, რომ თამადას წელზე ზონარი არ შეწყვეტოდა და პირიდგან ნახარჯი არ ამოელაგებია.

მეორე დღე უფრო მხიარული იყო, დილიდანვე იწყებოდა ქეიფი და დროს ტარება ჩემი ქება მთელ სოფელს მოედო უკვე და მეც. რასაკვირველია. ვიფერებდი ამ დიდ სახელს.

— თქვენ რა თანამდებობაზე მსახურობთ ბატონო—შემეკითხა ერთ საღამოს ჩემი სიმამრის მეზობელი გლეხი, რომელსაც თავისი სარჩო საბადებელი ამ ვახშისათვის დაეხარჯა, რომ ჩვენთვის „პატივი ეცა“.

— მე ვახლავართ შრომის კომისარი—მოკლედ მივუგე მე და პალტოზე დაყრილი პაპიროსის ფერფლი გადავიფერთხე.

— კაი დაგემართოს. რა მოვალეობა გაქვთ თქვენ. ბატონო?

— რაი ვა, მაგალითად. თვალყურის დევნება შრომის დაცვაზედ. რასკვირველია, ჩემზედაა დამოკიდებული მუშების დანიშვნა მოხსნა და ბევრი რამ ასეთები.—გავბერე რაც შემეძლო გუდა.

ვახშანი დიდებული გაიწყო თუმცა ყველაფერი თავზედ საყარად იყო, მაგრამ მასპინძელი მისი ცოლით მარნც წუწუნებდა:

— მართალია: თქვენს საკადრისად, ვერ გაგიმასპინძლდით, მარა რაც შეგვიძლია სულითა და გულით მონდომებული ვართ პატივი გცეთ.

იმ ღამეს მართლა ძლიერ მაგრად დავთვერი და ლაპარაკით შრომის კომისარის თანამდებობასაც ავცილდი თურმე. რა ვილაპარაკე არაფერი მახსოვს, მხოლოდ ეხლა კი თანდათანობით ეტყობილობ რომ ჩემს ენას დაუღუპავარ.

15 დღე ისე გავიდა, როგორც სიზმარი და წამოსვლის დროც მოაწია.. უკანასკნელ დღეს უკანასკნელად დავთვერი და სადგურისაკენ როგორ წამოვედი, არაფერი მახსოვს.

გათოშში რომ ჩამოვედი, მე და ჩემ ცოლთან ერთი 15-16 წლის ყმაწვილი ჩამოხტა, ჩვენ ბარგს ხელი მოავლო, ზურგზე მოიდვა და ჩვენ გამოგვყვა...

— ვინაა ქალო, აი ბიჭი?—შევეკითხე ჩუმათ ცოლს.

— რავა არ იცი, შემიწყალახეთქო, ბესიკას რომ შეპირული ასანეთიან ადგილზე დაგიყენებ ბიჭსო, მაგია იგი.—ჩურჩულითვე მიპასუხა მან. ეხლა კი ვიგრძნე ჩემი უბედურება. სხვისი რჩენა კი არა, ცოლს ხანდახან სხვისას ვაგზავნიდი სადილზე.

მეორე დღეს სოფლიდან წამოღებულებს შევექეცით და მესამე დღეს კი დავიწყე სირბილი პრუის ასანისიებლად.

ერთ სასადილოში, სადაც მე ვხარჯულობდი ნისიათ, მივიყვანე ჩემი სტუმარიც და სასადილოს პატრონს ვუთხარი, რომ ჩემს მაგიერ მისთვის ეძლია სადილი. მე კი ცარიელ პურს შევექცეოდი სახლში.

სასადილოს კარგად შეეჩვია ჩემი სტუმარი და „მენიოც“ გაიცნო. ერთ დღეს სასადილოს გამგემ 45 მანეთის ნახარჯი წამომიყენა..

— რა ვქნა, ბატონო, უმწვადოთ და უღვინოთ არ შეირთმევს სადილს თქვენი მოყვახილი კაცი და მე რა გიყოთ!

შევატყვე საქმე ცუდათ იყო და გადავწყვიტე მეც ერთად მასთან მევლო სასადილოში და ორი ხელის მაგივრად, თითო ხელით დამეკმაყოფილებია. ასეც მოვიქეცი სასადილოში დავჯექით, ორივემ მოვითხოვეთ შჩი, მე ნელნელა შევექცეოდი და მან კი სწრაფად ამოხვლიპა და „მენიოს“ დაუწყო თვალიერება.

— შენ რას თხოულობ მეორეს?—შემეკითხა ჩემი სტუმარი.

— მე მეორეს არასოდეს არ ვჭამ, ექიმებისაგან კარ დათხოვნილი ხმელ საჭმელებზე. მე მხოლოდ წვენი უნდა ვთხლიპო—ვუთხარი და რომ მეორე არ მოეოხოვა, ჩემი ულუფა ხორცი მას გადაუდევი.

— საშინელი ავადმყოფობა გქონია—მითხრა მან, ჩემი ულუფა ხორცი ვადაიღო და ამასობაში კატლეტის „ზაკაზიც“ მისცა...

ცხელმა კატლეტმა ისე ამიძრა მადა, რომ კბილების წაკწაკი ამივარდა ციებიან კაციივით; ჩემი სტუმარი კი მადიანად ილუკმეზოდა.—მე კი ნერწყვს ზედიზედ ვყლაპავდი... „ესეც შენი კომისარი“.ვამბობდი გულში და ბრაზით ვსკდებოდი, რახან ღვინის სმაზედ მე უარი განვაცხადე და ექიმები დავასახელე მიზეზად. მან ნახევარი ბოთლი ღვინო მოითხოვა და სადარდელი სადარდელზე დამიმატა.

ადგილის შოვნაზე ის სრულიად არ იწუხებდა თავს. მე ბევრს დავწანწალებდი, მაგრამ არსაით არაფერი ჩნდა.

მე და ჩემი ცოლი ერთმანეთს ძაღლივით გადავეკიდეთ, მუდამ ვჩხუბობდით. ბოლოს ერთმა მეგობარმა გვიხსნა ამ გაჭირვებიდგან.

— მოიყვანე ის ვაჟი ჩემთან, უთხარი რომ მე ვარ ქარ-

ᲛᲝᲡᲐᲤᲝᲜᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ

სურ. რევაზისა

ᲥᲐᲚᲘ: შენ ქალის როგორი თვალები მოგწონს?
ᲕᲐᲟᲘ: რომელიც ვაჟის ჯიბეში არ იკერება!

ხნის დირექტორი, მე შეეპირდები მას ალაგს და შენ გიხსნი.

— მეც ისე მოვიქეცი. ერთ დღეს ჩემი მეგობარი ქარხნის დირექტორად გავაცანი და ადგილი ვთხოვე.

— პირველ ივნისიდან იმუშავებთ ჩემთან, ხოლო მანამდე შეგიძლიათ სოფელში დაისვენოთ. თვეში ას ოც მანეთს დაგინიშნავ.—უთხრა ჩემმა მეგობარმა ისეთი სერიოზული გამომეტყველებით, რომ გიჟი მართლაც დაჯერა. გზის ფული, რასაკვირველია, ვისესხე და გავისტუმრე. დროებით მოვიცილე, მაგრამ ეხლა ისევ მისი დაბრუნების შიშს მივეცი. აქაც ჩემმა ამხანაგმა მიხსნა.

— დახარჯე კიდევ ერთი მანეთი—მითხრა,—მიეცი დეპეშა, რომ ქარხანა დაიწვა, დირექტორი შიგ მოჰყვა, სხვა ადგილი ამდროულად არაფერია, რომ შენ გადაყვანილი ხარ რუსეთში დიდ საქმეზე და სხ.—მე მისი რჩევა ჭკუაში მომიყვიდა მართლაც დაუმატე ვალს ვალი და ზემო აღნიშნული შინაარსის დეპეშა გავგზავნე. ჯერ-ჯერობით არაფერი სჩანს, შეიძლება ამ წამალმა მიშველოს, მაგრამ მოსალოდნელია სხვა მეწვიოს და ამიტომ ვალში ჩავარდნას ისევ სირცხვილი მირჩევნია და ვაცხადებ საყოველთაოთ, რომ სოფელში ჩემი ნალაპარაკევში სუყველა ტყუილია; მე კომისარი კი არა, რეგისტრატორი ვარ, რომელსაც ჯამაგირი მეძლეა მე-6-ე ხარისხით 27 მანეთი და 80 კაპეიკი..

გთხოვთ შეცდომაში ნუ შეხვალთ და ნუ მოდიხართ ადგილის საშოვნელად.

თქვენი მარადის დაუვიწყარი სიძე.

პ. ობოლი.

„ᲞᲝᲚᲣᲩᲙᲐ"

ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘ

ᲙᲝᲬᲘᲐ: (შეხვდება ლიანდაგზე ისრებში ვასოს) გამარჯობა ვასო, შენი. რას შვრები კაცო, როგორა ხარ ხასიათში აჰს.

ᲕᲐᲡᲝ: რაღა როგორ ვარ, ძმაო. მე ქე გავთავდი კაცი ამდენ ლოდინში. ჩვენი არტელჩიკის შემხედვარე კარგ ხასიათზე იქნება ვინმე? სადაა თუ ძმა ხარ, ის კაცი ამდენ ხანს? ჯამაგირის დარიგებას ალარ აპირებს?

ᲙᲝᲬᲘᲐ: მაგი არ მიკლავს, კაცო, მეც გულს! იგვიანებს ეს ჯამაგირი ა? პირდაპირ, წეხანა მუხრუჭზე ვიყავი ტყიბულის მაქსიმ გორკზე და რომ გამახსენდა ჯამაგირის დაგვიანება, მომივიდა გული და ისე მოვუჭირე მუხრუჭს, რომ მატარებლის მთელი შემადგენლობა კიდამ გაჩერდა.

ᲕᲐᲡᲝ: კაცო, შენი თქვი და ჩემი გაიგონე... შენი არ იყოს, მეც რომ მომივიდა წეხანა გული სახელოსნოში,—რო მეევიჭნიე. ურო, გრდემლის მაგიერათ ქურაა ვლეწე თავში; კინალამ დავამტვრიე იქაურობა.

ᲙᲝᲬᲘᲐ: გულმოსასვლელია, ყმაწვილო, აბა რა!

ᲕᲐᲚᲝᲓᲘᲐ: გამარჯობა, ამხანაგო თქვენი! რას თათბირობთ, კაცო, მაქანა ა?

ᲕᲐᲡᲝ: ვთათბირობ კი არა, თუ ამიდუღდა სისხლი მთლად დავანგრევ ყველაფერს... რეიზა აგვიანებენ კაცო, ამ ჯამაგირს?

ᲕᲐᲚᲝᲓᲘᲐ: კაცო, მაგაზე არა ვარ გულგამსკდარი მეც! წეხანა, კაცო, საქონელს რო ეწონიდი ისე ამერია დავთარი, რომ მოსკოვის ვაჭარს საქონლის მაგიერათ მიცვალებული კინალამ გაუგზავნე კუბოთი აბა!..

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠᲘ: (შეესწრებათ): რაზე ხართ კაცო გულმოსული? ცუდი ამბავი ხომ არაფერია კაცო?

ᲙᲝᲬᲘᲐ: ამაზე მეტი ცუდი შეიძლება.

ᲕᲐᲚᲝᲓᲘᲐ (ვლადიმერს): თუ ცუდი არ არის, ვერ უყურებს შენი თვალები!

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠᲘ: მე მაინც ვერ გავერკვე!

ᲕᲐᲡᲝ: ვლადიმერ ჩემო, შეიძლება გეოგე კაცო, რომ ამ ჩვენ დღესასწაულს რაზე აგვიანდება?

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠᲘ: რომელი დღესასწაული, კაცო? ამ თვეში არც კია დღესასწაული,

ᲕᲐᲡᲝ: შენ ვერ გაიგე კაცო. მე მინდა გკითხო—ჯამაგირი როდის არის მეთქი?

ᲙᲝᲬᲘᲐ: იგია ჩემი დღესასწაული ძველიც და ახალიც.

ᲕᲐᲚᲝᲓᲘᲐ: ისაა ჩემი ცოლიც, შვილიც და ყოველივე სიხარული.

ᲕᲐᲡᲝ: თუ კი მეღირსა ჯამაგირის აღება, ნახევარზე მეტს დავეხარჯავ — ერთი ხოშიანად ჩავლიოთ.

ᲙᲝᲬᲘᲐ ᲓᲐ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠᲘ: მეც ვდებ ნახევარ ჯამაგირს, ჩავლიოთ, მაგის რჯული არ იყოს.

ᲕᲚᲐᲓ.: კაცო, ნახევარი ჯამაგირი კი არა, სამი შაური ღირს ბილეთი.

ᲕᲐᲡᲝ: რომელ ბილეთზე მელაპარაკები თუ ძმა ხარ შენა?

ᲕᲚᲐᲓ.: რომელზე და, ჩვენს კლუბში საუკეთოვო კინო-სურათი მიდის, და ბილეთი სამი შაური ღირს.

ᲕᲐᲚᲝᲓᲘᲐ: ძოგიცლია ერთი, შე მამაცხონებულო. რა დროს კლუბია. კლუბს სამიკიტნოში ქეიფი არ სჯობია?!

ᲙᲝᲬᲘᲐ: რა მეზარება კლუბში თვალების გამოშტერება.

ᲕᲐᲡᲝ: ჩემი კლუბი ღვინის სარდაფებშია: ვეხაცვალე მის მომგონს.

ᲕᲐᲚᲝᲓ.: რა ყრია კლუბში; სასმელია თუ საკმელი, ქეიფია თუ დროს გატარება; სამიკიტნოში ერთი მაგრად რომ შეებრუშდები, იმას რა სჯობია. სიმღერის ხასიათზე მაშინ მოვალ, ცეკვაში კაცი ვერ მაჯობიებს. დარტყმაში და ჭიდაობაში პირველი ვიქნები. ამას რა სჯობია თუ კაცი ხარ?!

ᲕᲚᲐᲓ.: (იცინის) ესეც თქენი კულტურა და ხელოვნება.

ᲙᲝᲬᲘᲐ: არ მოგწონს თუ?

ᲕᲐᲡᲝ: ლიმაანი.

„სკანდალიანი“ მგზავროგა

გადამეკიდა ცოლი: — „კომანდიროვკა“ მოახერხე; ცოტა ხნით სადმე წადი; ფული გვჭირდება.

— ქალო, ამ ხუთას მანეთს ყოველთვიურად რომ ვღებულობ, სად ჭერება? ნუ თუ ამდენი ფული ორ სულ ადამიანს არ გეყოფნის! ჩვენი პეტრე კი ხუთ თუმნით ექვს სულ ხიზანს არჩენს!?

— პეტრეს ცხოვრება და ჩვენი რამ გაასწორა? ის ცოტას ხარჯავს, შიმშილობს, თეატრში არ დადის და პროფეკტორში; ჩვენ კი ბევრი გვჭირდება... უეჭველად გამოახერხე „კომანდიროვკა“.

მეც დავფიქრდი. ხუმრობა ხომ არ არის—დღეში ათი მანეთი „კომანდიროვოჩნი“! ავდექი და გავსწიე გამგეობის თავმჯდომარესთან.

უაკანასკნელთან საქმე ისე გამოვაწყეე, როგორც მე მომინდებოდა, გამოვედი გარეთ, დაუძახე ეტლს, ჩავჯედი შიგ და მალე მივადექი ქალაქის სადგურს რბილი რონოდის ბილეთის შესახეძათ. სადგურში საღამოს ცხრა საათზე იმავე ეტლით მივქროდი (რა მენაღვლებოდა აბტრესტის ფულები!).

ბევრი ბარგი-ბარხანა არ მაწუხებდა და... კონდუქტორს შევეკითხე:

— ამბანაგო, საგარეჯოს მატარებელი ეს არის?

— საგარეჯოსი არა, ვაზიანის არ გინდა! ეს კახეთის მატარებელია და, რაღა თქმა უნდა, საგარეჯოშიდაც გაიარ-ლის.

— კაი. შე კაცო, ერთი ალილო მღვდელს შეეშალაო—ნათქვამია. აბა, რბილი ვაგონი რომელია?

— მღვდელს ყველაფერი შეეშალა, მაგრამ შენ კი არ უნდა შეგეშალოს! აი, ის არის რბილი ვაგონი, ნახევარი რომ ყვითელია და თანაც კიბესთან „პრავადნიკი“ დგას.

ვაგონში მალე მოვნახე თავისუფალი დასაწოლი ადგილი, მაგრამ თავქვეშ დასადები ბალიში არსად სჩანდა.

ამასობაში მატარებელიც დაიძრა.

მე მოვიხმე „პრავადნიკი“ და მოვთხოვე ბალიში.

— ეგ არის ბატონო, რაც ჩამბარეს მეც იმის პასუხისმგებელი ვარ, ბალიშები სრულებით არ ჩაუბარებიათ. ეს „მიქსტი“ ვაგონია.

ძალიან ნერვიზიანი კაცი ვარ, იმდენათ ფული არ დამნანებია, როგორც თავმოყვარეობის „შელახვა“ და ანგარიშმიუცემლად ვეცი „პრავადნიკს“, თანაც ხალხის გასაგონათ ხმაღლა ვუყვირე:

—რას მიედ-მოედები, ამდენი ფული ტყვილა გადავყარე? ბალიში თუ არ გაქვთ, დასაწოლ პლაცკარტებს რატომ ჰყიდით, ყურუმსაღებო, ჩქარა მომიტანე ბალიში!

მომცვინდენ მგზავრები და ძლივას გამომგლიჯეს ხელიდან უდანაშაულო „პრავადნიკი“.

ბოლოს, როგორც იქნა დაიწყნარდი და იძულებული შევიქენი იმავე „პრავადნიკი“-სათვის შეშის ნაჭერი გამომერთმია, რომელიც ბალიშის მაგიერ დავიდევი თავქვეშ. თან „პრავადნიკს“ ვთხოვე—საგარეჯოში გაეღვიძებინ.

ძილ-ღვიძრათ ვიყავი, როცა მატარებელი ხვნეშით შეჩერდა. უეცრად მომესმა განგაშისებური ყვირილი.

შეშინებული როგორ გამოვედი ვაგონიდან, აღარ მახსოვს, მხოლოდ ძლივს გამოვერკვიე სადგურიდან გამოსულ და მატარებლისკენ მომავალ ცარიელ „მეშოკ“ წამოსხმულ საშუალო ტანისი და ხნოვანი კაცის ხმაზე.

— მოდიეარ, მოდიეარ, აცა, აცა რა იყო თქვენ ლოკომოტივ?

მე წამს იმ კაცთან გავჩერდი და როცა გამოვკითხე თუ რაში იყო საქმე—მიპასუხა:

— „ბაგაჟი“ არის გადმოსაცალი, არაფერია.

როცა ისევ ჩემი ადგილი მოვნახე, „პრავადნიკ“-ს გამოვკითხე სადგურის სახელი და ისე გაცხარებული ყვირილის მიზეზი, მან მომიგო:

— ეს ვაზიანის სადგურია; ის ტომარა მოფარებული კაცი, თვით სადგურის უფროსია. დაეტვირთავ-გადმომტვირთავი მუშა არა ყავს, მის ხვედრ ფულს თვითონ იღებს და მუშის მოვალეობასაც თვითონ ასრულებს. ყვირილს კიდეე განგებ ასტეხენ ხოლმე კონდუქტორები—სადგურის უფროსი გავაბრაზოთო.

ვაზიანის სადგურის უფროსი აღარ გამოიცხავს, რადგან ზედმეტი ფულისათვის („კომანდიროვოჩნი“-სათვის) მე უარეს ჩავდიოდი და ამიტომ ისევ „ძილს“ მივეცი თავი.

არ გაუვლია 15—20 წუთს, რომ რაღაც ხმაურობა და ხმამაღლა ლაპარაკი შემომესმა. ისევ წამოვდექი და გავეშურე იქით, საიდანაც ხმაურობა ისმოდა.

— რა ამბავია, რა იყო, რაშია საქმე?—შევეკითხე „პრავადნიკს“, რომელიც ის ის იყო გამობრუნდა ჩემსკენ.

— რა ამბავია და ამ უსინდისოებმა ეს ვაგონი გარყვნილების სახლი გახადეს. ობერს ნუდა დაუძახო, მაგათ სეირს ვაყურებიეფ ხალხსო.

„პრავადნიკმა“ მალე მოიყვანა ობერი—შვილი, რომლის შეკითხვაზე ქალმა უპასუხა:

— ეს ვაჟი ჩემი ნაცნობია, საგარეჯოელი გულისია, მეც იქაური მასწავლებელი ქალი მაის... გახლავარ, ერთმანეთს ვებაასებოდით...

განა აქ რა არის საძრახისი.

— ბაასი სხვაა და სხვა კიდეე სხვაა, რისთვისაც ვაგონში არაა ადგილი. ამით თქვენ დაარღვიეთ სავალდებულო დადგენილება და დაჯარიმებული ხართ 20 მანეთით, წადგენთ საგარეჯოში.

— შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, ოღონდ საგარეჯოში ნუ წარმადგენ, ყველა მიცნობს, საქვეყნოთ თავი მომეჭრება და ისე კი რაც გნებავს—გადამახდევინე,—შეეეედრა ვაჟი ობერს.

უაკანასკნელმა მიიღო მხედველობაში ვაჟის უხერხული მდგომარეობა და მხოლოდ ოცი მანეთით დაჯარიმება აკმარა.

ამასობაში საგარეჯოშიდაც მივაღწიეთ.

„შეურაცყოფილი“ ქალ-ვაჟი დარცხვენით გადავიდა ვაგონიდან და შთაინთქენ სიბნელეში. გადავედი მეც, გადავისახე პირჯვარი, რომ ასეთ „სკანდალიან“ მგზავრობას უვნებლად გადაურჩი და შევედი სადგურის საერთო დარბაზში.

თუ ამ საგარეჯოდან მშვიდობით დაბრუნდი—მთელ ჩემ სიცოცხლეში „კამანდიროვკა“-ში აღარ წავალ თუ გინდა „რაზვოდი“-ც რომ მიქნას ჩემმა ცოლმა.

იშტიანი.

„ი ჭ ვ ი ა ნ ო ბ ა“

სურ. რევაზის.

ბავშვი: (ხედავს ცალთვალდაფსებულ ვაჭარს და ეუბნება დედას): **დედიკო, რატომ მამასავით გიშვრებ-ს კაცი თვალს.**

ფერილი მეგოგარს

მისაყვედურებ წერილს არ მწერო.

ეს მართალია,—მაგრამ ხომ იცი მუშკოოპში რა მუშაობაა და ამიტომაც მოცლა არა მაქვს. დღე ერთია და, უამრავ განცხადებებს ვღებულობ სავაჭრო ქსელიდან: ყინულის მოთხოვნილება მაღაზიებიდან და წყლის კიოსკებიდან; მეხორცეების და მემწვანილეების განცხადება ხორცისა და მწვანილის წახდენის შესახებ; მაღაზიების გამგეების და ნოქრების განცხადება, რომ ვირთხებმა შაქარი და საპონი შესჭამეს; საოქეო პუნქტის განცხადება, რომ ყველი და კარაქი გამოელიათ; ნოქარის თხოვნა, რომ სხვა მაღაზიაში გადავიყვანოთ, და, რა ვიცი ასეთი განცხადებები.

მაგრამ ყველა ამაზე შემდეგ.

ეხლა უფრო საჭირბოროტო საკითხია:

რეჟიმ-ეკონომია.

რომელსაც ჩვენ კარგად ვატარებთ. მაგ.: მუშკოოპის მაღაზიებში (ქალქის განაპირა უბნებში მით უმეტეს) ყოველ ოთხ ნოქარზე ადვაწესეთ ერთი ხალათი (ისიც ექვს თვეში ერთხელ).

მაღაზიებში მოსპობილია საპნით ხელის დაბანა, საპნის ნაცვლად შემოღებულია ქატო, რომელიც იაფიც ჯდება და ხელს საპონზე უფრო არბილებს.

მოსპობილია ხელსახოცი, რომელიც შეცვლილია ცხვირსახოცებით, რადგან ასეთი, ალბად, ყველა მოსაპსახურეს აქვს.

გარე უბნებში, სადაც) უმეტესად მუშები ცხოვრობენ, შევამცირეთ სინათლე; ეს იმიტომ, რომ (ასე ამბობდენ): მუშები მაინც ადრე იძინებენ. სამაგიეროთ მათი მივუმატეთ ცენტრალურ მაღაზიებს.

ფასების დაკლება

ფასების დაკლება პირველ მოთხოვნილების საგნებზე*) საგრძნობლად გავატარეთ. ლორიგანზე, კბილის ფხვნილზე, კრასკა-პამადაზე, აბრეშუმის თეთრეულებზე (ქალის), პერანგის ამხანაგების გასაწყობ „კრუჟევაზე“ დავუკელით 20 პროც.—30 პროც.

აუცილებელ საჭირო სანოვაგეთა ქონებას მაღაზიებში დავუკელით 50 პროც. ე. ი. გავანახევრეთ. მაგ. თუ უწინ ორი ფუთი ხახვი გვქონდა სავაჭროში, ეხლა მხოლოდ ერთი ფუთია.

თითქმის ასი პროცენტით დავუკელით ფართლეულობის გაყიდვას მომხმარებლებზე.

დავუკელით მაღაზიების სისუფთავეს, რითაც კეთდება ორი კარგი საქმე: ფასების დაწევა და რეჟიმ-ეკონომია. დავუკელით პურის ღირსებას 30 პროც., რაც გამოიხატება ქადის ფქვილის გარევით.

დავუკელით აგრეთვე სამი თვე ბალანსის შედგენას.

პაპარატის რაციონალიზაციასაც

კარგად ვატარებთ; ხოლო ხელს გვიშლის გასაწყვეტი ვირთხები, რომლებიც თარეშობენ და არ იშლიან თვითნებობას. მათი თავხედობა იქამდი მივიდა, რომ შაქრით და საპნით აღარ კმაყოფიხლდებიან და, ამას წინეთ № 13 მაღაზიაში მოლარეს სამ ჩერვონცანი შეუპაძა თურმე.

გასულ წელს ცენტრალურ მაღაზიაში 15 ფუთი, ანუ დღევანდელი ანგარიშით 240 კილო საზამთრო შესჭამეს, მიუხედავად ამხ. ობოლაძის ხასტიკი ცირკულიარისა და პროტესტისა.

ჯეოჯერობთ მეტს ვერაფერს გწერ.. ანდა რა უნდა მოგწერო,—უკვე მომადგენ განცხადებებით.

მარად შენი ამხანაგი

იზვინიტე პაჟალუტსა.

---

*) 1-ლ მოხთოვნილებაში იგულისხმება: დუხი, პუდრი, პამადა, კოაკა და სხვა ასეთები, რომლებსაც ხმარობენ ბანდილონსები; ამ საგნებს ყველაზე უფრო მეტი მოთხოვნილება აქვს.

ზ.

მოგვხედე, ტარტაროზ!

ტარტაროზო უწმინდესო, რომელიც ხარ ცათა შინა;
ძლიერო და ყველგან მყოფო, გინდა გარეთ და გინდ შინა;
მადლი იმას, ვინაც ასე სიმართლისთვის გაგაჩინა;
შენი შოლტი ჰკურნავს ყველას, ბევრი უკვე მოარჩინა...
ერთი ჩვენაც გადმოგვხედე,—რა გვიჭირს, რამ მოგვაწ-
ყინა
აღარ გვშველის არაფერი, არც ზეთი და არც ქინა-ქინა.
გვევედრებით, რომ გვაცნობოთ აფთიაქი დღეს ვისია;
ხალხისაა, შტატისაა, ეშმაკ-ღმერთის თუ სხვისია,
შიგ რომ ვხედებით ამდენ სნეულს, და გვეცემა თავზარია.
გძელი კუდი, და რიგები,—იქ ნამდვილი ბაზარია.
ვაი. იმას ვინც ამ წამალს ან დალევს და ან მიიღებს,
ურჩევნია დაეწაფოს სირაჩხანას დიდრონ ტიკებს.
წინად გვყავდა ერთი კაცი, კანტროლად და რევიზიათ
ეხლა არის ასჩვიდმეტი (აფთიაქი სრანს ვისია!)
ყველას უნდა ბატონობა, პატრონი კი არსად არის;
არ გენახოს სხვა მნეობა ამ უწყების შესადარი.
თაოსნობას ვერსად ნახავთ, არ იციან თადარიგი
უთავოს და უსაქმურებს ემატებათ სულ თანრიგი.
მეთორმეტეს გაუმართავთ კრიეი-ქიშტი, მუშტი დიდი
მილიციას მოუსწრია, მოკვდებოდა თორემ შვიდი.
მეთორმეტეს დღეს განაგებს შინ ანჩხლი და გარეთ მშვიდი
შტატს სულს უფრთხობს ბატონობით უფროსების მონა
ფლიდი.
ოთხი თვეა ვერ იყიდა ბალიში და ერთი ლები
და ცემენტის იატაკზე დარაჯს უხმება გვერდები.
მეშვიდ-მეათ-მეთერთმეტეს განაგებენ ხრიკოსნები,
ძველათ შტატის მყვლეფელები, დაბეზღების კალმოსნები;
რამდენს იტყვი. ვის ჩაშოთვლი. ცოტა არის ღირსი ქების
თვით პარტონსაც არარა სწამს დღევანდელ აფთიაქების.
მაგრამ იქ ყავთ ერთი-ორი „კარგი ბიჭი“
ეხერხებათ სიმღერები,—ღვინოში აქვთ დიდი ნიჭი.
ავანსებით მაძღარია, მათთვის ფული მუდამ არის.
ზოგს ერთ ადგილს არ აძლევენ, მათთვის სამი ცოტა არის.
ზემო თქმული ყველამ უწყის არ გეგონოთ მონაგონი;
აღარ დარჩა. არ იცოდეს სამი წლისა ბავშვმა გონი.
პროგრამების და გეგმების დაიწერა ასი ტომი,
ბევრი დიდიც ჩაერია, უწყებათა თავში მდგომი.
მაგრამ საქმეს ვერარ ჰშველის გეგმები და პროექტები,
და ვუშველით მხოლოდ მაშინ თუ მოხვდება შენი რქები
ტარტაროზო, გევედრები მოგვაშორე საქმის მტრები
და ნახავ რომ ჩვენს ზეიმზე თვით შენაც კი დაესწრები.

„მხილველი“.

გურული სცენა

კაცო, ძოდი ახლა შენ და ამ ყურბან ხალხს ჭკუა მო-
სთხოვე?!. ისე სდუღს და გადმოსდუღს, ვითომდა ქვაბში
ადუღებული წყალი ხვარსვალებსო!..

მართლა, რავა ვირია ეს ღვთის გაჩენილი ქვეყანა?!.

ჯერ იყო და იმ ფესვმოსასპობელმა ნიკოლოზაის ყო-
ფმა ჯანდარმებმა გაგვიჭირა საქმე. მერე იყო-და—ჩე-
ში ბატონი შენ ხარ, იმ მუტაკია მენშევიკებმა გაგვამწარა.
ახლა არის-და—ეს ბოლშევიკები... მარა ბოლშევიკებს რას
ვერჩი, იგინი რაცხას ქე ფოჩისობენ ვითომ მუშა ხალხის-
თვის, მხოლოდ საქმე იმაშია, რომ აი იმ პირძაღლი ევრო-
პიეს სახელმწიფოები რომ არ აძლევენ მოსვენებას!... კა-
ცო, როის უნდა დაწყხარდეს აგი აფორიაქებული ქვეყა-
ნა, აღარ ვიცი სწორედ!.. თუმცა ჩვენში ახლა ქია მშვი-
დობიანობა დამყარებული, მარა სხვადასხვა სახელმწიფო-
ებიდან რომ მესმის ამ ყურბანი ხალხის ღონიალი და ვაი-
უშველებელი, აგია სწორედ სიცოცხლეს რომ მიწამ-
ლაესს.. რა უკვირთ, რომ დაჯდეს თავთავიანთ ჯორკოზე
და იყონ თავისთვის წყნარად და ლამაზად?... მარა, რაკა
გგონია, დაგიჯერებენ თუ?!. შენც არ მომიკვდე!.. გად-
მოიკიდებენ მხარზე მაჭახელაა თუ ვინტოვკას, გაირჭო-
�ენ წელში ფიშტოს თუ რევოლვერს და შეიქნება ერთი
გაწა-მაწიე!.. დაარბევენ ერთმანეთს, გაანიავებენ ხალხის
აელა-დიდებას, ამოქლტენ უდანაშაულო მცხოვრებლებს
და მერე მიდი და უყარე კეკალი!...

კაცო, ყველაზე უფრო იგი მტკლეცს გულზე, რომ
გაიძახიან: „ძველი უნდა დავანგრიოთ და ახალი ავაშე-
ნოთო“!.. კი, მარა, ვინ მისცა ამის უფლება?!. ღმერთმა
ნუ მიქნას და, ახლა რომ ბაბაის დატოვებული სახლკარი
დამინგრიონ, ახალს მერე ვინღა ამიშენებს ამ წამხდარ
დროში?!.. ქე არ დავრჩები გარედ ტიტველ-შიშველი ძალ-
ლის საშველად?!. მოდი შენ და ელაპარაკე ამ გადარეულ-
ებს!!!. ჩვენში რაც იყო, იგი ყველამ კარგად იცის, მარა
ახლა იგი ვინცა კიტაიაიაო—იმას შეჯდომია დედო ეშმა-
კი... აჰყოლია ამ გადარეულ ღენერლებს და რას შობა,
თითონაც არ იცის!!.. წინეთ იყო და მისდია კუდში იქ
ბგლის გაძოსაშიგნავ ჩან-კაი-შის, რომელმაც ქე მიატოვა
შუა გზაზე და უტიფრად გადაჯდა იმპერიალისტების ბუ-
ნაგში, ახლა არის და, ვინცხა სხვა გადარეულს გამოეკი-
დება და ირბენს მანამდის, სანამდის კისერს არ მოიტეხს,
ან-და, იგი ყველა კიტაიეს ღენერლები სულერთიანად არ
მოიტეხენ კისერს ძირში, როგორც ეს რუსეთში მოხდა
ხოლმე!... მაშინ კი მოისვენებენ, მარა ეს ვის მოესწრება!...
ძანაძდის მე ქე გავმწარდი კაცი და!... აბა ერთი, რამდენ
დავიდარაბას უნდა გაუძლო: აგი იგიაო, იგი აგიაო!.. ერ-
თი ბიჭი მყავდა სამსახურში ჩაკეტებული და ახლა იგიც
ქე დეითხოვეს!.. საკრაშჩენიაში მოხდა. ახლა დამიჯდება
აი აღაპის ჩოგანის უგრძესი ყაძახი სახლში და აძლიე ჭა-
დი... ნეტა მარიც ყანის მუშაობას იკადრებდეს!.. „ინტლი-
გენტი კაცი ვარ და ყანაში მუშაობა რა ჩემი საქმეაო“!...

კაცო, წინეთ ბრაც არაფერი ვიცოდი, მარა ქე ვიყავი
ამ ღვთის გაჩენილ ქვეანაზე და ახლა რა უბედურება
დაგეძართა?!...

ხოროტი.

განცხადება

ერთად შეერთდა ცრემლები:
ინდოურის და ბატების,
ქათმების, იხვის, ციცარის.
ოქვებისა და ბატკნების.

მას ზედ დაერთო ხმაილი
ხარებისა და ხბოების,
მწარე პეტელი თიკნების,
ჭყარილი საკლავ ღორების...

ერთად შეზავებული
ძაღლა უსწვდება ზეცასა;
თან ჯოჯოხეთშიც გიგზავნით
ბარტაროზ, განცხადებასა:

„მიიღე“ რამ: ზომები
დღეობის მოსასპობათა,
თორემ ვეღარა გვიხილავ
ვერც ტყავით, ვერცა ხორცათა.

„ინც გადავურჩით ალდგომას—
მას გვხოცვენ გიორგობასა;
საშველი აღარ დაადგათ
ჩვენ ჯალათების ძლომასა!

ეხლა წინ გვიდგას იესოს
ზეციერ ანავარდება!
თუ დროზე აღარ გვიშველე
ჯალაბი გაჩანაგდება!

ფიცებთ ნომერს მეასეს
ნუღარ დაუწყებ ყურებას,
და ყველას მოსცხე, ვინც მისდევს
ძველს ადათს, ძველ ჩვეულებას!

ბოჩა.

მოკლე ვადა

სურ. ო. შლინგი

სასიმამრო: სანამ ცოცხალი ვარ,—შენ ჩემს ქალს ვერ ითხოვ!

სასიძო: მეც დავიცდი... ვიცი, რომ დიდი ხნის ცდა არ მომიწევს!

თანაგრძნობა

თამრო: რაება გაგიფშვერია მაგი ცხვირი რუსულ ლოზინგით!? რა მოგსვლია! თუ იმას დარდობ,—კოოპერაციიდან რომ გამოგცვალეს? მაგი არაფერია. იმან იკითხოს ისაი ჯერ კოოპერაციაში არ უმსახურია, თორემ, ჩვენ რა გვიჭირს,—შენი მოტანილი ნივთები და შალიულობა, ვიქტორიები ჩვენს სიცოცხლეში გვეყოფა!

სილო: ქალო, რა ბედნიერი ხარ, რომ არ იცი, თუ რა დღე მომელის! რომ იცოდე, ასე უდარდელათ არ და იწუებდი ლაპარაკს.

თამრო: როგორ! ეუდი ამბავი ხომ არ დატრიალდა ჩვენს თავზე? ეს ორი დღეა, საშინელი ფერი გადევს სახეზე!

სილო: ეხლა კი მივხვდი,—მე რომ სული რომ მიდგია არ გიკვირს!? რაც ჩვენს ერკოპში ფული დაკლდათ, სულ მაბრალებენ. საქმე სისხლის სამართლის მილიციას გადაეცა.

თამრო: მერე მაგას დარდობ? პროკურორი ჩემი კარგი ნაცნობია და ერთი რომ ჩაუჩურჩულო მიტი არ უნდა საქმეს გამოაჭახრაკებს.

სილო: რას ბოდავ! ფერი კი არა, გეუბნებოდი: შენთან პროკურორს

თამრო: ერთი მითხარი, მაგალითად, მოგისაჯეს ორი წლით ციხე, რომ გამოხვალ, მერე ხომ მიგიღებენ ისევ კოოპერატივში?

სილო: ოხ! დეიქცა ის დღე, როდესაც მე შენ ცოლად შეგირთე. რას ბოდავ? წადენ მეუბნებოდი, რომ პროკურორი მყავს ნაცნობი და გიშველიო. ეხლა კი ჩემი თავი ციხეში წარმოგიდგენია არა!?

თამრო: მაგალითისათვის ულაპარაკობ, თორემ ციხეში ყოფნას ღმერთამ ნუ მომასწროს? ხომ იცი ათას ნაირი მოდები იცვლება და ვინ მიყიდის თუ შენ არა!

სილო: ეაი, ჩემი ცოდვა, რა დღეში ვარ!? ამის გადამკიდეს, მაინც არაა საშველი! სანამდი უნდა ვემალო ციხის!

ბელა-მაყუთი

ოზურგეთისათვის

ოზურგეთში ჩავბორძიკდი
ამ შაბათს რომ კვირა მოყვა,
(ავად ვიყავ და მეგონა
იქ ექიმი ინგოროყვა).

პოედანზე გავიარე,
ჰანდრის ძირში დავისვენე,
(მახსოვს დიდი ცაცხვი იდგა
მოუკრიან, გავიხსენე.)

ხალხის ჩოჩქოლს ყური მოვკარ,
მეც მივედი მოსასმენად,
(ზოგს არაფრად არ მიაჩნდა
და ზოგს არც კი მოსათმენად.)

ძველ მეგობარს შევეკითხე:
—რა ამბავი მოხდა, კოლა?
მიპასუხა:—გაგვიხშირდა.
ძმაო, ორი ცოლის ყოლა.

გადიდკაცდა ზოგ-ზოგები,
ალარ მოსწონთ ძველთან წოლა;
ცოლი-ქმარს სხვას არ ანებებს
და ამისთვის არის ბრძოლა...

ბევრი კიცხავს ასეთ ამბებს,
დასაგმობიც არის „მოდა",
წინედ ასეთ ყოფა-ქცევას
კვირიაკეც ძლიერ გმობდა.

ფუ! იმ ეაკეაკს, ვინც ცოლს დაჰგმობს,
სიკოც ასე იძახოდა.
ალბად მიტომ—მაშინ ტანზე,
ხალათიც კი არ ჰქონდა.

და დღეს, როცა ცოტა წელში,
გასწორდა და გაიმართა,
სხვებს დაუწყო კურკუზობა,
ალარ მოსწონს მისი მართა!..

წახდა საქმე და ოკახი
აიფუშა, დაიხლართა;
გუშინ ქალი გულწასული
„უენოტდელში" გაიშლართა!...

ივი.

ყველა შეგნებულმა მოქალაქემ ივლიშსი უნდა გამოიწეროს

გაზ. „მუშა“ და ჟურ. „ტარტაროზი“

არს ტარტაროზი ამ ქვეყნად
მაღალ, კბილ-ბასრიანი;
ყოველთვის პირ-მომცინარი
და თავზე კაუჭ-რქიანი.

მუშისთვის უხვი, მძლეთა-მძლე
ზრდილი და თავაზიანი.
მუშის მყვლეფელებს ტყავს აძრობს
და მოაქვს მათთვის ზიანი.

ერთი არშინი ბეჭი აქვს,
მუშტები—ოროყიანი;
ხელში შამფური უჭირავს
სამ-კბილა ჩანგალიანი.

უყვარს საქმელათ მსუქნები
გაბერილ, დიდღიპიანი;
დასჭრის, დაკუწავს, რომ მითგან
მწვადი ააგოს ცვრიანი

სიცილით მუცელს აგატკენს,
(ტკივილს არ მოაქვს ზიანი).
სჯობს სხვა აგზეთის კითხვას
„ტარტაროზ“ ხალისიანი,

როგორც ავდრიან დღესა სჯობს
ყარგი დღე ნათელ-მზიანი;
ან უალაგო გამგესა
სხვა გამგე ალაგიანი.

ვერ დააკავებს **ტარტაროზს**
გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,
მისგან ყოველი გასწორდეს
მავნე და ხულიგოვანი.

გრ. არეული.

ოთვიათი შემთხვევა: ივლისში (რიცხვებში: 3, 10, 17, 24 და 31)

გამოვა

„ტარტაროზი“-ს ხუთი ნომერი

ისარგებლეთ შემთხვევით!

ივლისისათვის ხელისმოწერა უკვე დაიწყო

ხელის მოწერა მიიღება: ადგილობრივათ—გაზ. „მუშა“-ს მთავარ კანტორაში (ჯორჯიაშვილის № 6); პროვინციებში—რწმუნებულებთან, მთავარ კანტორის განყოფილებებში და ფოსტაში.

არ დარჩეთ უგაზეთოთ

დროზე იზრუნეთ გამოწერისათვის

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი სამი შაური

ტარტაროზი

№ 109 კვირა, 17 ივლისი 1927 წ.

ჩვენი პასუხი

სურ. მარიაშისა

ჩემი სიმღერა

მოდის ოქტომბერი—მდევი ათი თავით...
ინდუსტრიის ძალით... ჰიდროების მკლავით,
რას გახდებით მასთან? ვერ მიაღწევთ მიზანს
ტყვილად აძლევთ იმედს გადახვეწილ ხიზანს.

—:—

მოიგონეთ ნორჩი ოქტომბრის ის დრო,
როცა ჩვენ არ გვქონდა: ინდუსტრია, ჰიდრო.
ორთქლმავლები ძლივსლა დახოხავდენ ხაზზე.
გეში არ სცურავდა ჩვენს უამრავ ხრვაზე.
არა გვქონდა თოფი, არა გვქონდა ტყვია...
(უფედოპაში ამან ვერ გაგვხვია).
ყველა გარდვიქენით მაშინ იარაღად—
და პანღური ჩვენი ახლაც გაზისთ დაღათ.
თქვენ სთქვით:—არ აქვთ ზველა განწირულებს ბედიბ?!"
და თქვენ სულდგმულობდით დიდხანს ამ იმედით.
მაგრამ ხომ კი ნახეთ თქვენი ბედის ცინვა?!
გადვიტანეთ: ომი, სიმშილი და ყინვა.
თვალუწვდენელსა სივრცეს შემოვავლეთ რკალი;
შიგ ჩაკაქრეთ ყველგან ომის ცეცხლის ალი.
გავაწითლეთ შავი მეექვსეები მიწის.
(დაიხსომეთ კარგად: მუშამ ასე იცის).

მტერს ავსდევით მაგრად პირში აღვირები.
დღეს ცას აყრუებენ ქარხნის საყვირები.
ზღვას გვაგონებს ყანა მწვანეთ მობიბინე;
თავზე დასტრიალებს გლეხი მოღიღინე.
დავიპყარით წყალი—შევეტოქეთ მნათობს,—
მზე შექმნილი ჩვენგან დღეს სინათლეს გვათოვს.
რას არ შესძლებს ჩვენი წერაქვი და ბარი?!:
გავასწორეთ ყველგან ჩალაგით ბორ და ბარი.

სივრცეს ყველგან სერავს რკინის პარალელი;
გვირაბში თუ წყდება... აგრძელებს მას ვეული.
ზღვაზე დაჰქრის გემი სისწრაფითა ელვის;
მას არ ეშინია ფაფარაყრილ ღელვის.
ჩვენს საზღვრებსა იცავს ჩვენი ძმა მებრძოლი.
(არც ერთ ქვეყანაში იმას არ ჰყავს ტოლი).
დადის, საზღვრებს ზვერავს. (იცის თვისი ვალი).
ვაი, მტრის ბრალი,—თუ მას მოჰკრა თვალი.
ფრინავები ცაში ჩვენ გვაგონებს წეროს;
ბიტომ ფრინავს მაღლა მტერი რომ დაზვეროს.
შთანთქავს სადმე სივრცე... სულ მიფრინავს მაღლა.
ძთელ დღეს იფრენს ცაში,—მან არ იცის დაღლა.

—:—

ნუ აგიტანთ წერა... თორემ მაშინ ნახეთ!
თქვენი საქმე თქვენვე დაგეგებათ ძახეთ.
ჩვენ არ გვინდა ომი,—დაგვანებეთ თავი.
თორემ ეკოდეთ, რომ—თქვენ გაგძერებათ ტყაერ.
ისევ დავდებთ ჩაქურს, ისევ დავდებთ ხაძგალს,—
და ღირსეულ პასუხს გაგცემთ ჩვენს მტერს ანგალს
დაეტიეთ ტყავში და ნუ გახარობთ ცოფი,—
თორემ ვერ აჯობებს ჩვენს თოფს თქვენი თოფი.
თვით საკუთარ სახლში არ გაქვთ საქმე კარგად.
თავს ვერ ართმევთ დავთარს,—ჭკუა დაგიკარგავთ.
დაგვანებეთ თავი,—ჩვენ არ გვინდა ომი,—
თორემ თავს გაიჩეხს გრდემლზე თქვენი ლომი.
მოდის: ოქტომბერი—მდევი ათი თავით...
ინდუსტრიის ძალით... ჰიდროების მკლავით...
რას გახდებით ჩვენთან? ვერ მიაღწევთ მიზანს!
ტყვილათ აძლევთ იმედს გადახვეწილ ხიზანს.

ი. ხ

„თავდაცვა"

სურ. დონის

„მზადება“

Сюр. Донин

ერსტ ფაშისტი (მეოთხეს): ძალიან გვეხმარებიან ჩვენი „ძმა-ბიჭები“ მეორე ინტერნაციონალიდან ამ დანების ლესვაზე — წყალს გვიხსამენ.

მეექვსე: არ მოგვეხმარებიან და, — სიმშილით დაი ხოცებიან და ცხვირსაც მივამტვრევთ, თუ კი ღმერთმა გვიშველა და მოვიცალეთ,—დედას ვუტირებთ მაგათაც.

„განიარაღება“

ბურჟუაზიული ქვეყნები ომისათვის ემზადებიან. განიარაღების კონფერენციები კი კიდევ უფრო სასტიკ შეიარაღებით თავდება.

სამხედრო მინისტრი ეს-ეს იყო დაბრუნდა მანეკრებიდან.

იგი თითქოს კმაყოფილი იყო.

თუ გინდა ეხლავე დაიწყებს ომს. ყველაფერი მზად არის. ტანკები, დრედნოუტები, კრეისერები, ნაღმოსნები; ზარბაზნები, ჰაეროპლანები, დირიჟაბლები, ყუმბარები; ტყვიისმფრქეველები, ტყვიები, გაზები ყოველი სახის და ჯურის: მხრჩოლავი, ცეცხლის გამჩენი, (კრემლების გამომწვევი, შემშლელი; გამამხიარულებელი, (რომლითაც მხოლოდ სამხედრო მინისტრებს ამხიარულებენ) და ბოლოს გადამდებ სნეულებათა ბაცილებით სავსე ყუმბარები.

დაბრუნებისას მინისტრს კიდევ დახვდა ჟოხსენებები ახალ გამოგონებათა შესახებ, და თითქოს კიდევ უფრო უნდა აწეულიყო მისი კმაყოფილების გრძნობა, მაგრამ მინისტრს რაღაც ჩრდილმა გადაურბინა სახეზე.

— ღმერთო ჩემო, როდის დადგება ის სანეტარო წუთები? ვაი თუ, მანამდის იქნება კიდეც გადამაყენონ!— მინისტრმა მეტი ვეღარ მოითმინა და ტელეფონს ეცა.

— ჰაა.... ეს თქვენა ხართ?.. რას შვრებით, კაცო.:: კარგა ხანია ყველაფერი მზად არის. მხოლოდ ნიშანს უცდი... როგორ?.. ჯერ-ჯერობით შეუძლებელია... საერთაშორისო სიტუაცია არ გვიწყობს ხელს?.. ეე... რა სიტუაცია, რის სიტუაცია... რა გაჭირდა ბოლოს-დაბოლოს ერთი ომის გამოცხადება!.. საბაბი?.. საბაბს ხელად დაამზადებენ, თქვენ ბრძანეთ მხოლოდ... ტყვილად იკარგება ამდენი დრო ყოველშემთხვევისთვის განიარაღების კონფერენცია მაინც; მოაწყვეთ, იქნება სხვები ჩვენზე უფრო შეიარაღებულნი არიან.

კონფერენცია, რა თქმა უნდა, მოწყობილ იქნა,

საუცხოვო სანახავი იყო სხვადასხვა სახელმწიფოთა საუკეთესო წარმომადგენლებით სავსე დარბაზი.

პირველ შეხედვით თითქოს საცეკვაო საღამო არის დანიშნულიო და არა კონფერენცია.

საუცხოვო ტანსაცმელები. ახოვანი ფიგურები.

წარმომადგენელნი მომხიბლავი ღიმილით მუსაიფობენ ერთმანეთში.

— რა მშვენიერი ამინდია დღეს, მილორდ!..

(გული: ნეტავ სხვას აღარ მოსწრებოდე).

— საუცხოვო!.. საუცხოვო!.. ასეთ დღეს გინდა, რომ მთელი ქვეყანა გიყვარდეს.

(გული: რა თქმა უნდა ცარიელი ისეთ ხალხისაგან, რომელსაც შენ ეკუთვნი).

— მომმისადმი სიყვარული თითქოს ნეტარებით ირცელდება მთელ სხეულში.

(გული: ისე აშენდა შენი ოჯახი).

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ხალხთა შორის დამყარდება საუკეთესო მეგობრული განწყობილება.

(გული უსათუოდ, მაგრამ მაშინ, როცა თქვენი ჭაჭანებაც კი არ იქნება დედამიწის ზურგზე).

კონფერენცია გახსნა ერთ-ერთ პატარა სახელმწიფოს წარმომადგენელმა. რომელსაც არც ტანკები გააჩნია და არც გაზები. მისი მეზობელი კი უკვე მზად იყო წამოსულიყო მასზე ტანკებითაც და გაზებითაც.

— ბატონო წარმომადგენელო, რომელმა თქვენგანმა არ იცის, რომ ადამიანი ღვთისგან არის გაჩენილი. ვინ არ იცის ისიც, თუ რა დიდი ცოდვაა ადამიანის მოკვლა. ქრისტემ სთქვა—ნუ ჰკლავ!.. რა თქმა უნდა, ქრისტე რომ პოლიტიკურად უფრო განვითარებული ყოფილიყო, ის შენიშვნას გაუკეთებდა თავის ნათქვამს - გამონაკლისის შესახებ. ბატონებო; 5უ იფიქრებთ, თითქოს მე რაიმე საწინააღმდეგო მქონდეს იმისადმი. პირიქით, ომი აკანასლებს კაცობრიობას, მაგრამ ის უნდა იყოს ჰუმანური. რა საჭიროა ადამიანის მაინცდამაინც გაზით დახრჩობა ან ტანკით გასრესა; როდესაც ჩვენ მოგვეპოვება სხვა საშუალება ჩვენს წინაპართა მიერ კურთხეული და დალოცვილი... ჩვენ ქრისტიანები ვართ და გვმართებს ქრისტიანული შებრალება... ამიტომ მე მოვითხოვ, რათა შეზღუდულ იქნეს გაზების და ტანკების დამზადება ყველა ქვეყნებში. განსაკუთრებით კი ჩვენი ქვეყნის მეზობელ სახელმწიფოში, რომელიც გარდა ტანკებისა და გაზებისა, აღარაფერზე ფიქრობს!..

წარმომადგენლებმა ეჭვის თვალით გადახედეს ერთმანეთს, გაიღიმეს და წინადადებაც მიღებული იქნა.

სხდომის შემდეგ ყველა წარმომადგენლებმა შიფრიანი დეპეშები დააგზავნეს თავიანთ ქვეყნებში ვისაც ჯერ არს.

გაზების ყველა დამზადება შეზღუდულია. ყველა სახელმწიფოებმა მოაწერეს ხელი. საუკეთესო შემთხვევაა, საგრძნობლად გაუსწრო წინ სხვა ქვეყნებს. გავაძლიეროთ რაც შეიძლება ქიმიური მუშაობა.

ამის შემდეგ ილაპარაკა ერთერთ სახელმწიფოს წარმომადგენელმა, რომლის საზღვაო ფლოტი სულ სამი გემისგან შესდგებოდა, მეზობელის ფლოტს კი ერთ ლუკმად არ ყოფნიდა მისი გემები.

— ბატონებო, მსოფლიო ომმა საშინლად დაანგარიშა ყველა ქვეყნები... ფინანსიური რესურსები გამოიყენა... მიუხედავად ამისა, რას ეხედავთ ჩვენ... ყველა სახელმწიფოები გაფაციცებით აგებენ ნაღმოსნებს, კრეისერებს, დრედნოუტებს, ავიომატკებს; წყალქვეშა ნავებს... მე გულწრფელად მრწამს, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანობის გულისათვის ხდება, მაგრამ მე მაინც, როგორც სრულიად პანლურეთის სახელმწიფოს წარმომადგენელი სურვილს გამოვსთქვამ, რათა შეწყვეტილ იქნას სამხედრო გემების აშენება; განსაკუთრებით კი პანლურეთის მეზობელ სახელმწიფოებში, რომელთა ბიუჯეტი მარტო სამხედრო გემების აშენებას უნდება.

გამართულ კამათის დროს წარმომადგენლები ჩუმჩუმად გამოიპარენ დარბაზიდან და კვლავ შიფრიანი დეპეშები დააგზავნეს:

ხერხმა გასჭრა პანლურეთის სახელმწიფოს წარმომადგენელმა ჩინებულად შეასრულა დაკისრებული მოვალეობა. გარდაწყვეტილია სამხედრო გემების აშენების შეწყვეტა. არ გაუშვათ ძვირფასი შემთხვევა. დღე-ღამეში თითო გემი.

შემდეგ სხდომაზე სიტყვა მიეცა ერთ დიდ სახელმწიფოს წარმომადგენელს, რომლის ავიოფლოტი შეეშალა უპირებდა სხვების ავიოფლოტებს.

წარმომადგენელმა ილაპარაკა დილის 9 საათიდან ღამის 12 საათამდე. და მოითხოვდა ავიაციის ზრდის შეჩერებას, რადგანაც ყველას უკვე საკმაო ავიოფლოტი ყავს.

სიტყვის დროს წარმომადგენლებმა კიდევ ბევრჯერ დააგზავნეს საჭარო დეპეშები. სიტყვის დასრულების შემდეგ კი რაღაც უხერხულობა იგრძნეს და მომხიბლავი ღიმილით გამოემშვიდობენ ერთმანეთს.

— ნახვამდის, მილორდ!.. იმედია კიდევ შევხვდებით ერთმანეთს!..

ერთი წლის შემდეგ საშხედრო მინისტრი ისევ ჩასძახოდა ტელეფონში:

— ოხ, ღმერთო ჩემო, კიდევ მოცდა?.. კარგი, რაღა გაეწყობა... მაგრამ იცით რა, მოდი ყოველშემთხვევისთვის მოაწყვევ კიდევ განიარაღების კონფერენცია... მე რაღაც მეეჭვება, ვაი თუ სხვები ჩვენზე უფრო შეიარაღებულნი იყვენ!..

კონფერენციაც, რა თქმა უნდა, მოწყობილ იქნა... და ასე შემდგომ.

სინემატო.

სხვა და სხვა აზრი

მე, როგორც პროფესიით ფელეტონისტს (ძალიან ნიჭიერი ბიჭი ვარ, თუ დამიჯერებთ), უფლება მაქვს გაძოვაქვეყნო სხვადასხვა მოღვაწეთა აზრი თავდაცვის კვირეულის ჩატარებასთან დაკავშირებით. მე. მაგლითად, ეშმაკივით ვიცი თუ რას ფიქრობს ეხლა მკითხველი, ასე გაძახვილებულათ წამოვრილი საკითხის შესახებ: აი, მკითხველის აზრი ანუ

თავდაცვა, როგორც ასეთი

... ჩემი ჯამაგირის კაი მოზრდილი ნაწილი სისტემატიურათ ეწირება პროლეტარიატის ბრძოლას მსოფლიო მასშტაბით, და იგიც ფასების დაკლების გარეშე. ჭამა ვიცი ძუშურ - გლეხურ კლასიურობის თვითშეგნების ნიადაგზე და მომხრე ვარ სასოფლო მეურნეობის პროდუქციის გაიაფებისა ქალაქში. —

ვარ წევრი მოპრის, რემედასის, ოსოავიახიმის, ცუსტრახის, ჩასტრახვის, და სხვა შრაეალი ორგანიზაციების. ჩემს ოთახში ცოლმა სრული ავტონომია გამომიცხადა და სასეზონო სამუშაოებისათვის ტერიტორიალურადაც ჩამოშშროდა. დღეს ის წაღვეერში მუშაობს, რომელიღაც სიმპატიურ წრეში და მომხრეა ჩემგან სრული მოუკიდებლობის მინიჭების.

ხვალ ან დღეს მეც მივიღებ მონაწილეობას ქიმიური თავდაცვის ომის იმიტაციაში, ვინაიდან მსურს ღირსეულად ჩატარდეს თავდაცვის კამპანია. როგორც ასეთი.

მუშის აზრი

(წერილობითი მოხსენება მუშათა ფართო კრებაზე)

მე არ ვიცი ხვალ ჩემბერლენი რა გუნებაზე ადგება. როგორც გუშინდელი „კუსტაეოი" კრებაზე გამოირკვა, იგი კვლავ არ სცხრება და სიბრაზით ცალი თვალი დაფსებია. ახლა, თურმე ჩან-ძო-ლინს უშვრება „ჭიტალას" და ჩვენსკენაც ბრუციანათ გამოიყურება.

ისეთ ეროს საჭიროთ მიმაჩნია თავდაცვისათვის მზადება

ვიღებ რა მხედველობაში ომის შესაძლებლობას, რამაც შესაძლებელია ფართალი გააძვიროს და რეჟიმების ეკონომიას ყურადღება არ მიაქციონ. ვსწირავ ერთი დღის ხელფასს თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლათ, ვეწერებ საავიაციო საზოგადოების წევრათ, შემაქვს ხუთი მანეთი ჰაეროპლან „თბილისის პროლეტარიატის" სასარგებლოთ, ჩაწერილი ვარ „ეოზდუხო ფლოტში", ვაკეთებ ჰაეროპლანის საკუთარ მოდელს, შევდივარ მუშფაკულტურის სასწავლად და მომავალ გამოგონებებს ავანსად და უფასოდ უთმობ წითელ არმიას, ვიხდი გადასახდს ავიაქიმში და მოპრში, ვაგზავნი გაზეთებში დასაბეჭად ხუთ-ხუთ წერილს დღეში თავდაცვის მნიშვნელობაზე, ვარ მუშკოოპის, ბოეცის, აიკოპის, ერკოოპის და ყველა კოპების წევრი; ვეწირები მსხვერპლად სურებ - ჩოხატაურის გზას და გადაწყვეტილი მაქვს გადავსდო ნახევარი დღის ხელფასი ფლოტილია „ჩვენი პასუხი ჩემბერლენის" სასარგებლოთ. —

მე, როგორც მუშას შემიძლია ვსთქვა, რომ მუშები მომხრე ვართ, თუ ომი არ იქნება და ამას უშველის თავდაცვის კვირეული. საქვეყნოდ ვაცხადებ:

ვაი მის პატრონს, ვინც ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშქრების.

ინტელიგენტის ბოლოლოგი

(უწერტილო წინადადებები)

მშრომელი ხალხი ინსტიკტიურათ გრძნობს მოსალოდნელი ომის გრანდიოზულობას და ბურჟუაზიის ატავისტურ მიდრეკილებებს, კატეგორიულ პრიმიტივებში ჩამოსხმული პროტესტით ხედება, რადგანაც მას აშკარა მი-

„სასიკვდილოა“

სურ. ო. შლინგის

*) მართლაც, რომ — სასიკვდილოა ქვეყნიდან ასაბარგებელია). ტარტაროზი.

რაყებით, კონფიდეციალური დიპლომატიური მოლაპარაკებებით, გაიძვერული პაციფისტური ფრაზებით, პოლიტიკური კონიუნქტურის „სტავუს ქვოთი“, ლოზანის და ლოკარნოს პაქტებით, პროფკავშირთა საწინააღმდეგო ძალით და სხვა ამგვარი იეზუიტური დესერტით, მშრომელი ხალხის მოტყუილება, ჩემის ღრმა რწმენით, ვიმეორებ, ფრიად და ფრიად საძნელო, ინტერალობას მოკლებული საქმეა, მიუხედავათ იმისა, რომ ოპორტუნისტულ გმირებს მეორე ინტერნაციონალიდან მეტად ოდიოზური წარმოდგენა აქვთ საერთაშორისო და მსოფლიო პროლეტარიატის ჰეგემონურ ნიჭზე და ამ პროლეტარიატის, როგორც აღებულის — რენესანსისაკენ მიმდრეკილების უნარიანობის, რისთვისაც, კიდევ ვიმეორებ და მე მგონია, მხოლოდ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ევროპაში დღეს რენესანსის მაგიერ დადგა დეკადენსის ხანა. მოიგონეს ყოველგვარი კონსტრუქტივიზმი, ლიტერატურაში ეგ, რომელიც სარკეა კულტურული ძლიერების შემოღების დადაიზმი, ეკლექტიზმი, ფუტურიზმი, ნეორეალიზმი, ზეიდეალიზმი, პარნასიზმი, აქსაისისზმი, ჩარსტონი შიშბი ტუ-სტუპი და რა თქმა უნდა ასეთივანალიის შემდეგ ჩვენს სრულის სისწორით შეგვიძლია უწინასწარმეტყველოთ ევროპას საბოლოო კრახი, სოციალიზმის სასარგებლოთ*)

*) უპს, გათავდა წინადადება. —

ასეთ მდგომარეობაში ყველა პატიოსანი უპარტიო, ჩემი არ იყოს, თავის უწმინდეს მოვალეობათ უნდა რაცხდეს შესწიროს თავის წვლილი თაედაცვის ფონდს. — თუ ომი ვერ ავიცდინეთ, მე ეს მეწყინება. ამ შემთხვევისათვის მოუწოდებ ყველას — მიაშურონ ფრონტს და ხიშტებით ეკვეთონ მტრეს. მე და ჩემისთანები კი დავრჩებით აქ და ვიმუშავებთ საერთო პლატფორმის ნიადაგზე ზურგში. —

დიტო.ია.

რამიშვილიადა

ხიკს-ჩემბერლენ-ბოლდუინი
პრტყელ-პრტყელ სიტყვებს ფარ-
თოდ ხევენ,
წაჯეკ-უკუჯეკობენ და
მთელ მსოფლიოს ცეცხლში ხვევენ.
ორპირს-სამპირს—ერთ-არსებას
აკერიათ პირზე ომი;
ლაქუცობენ, ბჭობენ, მგლობენ—
სისხლისა და ომის მდომი.
გაუმაძღარ—წუწკ-ლაქიებს
დაფრთხობიათ თურმე ძილი,
რადგან გრძნობენ, რომ ცხოვრება,
ხელთ ეცლებათ ერთობ ტკბილი.
ერთხელ, ოდეს მოხდა კრება
ჩემბერლენის თაოსნობით,—
ჩვეულებრივ შეხვდენ ურთ-ერთს
ხოტბითა და თანაგრძნობით...
სჩანს არვინ არ დაკლებია,
ვინც კი არის შუბლმაგარი;
შტრეზემან-ბრიან-მუსოლინი
თვით საბლინიც კი აქ არი.
თავმჯდომარეთ აირჩიეს
ჩემბერლენი კუდა-ძუა.
მოხსენებით გამოვიდა
ხიკსი რომ სულ მუდამ სტყუა,
პილსუდსკი კი სდგას კარებთან
თავის ერთგულ ყანდარმებით;
თათბირობენ, ბჭობენ, მგლობენ
ერთსულოვან მეთანხმებით.
თავის შეყრის საგანია:—
თვით მოსკოვზე გალაშქრება...
დაადგინეს—ჩამოსწერეს,
იშლებოდა კიდეც კრება,
რომ წამოდგა გრძელი ცხვირით
ბანდიტ-ნოე რამიშვილი.
მოწიწებით სცა თაყვანი,
გადმოღვარა ცრემლი წყვილი.
ჰკადრა: „დიდო ჩემბერლენო,
შენ უმძლესთა, მძლეთა-მძლეო,—
ხედავ როგორ ვიღუპები,
ყარიბობით სულსა ვლევო.
საქართველო, ხომ კი იცით,
წილხვედრია ღვთისმშობელის,—
ბაგრატიონთ მაღალ გვარის
მირონცხებული სახელის?!
ეგონულება მხოლოდ ჩემი
შერჩენიათ მღვდელს და ბერებს,
და ეს არის მიზეზი, რომ
ცრემლ-ნარევი ხმით მამღერებს.
ყარგათ იცით: რომის პაპთან
რომ წარვგზავნე ივანიცკი,
ყენტებერის ეპისკოპოსს
შევეკარი ფიცით-მტკიცით.
ღამიბრუნონ საქართველო,
თუმცაღა ხალხს არ უნდივარ,
კომუნისტებს ერთგულობენ,—
მე ღამეში ცრემლს უზიავარ.
მაგრამ მაინც ვსცადო მინდა
ჩემი სვე და ჩემი ბედი;
ხალხი მათრახ ქვეშ ვაკვნესო
ის ურჯულო. ის თავხედი.
ეით გაბედა ორგულობა
„დიდ მინისტრი“ რამიშვილის,
ეს ფიქრი მკლავს, მისტერ ოსტის,
შლევს და მახრჩობს, ნერვებს მიშ-
რა უყო და რა ვიგონო,— (ლის.
„ვეპეუ-ს“ ვერ გადაურჩი.

ორი „გმირი“



სურ. დონის

ლენ-ბოლდუინ (ნ. რამიშვილს): ყოჩაღ! შენ ხარ
ჩემი ერთად-ერთი ღირსეული მემკვიდრე. ჩემს შემდეგ
შენებრ ვერავინ შებრძოლებია ქარის წისქვილებს!

ვინც წავრგზავნე საემისროთ
მსწრაფლ გაქაჩეს როგორც ურჩი
და უსტარი ჩემი ხვეწნის
გახდა ყველას საჯოჯგელად,
აშას ვსტირი, ამას ვსჩივი
არ მეწერა მაინც გრძელად.
ეჭლა თქვენ გთხოვთ ცრემლთა
ფრქვევით
ბოძებზაროთ, თუნდაც მიყმეთ,
და თუ არ გახიამოვნო
რამიშვილის მოკვდეს სიყმე:
საქართველოს წინ გაგიშლი
სამოქმედო გზათ და ხიდათ,
და შუშების სისხლის წვეთებს
ვაიაფებ შესასყიდათ.
თუ ჩაველი, ყველას მოვსპობ
ღელმდი რაც რომ ააშენეს;
კომუნისტების ჯინი მჭირს
არ დაინდობ აღარც ზაჰესს.
სულ დავანგრევ ყველა სკოლებს,
აკაფეთქებ ყველა ხიდებს...
ო, ჩემბერლენ! მისტერ-ოსტონ!
ვინ შეგაქებს, ვინ გადიდებს;—
ჩემებრ გრძნობით, ჩემებრ გულით...
—შეიწყალარე თხოვნა ჩვენი,
ყორდანია მოგახსენებს,
რაც გამომრჩა დანარჩენი“.
და „მინისტრი“ კაუჭ ცხვირით
მოიკუნტა, მოიღუნა;
ოფლი მოსდის გრძელ ნიკაპზე
რადგან სიცხემ დააცხუნა.
ქართველ მამულიშვილური
ზრდილობა ხომ მაინც მართებს
თან იწმინდავს ოფლის წვეთებს,
თან უკოცნის ყველას კალთებს.
ხიკს-ბოლდუინ-ჩემბერლენი
ბრიან-შტრეზმან-მუსოლინი
ყრუთ ადგენ და გამოვიდენ...
რამიშვილს ახრჩობს სლოკინი:
ანუგეშებს მას საბლინი
და პირდება პირად შეელას...
ყორდანიას კი იმვი სჯამს,
და უმატებს ბებერ ხველას...

ოდილმაღი.



სურ. დონის

ალბანეთის და სამხრეთ-სლავიის შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებას იტალია სელს უწყობს იმით, რომ აქეზებს ალბანეთს, რომელსაც იტალია თავის „მფარველად მიიჩნევ“.

(გაზეთებიდან).

მგელი, ტურა და ბატკანი

იგავ-არაკი

ერთ ტყე დიდი... და ამ დიდ ტყეში
ყოველსახარი ცხოვრობდა მხეცი.
ერთი-მეორის მტრობაში იყვენ
გამოცდილი და ნამდვილი სპეცი.

— : —

ერთ-მეროეს წაუსისებდენ
ნაცნობ - მეგობრებს და კარგ მეზობლებს
და მუსრს ავლებენ დაუნდობელად
დამარცხებულის ქვრივსა და ობლებს.

— : —

ლ(ი)ო ხადირებს ხომ მადაც დიდი აქვ
და სხვები იყვენ იმათი მსხვერპლი.
შოუნდებოდათ,—გადაყლაპავდენ;
(აღარ რჩებოდა იმათი ფერფლი).

— : —

ეხერხებოდათ მახის დაგებაც,
(კარგად იცოდენ მრავალი ხრიკი;
ვინც მოჰყვებოდა.—ვაი იმის ტყავს:
არ შერჩებოდა კუდისა რიკი.

— : —

ერთ ხელ ამბავი მოხდა ასეთი:
ახლოს ცხოვრობდა მგელთან ბატკანი.
(და ვინ არ იცის—ბატკანს როგორი
აქვს ჩვილი ძვალი, ხორცი და კანი).

— : —

მგელმა იხმარა შემდეგი ხერხი:
მოიხმო იგი და უთხრა რჩევით:
— ტურას უჭირავს შენზე თვალები
და დაგდევს მუდამ ზევით და ქვევით

თუ შეგეჩეხოს,—შენ მოდი ჩემთან
და მე ვიქნები შენი დამცველი.
„სუსტი დაეძებს ძლიერსა მფარველს“,—
თქმულება არის ბრძნული და ძველი.

— : —

და გულუბრყვილო ბატკანმა, მართლაც,
როს დაედევნა მას უკან ტურა,
გადასარჩენად თავისი თავის
შეშინებულმა მგელს მიაშურა.

— : —

მგელმა მოჰხვია ბატკანს თათები,
რომ მოიხადოს მან თვისი ვალი...
მაგრამ ჩაარჭო კბილები ზურგში...
აღარ დატოვა მან აღარც ძვალი...

— : —

ტურა იქავე ხედავდა ამას
და დასცინოდა მსხვერპლს მომაკვდავსა.
— ნუ თუ არ იყო შენთვის სულერთი
ვის შეაჭმევდი მაგ სულელ თავსა?!—

— : —

ქმარა. ისედაც გასაგებია...
მისთვის ვახსენეთ აქ ეს არაკი,
რომ ზემოთგვქონდა ჩვენ ალბანეთზე
ამონაწერი და ლაპარაკი.

— : —

ნეტა, ამასაც თავდაცვა ჰქვია,
რომ შეაფაროს ცხვარმა მგელს თავი?!
იცოდეს ყველამ: მგელი ერთია
რუხი იქნება, თუ გინადც შავი...

ანუჭი.

სურ. [illegible]

„პგილის ეკიმი“

მუშა (ჩემბერლენს): **აი ამ მარწუხით დაგაძრობ მაგ შხამიან კბილებს, რომლებითაც კბენ საბჭოთა კავშირს. მერმე ნახე თუ რამე შეგეძლება?**

ყაყიტა

— ყაყიტაუ!

— რაო შენი პირიმე.

— აგლიკის იმპერიალისტები რო მოვიდნენ გაგეხარდება?

— შე ღდინძაღლო, რო მოვიდნენო, იგრე იძახი, ასე გონია აქ არა ყოფილიყვნენ.

— ჰო, და გინდა რო კიდევ მოვიდნენ?

— რას ამბობ კაცო, დაკარგე იქით! აღარ გახსოვს რას გვიშვრებოდნენ?! უი... იმათი მკვდარი და ცოცხალი კი...

— შაშ რაკი ეგრე შასმენილი კაცი ჰყოფილხარ, მოდი და ერთი ორიოდე დღის ნამუშევარი შასწირე...

— რო კიდე მოვიდნენ?! რამ გაგაგიჟა კაცო!

— თითონ შენ გაუგიჟებიხარ რაღაცას: იმიტო კი არა, რო აქ მოვიდნენ, იმიტო, რომ **აქ არ** მოვიდნენ.

— ი! მათ ეხლა ჩემი ორი დღის ნამუშევარი შაარჩერებს ი ღმერთძაღლს.

— რათა, შენი ორი დღის ნამუშევარი! განა მარტო შენა ხარ: ორი დღისა შენი იქნება, ორი სხვისა და ასე შეგროვდება მთელი თავდაცვის სალარო.

რაკი ეგრეა, შამომიწერია. ვის შამოუშვებ?! აბა ერთი გაბედოს დედას უტირებ იმათა... ჩახმახი ზედ ყირაზე მაქვს შეყენებული.

ფეშანგი.

„დაგვიანებული"

ჩემბერლენი (მარსს—ომის ღმერთს):

იყავ წყეული, რომ მომასწარ ამ ქვეყნად მოსვლა;
ათასჯერ მეტი საუკუნით მოხვედი ჩემს წინ.
დღეს შენ ხარ ღმერთი,—შენ, რომელიც ვერ შემედრები
სისხლის და ომის სიყვარულში ეგზომ ძლიერში.
გობოქარია ჩემი სული — ის ვერ ისვენებს.
ომი შვებაა და მშვიდობიანობა კი მოსაწყენი.
მე ტკბილ სიზღერას ვირჩევდია ზარბაზნის ჭექა...
ოი, ზეცაო! რად დამჩაგრე გვიან გაჩენით?!
ეს იყოს ღმერთი, ღმერთი ომის და მე კი არა?!
სად არის ქვეყნად სამართალი ან მართლმსაჯული?!
შაგრამ დადგება, გულო ჩემო, ისეთი ხანა,
რომ დამაფასებს ღირსეულად კაცობრიობა,—
და თუ ძეგლს არა, სახელს მაინც მიწოდებს ასეთს...

„ინგლისის ლორდი ჩემბერლენი, იგივე ომი".

ოსტინს

ჩემბერლენო! საბჭოეთზე
სიტყვა რომ არ წამოგცდესო,—
ამ თავდაცვის კვირეულზე
მოგახსენო მინდა დღესო.
მას შემდეგ, რაც შენმა ნოტამ
ლონდონიდან კრემლში სკუპა,—
ოსტინ ჩემო! შენი საქმე,
სულ წახდა და დაიღუპა.
თუმც ოინით ბევრს მიმართე,
რომ შეგექნა „ძმებში" ბლოკი,—
მაგრამ გოგრამ გიღალატა;
დარჩი იმედ შენაბორკი.
დღეს პოლონეთს კრედიტს აძლევ,—
იქ კავერდა რომ გყავს ჯშირი;
ომს ფიქრობ და გვიყროყინებ
შუბლშაგარი დიპლომ-ვირი.
ხან ბერლინში მიმოქცევები,
ხან აკითხავ ერთა ლიგას,
საბჭოეთზე მტრებს ამზადებ
რომ გვადგამდენ ყელზე ბიგას.
ბევრს ხლაფორთობ, ბევრსა სცდილობ,

გამოუშვა ჩვენსკენ გაზი,
მაგრამ გირჩევ, ჩვენს წინაშე
ნუ ამაყოფთ ფლოტით, ბაზით;
თუმც თავი გაქვს ტვინის გოგრა,
გონება კი ვირის მსგავსი.
პოლონეთის ჟანდარმერებს,
ალვინ არ ჰყავს შენი ფასი.
შაგრამ ეხლა, უნდა შესდგე,
ქვეშ პასუხი ნახო ჩვენი,—
ვით თავდაცვის კვირეული
შენი ნოტის განაჩენი.

—.—

დილა მზიანი გათენდა,
აფრინდა თვითმფრინავიო,—
ჩემბერლენს „ბომბა" ესროლა
ძირს დასცა ლორდის თავიო.
მთელი ლონდონი შეიძრა:
ინგლისს რა მოდის ესაო!...
მოსკოვს თუ ალარ შევებით
ხომ დაგვიბნელებს მზესაო.
ორთავ პალატის სხდომაზე
საკითხი იდგა ომისო,
სთქვეს: რუსეთს უნდა ვახახვიო
ძალა ინგლისურ ომისო.
„პრიკაზ-პრიკაზი" დაარტყეს
ჯარში გამოდით ყველაო.
უცებ გაფიცვა დაიწყო,
ხიკსა აუტყდა ხველაო.
მაშინ მატროსებს უბრძანეს:
ფლოტით რუსეთზე, წინაო.—
მათ უპასუხეს: არ წავალთ.
ჩვენ უნდა დავრჩეთ შინაო.
გაფიცვის ტალღამ იმატა,
ატყდა საყვირთა ღრიალი.
ქუჩებს მუშები მოედევ
წითელ დროშებიან ფრიალიო.
ლორდებს დაეცენ, შებოქეს,
ჩაყარეს შუა წყალშია.
დრედნოუტები გადასწვეს,
ვაპრიეს ცეცხლის ალშია.
რომ დაულოცეს ბურჟუებს—
საიქიოსკენ მგზავრობა,
ინგლი-ინდოეთ-ჩინეთში—
შექმნეს საბჭოთა მთავრობა.

ქარმ.

„აბარონა“

— მახლაზ! ეს რაღა დოზანა გამოტყვრა? ასმა აბარონის კამპანია უნდა გავაკეთოთო, ყველა ჩვენ ძმა-კაცებს დაცვას უნდა შევაჩვიოთ, ტეხნიკის ნაუკა უნდა ვასწავლოთო!

ვხედამ, მამენტალნათ პრიკაზი დაარტყეს: ძმებოჯან, მზათ იყავით, ყველამ პრიცელში გარტყმა ისწავლეთ, იარაღი აიღეთ და იმის ხმარების სეკრეტები გაიგეთ: რუ-ჟო, ლევროვ, ზარბაზან, პუშკუ, პულიმეტრ რამე—მზათა გქონდეთ, რომა თუ ჰუზურში იმ ანგლიის ქოფაკებმა იჩალიშეს და ვაენი ქნეს ზალპში ვესროლოთო!

ჰამაც ხიმიჩესკი რამეებიც გაიზეპირეთო, გაზების გაშვება ისწავლეთო, პროტიოგაზის მასკები ჩაიცვითო, რეპეტიცია გაკეთეთო, ერთმანეთს შეუხრჩოლეთო რაღა—მერე ზაშჩიტა ქენითო, ყველაფრის უპრაკენია გაკეთეთ, რომ ჰუზურში ომისთვის მზათ იყოთო!

ჰოო, კინაღამ დამავიწყდა: ჰაეროპლანში ჩასხედითო. ლიოჩიკობა ისწავლეთო, მაღლიდან ხიმიჩესკი გაზების გამოშვებას. ბომბების და პულიმეტრების გაგდებას შეეჩვიეთო,—რა ვიცით, კაცნი ვართ, იქნება ვაენი ქნან. ყალმაყალი ჩავარდეს. მზათ იყავით რომ მამენტალნათ პადრუჟოვათ დაგაყენოთო.

ვახ, გული გამისქდა რაღა! მე და პულიმეტრი? ჰაეროპლანში ჩაჯდომა, ზარბაზნის გაგდება?

— ვებნები: ეე. ახმახ, რომელი ბუდიონი მე მნახეთ ვაენში გამგზავნოთ.- რაზედა მაქნევინოთ? ახარ კაცს არ უნდა იცნობდეთ მეთქი?

საქმეში ხარ? ვინ გიგონებს. ყველა აყაყანდა, დიდი: პატარა. პარტიული. უპარტიო, ქრისტიანი, აისორი. ქალი. კაცი, კომკომოლი. პიონერი. გლეხი. მუშა, ალია თუ მუსია—ყველა ჩალიშობს: ზოგი ავიო-ხიმში ეწერება ზოგს ფული შააქვს, ზოგი ზარბაზნის და პულიმეტრის კურსებში შადის. ვინ მოსთვლის?

ჰუზურში ყველა პიონერის პესნაზე იძახის:

— ჩვენ მზათ ვართ. ჩვენ მზათ ვართო?

თქვე ლუპუსტაკო ანგლიჩნის შუბლმაგრებო. არ იცით რომ ეგ ნომერი არ გაგივათო? ამტოლი გვიბრძოლია, სისხლი დაგვიღვრია, ბუნტი ჩაგვიგდია, რევოლიუცია გაგვიკეთებია და ნიკოლოზისთვის ტახტიდან ძირს ბრაგვანი გაგვიყრევიენებია და ახლა კი ამ ჩვენ კუკლა ეს-ეს-ერს თქვენ დაგაჩაგვრინებთო?

ჰაპრუწუწუნ თქვენს საქმეს, ვერ მოგართვიო დანივრული ბადრიჯანი, ჰიშტა გაგიფუქეთ, ჰამა მაგ სამგლე გოგრას მაინც გაუფრთხილდით. თორემ ისეთ საქმეს გაგისდით. სულ კოლოები გეხვეოდენო მაშ?!

ერთი სიტყვით მთელი დუნია მამენტალნათ ფეხზე დადგა. კამუნისტების ხარე დაიჭირა რაღა ანგლიას და ჩვენ ჰამქარს ფინთი მუქარ დაუწყო... მეც ამ გოგრაზე სალოკი თითი მივიდე, რაზუმენია ვქენი. დავფიქრდი. ყველაფერი ჩოთქში ჩავაგდე და ჭკვაზე მოველ:

ვიძახი—ბიჭო. შე ახმახო. (ჩემ თავს ვებნებოდი რაღა) ახარ ცოტა ჭოპოპები ჩააბანავე, ხალხს უყურე. თეთრი და შავი გაარჩიე; მართალია ამ ბემურზმა ბალშევიკებმა ბევრი რამე გაწყენინეს. შენი ქონება შუშებს მისცეს. შენს სახლში უჩრეუდენია გააღეს, ჰამა ახრიზამანში ისევ ხალხის საქმე არა კეთდება? ისევ ჩვენს პრეფელში რა რჩება ყველაფერი? ახარ ის რაზბონიკი ანგლიჩნები რომ მოვიდნენ, ვაენი ქნან და ეს გრაძაფონიეთ გამართული საქმე დაშალონ. არა რომ შენთვისაც ფინთია? ხალხის საქმე რომ წახდეს, ისევ შენი ზარალი არ—ეარ?

რის იმედი გაქვს? შენ გგონია ისინი თავზე ხელს შოგისვამენ, წართმეულს დაგბრუნებენ და ჰამაც მინისტრათ დაგსვამენ? გიჟეს! ისეთ პანღურს გიქერენ, რომ თაგვის სორო ჩერვონეცი გაგიხადონ!

ერთის სიტყვით. იმავე ნიმუტში მეც პლატფორმაზე დავდექი და რეშენია ვქენი. რომ შეც დამცველი გავხდე. აბარონა გავაკეთო, ავიო-ხიმში ჩავეწერო, პულიმეტრისა და ლევორის სროლა ვისწავლო და მეც მზათ ვიყო! გზაში მივდივარ და სადაც რომ დროშები და მიტინგი შამხვდება, ყველას რეჩს ვებნები:

— ძმებოჯან, თქვენ სიყმეს ვენაცვალე, რაც რომ აქამდისინ აშიპკა მიქნია, პირძაღლი ვიყო თუ რომ არ გაეასწორო, ბემურაზი ვიყო თუ რომ მეც თქვენი ძმა და ჰირის ზიარება არ გავხდე. მეც თქვენთან ერთათ აბარონაში არ ჩავდგე და ვაენში არ წავიდე, თუ ვი ვინმემ მაგისთანა აჩაინი რამე გაბედა მეთქი.

სახლში მივსულვარ და ოსანას ვებნები:

— ოსანჯან, თაზა-ხაბარ გიდას?

— ჰაა, რა ხაბარია აღარ იტყვი?

აბარონის თავდაცვაში უნდა ჩვეწერო, ავიო-ხიმში უნდა შავიდე, ხიმიჩესკი ნაუკა უნდა ვისწავლო, არა რომ სადაც ქვეყანაა ჩვენც იქ უნდა ვიყოთ, ჩვენც ხლხი ვართ, ვირისთავები ხომ არა ვართ? ოსანჯან, შენც შამოდი. შენც ჩაეწერე არ გინდა?

— შესც ბათა რამეს ამოფ რაღა? რე უყე ჩავეწერე. ჰამაც ჩვენი ჯრტელის ქალებმა უპრაკენენიაც დავიწყეთ, ხიმიური გაზებისგნის თავის დაცვას ვსწავლობო და მერე სესტრა-მილასერდია უნდა გავხდეო. მასკა მამიტანია, აბარონის უროკები სახლში უნდა გვიაროვო. ბოლოს მეგნება:

— იცი არშაკჯან. ხვალ ვაენი საბოროს ეზოში სტრელკის ვარჯიშია, თოფებს პრიცელში ესვრიან, ვინც რომ ყოჩაღია, მიდის და ომსა სწავლობს, შენც წამოდი, ჰამ სეირი ნახე, ჰამაც ნიშანში ესროლე და პრიზ მოგცემენო.

იმ ღამეს ასე ჭუკჭუკიო დავწექით. მთელი ქვეყნის პალიტიჩესკი რამეებზ ვთქვით და ჰუზურში ორიენი ანგლიის აჩაიანი მტრები გავხდით!

მეორე დღეს მართლაც წაველით სობოროში.

ვახ: მართლაც მთელი ქალაქი იქ იყო. ყველა მიშანში ესვრის. ზოგი არტყამს. ზოგი პრიზს იღებს, ზოგი გარბის, ზოგი აჩხაკუნებს. ზოგი ატაკაზე გადადის ვინ მოსთვლის?

მე და ოსანა მივედით და ერთ გრუპასთან ჩავდექით.

— ტავარიშიჩ, შენ რა გინდაო?—ერთი მეკითხება.

— მეთქი ვაენი უნდა ვისწავლო, თოფი უნდა გავაგდო და პრიცელში გავარტყა მეთქი.

— ფული გადაგიხდიაო?

— ვა, შე ბუმერაზო. აქ რომელი მუზიკალნი მკოლაა რომ სწავლაში ფული გადავიხადო? ყველანი ერთი საქმისთვის არა ვართ, თოდ უფასოთ მასროლინეთ რაღა. რომ უფრო ჯიგარი დავაყარო და კარგათ ვისწავლო მეთქი.

— არ შაიძლება. თითო სროლა ათი შაურიაო.

გადავიხადე და ერთი თოფი ავიღე. გავხედე. ავწიე—მხარზე გავიდე—პირდაპირ პრაპორჩიკი მეგონა თავი რაღა. ის უსტაბაში კი პატრონებს მაძღევს და მებნება:

— ღრაჟდანინ. აი ეს ტყვიები ჩააწყე და ესროლეო. მაშინ კი. სწორე—გითხრა შემეშინდა და ვებნები:

— პაჟალუსტა. არ შაიძლება პუგაჩის პატრონები ბამცეთ? მე ცოტა გულის ფრიალი მაქვს და ასეთიტყვია ჩემთვის აპასნია მეთქი... ყველამ სიცილი დაიწყო. ოსანა გაჯავრდა და მებნება:

— მაგრა დადექ რაღა შე ბემურაზო. რისა გეშინიან. ვაჟკაცი არა ხარო? გული მამეცა და დაუმიხნე. ის აფიცერი მეძახის.

ღრაჟდანინ. შენ უკულმა გიჭირავს. ლულა იქით გაიშვირე და კონდახი მხარზე მიიდე. ჰამაც ფრთხილათ იყავი. ტალჩოკი არ დაგარტყასო... მოვაბრუნე. ნიშანს მიუშვირე. ორივე თვალი დავხუმე და უცბათ—ბრახ!...

ვა, მეგონა ცა ჩამოიქცა. მიწა ჩასქდა. ქვეყანა თავზე დამეცა მეთქი, თვალები დამიბნელდა და გულმა პიონერის ბარაბანივით დამიწყო დაგა-დუგი. ჰაი წყალი, ჰაი დოსტური, კაპლები. გრადუსნიკები და ათასი დაეიდარაბა.

როგორც იყო მამაბრუნეს. მაშინ გავიგე. რომ იმ მონტე-ქრისტის თოფსა გაგდების დროს ნიკაპში ტალჩოკი დაურტყამს ჩემთვის და სისხლში გავწუწულვარ... ქვეყანა მე მიყურებს, პატარა კონკომოლები დამცინიან:

ფუჭი ფროდა

სურ. მარიაშის

ჩემბერლენი (ნ. ჟორდანიას): ჩვენს შორის დარჩეს, და ამ ბლაგვ იარაღს მაინც ვერ გავლესავთ; ამით საქმის გაკეთება არ შეიძლება. ხომ ხედავ: ამდენი ხანია ვლესავთ და მაინც არ გაილესა!

— პრავა პაპაჯან, აქ რომ ამტოლი ჩიტები დააფრთხე, იქ ჩემბერლენს რაღა მოუვიდოდაო?!

ბოლოს მოვბრუნდი, სისხლი მოვიწმინდე და ახლა ჰაეროპლანების მოედანზე წავედით. იქ ვნახეთ როგორ ფრინდებოდნენ. ჰამაც მასკებს იკეთებდნენ და გაზებს უშვებდნენ...

ბოლოს სახლშიც წავედით. იმ ღამეს დიდი კაშმარნი სიზმარი ვნახე, ვითომ ჰაეროპლანში ვზივარ და იქიდან პირდაპირ ჩემბერლენს აჩკებში პუგაჩს ვარტყამ. უცბათ თურქე ოსანამ წიხლი ბერლუზ და ძირს ზხართვა მოვადინე მე კი მგონია, ჰაეროპლანიდან დავვარდი მეთქი; ეყვირი —მიშველეთ, ქრისტანებოჯან უზარებლათ ნუ მამკლავთ მეთქი.

ყვირილზე მთელი ეზო შაიყარა ძლივს მამაბრუნეს, ჰამ, ეხლა გულის სიგანივრე დამჩემდა შიშისაგან და უკე ინვალიდი გავხდ. ისე რომ ვაენში მე ველარ გამოვდგები. აფსუს ჩემო ვაკკაცობავ! ეს სულ ამ აბარონამ მიყო, თორემ მე ჯერ კიდევ კარქი მეომარი ვიქნებოდი!

ნუ ჩორთ სნიმი, ჯანდაბას ჩემი თავი; როცა მთელი ქვეყნის ხალხი, ჯეჰელი და ხნიერი, ყველა ერთათ დამდგარა და მზათ არის, მტერს მტრულათ შაჰხვდეს, იმათ ვინ გაუძლებს, ან მე რა საჭირო ოვარ, ისინი კი არ ეყოფიან? მაგრამ ჰუზურში, თუ მეც რამეში საჭირო ვარ, ჩემი სიყმე თქვენ გენაცვალოთ.

ვარსადან.

საკუთარი საჩხუბარი დაკვირვებანი

მესამე

ჯერ ჩვენ გვინდა განვმარტოთ — რა არის თავდაცვა და რა არის თავდასხმა? თქვენ, ალბათ, გგონიათ, „რომ თავდაცვა სხვაა თავდასხმა სხვაა, „შუა უდევს დიდი ზღვარი“.

ჩვენ კი ვამტკიცებთ: თავდაცვა და თავდასხმა ერთი და იგივეა. ჩვენ ამას ვამტკიცებთ კატეგორიულად და უნდა დაგვიჯეროთ.

მართალია: მე პირადათ დიდი მოჩხუბარი არასოდეს არ ვყოფილვარ; ჩემს ცხოვრებაში „პუგაჩი“-ს და ხელთაფას მეტი არაფერი გამისროლია, მაგრამ ეს სრულებითაც არ მართმევს იმის უფლებას, რომ ჩხუბის და შეხლა-შემოხლის საკითხების სპეციალისტი ვიყო. ამ საქმეში მე ჩემს თავს ავტორიტეტად ვსთვლი.

შორიდან მაყურებელი, უფრო ერკვევა საკითხებში, ვინემ თვით ამბების უშუალო მონაწილე. ამასაც კატეგორიულად ვამტკიცებთ. მაგალითად, თეატრის რეცენზენტი რომ სცენაზე გამოიყვანოთ სათამაშოდ, ცალ ფეხს სუფლიორს დაადგამს თავზე და მეორე პარტერში გადმოუცდება, მაგრამ, აბა ერთი გაუბედეთ: თქვენ ხელოვნების და სცენის არაფერი გაგეგებათ—თქვა! ცოცხალი ვერ გაასწრებთ გარეთ. და თუ მას კი ეჯერებთ. ერთი მეც დამიჯერეთ!

ᲫᲐᲠᲗᲚᲐ, ᲐᲠᲪ ᲘᲡᲔ ᲮᲐᲛᲘ ᲕᲐᲠ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ, ᲕᲘᲜ ᲛᲝᲡᲗᲕᲚᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲝᲩᲮᲣᲑᲐᲠᲘ ᲪᲝᲚ-ᲥᲛᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲘᲖᲐᲕᲔᲑᲘᲐ; ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠ ᲡᲮᲕᲘᲡ ᲛᲐᲒᲔᲠ ᲛᲔ ᲛᲝᲛᲮᲕᲔᲓᲠᲘᲐ ᲘᲐᲤᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲬᲛᲔᲜᲓᲘ ᲩᲝᲗᲥᲘ ᲖᲣᲠᲒᲖᲔ; ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲮᲔᲚᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲑᲠᲘᲫᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲐᲛᲔ ᲕᲧᲝᲤᲘᲚᲕᲐᲠ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘᲡᲐᲪ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲓᲐᲪ ᲓᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲕᲐᲠ (ᲐᲚᲑᲐᲓ, ᲗᲥᲕᲔᲜᲪ ᲛᲐᲢᲧᲣᲝᲑᲗ) ᲓᲐ ᲗᲣ ᲓᲐᲛᲘᲯᲔᲠᲔᲑᲗ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲘᲪᲘᲗ, ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲪ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲘᲪᲘᲗ.

ᲓᲐᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲐ

ᲓᲘᲐᲮ, ᲘᲛᲐᲮ ᲛᲝᲒᲐᲮᲡᲘᲜᲔᲑᲓᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲐ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ „ᲘᲢᲝᲒᲨᲘ" ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲒᲘᲕᲔᲐ. ᲛᲝᲒᲕᲧᲐᲕᲡ ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘ ᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲚᲐᲗ.

ᲐᲘ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ: ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲧᲐᲕᲗ ᲛᲢᲔᲠᲘ. ᲒᲘᲜᲓᲐᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲡᲐᲠᲗᲚᲘ. ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲛᲢᲔᲠᲡᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲡᲐᲠᲗᲚᲘ. ᲨᲔᲮᲕᲓᲘᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ. ᲗᲥᲕᲔᲜ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲘᲪᲐᲕᲗ, ᲛᲢᲔᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲡ. ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲗ. ᲛᲔᲠᲔ ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ? ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲜ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲔᲑᲗ ᲐᲜ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲢᲔᲠᲘ. (ᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ).

ᲔᲮᲚᲐ ᲐᲕᲘᲦᲝᲗ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲐ. ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲧᲐᲕᲗ ᲛᲢᲔᲠᲘ. ᲒᲘᲜᲓᲐᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲡᲐᲠᲗᲚᲘ. ᲛᲢᲔᲠᲡᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲡᲐᲠᲗᲚᲘ. ᲨᲔᲮᲕᲓᲘᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲪ ᲗᲐᲕᲡ ᲔᲡᲮᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲢᲔᲠᲘᲪ ᲗᲐᲕᲡ ᲒᲔᲡᲮᲛᲘᲗ. ᲛᲔᲠᲔ ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ? ᲐᲜ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲗ ᲐᲜ ᲛᲢᲔᲠᲘ. (ᲮᲛᲐ ᲮᲔᲓᲐᲕᲗ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲒᲘᲕᲔᲐ).

ᲛᲝᲙᲚᲔᲗ, ᲩᲕᲔᲜ ᲘᲛᲘᲡ ᲗᲥᲛᲐ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲣ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲘ ᲒᲘᲕᲐᲠᲒᲐ, ᲝᲣ ᲮᲛᲐᲚᲘ ᲒᲘᲩᲠᲘᲡ, ᲗᲣ ᲒᲣᲚᲘ ᲡᲐᲒᲣᲚᲔᲡ ᲒᲐᲥᲕᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ: ᲗᲣ ᲕᲐᲠᲯᲮᲐᲠ, ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑ,—ᲡᲣᲚ ᲔᲠᲗᲘᲐ: ᲗᲐᲕᲡ ᲔᲡᲮᲛᲘ, ᲗᲣ ᲗᲐᲕᲡ ᲘᲪᲐᲕ.

ᲗᲣ ᲐᲠᲪ ᲒᲣᲚᲘ ᲒᲘᲕᲐᲠᲒᲐ, ᲐᲠᲪ ᲗᲕᲐᲚᲘ, ᲐᲠᲪ ᲮᲛᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲘᲗ, ᲛᲐᲨᲘᲜᲐᲪ, ᲡᲣᲚ ᲔᲠᲗᲘᲐ, ᲗᲐᲕᲡ ᲔᲡᲮᲛᲘ, ᲗᲣ ᲗᲐᲕᲡ ᲘᲪᲐᲕ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲘᲨᲕᲔᲚᲘᲡ. ᲗᲐᲕᲓᲐᲛᲡᲮᲡᲛᲔᲚᲘᲪ ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝ, ᲗᲐᲕᲡᲚᲡᲐᲤᲓᲐᲡᲮᲡᲛᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲘ.

ᲐᲛᲐᲡ ᲛᲔ ᲘᲡᲔ, ᲰᲐᲔᲠᲖᲔ ᲙᲘ ᲐᲠ ᲕᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑ. ᲐᲙᲘ ᲛᲝᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲗ — ᲓᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲕᲐᲠᲛᲔᲗᲘᲗ. ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲓᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲗᲣ ᲒᲘᲜᲓᲐᲗ ᲒᲝᲒᲐᲪᲚᲝᲑᲗ.

ᲥᲔᲗᲝᲗ, ᲛᲐᲛᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲑᲔᲠᲚᲔᲜᲘ

ᲩᲔᲛᲡ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲐᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲪᲝᲚ-ᲥᲛᲐᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ. ᲪᲝᲚᲡ ᲔᲠᲥᲕᲐ ᲥᲔᲗᲝᲗ. ᲓᲘᲓᲘ ᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲘᲡ ᲪᲝᲚᲘ. ᲐᲣᲢᲧᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲠᲐᲛᲔᲖᲔ ᲥᲛᲐᲠᲡ. ᲐᲒᲘᲜᲔᲑᲓᲐ, ᲚᲐᲜᲫᲦᲐᲕᲓᲐ. ᲥᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲓᲐ ᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲐᲕᲘ ᲔᲢᲧᲝᲓᲐ, ᲐᲠᲪ ᲙᲐᲠᲒᲘ. ᲔᲡ ᲛᲝᲗᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲠᲔᲕᲓᲐ ᲥᲔᲗᲝᲗᲡ: ᲠᲬᲛᲣᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲠ ᲛᲝᲗᲚᲘᲡᲝᲛ.

ᲔᲠᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲥᲔᲗᲝᲗ ᲙᲐᲠᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲣᲮᲔᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲥᲛᲐᲠᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ; ᲡᲬᲓᲐ ᲧᲔᲚᲨᲘ ᲐᲛ ᲒᲝᲚᲘᲐᲗᲘᲕᲘᲗ ᲕᲐᲙᲙᲐᲪᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ ᲐᲦᲠᲩᲝᲑᲓᲐ. ᲥᲛᲐᲠᲛᲐ ᲘᲡᲔᲒ ᲓᲘᲜᲯᲐᲗ, ᲓᲐᲛᲨᲕᲘᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲪᲐᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲝᲘᲛᲝᲠᲐ ᲥᲐᲚᲘ, ᲬᲐᲕᲘᲓᲐ ᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘᲗ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲯᲯᲓᲐ.

ᲥᲐᲚ ᲒᲐᲬᲘᲬᲛᲐᲢᲓᲐ, ᲒᲐᲘᲥᲪᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ. ᲒᲐᲛᲝᲘᲢᲐᲜᲐ ᲑᲐᲬᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲔᲥᲐᲜᲐ ᲥᲛᲠᲘᲡᲙᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲮᲡᲠᲘᲗᲝᲑᲐ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ. ᲥᲛᲐᲠᲘ ᲔᲮᲚᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲛᲝᲗᲝᲛᲘᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲡᲘᲦᲐᲜᲯᲔ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲙᲐᲠᲒᲐᲕᲡ, ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲗᲕᲐ ᲑᲐᲬᲐᲠᲘ, ᲨᲔᲙᲠᲐ ᲥᲔᲗᲝᲗ ᲙᲐᲠᲒᲐ ᲛᲐᲒᲠᲐᲗ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲐᲚᲛᲐ ᲓᲐᲡᲚᲓᲝ ᲢᲐᲮᲢᲨᲘ.

ᲥᲐᲚᲛᲐ ᲠᲝᲛ ᲢᲘᲠᲘᲚᲘᲚ ᲛᲝᲠᲗᲝᲗ, ᲛᲔᲖᲝᲑᲔᲚᲛᲐ ᲓᲐᲛᲘᲓᲐᲮᲐᲜᲐ ᲨᲔᲔᲓᲔᲓ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲬᲧᲔ ᲥᲐᲚᲡ ᲓᲐᲛᲨᲕᲘᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲮᲡᲔᲜᲔ ᲑᲐᲬᲐᲠᲘ.

— ᲨᲔᲜ ᲣᲢᲕᲘᲜᲝ ᲓᲔᲓᲐᲙᲐᲪᲝ, ᲠᲝᲪᲐ ᲙᲐᲪᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲒᲔᲠᲩᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲪᲐ ᲘᲪᲘ ᲕᲔᲠᲐᲤᲐᲠᲡ ᲓᲐᲐᲙᲚᲔᲑ. ᲨᲔᲜᲡ ᲢᲧᲣᲐᲨᲘ ᲠᲐᲢᲛᲘ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲔᲢᲔᲕᲘ?!—ᲔᲡᲗᲥᲕᲘ ᲩᲔᲛᲡ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲮᲚᲐ ᲩᲔᲛᲑᲔᲠᲚᲔᲜᲘ ᲐᲠ ᲛᲔᲑᲠᲐᲚᲔᲑᲐ, ᲐᲠᲪ ᲥᲔᲗᲝᲗ ᲨᲔᲛᲑᲠᲐᲚᲔᲑᲘᲗ.

ᲔᲮᲚᲐ ᲛᲐᲛᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲔᲠᲗᲘᲗ ᲛᲐᲛᲐᲚᲘ ᲒᲕᲧᲐᲕᲓᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ. ᲞᲐᲢᲐᲠᲐ, ᲩᲘᲐ, ᲒᲐᲛᲮᲛᲐᲠᲘ. ᲧᲝᲕᲚᲐᲓ ᲣᲧᲝᲠᲘᲗ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲔᲠᲘᲠᲘᲗᲖᲔ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲝᲓᲐ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲚᲗᲐᲜ. ᲘᲧᲝ ᲡᲣᲚ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲒᲐᲡᲘᲡᲮᲚᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ. ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲒᲐᲓᲐᲡᲣᲚᲘᲧᲝ ᲛᲔᲖᲝᲑᲔᲚ ᲛᲐᲛᲐᲚᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲘᲛ ᲒᲐᲔᲫᲔᲐᲠᲗᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲘᲪᲘᲗ? ᲑᲘᲑᲘᲚᲝ ᲐᲦᲐᲠ ᲛᲝᲩᲧᲝᲚᲘᲐ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ.

— ᲐᲡᲔ ᲒᲔᲙᲐᲓᲠᲔᲑᲐ. ᲗᲐᲕᲘᲪ ᲠᲐᲢᲛᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲗ! ᲐᲮᲘᲐ ᲨᲔᲜᲖᲔ! — ᲛᲘᲒᲐᲫᲐᲮᲔᲗ ᲥᲐᲜᲪ ᲒᲐᲛᲝᲚᲔᲣᲚ ᲛᲐᲛᲐᲚᲡ.

ᲐᲮᲘ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲩᲔᲛᲑᲔᲠᲚᲔᲜᲡᲐᲪ ᲠᲝᲛ ᲥᲔᲗᲝᲗᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲚᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲛᲝᲣᲕᲘᲓᲔᲡ?! ᲒᲔᲚᲔᲞᲐᲠᲐᲙᲘᲗᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲐᲙᲘᲠᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ, ᲘᲡᲔᲐ ᲐᲛ ᲑᲝᲚᲝᲠ ᲓᲠᲝᲡᲐᲪ ᲐᲪᲔᲢᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲔᲚᲘᲡ. ᲩᲔᲛᲘ ᲛᲐᲛᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲘᲜᲪ ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲝᲡ ᲭᲙᲣᲐ!

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲐᲗ ᲛᲘᲒᲕᲐᲩᲜᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲐ. ᲙᲐᲠᲒᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲐ, ᲙᲐᲠᲒᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲐᲡ ᲣᲦᲠᲘᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲒᲚᲐᲮᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲐ — ᲗᲐᲕᲘᲡᲚᲐᲤᲘᲡ ᲓᲐᲡᲮᲛᲐᲡ. ᲗᲥᲕᲔᲜ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠ ᲒᲧᲔᲠᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲐ ᲕᲐᲠ! ᲗᲣ ᲐᲠ ᲒᲧᲔᲠᲐᲗ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲮᲛᲘᲗ ᲓᲐᲘᲯᲔᲠᲔᲗᲘᲗ—ᲩᲔᲛᲑᲔᲠᲚᲔᲜᲡ ᲠᲝᲛ ᲜᲐᲮᲐᲕᲗ ᲥᲔᲗᲝᲗᲡᲐᲕᲘᲗ ᲒᲐᲑᲐᲬᲠᲣᲚᲡ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲘᲢᲠᲘᲩᲐᲠᲐ ᲛᲐᲛᲐᲚᲘᲕᲘᲗᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲚᲐᲤᲓᲐᲡᲮᲡᲛᲣᲚᲡ!

ᲡᲔᲘᲒᲔᲘᲠ-ᲒᲔᲜ-ᲨᲔᲘᲮ.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ᲝᲯᲐᲮᲣᲠ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ

ᲬᲘᲜᲐᲗᲥᲛᲐ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲗᲣ ᲙᲘ ᲦᲠᲛᲐᲓ ᲩᲐᲣᲙᲕᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲣ ᲡᲮᲕᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ, ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲛᲐᲡᲨᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲝ�გᲘᲣᲠ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲡ.

ᲠᲝᲪᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲛᲐᲮ ᲕᲬᲔᲠᲗ, ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲗᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲕᲧᲐᲕᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘ, ᲫᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲛᲐᲨᲘᲐᲪ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠᲗ, ᲠᲝᲛ: ᲩᲕᲔᲜ ᲒᲧᲐᲕᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲛᲫᲛᲔᲜᲘ, ᲔᲠᲗᲡ ᲑᲔᲓᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲜᲔᲑᲘ... ᲓᲐ, ᲐᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ, ᲐᲛᲘᲗᲝᲛᲘᲡᲐᲪ ᲕᲡᲬᲔᲠᲗ ᲐᲛᲐᲡ. ᲒᲕᲯᲔᲠᲐ: ᲗᲣ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲠᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ, ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ ᲐᲛ ᲬᲘᲠᲘᲚᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲨᲘᲪ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲡᲐᲮᲕᲐᲡ.

„ᲝᲛᲐᲛᲓᲘ"

... ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲐ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ. ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲐᲚᲑᲐᲗᲘᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲕᲣᲧᲠᲔᲑᲓᲘᲗ ᲪᲝᲚ-ᲥᲛᲐᲠᲘᲗ:

— ᲓᲦᲔᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲙᲔᲠᲫᲐᲓ ᲡᲣᲞᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲝᲗ— ᲗᲥᲕᲐᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲪᲝᲚᲘ.

— ᲛᲔ ᲙᲘ ᲑᲝᲠᲨᲩᲘ ᲛᲔᲠᲩᲘᲕᲜᲐ!—ᲒᲐᲛᲝᲕᲡᲗᲥᲕᲐᲛᲓᲘ ᲩᲔᲛᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲡ.

— ᲠᲐᲙᲘ ᲨᲔᲜ ᲑᲝᲠᲨᲩᲘ ᲒᲘᲠᲩᲔᲕᲜᲘᲐ, „ᲞᲐᲤᲐᲚᲣᲡᲢᲐ", ᲑᲝᲠᲨᲩᲘ ᲘᲧᲝᲡ!—ᲗᲐᲜᲐᲛᲘᲒᲠᲫᲚᲝᲑᲓᲐ ᲘᲒᲘ.

— ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲔᲠᲝᲓ: ᲛᲔ ᲙᲐᲢᲚᲔᲢᲘ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ, ᲨᲔᲜ ᲙᲘ —„ᲒᲝᲚᲣᲞᲪᲘ"... ᲓᲐ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲔᲠᲫᲐᲓ, ᲠᲐᲪ ᲨᲔᲜ ᲒᲘᲧᲕᲐᲠᲡ. Ე. Ი. „ᲒᲝᲚᲣᲞᲪᲘ".

ᲐᲡᲔ ᲓᲐ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲩᲕᲔᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲕᲜᲐᲮᲣᲚᲝᲑᲓᲘᲗ ᲙᲝᲛᲞᲠᲝᲛᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲬᲝᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝᲑᲐᲡ ᲕᲘᲪᲐᲕᲓᲘᲗ.

— ᲛᲔ ᲛᲣᲨᲢᲐᲘᲓᲨᲘ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲬᲐᲕᲘᲓᲔ!—ᲘᲢᲧᲝᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲪᲝᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲓᲐᲐᲓᲒᲔᲑᲝᲓᲐ. ᲛᲔ ᲑᲝᲚᲝᲗ ᲒᲐᲕᲘᲒᲔ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲖᲔ ᲓᲐᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐᲛᲓᲘ, ᲩᲔᲛᲘ ᲪᲝᲚᲘ ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲘᲗ ᲩᲥᲣᲐᲠᲘᲐᲑᲓᲐ,—ᲓᲐ ᲞᲐᲣᲖᲐᲡᲖᲔ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ. ᲠᲝᲪᲐ ᲛᲔ ᲔᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲝᲜᲓᲐ, ᲠᲐᲚᲐᲪᲐᲛ ᲛᲘᲙᲘᲑᲘᲜᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲘᲦᲐᲠᲑᲐᲘᲡᲚᲔ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔ; ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲢᲠᲘᲤᲘᲐᲚᲔᲛ ᲡᲘᲩᲣᲛᲔ ᲕᲐᲛᲬᲧᲝᲑᲘᲜᲔ.

— ᲓᲐᲒᲔᲪᲘᲜᲔᲗᲝ?—ᲒᲐᲕᲘᲫᲘᲥᲠᲔ ᲛᲔ—ᲐᲠᲐ? ᲧᲔᲚᲐᲤᲔᲠᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲕᲔᲗᲐᲜᲮᲛᲘᲗ ᲪᲝᲚᲡ—ᲮᲣᲠᲒᲖᲔ ᲔᲒᲐᲬᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲠᲗᲐᲕᲘᲗ ᲒᲐᲒᲐᲥᲔᲜᲔᲑᲗ. ᲛᲔᲠᲛᲔ ᲒᲕᲘᲐᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ!—ᲓᲐ ᲔᲣᲗᲮᲐᲠᲘᲗ ᲪᲝᲚᲡ:—ᲛᲔ ᲙᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲑᲝᲢᲐᲜᲘᲙᲣᲠ ᲑᲐᲦᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲕᲘᲓᲔ!

— ᲛᲐᲨ ᲩᲔᲛᲗᲐᲜ ᲛᲣᲨᲢᲐᲘᲓᲨᲘ ᲐᲠ ᲬᲐᲛᲝᲮᲕᲐᲚ?—ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲨᲘ ᲡᲘᲑᲠᲐᲖᲘᲡ ᲜᲐᲞᲔᲠᲬᲙᲐᲚᲛᲐ ᲒᲐᲐᲜᲗᲐᲗᲐ.

— ᲐᲠ ᲒᲔᲬᲧᲘᲜᲝᲡ, ᲓᲐ ᲔᲠᲗ ᲬᲐᲛᲝᲕᲐᲚ!—ᲩᲔᲛᲡ ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲐᲪ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲯᲘᲣᲢᲝᲑᲐᲪ.

— ᲐᲠᲐ!—ᲪᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲠᲘᲣᲚᲘᲡᲐᲜ ᲮᲛᲘᲗ ᲬᲐᲛᲝᲘᲫᲐᲮᲐ—ᲩᲕᲔᲜ ᲯᲔᲠ ᲬᲐᲕᲐᲚᲗ ᲛᲣᲨᲢᲐᲘᲓᲨᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲑᲝᲢᲐᲜᲘᲙᲣᲠ ᲑᲐᲦᲨᲘ.

„ძრავალ ეზოებში სისუფთავეს არ იცავენ. მთელ ეზოში საზარელი სუნი სდგას“. (მუშკორის შენიშვნა)

სურ. სურსკიანი



ნუ თუ ამაზე უფრო უარესი და სულშემხუთავი იქნება მომავალ ომში გაზი?!

არც შენი, არც ჩემი... ორივეს...—ე. ი. არც შენი გავიდა და არც ჩემიო: თუ გავიდა, ორივესი გავიდაო.

თვითეული ჩვენგანი გრძნობდა, რომ ჩვენ ვცდილობდით გეგემონია აგვეღო ერთი მეორეზე. აშკარად ამას ვერ ვბედავდით და ყოველთვის კომპრომისით თავდებოდა ჩვენი დავა. ამ კომპრომისის გამო იყო, რომ როცა მუშტაიდი და ბოტახიკური ბაღი მოვიარეთ, საღამოს ისე დავიქანცეთ, რომ მეორე დღეს ლოგინიდან ვერ ავდექით.

— გუშინ მუშტაიდში წავსულიყავით, და მომავალ კვირას კი—ბოტანიკურ ბაღში!—ფიქრობდი ჩემთვის და თავს ვუსაყვედურებდი:

— ცოლსაც გაუხარდებოდა, რომ მისი სურვილი შეესრულე და არც ასე დავიღლებოდით!

— გუშინ ბოტანიკურ ბაღში წავსულიყავით, და მომავალ კვირას კი—მუშტაიდში!—ასე ფიქრობდა ჩემი ცოლიც და თავს უსაყვედურებდა:—ქმარსაც გაუხარდებოდა, რომ მისი სურვილი შეესრულე და არც ასე დავიღლებოდით!

როგორც სჩანს, ნიადაგი ამისათვის მზადდებოდა. საკმარისი იყო: ჩამოვარდნილი

ეკონომიური კრიზისი,

რომ ჩვენი მშვიდობიანი კომპრომისული ცხოვრება აფორიაქებულიყო.

როცა ზედმეტი სამუშაო მომისპეს (ეს კი ჯაჯაგირს უდრიდა) და ჩემს ცოლს ორი დღის შემდეგ შეეუმცხადე ეს ამბავი როცა იგი შემთხვევით კარგს ხასიათზე იყო (წარმოიდგინეთ, იმ დღეს კიდეც მაკოცა),—მან მხოლოდ ეს მითხრა:

— ძე არაფერი არ ვიცი. ისედაც ვერაფერი შვილი იყავი; ,ბატივს ვერ მცემდი... მე კაპიკსაც არ მოვიკლებ. როგორც იქნება, მე და ჩემი „ბობკა“ (ჩემი ცოლის ძაღლის სახელია) კი გავიტანთ თავს შენი ჯამაგირით; შენ რაც გიხდა ის ქენი!—ამ სიტყვებით იგი გავიდა მეორე ოთახში, წამოწვა ტახტზე და ძაღლს ალერსი დაუწყო. ძაღლი გადაირია სიხარულით და კაბის ქვეშ მოანდომა შეძრომა, მაგრამ ცოლმა დატუქსა, ხელში აიყვანა და ტუჩებში კოცნა დაუწყო.

მე ვუცქეროდი და მშურდა „ბობკა“-ს ბედი.

რა თქმა უნდა, ჩემმა ცოლმა თავისი გაატანა, მოწყალების სახით, როგორც უპატრონო ძაღლს, დამიტოვებდა ნასუფრალს. თვითონ და „ბობკა“ კი გემრიელად მიირთმევდენ.

მართალი ყოფილა, რომ იტყვიან: ძაღლი ყველა ცხოველზე უფრო ქკვიანიაო. „ბობკა“ მიხვიდა, რომ ცოლი აბუზად მიგდებდა და ბუზადაც არ ვუხსენებ თვალში. მანაც („ბობკამაც“) ჩალად აღარ ჩაიგდო. როცა სუფრაზე ცოლს მუხლზე ეჯდა და გემრიელად მიირთმევდა საჭმელს, მე დაცინვით გადმომხედავდა. საუკეთესო ნაჭერს „ბობკა“ მიირთმევდა; მე კი შვალს ვხრავდი.გადავწყვიტე:—სიკვდილი ძას, ვინც ჩემს კერძს და ჩემს საკუთრებას დაეპატრონა.

„ბობკა“ სერგიელ პრინცის როლში.

... როცა მე ამხანაგმა დამპატიჟა სასადილოში, ბევრი აღარ მივარებია. და არ მივარებია, აი ამ მოსაზრებით:

— ჯანდაბას! რაც იქნება იქნეს, და რაც უფრო მალე, მით უკეთესი. გამოსადენი ოფლია. სიცხიანი უნდა ყიოო ასეთ მდგომარეობაში? შევზარხოშდები. (ეს ასე ძოხდება: ჩემი ამხანაგი ლოთია; აუცილებლად დავთვრებით). მიველ სახლში და იმ ჩემს მტერს—„ბობკას“ მაინც ჩავახრჩობ...

ეს იყო ერთი მოსაზრება, და მეორე კი:—

— სულერთია: სახლში მაინც არაფერი დამხვდება. კუჭი ცარიელი მაქვს; ერთს მაინც გამოვქლები...

ჩავედით სარდაფში...

... და საღამოს, როცა სახლში დავბრუნდი, ცოლი არ დამხვედა. „ბობკას“ ცოლის ლოგინში ეძინა. კარები შევაღე. „ბობკამ“ ცალი თვალით გამომხედა და ისევ ძილს მიეცა.

— ოი, ღმერთო, გენაცვალე. მაგ ჭაღარა წვერებში. რა მოხერხებული დროა!—გავიფიქრე და „ბობკას“ ყელში ვეცი...

ორმდენიმე წუთის შემდეგ, „ბობკა“ ნაგვის კუთხში განისვენებდა.

როცა, გვიან ღამით, ჩემი ცოლი დაბრუნდა და „ბობკას“ მაგიერ მე ვიწექი ძის ლოგინში, ძალიან მოიკითხა. თითქოს მიხვდაო როგორც მოველოდი, გამომიგზავნა მკაცრი

მე უცქერდი და მშურდა „ბობკა“-ს მდგომარეობა.

ნოტა

რა თქმა უნდა. მე ხმა არ გამცა. მიუჯდა მაგიდას, დასწერა და შემდეგ გაბრაზებული ლოგინზე დამიგდო გრძელი ქოალდი, რომელშიაც ეწერა:

„თქვენ ჩაიდინეთ ყოვლად უსაძაგლესი ბოროტმოქმედება: მოკალით ჩემი საყვარელი „ბობკა“ და ამისი გვაძლი ალბად სადმე გადააგდეთ. მე ვთხოულობ ამომწურავ და დამაკმაყოფილებელ პასუხს ამ ფეოგობაზე“.

გაძეცინა. დავაპირე დალაპარაკება. მაგრამ მან ყურში თითები ჩაირჭო და ხელით მანიშნა. რომ სიტყვიერ პასუხს არ მიიღებდა, არამედ უნდა დამეწერა. ერთხელ კიდევ გამეცინა. ავდექი და მოვსწერე:

„ბაქვს პატივი გაცნობოთ შემდეგი: ძვალი, როძეულიც მე გუშინ დავხარი, აღმოჩნდა ძის ყელში. ალბად თამაში დაუწყო და ყელში გაეჭიდა. „ბობკა“ მკვდარი დამხვდა. იძულებული გავხდი დამესაფლავებია სანაგვე ყუთში. ეფიქრობთ ჩვენს შორის ცოლ-ქმრულ და მშვიდობიან დამოკიდებულებას დიდად ვერ აენებს „ბობკას“ ტრაგიკული გარდაცვალება. მიიღეთ ჩემგან ამის გამო თანგრძნობა, ნუგეში და პატივისცემა“.

ნოტების გაცვლა-გამოცვლას მეორე დღიდან მოჰყვა ეს მიერ

ურთიერთობის გაწყვეტა

ეს გადმოხატა იმაში, რომ ერთს ოთახში გამომიყოფა ზოგი ჩემი ნივთები და თვითონ კი მოთავსდა მეორეში, სადაც ჩემ შესვლის უფლება აღარ ეკუთვნოდა.

ურთიერთობის გაწყვეტას, რასაკვირველია, ბუნებრიკად მოჰყვა

ᲒᲚᲝᲙᲐᲓᲐ

საჭმელ-სასმელს აღარ ვაძლევდა. აკეთებდა და თვითონ ბირომევდა.

— აბა, ვნახო, რამდენ ხანს გასძლებს ასე?—ამბობდა იგი—ერთი წყვილი ტანსაცმელის და ფეხსაცმელის გარდა, სხვა ყველაფერი აქ არის, ჩემთან... ვნახოთ. გავამწარებ, სიცოცხლეს მოვუსპობ... არ მივსცემ: საჭმელს, სასმელს, ტანზე და ფეხზე. იაროს ასე ჩაგლახავებული!—ელაპარაკებოდა ჩვენიანებს და გულს იფხანდა.

მაგრამ იმედი არ გაუმართლდა. სასადილოში ვსადილობდი ამხანაგებთან, ტან-ფეხზეც შევიკერე. ხედავდა, რომ უფრო უკეთესად წავიდა ჩემი ცხოვრება. ბრაზი ახრჩობდა. ერთ მშვენიერ დღეს, როცა სახლში დავბრუნდი, მაგიდაზე დამხვდა მისი წერილი. (შუა კარების გასაღები მას ჰქონდა. მე რომ წავიდოდი, იგი შემოდგებოდა და ჩემს მილაგებულ ოთახს ააფორიაქებდა).

„ᲣᲚᲢᲘᲛᲐᲢᲣᲛᲘ“

წერილში ეწერა:

„ხვალ ჯამაგირის მიღების დღეა. წინადადებას გაძლევ: 1) მიყიდო „ბობკას“ სამაგიერო ძაღლი ისეთივე ჯიშის და მისი მსგავსი. 2) მონახო „ბობკას“ გვამი, უყიდო მას პატარა კუბო და დაასფლავო ეზოს ბაღში. 3) ბოდიში მოიხადო ჩემს წინაშე ყველა ჩვენიანების თანდასწრებით და 4) დასდო პირობა, რომ ამძერიდან ჩემს გარდაუვალს არ ჩაიდენ. ვადას გაძლევ ხვალ ამ დროიდან, ე. ი. ოცდა ოთხი საათის განმავლობაში თქვენ უნდა დაკმაყოფილოთ ჩემი სამართლიანი და მინიმალური მოთხოვნილება“.

გასაღების ჭრუჭუტანიდან დავიხახე, რომ ჩემი ცოლი მიყურებდა. გადვიხარხარე მის გულის მოსაკლავად.

ᲝᲛᲘ

ხარხარი ჯერ კიდევ არ მქონდა გათავებული, რომ შუა კარები გაიღო და ღია კარებიდან გამოვარდნილმა სკამმა ჩემს ხურგზე ფეხი მოიტეხა. შემობრუნებისას ცხვირპირში ჩამანაცა შუშის ბაიურმა, თითქოს ელექტრონი აინთოო. შემდეგ რა მოჰყვა, აღარ ვიცი, რადგან უგრძნობლათ ვეგდე იატაკზე; ხოლო ვგრძნობდი, რომ „ძმიმე არტილერიის ყუმბარები“ კოხივით მეცემოდენ მთელ სხეულზე. შევატყვე დამარცხება და როგორც იქნა ოთახიდან გარედ გამოვედი.

ჩემმა ცოლმა გაიმარჯვა. ოთახი აიღო და ოკუპაცია მოახდინა. მე გავხდი გადმოხვეწილი. ეს ამბავი გაიგო ჩვენმა ნათლიამ და იგი ჩამოდგა ჩვენს შორის. როგორც

„ᲕᲘᲚᲡᲝᲜᲘ“

დადიოდა და მოციქულობას ეწოდა. ამ მოციქულობაში იგი კიდეც იგებდა: სადილად რომ ჩემთან იქნებოდა სასადილოში, საღამოს ვახშმად. როცა ამბავი მიჰქონდა ჩემს ცოლთან. იქ გამოძღებოდა. შევატყვე, რომ იგი მაინცა და მაინც არ სცდილობდა საქმის მალე მოგვარებას. რამდენადაც გაჭიანურდებოდა საქმე, მისთვის უკეთესი იყო. ბოლოს ნაცნობებიც ჩამოდგენ და ჩვენს შორის ჩამოვარდა.

„ᲕᲔᲠᲡᲐᲚᲘᲡ ᲖᲐᲕᲘ“

ამ ზავის პირობები ჩემთვის მიუღებელი იყო. მაგრამ სხვა საშველი არ იყო. მოხდა ჩემი კაპიტულიაცია ცოლის წინაშე.

— კაცო. დაეთანხმე; ჯერ ასე იყოს და შემდეგ კიდევ ჩვენ მოვაგვარებთ თქვენს საქმეს!—მეუბნებოდენ.

ერთი კვირის შემდეგ, სოფლიდან ჩამოვიდენ ცოლ-ქმარის შორის ურთიერთობის მოსაგვარებლად ჩვენი მშობლები და მტკვრის პირად სასადილოში შესდგა

„ᲚᲝᲙᲐᲠᲜᲝᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ“

ღვინის სმამ, ფართო-ფართო და ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებმა მიჩქმალეს საქმის ნამდვილი ვითარება და ჩემს და ცოლს შორის თითქოს მოაგვარეს დამოკიდებულება. მეც და ცოლიც კარგად ვგრძნობდით, რომ ჩვენი შერიგება არ იყო გულწრფელი და ის ამბორი, რომელიც

ესეც თავდაცვა „ბაბრაზებულ ცოლისაგან“

სურ. სურსკიანი



ჩვენ ერთმანეთს მიუძღვენით და რომელზედაც ტაში დაჭყრეს და „ვაშა“ შესძახეს, იყო ცბიერი.

„კონფერენციამ“ საჭიროდ სცნო ჯერ-ჯერობით მაინც, მინამ გაიელიდეს შომხდარ ამბის კოშმარი, ჩვენთვის დაენიშნა მეთვალყურე, რომელიც ყოველივე სადავო საკითხს გადასწყვეტდა მშვიდობიანათ. ეს მეთვალყურე გახლდათ გამოყერყეჩებული, ოთხმოცდა ათი წლის, ცბილჩაცქენილი ბებია—

„ერთა ლიგა“

კონფერენციის დაშლის შემდეგ, როცა „დელეგატები“ თავთავიანთ სახლში წაიდენ, ასე ფიქრობდენ (რასაკვირველია, თავის თვის):

— ბაგათ შორის შეუძლებელია მშვიდობიანი ცოლქმრული ცხოვრება. ის გამოტვინებული დედაბერი კი არა, ერთი დიუჟინი შვილები, რომ ჰყავდეთ, საშველი მაინც არ არის!

და არც ცდებოდენ ისინი. ჩვენს შორის ისევ გრძელდებოდა აყალ-მაყალი. როცა წაველაპარაკებოდით ერთმანეთს, ბებია ჩვენი ბუხლებზე ხელს იდგამდა, ძლივს-ლა დგებოდა და ფოფხი-ფოფხით ჩამოდგებოდა ჩვენს შორის. დაიწყებდა ლაპარაკს და „ჭკუის სწავლება“. მაგრამ მისი არც ერთს არ გვესმოდა.

— დაიხრჩვი ბარემ! რას აკეთებ?!—ასე ვფიქროდით მასზე.

ჩვენ მივხედით, რომ ორივე იანაბარი ჯიუტი ვიყავით; ერთი მეორეს არ ჩამოვრჩებოდით. სახელი მაინც ვატეხილი გვქონდა ნაცნობ მასებში. იძულებული გავხდით დროებით მაინც სხვის თვალის ასახვევად შვიდობიანობა ჩამოგვეგდო და ერთმანეთის შორის დავდეთ

„საგარანტიო ხელშეკრულება“

ეს იმაში გამოიხატებოდა, რომ:

1) თუ ვინიცობაა ერთ-ერთმა მხარემ „ძისდაუნებურად“ რაიმე შეურაცყოფა მიაყენა მეორეს,—ამ უკანასკნელმა აპატიოს პირველს და დაკმაყოფილდეს საქმის გამორკვევით და დანაშაულის აღიარებით ბოდიშის მოხდის დამატებით.

2) ჯამაგირი მთელად უნდა ოვიტანო სახლში.

3) ცოლი ვალდებულია ქმარს სადილი დაახვედროს და ოჯახური საქმე გაკეთოს.

4) სამაგიეროთ: ქმარი მოვალეა დაკმაყოფილოს ცოლის მოთხოვნილება „მოდის“ მიხედვით მის ჩაცმა-დახურვაზე მაქსიმალურ შესაძლებლობის ფარგლებში (ამ უკანასკნელ სამ სიტყვამ დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. ცოლი წინააღმდეგი იყო ამ სიტყვებისა; ბოლოს დაეთანხმა სიტყვა „მაქსიმალური“-ს დამატებით).

ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ ბუნებრივად ცხოვრობდა ჩვენი

„ზანიარალება“

... და, დასასრულ, ამჟამად, ყველა ამის შემდეგ ჩვენს შორის დამყარდა ეხლანდელი

„ევროპის მდგომარეობა“

ანუ ოვითეული ჩვენგანი (მე და ჩემი ცოლი) ვგრძნობთ ერთმანეთის გაუტანლობას. ჩვენ ვიცით, რომ ერთმანეთს ვატყვილებთ; თეთრ კბილს ვუჩვენებთ ერთმანეთს, იმ დროს, როცა გული შავი გვაქვს. ვიცით, მაგრამ ერთმანეთს არ ვუმჟღავნებთ. ახლო სანში ჩვენს შორის მოხდება გადამწყვეტი ომი, რომლისთვისაც თავთავისთვის ჩუმად ვემზადებით. ისიც ვიცით, რომ ამ საბედისწერო ომში ჩვენ ერთმანეთს დავამარცხებთ და ერთმანეთზე გავიმარჯვებთ. ეს არც დიდათ ეწყინებათ ჩვენს მდგმურებს, რომლებიც ცუდად ცხოვრობენ სარდაფში და ჩვენ დამარცხების შემდეგ საშუალება მიეცემათ ქვემოდან ზევით ამოვიდენ და ჩვენს ბინას დაეპატრონონ.

ვიცით, მაგრამ რა გაეწყობა! ასეთია განწირული ხალხის ბედ-იღბალი.

ასელი.

ᲐᲠ ᲘᲐᲛᲐᲗ!

— ᲗᲣᲜᲓᲐᲠᲩᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡᲐ ᲐᲠᲘᲡ. ᲐᲠ ᲘᲪᲘᲗ... ᲛᲔᲠᲘ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲒᲐᲜᲒᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ.

— ᲛᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲯᲐᲜᲒᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ. ᲛᲔᲠᲘ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲔᲑᲘ... ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲗ!

[illegible] 4 [illegible] 1927 წ. № 116 [illegible]

[illegible]



[illegible]
[illegible]

იშკილი

— მახლაზ, ყველაფერი ყისმათი ყოფილა, ბედის მწერალს თავის ყნილაში ჩაუწერია თუ ყარყუმ საქუთამ, მავან და მავან ვახტზე ბებუტი დაარტყას ჰალალ ვართანას შვილ სტეპკუასაო. მეც ეგრე ვქენი რალა, ავიღე და დავარტყი—ბედს სად წაუხვალ?? რაც შუბლზე მეწერა შამისრულებია მაშ!

ჰუზურში კიდევ კარქათ წავიდა საქმე, ტტკაზი დავარტყი თუ მე სტეპკუასთან ყალმაყალი არ მინდოდა ჰამა ნეჩაინათ მამიხდა მეთქი, ჰამაც სლედაოტელმაც ჩემი ხარე დაიჭირა, ასმა პირველი ნაპადენია სტეპკუას უქნია და ფლან და ფსტან სტატიის ძალით ნაკაზანიაც იმას ეკუთნისო, ჰამაც საქუას უფრო მეტი ზარალი მოსვლია და თუ იმის ცოლი მართლა ფეხმძიმეთ გახდება, მაშინ სტეპკუას ნაბაროტ შტრაფიც ეკუთვნისო.

საჩივარი ნაროდნი სუდში მიტანეს, მე პადნაძორის ქვეშ გამიშვეს დაის ბემურაზი სტეპკუა კი გუბერეკში გაგზავნეს, ოთაჯალის ციხეში რალა, ასმა კრწანისის უბანშია დაბადებული და გული არ შაკლდებაო.

ვახ, ის რა იყო ქრისტიანო, როგორ გაეჯავრდი, როგორ ვსპიხნუტი ვქენი და? გებნები რალა ისევ სირანუშას ჯიგრიან თხოვნამ დამიოგურა თორემ ჩემმა მზემ, ცოცხალი ალარავინ გადამირჩებოდა, ჩებემურმა ნერვნობამ მამიარა რალა და მამენტალნათ ბებუთი ამოვიღე:

— მეთქი ამ ნიმუტში ქაფურივით გაგაქროფ შე ლუ ჰუსტაკო შენა, ეგ არის შენი პირობა? მე ცოლი მითხოვებია, ძმა კაცობა მიქნია, ხათრი გამიწევია ამ ჰაშარი დედაკაცის ხათას გადამირჩენიხარ და შენ კი აქ ჩემ ცოლს მართლა რეკვიზიციას უკეთეფ? ახარ ჰოპოპები რო აუშვით და დოირანში ჩასცვივდით, მე კაცი ვარ თუ ვირისთავი? ჩემი ალარ გეშინიანათ? შენ ძმა-კაცი კი არა რაზბონიკის ერთი ყოფილხარ, მაშ თოლ მოკვდი შე ბემურაზო შენა მეთქი! და შიგ ბოქვენში დავარტყი ბებუთი.

მეორეც უნდა დამერტყა, ჰამა სირანუშამ ერთი დაიკივლა და იძახის:

— საქოჯან, ზომხედე ჩქარა, გული ფინთათა მაქვს და უეე წამივიდაო.

ვხედამ, გული ამ დედაკაცს მართლა წაუვიდა და ზლართა მოსძვრა.

ამ ყვირილზე მთელი დუნია შაიყარა. ვილაცას სახლში პაჟარი ჭგონებოდა და ჰაჟარ-კამანდისათვისაც კი დაეძახა. ბოლოს მილიციონი, კამისარი, სლედაოტელი—რამე, ყველანი მოვიდნენ, ჰუზურში სტეპკუა დოხტურებმა წაიყვანეს და მეც ვირის აბანოში მიკრეს თავი.

ჰოო, მართლა, თქვენ ხომ ყველაფერი არ იცით, ბარემ თავიდან გეტყვით რალა, ჰამ ამბავსაც პადრობნათ გაიგებთ, ჰამაც რჩევას მამცემთ—როგორ მოვიქცე თუ სუდმა საქმე გაჯანჯალა და შარი მამდო:

ეს ამბავი მანგლისში დაიწყო. ჰაკარაკათ წელს სირანუშას დაუჯერე და დაჩნათ მანგლისში წავედით. გზაში ერთ ჯეჰელ ვინმეს დაუზნაკომდით, კითხულ-კითხულით გავიგეთ, რომ პაჩტი ნათესავათ მოგვხდებოდა რალა,—ჰალალ ვართანას შვილი—სტეპკუა გამოდგა. თავისი რამეები გვიამბო: თურმე რუსეთში ყოფილა რაფაკში უსწავლია და ჰამაც თავისუფალ დროს ტრეატის ხელობასაც ეტანებოდა, ულვაშები უეე გაპარსული ჰქონდა რაღა, ნამდვილ დურუჯელთან პაჩტი ფაფათ მოვიღოდა.

ვებნები:—მაშ არტისტობაც იცი?

— ისე რალა, კამაც კამაც, თუ რეპეტიციები გავაკეთ ცოტა რამეს მოვახერხეფო. ეხლაო, მე რუსეთის ჰავამ მაწყინა და აქეთ წამოველ, თორემ აქამდისინ ნეპრუმენი არტისტი გაჭდებიო.

— მეთქი ცოლიანი ხარ?

— არა, ერთი ზაქსის ცოლი მყავდა და უეე თავი დავანებე, ჰამა ზაჭლი წამართო, თავს არ მანებებს, სადაც მივალ, იქ მამდევსო. ეხლა პირწმინდათ, რომ გაიგოს ჩემი მანგლისში ყოფნა, პუპუზ, აქაც შამივარდებაო—ვახ, ნეტავი ის მამაცილა და თუნდა მთელ ჩემ სიყმესა და ჯეჰელობას დავთმობდიო.

ამაზე სირანუშამ უთხრა:—ვაიქი, ჩახედული ვინმე ცრანხარ და მაგისთან პრასტოე რამეს როგორ ვერ ახერხეფო? ან ცოლი შაირთეო, ან კიდევ იმ ქალს დაჯერე თუ ფლანი და ფსტანი ქალი ჩემი ცოლიათქო და მამენტანლათ თავს დაგანებებსო.

— მე თავი იმიტო დავანებე, რომ ხალასტოვობა მინდა, და ცოლი, რომ შავირთო ხომ ისევ ისეთ ზაჰრუმალ პალაკენიაში ჩავვარდებიო?

ეი ჭა, მაშინ სხვის ცოლთან ვრემენათ ისეთი თაბაუთი დაიჭირე, რომ იმ ქალმა დაიჯეროს მათომც შენ შეგირთიაო ჰამაც სიმტერესანი ჯეჰელი ვინმე ხარ, შენთან გავლას და პოდრუქკ ვინ მეერიდებაო?

ამ ბიჭს ჭკვაში მოუვიდა... მანგლისში ჩვენთან ხშირათ მოდიოდა და მთელ დღეს ჩვენს ბალკონში ტერტერას ჯოხივით ეყუდა, ჰამაც სირანუშა ტყეში მარტო მიჰყავდა ხოლმე—ლამურების ზუდე ვნახოთო.

ატკრავენათ გებნებით, იმათი ჩურჩურ-კურკური მე ჭკვაში არ მამდიოდა ჰამა, მაინც რევნოსტობას არ ვიჩენდი—გაუნათლებლობაში არ ჩამომართონ მეთქი. მახლაზ ეს ბემურაზი განათლება და მოდნა ახში ძვირათ მიჯდება რალა და პაჩტი მკვლელიც გამხადა.

ერთიც ვნახოთ, ერთს საღამოს ეს სტეპკუა მოდის და მეუბნება:

— ძია საქო, შენთან ჩერესჩურ სურიოზნი თხოვნა მაქვს და თუ ძმა-კაცობა და ჰურმარილი გწამს ატკაზს ნუ მეტყვი თორემ დავილუპებიო.

— ჰაა, ინჩხაბარა?

— ნახევარი სუტკით შენი ცოლი—ტოტა სირანუშა უნდა მათხოვოო.

— როგორ თუ გათხოვო?—რა ასტრაუმნი მახსარობა გცოდნია სტეპკოჯან, გათხოვო? სირანუშა აქანდაზია თუ სმოვრის ტრუბა? დედაკაცის თხოვება ვის გაუგონია მეთქი? ვიცინე.

— ძიაჯან, შენ იცინი, ჰამა ჩემ ჯიგარში პაჟარია, ის აშაქარი ჩემი გაურილი ცოლი აქაც ჩამოსულა და ალარ შუშვებაო.

— მერე, ჩემი სირანუშა რომელი სუდებნი პრისტავი ნახე, რომ იმან მოგაცილოს?

— არა ძიაჯან, აქ სხვა თაბაუთიაო. მე სირანუშას ჩემ ოთახში წავიყვან, ჰამაც სტუმრებს დავპატიჟეფ—პიკნიკს გავაკეთეფ რალა შენც იქ იქნებიო. როცა ის დედაკაცი მოვა, მე ვიტყვი თუ უეე ცოლიანი ვარ მეთქი და სირანუშას ისე მოვექცევი კაკბუტო იმის ქმარი ვარო. ის ჩემი ნაცოლარი ახში თავს დამანებებს და წავაო. ამ საღამოს თურმე ჩემთან უნდა მოიყვანონ ის დედაკაცი და ეს შტუკა მზად უნდა დავახვედროვო.

ვებნები სტეპკოჯან, მაგისთან ამიდნ რამეებს ნუ ლაპარაკოფ. ახარ სირანუშამ არ გაიგონოს, ეწყინება!

— შენ ალხეინათ იყავი, სირანუშასგნით საგლასა უეე მიმიღია, ჰამა შენი თანხმობაც საჭიროაო.

ამ მასლაათში რო ვართ, სირანუშაც მოდის და მებნება,

— საქოჯან, ახარ რას ატკაზოფ? სტეპკუა შენ კარქი ნაცნობი და ბლიზკი ვინმეა—ამისთანა დროს უ-

განაპირა უბნებში



წყალის რიგი

იმ საღამოს სტეპკუამ იმ თავის ნაცოლარს და იმის ბადრუგებს კარქი პიკნიკი გაუმართა,სირანუშა ყველას თავის ცოლათ გააცნო. გვერდზე მოისო და პრიკაზებიც დაუწყო. მე იმ რუსის გოგოებში ჩავსო, თამადათ დამაყენა და რეჩებიც მათქმევინა. პირველათ სირანუშას და სტეპკუას სადღეგრძელო დავლიე:

— მეთქი ეს ღმერთმა აცოცხლოს ეს ჩვენი ნაკაბრაჩნი გვრიტები ახალი ჯვარდაწერილი ცოლქმარია და ღმერთმა ერთმანეთს შეაბეროს მეთქი.

ერთიც ენახოთ, ვილაცა იძახის:

— გორკა, გორკა, გორკა!

პუპუზ, ამ სირანუშამ და სტეპკუამ ერთმანეთი არ ჩაპროშტეს?!. მერე ხელი გადაჰხვიეს ერთმანეთს და რაც ეი კამპანიაში დაპუსტიმი რამე იყო, ალარ დაიკლეს. მე ბული კოლოფივით მებერება, ბრაზისგნით ლამის პარალიჩი მომივიდეს, ხან თვალს უშვრები, ხან ნამოკუბს ვარტყამ, ჰამა ბან ჩუნეს? არაფერი არ მოქმედობს... ბოლოს, როცა თავან-სარგებელი გასწორდა, მე ველარ მოვითმინე,—წამოვხტი და სტოლს ისე ჯიგრიანათ დავარტყი ხელი, რომ სულ ბოთლეკები დავამტვრიე.

— ეს ოშკილია, მადამჯან, შენც გატყუებენ და მეც ვდურაკდები მეთქი. ეს რაზბონიკობაა, არ დაუჯეროთ – მაგ ბემურაზებს, მეთქი.

ატყდა ყალ-მაყალი, პერეპალობი, გაქცეულ გამოქცეულება. ამ დასტა-ბუბუში მეც ბებუთი ამოვიძრე და მამენტალნათ დავარტყი სტეპკუას. დანარჩენი ისე მოხდა რალა, როგორც პირველად მითქვია: მე ვირის, აპანოში, სტეპკუა ბალნიცაში და სირანუშაც გულწასული იქ დამიგდია.

ეხლა თქვენ მითხარით, ამისთანა ჰიშკილის დროს ნერვობისგნით კაცის მოკვლა დანაშაული იქნებოდა?

ფარსადან.

ᲤᲐᲜᲯᲐᲠᲐᲡᲗᲐᲜ

ეს იყო „ახალგაზრდობის დღეს“.

ახალგაზრდათა რიგები მწყობრად მიდიოდენ ქუჩაში.

მე ვიდექი ფილაქანზე და ვუცქეროდი მათ. განსაკუთრებით სასიამოვნოა, როდესაც თავისუფლად დგეხარ ჩრდილში და ჯიბეებში ხელებ ჩაყობილი უცქერი, როგორ შიაქვთ სხვებს ამ გაგანია სიცხეში მძიმე დროშები.

სასიამოვნოა, რომ ერთის მხრით გასაკვირიც არ იყოს —მწყობრში მდგომებს უფრო უხარიათ.

როდესაც დაუკრეს მუსიკა და ქუჩის ძაღლებმა აცქვიტეს ყურები, უეცრად ჩემს ზემოდ გაიღო ფანჯარა და ვიღაც მოხუცმა ნესვივით გადაშვლეპილი თავი გამოჰყო გარედ.

ერთხანს მოხუცი ყურადღებით უცქერდა მიმავალ რიგებს. უცბად ჯიბიდან ტრამვაის ბორბლის ოდენა საათი ამოიღო და ყურზე მიიდო. შემდეგ ნაწყენად გაქნია თავი. საათი ალბად გაჩერებულიყო. სწორედ ამ დროს საათმაც დარეკა მოედანზე. მეც მაინტერესებდა რა დრო იქნებოდა ეხლა და თვლას შეუდექი.

საათმა გარკვევით დაჰკრა ორმოცდაჩვიდმეტი.

თავმოტვლეპილი მოხუცი გაშტერებით ატრიალებდა ხელში საათს და არ იცოდა, როგორ დაეყენებინა ეხლა ის ორმოცდაჩვიდმეტზე.

გავიგონე, როგორ ჩაილაპარაკა ბოლოს გაბრაზებით.

— გადააბრუნეს ყველაფერი.. საათსაც კი არ მისცეს საშველი...

ასეთ მდგომარეობაში იყო იგი, როდესაც მის უკან მეორე მოხუცებულიც გამოჩნდა.

— ეე... დამიღუპეს საათი... შესჩივლა პირველმა. კარგი.. ჩვენ გაგვანადგურეს... მავნებელი ხალხი სართო, მაგრამ ამ საათს რაღას ერჩოდენ... ესეც ხომ ჩვენი მოგონებული არაა?... ჰაა... რას ერჩოდენ, რომ ეს გუბერნატორის მიერ ნაჩუქარი საათი გადასაგდებად გამიხადეს?!. ჰაა?..

— რა საათი?.. რომელი საათი?..

— გაიგონე? ახალი სისტემის საათი დაუკიდიათ მოედანზე... ორმოცდაჩვიდმეტი დარეკა... ორმოცდაჩვიდმეტი!.. და ამ სიტყვებით ბებერმა მწარედ შემოიკრა თავში ხელი და ისევ საათს დააშტერდა.—ეკლესიაში თუ რეკავდენ წირვაზე.. მისდა მეორე და ამრიგად გუბერნატორის მიერ ნაჩუქარი საათი გადარჩენილად იქნა.

მე ისევ ფანჯარასთან დავრჩი. ფანჯარასთან დგომა ბევრ რამით არის საინტერესო. უფრო უკეთესია, რა თქმა უნდა ფანჯარიდან ცქეო, როდესაც ღმერთივით უხილავად დასცქერი ზევიდან ყველა გამვლელ-გამომვლელს და ათვალიერებ შეუმჩნეველად ფეხებამდე, მაგრამ არც ფანჯრის ქვეშთ შეუმჩნეველად დგომაა ურიგო, როდესაც ზევიდან გადმომდგარ ღმერთებს უთვალთვალებ.

ახალგაზრდათა რიგები ისევ განაგრძობენ სვლას.

— ეს არის ცხოვრება? ჩაულაპარაკა პირველმა მეორეს... მითხარი ეს არის ცხოვრება?... მთელი დღე ქუჩაში დაძუნძულობენ... ჩვენ კიდევ ვნახეთ რამე... მაგრამ ამათმა იკითხონ... ესენი ვეღარაფერს ნახავენ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— მე პირველად მესმის, რომ შენთვის საათი ეჩუქებიოს ოდესღაც გუბერნატორისა,—უთხრა მეორემ.

პირველმა გაიკვირვა.

— ეს იმ დროს იყო, რომელსაც ჩვენ აწი ვეღარ მოვესწრებით... აი მაშინ იყო ცხოვრება... მე რომ ამათი ხნის ვიყავი დღე და ღამე ქვიფში და არშიყობაში ვატარებდი. ჩოხა და წუღა-მესტებს რომ ჩავიცვამდი, ქალები თვალს ვერ მაშორებდენ. ეხლა კი სადღაა ყველაფერი ეს... დღეს განათლებულმა კაცმა ჩოხა რომ ჩაიცვას, სასაცილოდ აიგდებენ...

მახსოვს სულ ახალგაზრდა ვიყავი, რუსეთში რომ გადავაყვანიე თავი სამსახურიდან. გაგებული მქონდა რუსი ქალების სიყვარული ქართველებისადმი.

შევიკერე ორი წყვილი ჩოხა-ახალოხი, მესტები, შევიძინე მოოქრული ვერცხლის ხანჯალი, მშვენიერი ბუზარის ქუდი და გავუდექი გზას.

დავბინავდი ერთ საგუბერნიო ქალაქში. აი, სიაფე მაშინ იყო. 20 მანეთად ოთახსაც მაძლევდენ, მაქმევდენ მასმევდენ კიდეც, მირეცხავდენ, ოთახსაც მილაგებდენ და ერთი რამეც კიდევ უფასო იყო... პრემიად, ასე ვთქვათ...

ბებრებმა გადაიხარხარეს.

— სულ საღამოებზე და ბალებზე დავდიოდი. ერთხელ ჩემს ჩოხა-მესტებში ისეთი ლეკური ვითამაშე, რომ მთელი ქალაქი გადარეკა იყო. ქალებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. მეორე დღეს ჯერ არც კი ვიყავი ამდგარი ლოგინიდან, რომ ეტლი მოადგა სახლს. ვდგები, გამოვდივარ სტუმრების შესახვედრად. პოლკოვნიკ-პორუჩიკები შეგებებიან მოწიწებით და ხელში აი ეს საათი უჭირავთ წარწერით „გუშინდელი ლეკისათვის“. თურმე ჩემი ამბავი გუბერნატორამდისაც მისულა და ამას დეპუტაცია გამოუგზავნია ჩემთვის; მეწვიოს და ჩემს ქალიშვილებს ლეკური ასწავლოსო...

აი, როგორ ეპყრობოდა მაშინ ხელისუფლება ნიჭიერ ახალგაზრდებს.

შეორე დღეს საკუთარ ლანდოთი გავეშურე გუბერნატორის რეზიდენციისაკენ. გუბერნატორი კარებთან შემეგება...

ამ დროს რაღაც არეულობა დაიწყო ქალაქში.

ერთხელ ვზივარ ჩემს ბინაზე და წიგნიდან ლექსს ვიწერავ, რომელიც მცირე შესწორებით გუბერნატორის ქალიშვილისათვის უნდა მიმეძღვნა, როგორც საკუთარი, უეცრად იღება კარები და რას ვხედავ?... თვით გუბერნატორი იერება ჩემს ოთახში ეა კისერზე მეხვევა:

— მიშველეთ... მხოლოდ თქვენ შეგიძლიანთ ჩემი ხსნა...

ვერაფერი გემეგო.

— რაშია, თქვენო ბრწყინვალებავ საქმე. მე მუდამ მზადა ვარ მსხვერპლად შევეწირო ტახტს, სარწმუნოებას და მამულს... მიბრძანეთ მხოლოდ!..

გუბერნატორი განაგრძობდა მუდარას.

— ქართველები რევოლიუციონერები ხართ და ნდობით გეპყრობიან მუშები.. წადით, დაამშვიდეთ ისინი, თორემ განადგურებას გვიქადიან!..

მე გაჩუმებული ვიდექი. მუშებთან წასვლას ეხლა მხოლოდ ჩვენისთანა გამბედავი ხალხი თუ გაბედავდა. გუბერნატორმა დაიჩოქა.

— სახელმწიფოს და ჩვენი ბედი თქვენს ხელშია... გვიხსენი სიკვდილისაგან!..

მე განვაგრძობდი მდუმარებას. გუბერნატორმა ფეხზე მომხვია ხელები.

— რაც გინდათ მთხოვეთ... ქალაქის თავად დავანიშნიე, აგამაღლებთ ზეცამდე... მთელი ჩემი ავლა-დიდება და უმცროსი ქალიშვილი თქვენი იქნება... მხოლოდ დაიხსენით თქვენი მომავალი სიმაძრი დაღუპვისაგან!..

ასეთ შემთხვევის გაშვება სისულელე იქნებოდა. მე წამოვაყენე გუბერნატორი, დავამშვიდე როგორც შემეძლო, ჩავსვი ეტლში და შევპირდი ყველაფრის მშვიდობიანად მოგვარებას. გუბერნატორის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

— თქვენ ხართ ტახტის და სარწმუნოების მხსნელი... თქვენ !..

— რასა ბრძანებთ, თქვენო ბრწყინვალებავ, მე მხოლოდ ჩემს წმინდა მოვალეობას ვიხდი...

გუბერნატორი დამშვიდებული გაუდგა გზას. უკვე ღამდებოდა. მე გადავიცვი ძველი ტანსაცმელი, რომ მუშა ვგონებოდი და ქუჩაში გამოვედი. ბედი კარზე იყო მომდგარი...



პირველ რიცხვში ჯამაგირის აღებისას—ცოტა პური, მეტი საუზმე.

ერთი კვირის შემდეგ—მეტი პური, ნაკლები საუზმე.

ჯამაგირის მიღებამდე რამოდენიმე დღით ადრე—მხოლოდ პური, საუზმეკი... ოცნება.

ამ დროს ქუჩაზე ახალგაზრდობის ასალმა რიგებმა ჩაიარეს და მოხუცი გაჩუმდა. ბოლოს გათავდა ყველაფერი.

მოხუცებმა ისევ განაგრძეს ბაასი.

— კი, მაგრამ, შეეკითხა მეორე, როგორ გათავდა ბოლოს და ბოლოს ის ამბავი... მე რაღაც არ გამიგონია, რომ შენ გუბერნატორის ქალიშვილზე დაგეწეროს ჯვარი...

ერთხანს მდუმარება იყო. მე უფრო ახლოს მივიწიე ფასჯარ.სთან.

— მმ... მოისმა უკმაყოფილო ხმა. შეცდომა ყოველთვის შეიძლება მოხდეს. ერთი კვარტალიც კი არ მქონდა გავლილი, რომ გარადოვოებმა შემნიშნეს და საეკლესიერად მიმიღეს... პოლიციაში წამიყვანეს და იქ... იმდენ მზილეს ჩექმებით, რომ მხოლოდ ერთი თვის შემდეგ გამოვერკვიე საავადმყოფოში... გუბერნატორს კი ამასობაში უკვე აეკრა ბარგი და სადღაც გადაკარგულიყო...

მე გაშეცინა. მოხუცებმა ყური მოჰკრეს ჩემს სიცილს და გადმოხედვისთანავე შემნიშნეს. მაშინ შიშით საკუთვალებით გადახედეს ერთმანეთს, სწრაფად მოხურეს ფასჯარა და ცოტა ფიქრის შემდეგ დარაბაც მოაყოლეს.

სინემატო.

ევროპეიზაცია

როდემდის გვქონდეს ასეთი ევროპიზაცია,
ქართულ ენას რომ წამატა „იზმი“ „ტიზმი“ „ზაცია“?
ბეზიზღება ჩვენი დროის ინგლისი და ფრანცია,
სანაც იქ არ დაიმსხვრევამსოფლიო რეაქცია,
და სანამ არ დამყარდება იქ სოციალიზაცია.

—:—

ბირგაში ჩაწერის შემდეგ, გამიხდა თვე ოცია,
ადგილს ვეძებ, ყურადღება არავინ მომაქცია.
სადაც ცხვირი შევყავი, ყველამ უკუ მაქცია.
ყველგან კარებზე სწერია: „ნიეტუ ვაკანსია“
ვაი მის დღეს, ვისაც არ ჰყავს ვინმე დიდი კაცია,
ან უიღბლოდ ვინც შობილა და კაბა არ აცვია.

—:—

ტრამვაის დირექტორობის ფარნიევს აქვს ფუნქცია,
ტრამვაის საქმე ასწია, ჰქმნა რევოლიუცია.
ხოლო სვლა-გეზის ნომრებსა მხარი სულ აუქცია,
დიდუბის მაგიერ თავი,—ავლაბარს მატუცია.
ჩინებულთა ქუჩებისკენ ძმავ ხორზუ კონსტრუქცია.
ბონოდები დანიშნა და ჩვენ ზურგი შეგვაქცია.
—სამგზავრო ფასს ხომ დაუკლო?—ვერ ვიგოძენ რა ვიცია
მოლარე და ფულის ფლანგვა შეიქმნა ტრადიცია,
ტრამვაიშიც ასე მოხდა არ გეგონოთ ფიქცია,
შაოავა რომ დადიოდა ვით ქართველი პრინცია,
ბურმე კოხტად იჯიბავდა ათასებს ის კვიცია—
(მხოლოდ ეხლა გამოეხიზლდა ტრამვაის დირექცია).

აბა რაა ეს თუ არა ევროპიზაცია?
იქიდგან ვისესხეთ სიტყვა ჩვენ ემანსიპაცია.
ჩვენმა ქალებმა გაიგეს,—ჰქმნეს ორგანიზაცია
„ქმრებო... ჰშობეთ... ქეც აწოვეთ“... ბრძანებს დელეგაცია.

„რეცხეთ, სადილიც გვიმზადეთ, ჩვენც კარგად ჩაგვაცვიეთ“
—სიდან ვშობოთ??? რა ვაწოვოთ???? სუუს...მოლჩი.
ზზზზააარრრმაცია!

ვაი როდის მოისპობა ქალთ მამალიზაცია
ქალები წინ?... კაცი უკან?... რაღათ ვღირვართ აწია?

—:—

ყეცნიერთაგან ვისწავლე ასტრონომიზაცია,
ცას ავფრინდი, ხელში ვიგდე მისთვის ავიაცია.
ღრუბლები მივფანტ-მოვფანტე, ცას გულზე დავეცია,
ბზის სხივები შემეჩეხენ, უქენ კონფისკაცია.
მთვარესა ძმობა შევფიცე, ხელი ხელს მივეცია.
ბზე-მთვარე-ვარსკვლავთ მოუხმე, წაუკიცხე ლექცია,
სხვადასხვა მიმართულების, შეექმენ მე იქ სექცია),
—შეხედეთ როგორი გვაქვს ჩვენ ელექტროფიკაცია,
—წვიმაც მოგვყავს, მზესაც ელის, მალე კონკურენცია,
—ზღვაც დავიპყარით, ჰაერიც, მიწაც თვალწარმტაცია,
—ჩამოდექით,... ასეთია ჩვენი დეკლარაცია...

საქარელი მ.

კახეთის კახური მატარებელი

კაკაბეთის ბაქანზე ხალხი ავიდა მატარებელში.

ვაგონში შეყო თუ არა ტვირთი თანდილამ, გაშლილი სუფრა დაინახა.

— გამარჯობა შენი ძიაჯან!—მიჰმართეს მოქეიფეებმა.

— გაგიმარჯოს.

— მოდი ღვინო დალიე.

— მადლობთ შენი ჭირიმე, კაცმა გულმუცელი ჩავიგლიჯე სირბილით, არ გამასწროს მეთქი. ზეგ გუთანი უნდა შევაბა და გუთნეულის ჯაჭვის საყიდლად მივალ. ბევალ უექველად უნდა დავბრუნდე.

— ჰა ბევრს ნუ ლაპარაკობ, თუ გინდა ღვინო დალიე: სანამ მეორე პლატფორმაზე მივალთ და ახალი მგზავრი ამოვა ჩვენს ვაგონში, იგრე უნდა დაგათროთ, რომ შენი გვარი და სახელი დაგავიწყდეს.

— მაიტა, ჰა!

ღვინო გადაჰკრა თანდილამ.

— ამხანაგებო, პლატფორმიდან ვინ მოდიხართ, ბილეთები აიღეთ.

— რომელი პლატფორმიდან: მენშევიკური, თუ ბოლშევიკური პლატფორმიდან!..

— პლატფორმიდანა მეთქი...—ამბობს კონდუქტორი.

— მოდი ძიაჯან, ერთი შენც გადაჰკა ღვინო.

კონდუქტორი გადაჰკრავს. როცა გადაჰკრავს, კიდევ დაიძახებს:

— აბა ვინ ამოხვდეთი ბადიაურის პლატფორმიდან...

— შე ჩემის თექვსმეტიანო, ერთი ყანწი დაჰლიე და უკვე გერევა. სად არის ბადიაურის პლატფორმა კახეთის რკინის გზაზე. ბადიაური სადგურია.

— უკაცრავად, უკაცრავად, შემცდა! აბა ვინ ამოხვედით კაკაბეთის სადგურიდან...

— რას ამბობ ამხანაგო! როდის გადააკეთეს კაკაბეთის პლატფორმა სადგურად?...

— იმის შემდეგ, რაც მე კარდანახული გადავჰკარ...

— მერე ერთხელ გადაკვრამ...

— რის ერთხელ! იცი ჩვენს მატარებელს რამდენი ვაგონი უბია და შიგ რამდენი სუფრაა გაშლილი?!. აბა ჯერ ერთი ამ ახალ მგზავრებს ბილეთები მივართო!

ბილეთი დაწერა. მისცა და ფული გამაართო მგზავრს.

— შაურიანი არ გექნება, ხურდა არა მაქვს. შაურიანი მომე აბაზიანს მოგცემ.

— არა არა მაქვს შაურიანი.

— მაშ ჩემზე დარჩეს.—უპასუხებს კონდუქტორი და მიუბრუნდება მეორე მგზავრს.

დაუწერს ბილეთს და მისცემს. მგზავრი აძლევს ფულს.

— შაურიანი არ გექნება!

— არა.—მიუგებს მგზავრი.

— ხურდა არა მაქვს. მაშ ჩემზე დარჩეს, მერე მოგართმევთ. კიდე ვის გაკლია ბილეთი.

მგზავრი აძლევს ფულს. მასაც დაუწერს ბილეთს და ხურდას აღარ აძლევს.

— ხურდას რატომ არ მაძლევ ამხანაგო!

— უჰ, უკაცრავად, შევცდი, დამავიწყდა.

— ი შე სალოცავძაღლო! აბა ერთი აგრე შეჰცდი, რომ შენთვის სახეირო არ იყოს. მიიტა ამ საათში ხურდა!

კონდუქტორი ჩაძვრა ჯიბეებში, ეძება, ეძება და ბოლოს „იპოვნა“:

— ვიპოვნე, ვიპოვნე, ბედი გქონია!—და მისცემს მგზავრს ხურდას.

მატარებელი მივა საგარეჯოში.

იგრიალებს პლატფორმაზე ჩამსხდარი ხალხი და მიადგება ბილეთის სალაროს.

— ბილეთი!

— ბილეთი!

— ბილეთი!—გაისმის მოუსვენრად.

— გაანთავისუფლეთ სალარო! ბილეთები აღარ არის.

— რატო არ არი!

— იმიტომ რო ადგილი არ არის ვაგონებში.

— ეხლა შიგ არ ვისხედით! როგორ არ არის!

— არ არი მეთქი ალაგი.

— შ ყინყრატ ძაღლო, მაშ როგორ აი არი!

— გეუბნებით, ალაგი აღარ არის მეთქი. თუ გინდათ, რბილ ვაგონში დასხედით.

— მაიტა, მაიტა! უფრო კარგი არ არის: ენიაზურად წავალთ.

და აწვდიან ფულს.

— ეს ცოტაა. რბილი ვაგონი მეტადა ღირს—ეუბნება მოლარე.

— ამის მეტი არა მაქვს, ძმობილო. და მაშ რა ექნა?

— რაც გინდა ისა ჰქენი, ჩემი შრალი ხომ არ არის, რომ შენ მაგის მეტი არა გაქ.

— სევასტ! აბა ხომ იცი ეხლა ბევრი უბილეთოები იქნებიან ვაგონებში. უნდა ძაან დამეხმარო—ეუბნება მატარებლის უფროსი თავის ამხანაგს და ადიან ვაგონში მეორე ზარის შემდეგ.

— სად მიხვალ ამხანაგო?—ეკითხება უფროსი.

— თიანეთში!

— მატარებელი ტფილისში მიდის და შენ თიანეთში მიხვალ?

— თუ კი მაგდენიც იცი, რაღას მეკითხები.

— ბილეთი მიჩვენე შენი.

— ბილეთი? წეღან შენც იქ არ იყავ, რო გეხვეწე და არ მომეცი. არა მაქ ბილეთი.

— არა გაქ და ჯარიმას გადაიხდი.

— იმდენი არა მქონდა წეღან, დამემატებია და რბილი ვაგონის ბილეთი მაინც მეყიდა და რა ჯარიმას გადამახდევინებთ?

— ჰო, გადაგახდევინებთ!

— შე მამაცხონებულო, ი ექვსი აბაზი, წეღან რო მქონდა, საგარეჯოს სადგურიდან ივრის სადგურამდე ხომ არ იბღარტებდა, ისევ იმდენი არ იქნება! თუ გინდა იმას ბოგცემ და თავი გამანებე. რა ჯარიმა უნდა გადამახდევინო!

— იმად, რო უბილეთო მოდიხარ.

— აკი გეხვეწე წეღან, რატო არ მომეცი?

— ადგილი არ იყო და იმიტომ.

— აი ხომ ხედავ, რო ადგილიც არის და ზედაცა ვსხედვარ.

— ჯარიმა გადაიხადე ამხანაგო.

— რათა ამხანაგო, იმიტომ, რო ადგილი არის და შენ ბილეთი არ მომეცი.

— სად არის ადგილი, ვერა ჰხედავ ამდენ ხალხს?

— როგორ ვერა ხედავ! მე ვხედავ, ხოლო შენ კარგა გაახილე თვალები და დაინახე, რო ადგილი არი და ბილეთს კი არ იძლევით!

— ამხანაგო, წამობრძანდი, გადაიხადე ჯარიმა.

— ქრიჰტე ღმერთი ხო არ გაწუხებს შენა! რა ჯარიმა უნდა გადავიხადო! ჯარიმა რო გადავიხადო, მაშინ იქნება ადგილი?

— წამოდი შენა! გაგაგებინებთ რა ჯარიმასაც გადაიხდი.

წაიყვანეს.

— როგორ ჩამოხველ თანდილა?

— აი ისე ააშენოს ღმერთმა ამ კონდუქტორების ოჯახი, როგორც მე ჩამოველი ქალაქში. ერთი ორიოდე მანეთი ფული წამოვიღე, გუთნეულის ჯაჭვი უნდა მეყიდა. მაგრამ ვერც გუთნეულის ჯაჭვი ვიყიდე, ათას ადგილებშიაც მათრიეს და ბოლოს კინაღამ პერანგიც არ გამაძარცეს ჯარიმის შესასრულებლად. ეხლა ფეხით ვაპირებ წასვლას სოფელში. მატარებელზე აღარ დაეჯდები!

ფეშანგი



თუ ტფილისის ტელეგრაფის მთავარი სადგურის სა ათი კეთილსინდისიერად არ უჩვენებს დროს, ამის მიზეზი ხშირად სულ უბრალო შემთხვევა.

„დაჩნი ამგეგი“

— ჟამანაკ! ჟამანაკ! რა დრო დადგა! რა თარიღში ვვიხდება ცხოვრება! ბორჯომში ლიკანის დვარეცში, საცა წინათ ველიკი კნიაზები და ნამესნიკები ზაფხულს ატარებდნენ, იქ დღეს ჩემი სიდედრი აღათია თავის კოჟანდარა თითებით ფორტოპიანზე მუზიკალნი რეპეტიციებს შვრება. შოფერი ვასოა პოვერ მიხოს ველიკი კნიაზის ზაგრანიციდან მოტანილ ბილიარდზე პირამიდას ეთამაშება. დვორნიკი ასლანას ქალი, ზეინე, კუჩერ ტიმოფეის ვაჟს, კონცომოლისტ სტეპკას, კრაკეტში ეჯიბრება. ოციოდე ბავშვები, სულ საეცეკი პროიზვოდსტვოსი, ცელქობით და სხვა და სხვა მოდნი თამაშობით არ აძლევენ საშუალებას მუშაობისას ჩვენ ძვირფას პაპაშა ფილიპეს, რომელსაც დღე და ღამე წერვა და კითხვა დასვენება ბონია.

ეხლა გავიაროთ და ვნახოთ შავი ზღვის პირას რა ხდება. ქობულეთი, მახინჯაური, ზელიონი მისი ისე არიან ხალხით გატენილები, როგორც სირაჯ გეურქას ხურჯინი.

— რა ჯურა ხალხი გინდა რომ აქ არ არის. ქართველი, თათარი,, რუსი სომეხი, ურია ისე თამამათ გრძნობენ თავიანთ თავებს როგორც წიწილები კრუხის ფრთების ქვეშ. ეს ხდება იმ აჟარაში, საცა ბენია ჩხიკვიშვილი ინტერნაციონალიზმის უროკებს მათრახით ასწავლიდა აჟარელ ფეხარა ხალხს.

— დაჩნიკებში მეტი წილი მუშამოსამსახურეა. შიგ და შიგ ზოგიერთი სპეკულიანტიც ურევია. ესენი ჩამოსულან თავიანთ დვუხსპალნი, მადამებით დასასვენებლათ და შეძლების დაგვარათ კოტრაბანდის გასატანადაც.

— მუშა-მოსამსახურეები ისვენებენ, ბანაობენ, მზის სხივებით იძღენთვენ ჯანსა, რომ ახალი ენერგიით დაუბრუნდნენ შრომის რესპუბლიკის აღმშენებლობის საქმეს.

მთელ მზიან დღეებს ხალხი ზღვის ნაპირას და ზღვაში ატარებს. ერთხელ ერთ რუსმა „სალიონი“ მიწოდა იარმუკაში და ამ უბრალო სიტყვისთვის ტვინის აპარატი მოუშალე იმას. აქ კი ამ ზღვაში ბანაობით ჰაჯი-უსენაც კი სალიონი ხდება. ერთ ღამეს შემთხვევით ერთ რუსის გოგოს ტუჩები ჩაუპროშტე (ზდეს ტაკოი დელა ტოჟე ესტ) და ბოროწეულივით გადაშლილი ლალივით ტუჩები ისე მლაშე მეჩვენა როგორც ჩოფურაშვილი არშაკას მოხარშული მურწა.

ბორჯომში არა მარტო ახალ გაზდობა, სალიდნი ასაკის ხალხიც კი კოვერკოტებში და ეიკტორიებში ერიან გამოწყობილნი. აჟარისტანში კი დაჩნი პუბლიკა ზოგნი ნახევრათ ტიტველია და მეტი წილი კი ტიტველ: დადის.

— დეიდა ჩემი ელენკა დამადგა, გინდა თუ არა ტრუსიკები მიყიდე, ბანაობა უნდა ვისწავლოვო. შავცდი ჭკვაზე და ბათუმის კოოპერატივში წავყეეი იმ გასაოხრებელ ტრუსიკის სასყიდლათ. პრიკაშჩიკმა აწონ-დაწონა დეიდა ჩემის სისქე და სიგძე და მირჩია მატყლის ბარდანა მეყიდნა მიშა ჩხეიძესავან—თქვენი დეიდის დვიეიმი იმუშჩესტვო ხოლოთ ბარდანაში ჩაეტევაო. ჯერ სამაგისო ტრუსიკები არ გამოსულაო.

ამ ტრუსიკებსაც თავის მოდები აქვს. სკრომნი ხალხი გძელებს იცვამენ, რომელშიაც ყველაფერი თავის პარიადკაში არის მოთავსებული, მარტო ფეხები და ხელები რჩებათ დაუფარავი. ქალები ამ ტრუსიკებში ნაკლებ სკრომნოსტობას იჩენენ. ისე მოხერხებულათ აკერინებენ ამ ოხერ ტრუსიკებს, რომ რასაც მეტი ფასი აქვს იმას გამოიჩენენ. ზოგიერთ ძუძუები აქვს გამოფენილი ბაყალ გიქოას ხილის თავხებივით. ზოგს კანჭები აქვს გამოყრილი არტალის ნაჭრებივით. ზოგიერთსაც ფასადი არ უვარგია და ზურგის მხარეს გიშვერს გასასინჯათ. ერთ ღამაზ მოყვანილ ქალს სუყველაფერი გამოეშალნა, როგორც ერკოპის ვისტავკაში ახლო-

— ქალო, ასეთი გაგიჟებული გინახავს!
— ვინა, ძალუა?
— ვინა და, ჩემი შვილი... ვეუბნებით, ფულს დავხარჯავთ, ჯარისკაცობას გადავარჩენთ, ის კი არ შვება, მაინც დამაინც წითელარმიელობა მინდაო!

მახლო იდგნენ მზვერავი მამაკაცები და ზოგი დურბინდით და ზოგიც უდურბინდოთ ისე უცქეროდნენ, გეგონებოდათ შავ ზღვაში ჩემბერლენის იახტა გამოჩნდაო. ისე გამოქნილი ქალი ჩანდა, რომ დურბინდი კი არა ორმოცდაორ დუიმიან ზარბაზანს გაუყუჩდებოდა.

— თუმცა თითო მამაკაცზე აქ შვიდი დედაკაცი იმყოფება, მაგრამ ჩვენი ბიჭებიც ბევრნი არიან. გუშინ სიმონ მდივანი ვნახე. მაგრამ ნეტავ არ მენახა. მთელი ღამე აღარ დემეძინა. ის საცოდავი ტრუსიკებში ისე ჩატენილიყო, როგორც მოთალი გუდანი.

ორჯერ გარშემო შამოუარე და მაინც ვერ მივხედი სად ქონდა მუცელი და სად მეორე მხარე.

— სიმონჯან, ეგ ტრუსიკები ისე გიხდება, როგორც აეროპლანს ვოლები,—მივმართე საყვედურით.

— რატომ, ჩემო ძამიაკ,—მიპასუხა მან დიდგულათ,—თუ კი რომ ლადო აბაშიძე პალიტიჩესკი სტატიებს დასწერამს და მიშა ჩხეიძე ველოსიპედების გონკებზე გამოვა პრიზის ასაღებათ, რათ გიკვირთ, რომ მე ტრუსიკებით დავდივარ.

ნეტავ ლადოს მარჯვენა მოსტეხოდა და გაზეთში სტატია არ დაეწერნა და მიშას კიდევ რესორები სამუდამოთ წახდომოდა, რომ მე სენია მდივანის გულისა არ გავმხდარიყავი.

— ამ არ ცხონებულის შვილმა ერთი მაგარი შტუკით ჯავრი იყარა. გადამეკიდა, ერთ ლამაზ ქალს მოსწონხარ და უნდა გაგაცნოო. თქვა და აასრულა კიდეც. ერთ საღამოს პოდრუჩკი გაყრილი მოვიდა ჩემთან ერთ ქალთან ერთათ. ჩამაყენეს ხელი და გამათრიეს ქობულეთის შოსეზე, 4-ნი ვიყავით—მე, სენია მდივანი, მისი დამოჩკა, ლიდია ივანოვნა თავის პატარა ძაღლით, რომელსაც მიმის ეძახდნენ. ქალს ისე ქონდა სახე გაკრასკილი, როგორც პარიკმახერ იასონას ვიევსკა. იმ ღამეს როგორც იყო თავი დავახწიე ამ ნამუსიან კამპანიას, მაგრამ, საუბედუროთ, მარტო ერთი დღით.

— მეორე დილით ქალი მესტუმრა თავის „მიმით“ და მთხოვა ბათუმში წავყოლოდი. თუმცა მე შარლოტენბურგის პანსიონში არა ვარ გაწვრთნილი, მაგრამ კარგათ ვიცი რომ ქალს უარი არ ეთქმის. გავგიჟდი და წავყევი, მაგრამ რა წავყევი,მივდევ და თანაც აქეთ-იქეთ ვიხედები ნაცნობები ჩემ არა მხედამენ მეთქი.

ჯერ გზაზე თავის რიდიკული გადმომილოცა—კლავი დამეღალაო. ბათუმს რომ მიუახლოვდით, მიმის ჯაჭვიც ჩემ ხელში გადმოვიდა. სირცხვილისაგან სახე მეპუტრე ნიკოას თორნერსავით მაქვს ანთებული. მე, საქულ აბზარცუმოვიჩ ხაილოიანცი, ბათუმში შავდივარ, ცალ ხელში დამაკი სუმკა მიჭირამს და მეორე ხელითაც ერთ ქეციან ძაღლს მივათოვე. გვერდზეც სენიას „კრასავიცა“ მახლავს.

— საქულჯან, რატომ დედამიწა არ გასქდება და შენ თავს შენი კამპანიით ტუნელში არ შეიტანს.

რას იზამ, მცხვენიან, სული კბილით მიჭირამს, მაგრამ „ეჟლივოსტობა არ მავიწყდება, თავს ისე ვიქერ ქალაქში როგორც ამერიკანეკი ტურისტი.

—ჩემ ყისმათს ვენაცვალე, უცბათ ჩემს გვერდზე ღმერთმა სიღნაღელი დოხტურ ტიბზია გააჩინა, რომელიც მოვიპატიჟე და ჩემი დამა გავაცანი. მივდიოართ ახალი შემადგენლობით. ჩემი დოხტური ძალიან მორცხვი გამოდგა და კრინტს ვერ ვაღებინეფ.

უცბათ გავჩერდი და ვთხოვე დოხტურს ჩემი ხელები დროებით გაენთავისუფლებინა, რადგანაც წინდები ჩამჩაჩოდა და გასწორებას მოითხოვდნენ. გაბრიყვდა და დამიჯერა. ძაღლი და რიდიკული ეხლა ტიბზიას კლავებს ამშვენებდნენ..

ბევრი მეხვეწა, ბევრი მეღრიჯა ამ ნათები უკან ჩამებარინა, მაგრამ მე არ შევიწყნარე მისი ღაღადი.

— საქულჯან, ქვეყანაში თავს ნუ მჭრი, სიღნაღელი არავინ შემხვდეს, გამამართვი ეს ძაღლი, თორემ ეკრამ ქუსლს კონკრობოსტოში და სულს გავაყრევინეფ ამ პატრონ ამოსაგდებს.

გულამოსკვნილი მებნებოდა ტიბზია.

მოთმინებიდან გამოსულმა ტიბზიამ ძაღლის ჯაჭვი გააგდო ხელიდან და ცხოველს მისცა თარეშის თავისუფლება.

— ახალი კომედია სწორეთ ეხლა გაიმართა! მირბის ძაღლი ტირილით, უკან მისდევს ჩვენი დამოჩკა და დახმარებას გვთხოვს დაჭერვაში. ჩვენც

— საით მიგეჩქარება?
— მალრჩობელა გაზების წინააღმდეგ ნილაბი უნდა ბიუიდო. ჩვენი ხოფლის დუქანი ისეთ დამპალ საქონელს ინახავს, რომ მისმა გაზებმა სული შეგვიხუთა.

როგორც ვეკლივოსტის მონები, ვიწ-ყობთ მხურვალე მონაწილეობას ძალ-ლის დაქერვაში და ვხდებით ამოდე-ლა ხალხის ჯანბაზებათ.

— აუარებელი ხალხი თან დაგვ-დევს. დამოჩკის წინადადებით თავს ვაფარებთ კონტიტერსკში, მაგრამ არც აქ გვადგება კარგი დღე. ჩვენი დამოჩკა თითონ სვამს ორ ყავას და ატანს სამ პიროჟნს, არც „მიმი“ ჩა-მორჩა თავის უპატრონო პატ-რონს პიროჟნის ჭამაში, მე და ტიბზიამ კი რეჟიმ ეკონომიის გა-მოთ ჩაი მოვითხოვეთ, მაგრამ არც ამან გვიშველა. მოგვიტანეს ან-გარიში, „ და ტიბზიას დაგვეხარჯ-ნა ორი აბაზი, მიმიმ და მის ხაზეიკამ კი ქვეყნის მასხარაც გაგვხადეს და ოთხი მანეთი და ერთი აბაზიც შეგვი-ჭამეს. საუბედუროთ, ფულიც არ გვე-ყო და მამიჩემის სახსოვარი ვერცხ-ლის საათი დაუტოვეთ კანდიტერს.

მე და დოხტურ ტიბზიამ ფიცი დავ-დეთ დაჩნი ქალებს სამუდამოთ ბოი-კოტი გამოუცხადოთ.

არც სენიას დაადგება კარგი დღე, მე საქულა არ ვიყო, თუ მაგიერი არ გადუხადო.

საქულა.

ჭიეგი და ფყალი

ერთხელ როცა საწარმოვო
თათბირისა ვნახე კრება...
გეფიცებით მისი ოქმი
ეხლაც ნახვად მენატრება...
ოქმში იყო რომ წყალსადენს.
სპირდებოდა ხის ჯეგირი.
საჭიროა პეჩე-ტედემ—
იბრუნოსო მისკენ პირი...
ოქმში პეჩე ეყრდნობოდა
ამ საყვარელ სიტყვა „კრედიტს“,
რადგან თურმე უმისობა...
საქმეს მუდამ „ვრედიტ, ვრედიტ...
და ბოლოს კი ამ თათბირზე
გადასწყვიტეს ერთი რამე...
შეაკეთონ ან გარეცხონ
ხუთ წელიწადში ეს მესამედ,
მაგრამ მიდის დრო და ხანი.
არ სრულდება სიტყა თქმული
იქ კი თურმე ჭია ღუებს.
ბუდეები აქვს გადგმული
და ვინ იცის ეს ჭიები,
თუ რას გვიზამს დღეს ან ხვალე...
(ზაფხულია ყველამ ვიცით
წყალს ვეწაფვით გულმხურვალედ)
სანამ ეს მზე ათასობით,
იქ შექმნიდეს წყლის ბაცილებს,
ვამბობ პჩ—პირი მისკენ...
ექიმიც თან გაგაცილებს...
ნახეთ და თუ არის ასე,
გამონახეთ რამე ზომა...
თორემ ჭიამ სხვა ბაცილით
თქვენშიც იცის შემოტრომა...

ვოლი.

უმუშევართათვის მოეწყო უფასო ღამის გა-სათევი და სადილი შრომის ბირჟასთან.

სურ. 1. უმუშევრის ცოლი:—ვაი შე უბედურო ჩემო ქმარო, რა ყოფაში ხარ, იქნებ გშია ან ღამის გასათევი არ გაქვს

უმუშევარი:—ვაი შენ ჩემო ქალო, შენ იკითხე რა დღეში ხარ, თორემ მე რა მიჭირს; ნეტავი შენც ჩემ მდგო-მარეობაში გამყოფა!



— წადი ძმაო, ეაფანზე მიდი, იქაური სასწორი ნახე- კამეჩებს იქა ხწონიან!



სიცხე ქალაქში

დილით სამსახურში წასვლისას. სამსახურში. სამსახურიდან დაბრუნება.

მესტვირული

ბათომი

„გაგბერე გუდა ქამანჩა,
ავაპუტუნე სტვირია,
მსურს დავჯდე ჭირისუფლადა,
— ბევრი მყავს დასატირია,—
გაწუხებ ძმაო ტარტაროზ,
ბათომში მოსელა გჭირია,
რადგან აქ ხდება ამბები,
კაცთაგან გასაკვირია,
რკინისგზის საავადმყოფო,
ბედისგან განაწირია,
აქ საქმეს რიგზედ ვერ ნახავ
ცოდვები ძლიერ ხშირია,
მსურს ყველა ნათლად გიამბო
თუ არ დამიცეს პირია—
„აქ სამხარაძე დაგხვდებათ
ჩვენი ჭირი, და ლხინია,
უმცროსთან მკაცრი უწყალო,
უფროსებთან კი ფინია,
ვაი იმ უმცროსს რომელსაც
იმისი არ ეშინია,
— მსურს ყველა ნათლათ გიამბო
რაც ერთხელ დაუჭინია.
„მას ქვეშევრდომი თუმცაღა
ბევრს ვერას დაუშავებსა,
მაგრამ რომ მოესურვება,
დაახრჩობს გაათავებსა,
საწყალსა ღამის დარაჯსა
უბრალოდ რათ ატყავებსა,
რომ შვიდ საათის სანაცვლოდ
ცხრა საათს ამუშავებსაᲐ
მეორე არის მუჯირი,
ექიმი მოსაწონია,
რკინისგზის საავადმყოფო
მას საკუთრება გონია.
როცა ჯამაგირს არიგებენ
ძალიან დანაღონია,
ასე გონია, ის ფული
მისი ნამდვილი ქონია
სამხარაძე და მუჯირი
ერთმანეთს ეჭიდებიან,
მათ შუა კოზაკებივით
სნეულნი იქყლიტებიან,
მათ მიერ სხვანი ექიმნი
„კეთილად“ იხსენებიან!
„ცხვედაძე რომ დაინახო
მოგეწონება თვალითა,
დადის, ლაღობს და კომიკობს
პირითა ელვა მკრთალითა,
მხოლოდ ერთი კი ცუდი სჭირს
ვერ ძღება ნასუფრალითა.
აწ ვაქოთ კბილის ექიმი
ქალი ქებული ძველია,
ტაქსა აქვს სამი მანეთი—
შრომის კანონთა მცველია.
არ უყვარს შავი მუშები,
ან და რა საყვარელია,
სამსახურიც კი არ მოსწონს
რადგანაც სატანჯველია,
(ვსთხოვთ დაუნიშნონ პენსია
აქ დარგის ვინც მმართველია).
აბა გიამბე ტარტაროზ,
ზოგ პირთა უცოდველობა.
ამისათვის ვგონებ არ გმართებს
ბათომში მოუსვლელობა,
გთხოვთ გვეახლო, დაიხმარო
შენგან ნაცადი ხელობა!

— ფითრახოლ

ინგლისური ქინძისთავები



ანკეტის გრალია

ბევრი იხეტიალა უსაქმოდ ათანასემ, ბოლოს კი, ბედმა გაუღიმა და მოხელეობა მიიღო.

ჯერ სოფლის „ზაქსში“ დანიშნეს, მაგრამ ეს საქმე ქკვაში არ მოსდიოდა, ზოგი დასცინოდა, ზოგი მეტ სახელად ზაქს ეძახოდა. თანაც ამ თანამდებობით კაცი მალე ვერ დაწინაურდებოდა და დიდი ხლაფორთის შემდეგ თემაღმასკომის მდივნობა ჩაიგდო ხელში.

ერთი კვირა არც კი გასულა ახალ თანამდებობის ჩაბარების შემდეგ, რომ ფოსტალიონმა მაზრიდან „პაკეტი“ ჩამოიტანა, რომელიც ათანასემ სასწრაფოდ გახსნა და შიგნიდან უზარმაზარი ანკეტა ამოიღო. ანკეტის შევსებას ავალებდენ 24 საათის განმავლობაში.

ანკეტაში 148 კითხვა იყო მოთავსებული, რომელთაგან მოგვყავს ზოგიერთი: რამდენი მოჯამაგირეა თქვენს თემში, ვინ არის დამქირავებელი და რა საქმისთვის? ვის რა სახელი ჰქვიან, რამდენი წლისაა, როდის დაიბადა და როდის მოკვდება? ვის რამდენი შვილი ჰყავს და რამდენი მამა? ვის რამდენი ცოლი ჰყავს და რისთვის?... და მრავალი სხვა...

მამლებმა მესამედ რომ იყივლეს, ათანასემ უკანასკნელი კითხვის პასუხიც ჩასწერა და დაღლილს იქვე ჩაეძინა.

ჯერ შუა ძილში არც კი იქნებოდა, როდესაც ფოსტალიონის ღონიერმა ხელმა ძლივს გააღვიძა ათანასე და ახალი პაკეტი მიაჩეჩა. მან პაკეტი საჩქაროდ გახსნა და როღესაც ისევ ანკეტა დაინახა, თავზარდაცემულს მუხლებში კანკალი დააწყებინა.

— წინადადება გეძლევათ, მომართვაში ეწერა, დაკვრითი წესით 12 საათში გვიპასუხოთ შემდეგ კითხვებზე: რამდენი ტყის მცველია თქვენს თემში, თემში რამდენ ქათამს სჭამენ და რისთვის? თემში რამდენი წერა - კითხვის უცოდინარია, რამდენი გაზეთი აქვთ გამოწერილი და რისთვის? თქვენს ტყეებში რამდენი დათვი და მგელია, სჭამენ თუ არა ტყის მცველებს და თუ არ სჭამენ, დაასახელეთ მიზეზი?

სულ ორას ოცი კითხვა იყო.

ათანასეს ოფლი ღვარივით მოსდიოდა და ძლივს სუნთქავდა.

— რა მინდოდა, ზაქსში? ჩემთვის ბატონივით ვიყავ, ზაქი კი, არა, თუნდა ჯორი, აქლემი, კაჭარი ღაეძახნაო!...

ამ ფიქრებში იყო ათანასე და მეორე საანკეტო ფურცელსაც ათავებდა, რომ ფოსტალიონმა შემოაღო კარი და ახალი „პაკეტი“ მიაჩეჩა ხელში.

ათანასეს თავში ზურნამ დაუკრა, თვალებში პაკეტები აერია, ყურები თეფშების ოდენა დახდა, ფოსტალიონს ასი ხელი გამოება და ჩანთიდან უთვალავი ანკეტები ამოფრინდა... ასტყდა ჟრიამული, ალიაქოთი. წივილ - კივილი, ცემა - ტყეპა, ცა დაბნელდა, დედამიწა დაყირავდა...

თემაღმასკომში ერთი ყლაპი წყალიც ვერ იშოვეს, და გაცოფებულ მდივანს წყალის ნაცვლად ერთი ბოთლი მელანი დაასხეს თავზე... ათანასე როდესაც გამოერკვა, მაშინ გაიგო, რომ საწყალი ფოსტალიონი უცაბედად შემოჰკდომოდა ხელში...

ნიახური.

ფოშისხოში

„საფრანგეთის ფელდმარშალმა ფოშმა გაზეთებში წერილი მოათავსა, რომელშიაც ის მოუწოდებს იმპერიალისტებს საბჭოთა კავშირთან ომისათვის“.

დეპეშებიდან.

საფრანგეთის ისტორიამ, კვლავ მოგვიძღვნა ერთი „ტიპი“,
რომელს — თავის მაგიერათ, უაზროვნებს ალბათ ღიპ;
საბჭოების არსებობა, მას ცხვირს უხრავს, როგორც თხიპი;
„სამგლე გოვათ ატეხილა“, მოეფხანა ბედათ ჯიპი...
მხედრობაში დაგეშილა, პოლიტიკის ბეცი შტერი;
ისტორიის „ნაცარში სურს, აადინოს იმან მტვერი“;
პუანკარეს აღარ კმარობს ელანდება მას ტიერი;
ცომუნართა ის ჯალათი, მშრომელ ხალხის სისხლის მტერი;
ფელდმარშალობს იჭაჭება, მემკვიდრეა გალიფესი;
იღრინება, როგორც მურა, ცოფიანი, მყრალი, მღეზი...
მოგვევლინა უცხო მხეცი, გვარი არის მისი ფოში.
მხრებზე კვახი—თავის ნაცვლად, და შიგ ჭკვა აქვს ოხრახოშის,
„სუსტი“ ნახა ჩვენი მხარე გაღვიძა ომის ხოში;
„გულუბრყვილო“ ცხოველია ვერ გაარჩევ იმას ხბოშიკ
აღარ ახსოვს ვინ აჭამა ნაპოლეონს ყვავის „ბორშჩი“,?
მას უკეთეს ბიჭათ ვიცნობთ, ვიდრე მატრაკვეცა ფოში...
„ორმოც-ფუთა“ დედაკაცმა აძუნძულა ფრანგი ფიწლითკ
ისტორიამ, ეს აღნიშნა, ათას რვაას თორმეტი წლით.
ჰამპუულია ღენერალსა ნეტავ ეს რათ ავიწყდება;
ფრანგ გენერლებს უწერია, აქ რუსეთში დამიწება...
ააჩქარეთ ეს პროცესი, თუ თქვენც გინდათ იძუნძულოთ,
კუდა-ძუამ არა თუ ჩვენ, თქვენსაც თავი შეაძულოთ.

ყაჟა—ბერი.

ᲝᲠᲘ ᲓᲦᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲚᲐᲓ

სიხარულით მოველოდი ორ დასასვნებელ დღეს—კვირას და ორშაბათს.

ვის არ მოეწონება დასვენება, თავისუფლება, შენს ნებაზე გავლა-გამოვლა.

ორი დღე თავისუფალი!
ორი დღის დასვენება!

ხუმრობა საქმე ხომ არ არის ორი დღით ქალაქიდან წასვლა!

დიდი მიეთ-მოეთი ხალხია ჩვენს ტფილისში.

როდესაც შრომის სახალხო კომისარიატმა პირველად გამოაცხადა ყველა დასასვენებელი. დღეები, როგორც მახსოვს, ამ დღეებში შეტანილი იყო 29 აგვისტოც. მაგრამ მოაწია თუ არა ამ დღემ, შეიქნა მითქმა-მოთქმა—თითქოს გაუქმებული ყოფილიყო ეს დღე.

არა, უკაცრავად, დღე კი არა არამედ დასვენება.

მაგრამ...

შვიდი წელიწადია სოფელში მოხუცებული დედა არ მინახავს („აი დედის მოსიყვარულე შვილი"-ო, იფიქრებს მკითხველი), გადავსწყვიტე მესარგებლებია თავისუფლებით და წავსულიყავი სოფელში.

რადგანაც ვიცოდი, რომ სადგური შაბათს საღამოს მცხეთობას დაემსგავსებოდა, სადაც ძაღლი პატრონს ვერ იცნობდა, ამისათვის წინდაწინ ვიფიქრე სამგზავრო ბილეთის აღება და ქალაქის სადგურისაკენ გავეშურე შაბათს დილით.

ჩემი სამგზავრო თანხა განსაზღვრული იყო,—ერთი თუმანი, არც მეტი, არც ნაკლები.

ანგარიშიც ასე მქონდა გაწყობილი:

მატარებლის ფასი აქეთ და იქით—8 მან. და 14 კაპ.

ცხენის ქირა სადგურიდან სოფლამდე—1 მან. 50 კ.

დამრჩა 36 კაპეიკი. ამ ფულით გორში აუცილებლად ატამი უნდა მეყიდა და 7 წლის უნახავ დედისათვის უნდა წამეღო, რადგანაც ძლიერ უყვარს გორის ატამი, რომელსაც იგი „ბორა"-ს უძახის. („აი ფეშკაში შვიდი წლის უნახავ დედასო"—იტყვის მკითხველი,—მაგრამ რა უყო როდესაც ჩემს ბიუჯეტს მეტის ატანა არ შეეძლო).

ქალაქის სადგურზე წავედი (რასაკვირველია ფეხით,—ტრამვაი ბიუჯეტში არ შედიოდა).

ჩემი იმედები გაცრუვდა. სალაროსთან მისვლა მეკი არა, მოკიდავე კანდელაკსაც არ შეეძლო, იმდენი ხალხი იდგა რიგში.

გაცრუებული იმედით დავბრუნდი და სასოწარკვეთილებას მივეცი თავი.

იმედი დამეკარგა შაბათს წასვლის, მაგრამ — ცდა ბედის შეხახევრეაო—ნათქვამია და, მეც გადავსწყვიტე ბედი მეცადა.

ისევ საღამომდე დავიცადე და საღამოს რკინისგზის სადგურს გავედი.

მივედი, მაგრამ მე რომ იქ სანახავი დამხვდა, ნეტა სულ არ მენახა.

ქალი და კაცი ერთმანეთს თავზე აჯდა.

— ყმაწვილო, რა ამბავია რიგს მაწვებით—გულმოსული უსაყვედურებდა ვიღაც ახალგაზრდა ქალი რიგში მდგომ ყმაწვილს.

— რა უყო დალოცვილო...—მეც მაწვებიან!—თავს იმართლებდა ყმაწვილი.

როგორ გგონიათ, ეს რიგი სად იქნებოდა? რასაკვირველია არა სადგურში. სადგურის წინ! იქ, სადაც დიდი ხანი არ არის მილიციის გოლგოთას ჯვარი—სემაფორი—სდგას.

მეც ამ რიგის ბოლოში დავდექი და მოთმინებით შეუდექი ცდას.

ჩემი რიგში ჩადგომა მაშინ მოხდა, როდესაც ბორჯომის მატარებელმა ერთი საშინლად შეჰკივლა, ხვნეშით გაუდგა გზას, თითქოს მთელი ბოლმა, შიგ მჯდომ რქიან ქმრებისა, მას ედო გულში.

წავიდა ბორჯომის მატარებელი. რამდენიმე საათის შემდეგ მას მიჰყვა დამატებითი მატარებელი, შემდეგ ბათომის ჩქარი მატარებელი, შემდეგ ქუთაისის მატარებელი და ღამის თერთმეტ საათზე, როდესაც უკანასკნელ მატარებელს მეორე ზარი მისცეს და უფროსმა კონდუქტორმა ზარის შემდეგ ორ წუთში სასტვენი დაუკრა, გაჯავრებულმა და დაღლიმა მოლარემ სწორედ ჩემს წინ სალაროს ფანჯარაში თავი გამოჰყო და გამოგვიცხადა:

— ბილეთები აღარ გაიყიდება ხვალამდის!

ციმმა ოფლმა გადამასხა. მაგრამ მეტი რა ღონე იყო, ყველა სახლში უნდა დავბრუნებულიყავით.

ხალხი დაიშალა.

მე კი მაინც გადაწყვეტილებას არ უღალატე და ჯინზე (ნეტა ვის ვეჯინებოდი?) მთელი ღამე სადგურში გავათენე, ვიდექი რიგში და უცდიდი სალაროს გაღებას.

გათენდა... მაგრამ ბევრი რა თავი შეგაწყინოთ... მოკლედ მოგახსენებთ, როგორც იქნა ბილეთს ვეღირსე და მატარებელიც დილის ცხრა საათზე დაიძრა ტფილისიდან.

შეგონა კვირა არის, მცხეთას იქით მაინც არ იქნება ბევრი ხალხი მეთქი, მაგრამ იმედი არ გამიმართლდა და მგონია, რომ ამაზე მეტი მგზავრი არც შაბათს ყოფილა მატარებელში.

რადგან დასაჯდომი ვერ ვიშოვე, სულ მაღლა (მესამე „პოლკაზე") ავედი და წამოვწევი.

ისეთი სიცხე იყო, ისეთი საშინელი სიცხე, რომ არც აფრიკაში იქნება ალბად ისეთი.

ეწევარ და ვცურავ ჩემს საკუთარ ოფლში: თავი გოგილოს აბანოში მგონია.

ხალხი თანდათან ემატება. სალხი ცუდ გუნებაზეა.

სიცხემ გადარიათ... ყველა ჩხუბობს...

გზას ბოლო არ უჩანს.

გორში როგორც იქნა გადავსტი,—ატამის ყიდვა მოვინდომე, მაგრამ გორელებმა თავისებურად სიცილი დამაყარეს.

— რამდენის? შვიდი შაურის და ერთი კაპიკის? დალოცვილო, ალბად ქორწილი ან დიდი კამპანია თუ გაქვს—ამდენის ატამი სად უნდა დასტიო?!

დავრჩი უატმოთ და ისევ მატარებელში დავბრუნდი.

დაღამებამდის ერთი საათი იქნებოდა, როდესაც ჩემს სანატრელ სადგურზე ჩამოვხტი.

— ცხენი იშოვება? — შევეკითხე ერთ მედუქნეს.

— როგორ არა, სად გნებავს წაბრძანება?

დაუსახელე სოფელი.

ხუთი მანეთი და ცხენი დღესვე უნდა დამიბრუნოთ!

ამა თქვენ წარმოიდგინეთ, რა უნდა მექნა!

ისევ ფეხით გაუდექი გზას.

მივდივარ და გზა აღარ ილევა...

აღარ მახსოვს როგორ მივადექი სახლის ჭიშკარს.

— მასპინძელო!—დაეიძახე ისეთი ხმით, რომ ახლოს მდგომიც ვერ გაიგონებდა.

ხმა კი არა, სული რომ მედგა ისიც საკვირველი იყო.

თუ რა გადამხდა სოფელში და უკან დაბრუნებისას, ამის შესახებ შემდეგ მოგახსენებთ. ეხლა პატარა სულ მოვამთქმევიეთ.

—

ბორეული.

რადიო გახმაროდან

აქ სეზონი იკეტება
წამოვიდა დარო, მართა
ზოგის ცოლებს კავალრებმა
პრავაეაი გაუმართა.
წელს შეუდგენ აქ დიდ სახლებს,
მაგრამ ერთიც არ მოსრულდა
მანდ უშვილოს, რომ ეძახდენ
აქ სუყველა დაორსულდა.
(აქ ბუნება ხელს უწყობდა
და ჭკუაც მიტომ მოიხმარეს,
მანდ ექიმი თვარ ვარგოდა
აქ სულ სხვები დაიხმარეს).
ინდიგო და შევიოტის
ამ სეზონში გასწყდა ქოქი
ბადლათ ბევრი შემოვიდა
ჩულქები და კოვერკოტი.

გიგიენა დაცულია,
მოიშორა ხალხმა ხაშმი
ბარიშნები გაიბუტა
ვერ იშოვნეს „პუდრი“, „კაშმი“.
ბევრმა ნახა თავის სატრფო
წინ წელიწადს დაკარგული
ბევრს მოყვება მეგრელების
„ნადუღეს“ და ყველის ფული.
კვდარსაც კი გამოაღვიძებს
ჩალანდრების მღერა, მარში,
რაც ცხენი ღირს, სწორედ იმდენს,
ღებულობენ ერთ ცხენ ბარგში.
აქ ბოლო დროს ყასბებს ხორცი,
არ დაუკლავთ ერთი გირი,
ძაღლებმა კი „წუნკლის“ ჯიშმა
ბევრს შიაჩო თიხზე პირი.

ძნელოღლი.



ვა—ლიხ. საკვირველ ამბავს იწერება ვა—ლი:

კარგია თუ ოფციაურს
ხშირად სწყალობს ხერხი ძალის
მოტორჩიკის გაჩერება
აღმძვრელია ხათაბალის.

...

მაგრამ მის ტვინს ნებისყოფა
თუ ამგვარი ხშირად სწყალობ
ალბათ პჩ შემდეგისთვის
სხვა მოტივით მიუგალობს..

...

ხო.. ეს მოხდა რიცხვით ჩვიდმეტს
როს სწყალობდა შოფერს ბედი
გადაკრულმა შუა გზაზე.
მატორს უთხრა სდეგ შეჩერდი.

...

თვით შევიდა და მიკიტანს.
გადუძახა: ღვინო მალე
გოგონებიც მოაყოლე..
ვახ!.მე იმათ ვენაცვალე

...

ერასტიმაც მისი ტვინი,
ღვინით ზიზვად მოაპკურა.
და ლამაზი გამოთქმებით
ღვინო ბამბით ჩააწურა..

...

დროს ტარებას კი მისდევდა,
ღიის მსვლელობის დრო და ხანი..
სანამ მთლად არ მოეწამლათ
ღვინით ტვინი, ტვინით ტანი.

...

მატორი კი ობლათ იდგა,
თან ცრემლები სცვინდა სახეს..
და ფიქრობდა: ეს შოფერი,
ყველგან მიწყობს სივაგლახეს..

...

და რომ ამ გვარ სივაგლახეს.
ავაცდინოთ აწ დრეზინა.
მე მოვითხოვ ამგვარ შოფერს
მიეჩინოს თავის ბინა..

ამხ. ვა—ლი, ბარემ პირდაპირ გეთქვათ, რაგვარი ბინა მოუხდება ასეთ გმირს!

ცოცხს (ქობულეთი)—რისიც გეშინოდათ, ის ახდა.. საბრალო ხელთნაწერმა გოდორში განისვენ[illegible] [illegible]ოთხა-დეთ სამოქალაქო პანაშვიდი.

მეხ (სად. რკვია)

ჩემბერლენი ომს აპირებს
ბიდის და მიუბარია,
როგორც ნიკოლოზი ხარობს
ისე მას გაუხარია:

...

ჰაეროპლანში ჩამჯდარა,
როგორც ბებერი ძერა,
ჩემბერლენ ომში რას გვიზამ,
თვალში არა გაქვს მზერა.

...

მსოფლიო პროლეტარები
იმას წინ დაუდგება,
ჩემბერლენ საით მიდიხარ.
არა გაქვს ომის ნება.

...

ომისგან დამარცხებული
სახლში ვერ დაბრუნდება,
ცალი თვალით იმზირება
ისიც კი დაუდგება.

...

აღსდეგ მუშავ! გაგიმარჯოს
ჩემბერლენი ჩვენ რას გვიზამს,
იმის ნაგავს ოთხი ვირი
სამარეში გადაზიდავს.

მეხი, როგორც ხედავთ, საზრიანად მსჯელობს. ჩვენ მხოლოდ ერთ რჩევას მივცემთ: ნაგავის გადასატანათ ვირები არ გაუგზავნოს. დეე ჩემბერლენმა თითონ ზიდოს—უკეთესი საქმე მას არც ეკადრება.

— ადამიანო, მე ბარაკზე ვიყავი დაბოლოებული ვერ მიდ-ვიმატე, შენ კი მთელი ზაფხული ქალაქში დამყოვი და ასე გაბუტულხარ!

— ეს ინიტომ, რომ ყოველ კვირას „ტარტაროზს“ კითხულობდი და ნერვები დამიშვიდდა. შენ კ[illegible] ბად ‘კითხვას გაურბოდი.